კვირის პოლიტრა
გზა
N47 (389) 22/XI-28/XI.2007
ფასი 80 თეთრი

1168
2007

რა ღირს საქართველოში თავისუფალი სიტყვა, როცა...

(მეოთხე) ხელისუფლება შეზღუდულია!

„მისი გასამართლება გამორიცხულია...“

რა ელის ოქრუაშვილს

გიგი უგულავამ ნიკა სეგისკვერაძეს თანამდებობა მისცა

გოჩა მანველიძე

ბგლეპი

სისხლი სისხლის წილ

ISSN 1987 - 8029

გათხოვება საკუთარ ქმარზე ანუ ორჯერ ერთსა და იმავე მდინარეში

საბა ◘ SABA

სამზარეულოები იტალიიდან

MIDNIGHT SPAGHETTI ALL'ITALIANA.

BERLONI

YOUR HOME, ABOVE ALL.

კანდელაკის ქ. 65 0160 თბილისი საქართველო

www.saba.ge e.mail: info @ saba.ge (+995 32) 38 44 54

ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲨᲘ

ᲒᲖᲐᲨᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ

№47 (389)
22-28 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. 2007 Წ.
ᲤᲐᲡᲘ 80 ᲗᲗᲗᲠᲘ

«ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ, ᲥᲐᲜᲬᲘᲚᲘᲡᲬᲘᲜᲘᲡ ᲥᲐᲓᲐ ᲒᲐᲒᲘᲥᲘᲓᲐᲗ?»

ᲛᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗᲘ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲘ

ᲒᲐᲗᲮᲝᲕᲔᲑᲐ ᲡᲐᲯᲣᲗᲐᲠ ᲥᲐᲠᲖᲔ

ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

39-70

■ ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
ᲕᲐᲠᲓᲑᲣᲚᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲘᲣᲑᲘᲚᲔ ᲐᲜᲣ „ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ, ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲘᲓᲔᲑᲐ“?!. 5
■ ᲤᲐᲥᲢᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ
„ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲗ, ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐᲨᲘ ᲡᲐᲡᲘᲙᲔᲗᲝ ᲫᲕᲠᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ“ 6
■ ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ
„ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲝᲤᲐᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲕᲡ...“ 7
■ ᲛᲐᲡᲛᲔᲓᲘᲐ
ᲠᲐ ᲦᲘᲠᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ?.. 8
■ ᲛᲐᲓᲚᲘ
ᲞᲐᲞᲐᲠᲐ ᲑᲘᲭᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲢᲠᲐᲒᲘᲙᲣᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ 10
■ ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲠᲝᲚᲨᲘ
ᲒᲘᲒᲘ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐᲛ ᲔᲙᲐ ᲡᲔᲑᲘᲡᲙᲕᲔᲠᲐᲫᲔᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐ ᲛᲘᲡᲪᲐ 12
■ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ
ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲔᲜ „ᲩᲐᲠᲔᲪᲮᲘᲚᲔᲑᲘ“ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲡ 14
■ ᲓᲐᲘᲯᲔᲡᲢᲘ 16
■ ᲐᲦᲡᲐᲠᲔᲑᲐ
ᲨᲔᲣᲠᲘᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲜᲐ (ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ) 20
■ ᲔᲠᲣᲓᲘᲢᲘ
ᲜᲐᲖᲘ ᲐᲠᲝᲜᲘᲐᲡ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘ ᲓᲐ ᲡᲣᲚᲛᲝᲣᲗᲥᲛᲔᲚᲐᲓ ᲜᲐᲙᲘᲗᲮᲣᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ 22
■ ᲘᲣᲑᲘᲚᲔ
44 ᲬᲔᲚᲘ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ — ᲒᲔᲜᲝ ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ 70 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ... 24
■ ᲡᲐᲡᲘᲙᲝ
ᲜᲘᲙᲐ ᲐᲠᲐᲑᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲪᲝᲚᲔ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲝᲒᲝ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ 25
■ ᲗᲔᲛᲐ
ᲕᲐᲞᲐᲞᲘᲝᲗ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲛᲔᲣᲦᲚᲔᲡ ᲦᲐᲚᲐᲢᲘ 27
■ ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝ
„ᲬᲔᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲢᲐᲜᲯᲕᲐ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, „ᲙᲐᲘᲤᲘᲐ“ 29
■ ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲠᲔᲡᲐᲜᲢᲘ 30

„ᲬᲔᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲢᲐᲜᲯᲕᲐ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, „ᲙᲐᲘᲤᲘᲐ“

„ᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲝᲜᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲮᲐᲚ ᲗᲔᲛᲔᲑᲡ ᲮᲡᲜᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲒᲔᲢᲧᲕᲘᲗ, ᲬᲔᲠᲐ ᲘᲪᲘᲐᲜ. ᲛᲐᲗ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲡᲢᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲗ, ᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲕᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲬᲔᲠᲐ ᲐᲠ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ — ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲘᲡᲔᲓᲐᲪ ᲪᲜᲝᲑᲡ“.

29

ᲜᲘᲙᲐ ᲐᲠᲐᲑᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲪᲝᲚᲔ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲝᲒᲝ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ

— ᲨᲔᲜᲘᲡ ᲛᲔᲣᲦᲚᲔᲡ ᲛᲖᲘᲗᲘᲡᲨᲘ ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲰᲧᲕᲓᲔᲡ?

— ᲛᲗᲚᲐᲓ ᲨᲘᲨᲕᲔᲚᲘ-ᲒᲘᲒᲕᲔᲚᲘ ᲜᲣ ᲬᲐᲛᲝᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲘᲜᲓᲐ.

— ᲛᲖᲘᲗᲘᲡᲨᲘ ᲕᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑ ᲐᲕᲔᲯᲡ, ᲭᲣᲠᲭᲔᲚᲡ, ᲥᲕᲔᲨᲐᲒᲔᲑᲡ...

— ᲛᲘᲡᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲩᲔᲛᲘᲗ ᲕᲘᲧᲘᲓᲘ. ᲘᲡᲔ, ᲗᲣ ᲠᲐᲛᲔᲡ ᲛᲝᲘᲒᲐᲜᲡ, ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲧᲠᲘ.

25

ᲨᲔᲣᲠᲘᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲜᲐ

— ᲛᲙᲚᲐᲕ?! — ᲒᲐᲝᲪᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ, ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ ᲚᲐᲛᲘᲡ ᲑᲣᲓᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲛᲝᲣᲪᲕᲘᲕᲓᲐ ᲒᲘᲒᲘᲡ.

— ᲐᲠᲐ! ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲛᲔᲫᲚᲝᲡ, ᲐᲛᲐᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑᲓᲘ. ᲘᲡᲔ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲜᲐᲑᲘᲠᲐᲚᲐ ᲮᲐᲠ, ᲐᲠᲪ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲐᲙᲚᲓᲔᲑᲝᲓᲘ...

ᲐᲜᲐᲛ ᲒᲘᲒᲘᲡ ᲛᲝᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲠᲗᲕᲐ ᲓᲐ „ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ“ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲐᲙᲠᲘᲑᲐ:

— ᲐᲕᲐᲠᲘᲐᲐ... ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘᲐ ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ... ᲐᲠᲐ, ᲐᲠ ᲛᲝᲙᲕᲓᲔᲑᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲯᲝᲑᲘᲐ, ᲘᲩᲥᲐᲠᲝᲗ!..

20

■ ᲙᲐᲓᲠᲡ ᲛᲘᲦᲛᲐ

ᲓᲘᲓᲘ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲡ... 30

■ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲖᲐ

ᲡᲐᲜᲐᲛ ᲪᲘᲪᲘᲡᲚᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲗ... 32

■ ᲨᲔᲣᲪᲜᲝᲑᲔᲚᲘ

„ᲖᲝᲒᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲡ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ ᲮᲔᲓᲐᲕᲡ, ᲛᲔ ᲙᲘ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲕᲒᲠᲫᲜᲝᲑ...“ 34

■ ᲛᲚᲕᲓᲔᲚᲛᲡᲐᲡᲣᲠᲔᲑᲘ

ᲤᲘᲚᲘᲞᲝᲜ ᲙᲐᲠᲑᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ „ᲒᲚᲐᲮᲘᲡ ᲜᲐᲛᲒᲝᲑᲘᲡ“ ᲛᲝᲫᲚᲕᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲝᲢᲘᲞᲐᲓ ᲒᲕᲔᲕᲚᲘᲜᲔᲑᲐ 36

■ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ

ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲘᲡ „ᲛᲢᲙᲘᲕᲜᲔᲣᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ“ 37

■ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲨᲘ

ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ 39-70

■ ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ

ᲐᲤᲠᲘᲙᲣᲚ ᲤᲝᲠᲗᲝᲮᲐᲚᲡ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲔᲛᲝ ᲐᲫᲕᲡ... 71

■ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

ᲐᲫᲡᲔᲡᲣᲐᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲛᲘ ᲫᲐᲚᲑᲐᲗᲝᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ 73

■ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ

ᲖᲐᲖᲐ ᲕᲐᲩᲜᲐᲫᲔ. ᲛᲢᲙᲘᲕᲐᲠᲜᲐᲚᲔᲑᲣᲚᲜᲘ (ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ) 74

■ ᲢᲐᲘᲛ-ᲐᲣᲢ 78

■ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲐᲕᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

✓ ᲗᲣᲙᲘ ᲨᲔᲜᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ 80

✓ ᲜᲐᲮᲭᲔᲑᲘ — ᲥᲐᲚᲘᲡ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲘᲡ ᲛᲢᲔᲠᲘ 81

■ ᲑᲔᲡᲢᲡᲔᲚᲔᲠᲘ

ᲒᲝᲩᲐ ᲛᲐᲜᲕᲔᲚᲘᲫᲔ. ᲛᲒᲚᲔᲑᲘ 4 (ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ) 82

■ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘ

✓ ᲙᲚᲐᲣᲓᲘᲐ ᲨᲘᲤᲔᲠᲘ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ! 87

✓ ᲛᲐᲘᲙᲚ ᲯᲔᲥᲡᲝᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ 87

✓ ᲠᲐᲡ ᲣᲜᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲔᲜ ᲠᲝᲑᲘ ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲡᲡ 88

✓ ᲙᲐᲘᲚᲘ ᲛᲘᲜᲝᲣᲒᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲩᲔᲜᲐᲖᲔ ᲝᲪᲜᲔᲑᲝᲑᲡ 88

■ ᲑᲔᲚᲐᲓᲘ

ᲛᲮᲔᲓᲐᲠᲗᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ (ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ) 90

■ ᲗᲘᲜᲔᲯᲔᲠᲣᲚᲘ ᲞᲝᲜᲔᲑᲘ

✓ ᲠᲘᲗᲘ ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲐ ᲞᲐᲜᲩᲝ ᲛᲐᲠᲒᲝᲡᲣᲚᲡ 92

✓ „ᲔᲡ ᲛᲔᲡᲘᲯᲘ ᲗᲘᲗᲘᲥᲝᲡ, ᲛᲔ ᲓᲐᲕᲬᲔᲠᲔ. 6 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ...“ 93

■ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲖᲐᲘᲙᲐ 95

■ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲨᲘ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗ ᲛᲝᲥᲛᲔᲓ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲡ ᲐᲣᲥᲛᲔᲑᲔᲜ 96

■ ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ

✓ „ᲩᲔᲛᲘ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲓ ᲐᲠ ᲜᲐᲘᲙᲘᲗᲮᲝᲗ“, — ᲬᲔᲠᲡ ᲝᲥᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲤᲐᲥᲡᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ 96

✓ 2 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲓᲔᲓᲐᲛ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲐ 98

■ ᲐᲤᲘᲨᲐ 101

■ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ 103

■ ᲡᲐᲜᲓᲝᲠᲓᲘ 104

■ ᲢᲔᲡᲢᲘ 105

■ ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲞᲘ 106

ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲖᲔ: ᲘᲠᲛᲐ ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲐᲟᲘ

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲒᲖᲐ“
ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲯᲔᲠ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲠᲝᲑᲘᲗ
ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘᲗ.
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲛᲐᲮᲐᲚᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲐᲖᲠᲡ.
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ
ᲛᲗ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ: ᲚᲐᲖᲘ ᲤᲐᲪᲘᲐ, ᲚᲘᲙᲐ ᲥᲣᲯᲐᲘᲐ
ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘ: ᲛᲐᲗᲔ ᲙᲒᲘᲚᲐᲫᲔ
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲫᲘᲡ Ქ. №49
ᲢᲔᲚ: 38-84-44, ᲤᲐᲥᲡᲘ: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com
ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ „ᲒᲖᲐᲨᲘ“: 37-78-07; 38-78-70.

ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲜᲐᲮᲭᲔᲑᲘ

ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲜᲐᲮᲭᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲒᲔᲜᲔᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲘᲡ ᲡᲐᲣᲠᲗᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲛᲐᲕᲜᲔ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲗᲐ ᲖᲔ�გᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲒᲐᲜᲐᲠᲘᲠᲝᲑᲔᲑᲡ.

81

ᲒᲐᲞᲐᲢᲘᲝᲗ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲛᲔᲣᲦᲚᲔᲡ ᲓᲐᲚᲐᲢᲘ

„ᲩᲔᲛᲘ ᲥᲛᲐᲠᲘ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲥᲐᲚᲗᲐᲜᲔ ᲘᲧᲝ, ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲕᲘᲪᲝᲓᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲭᲙᲕᲘᲐᲜ ᲥᲐᲚᲐᲓ ᲛᲘᲕᲘᲩᲜᲔᲕᲓᲘ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲕᲘᲓᲒᲔᲜᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲥᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲒᲝᲜᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲣᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲡ — ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲝᲡ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲣᲠᲘ ᲥᲘᲜᲘ, ᲩᲔᲛᲖᲔ ᲭᲙᲕᲘᲐᲜᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ“.

27

ᲜᲐᲖᲘ ᲐᲠᲝᲜᲘᲐᲡ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘ

„ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲝᲛᲬᲝᲜᲡ, ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲤᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲒᲐᲥᲕᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲠᲗᲣᲚᲘ“, — ᲒᲕᲘᲗᲮᲠᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲐᲠᲛᲐ ᲜᲐᲖᲘ ᲐᲠᲝᲜᲘᲐᲛ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲐᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗ ᲓᲐᲕᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲘᲗ ᲓᲐ „ᲔᲠᲣᲓᲘᲪᲘᲡᲐ“ ᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲐ ᲕᲗᲮᲝᲕᲔᲗ.

22

— ᲑᲐᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ... ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲬᲕᲔᲕᲐ. ᲦᲐᲛᲔ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲫᲐᲦᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲐᲠ ᲣᲨᲕᲔᲑᲓᲐ. ᲔᲡ ᲬᲕᲠᲘᲚᲛᲐᲜᲘᲐ, ᲚᲣᲙᲐ. ᲞᲝᲞᲝᲕᲛᲐ ᲬᲐᲘᲛᲐᲠᲘᲐᲯᲐ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲧᲕᲐᲜᲔᲗ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ „ᲢᲠᲣᲞᲡ“ ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲕᲣᲮᲔᲠᲮᲔᲑᲗ. ᲞᲝᲞᲝᲕᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲕᲝᲕᲐᲖᲔ ᲩᲐᲚᲘᲩᲝᲑᲡ. ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲔᲡ ᲫᲔᲑᲜᲐ.

— ᲐᲡᲔ „ᲜᲐᲒᲚᲐᲓ“ ᲒᲕᲢᲔᲜᲘᲐᲜ?! ᲠᲐ ᲑᲣᲨᲛᲐ ᲣᲙᲑᲘᲜᲐ ᲞᲝᲞᲝᲕᲡ?!

82

ვარდბულბულობის მეოთხე იუბილე

ანუ „ლიდება თავისუფლებას, თავისუფლებას ლიდება"?!.

პარლამენტის წინ რომ გავიარე და ჭიანჭველებივით მოფუსფუსე მუშები დავინახე ფიცრებით, ჩაქუჩებითა და ლურსმნებით ხელში, ვიფიქრე, წარღვნა ახლოვდება და კიდობნის შეჭედვა დაიწყეს-მეთქი. ამიტომ, ადამიანობის დამადასტურებელი პირადობის მოწმობა დავმალე და რომელიმე ჯიშის ფრინველად ან ცხოველად დარეგისტრირება გადავწყვიტე — იქნებ, ასე მაინც მოვხვდე-მეთქი კიდობანში, მაგრამ მერე ამიხსნეს, რომ „ვარდების რევოლუციის" საიუბილეო მზადება ყოფილა. უბრალოდ, გიგანტურ სცენას აკეთებდნენ და ისევ ადამიანობა ვამჯობინე.



რა სწრაფად გარბის დრო, უკვე ოთხი წელი გასულა, არადა, ასე გვგონია, გუშინ იყო რევოლუცია და ამ ცოტა ხანში, მაინც რამდენი რამის გაკეთება მოასწრეს-თქო!.. განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნა და მოქმედმა პრეზიდენტმაც გამოიყენა კონსტიტუციური უფლება მეორე ვადით პრეზიდენტობისა. რამდენი რამ გაკეთდა ბოლო ოთხ წელიწადში თუ ამ ოთხი წლის ბოლო დღეებში: დაკმაყოფილდა საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილის მოთხოვნა და განათლების მინისტრი უშიშროების საბჭოს მდივნად გადაიყვანეს. მაინც უკმაყოფილოა ხალხი, დააწინაურაო... რა მნიშვნელობა აქვს, დააწინაურა თუ ჩამოაქვეითა, ხომ მოხსნა?! იქნებ, ესეც ისე იშვიათად გამოჩნდეს ან საერთოდ არ გამოჩნდეს, როგორც უშიშროების საბჭოს წინა მდივანი არ ჩანდა და შენთვის მოხსნილი არაა?! ხომ არ შეიძლება, ყველაფრით უკმაყოფილო იყოს ხალხი?!

აგერ, მეორე საუკეთესო საკადრო ცვლილება — ლტოლვილთა და განსახლების მინისტრად თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის ყოფილი უფროსი დაინიშნა და რა გინდა, ამაზე უკეთესი?!

ლტოლვილებს რაც შეეხება, მაგათი დაბრუნების პრობლემა მგონი, მანამ იქნება, სანამ მინისტრად კოკოითის და ბაღაფშს არ დანიშნავს ერთად და განსახლებას რაც შეეხება, ამ კაცმა მაწანწალა ძაღლები გაასახლა თბილისიდან და ხალხს ვერ „განასახლებს"?!

და ყველაზე მთავარი ცვლილება — საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრი ჰყავს: კაცი-ბანკი, კაცი-„ორენჯი" და კაცი-ფული. მისი კანდიდატურა ჯერ არ დამტკიცებულა და უკვე გაიზარდა პენსიები 17 ლარით, ახალი წლიდან კი გაორმაგდებაო და რომ დამტკიცდება, მერე ხომ აგვაშენებს და ისაა! 78-ლარიანი პენსია და 12-ათასლარიანი სამედიცინო დაზღვევა მთლად ტკბილ სიბერეს თუ არა, ტკბილ ჩაის და „პეჩენიას" კი ნიშნავს და მეტი რა გინდათ?!

აგერ, მასწავლებლებს მოვუმატებთ ხელფასებს 40 ლარითო, — ამბობს ის პატიოსანი კაცი და თუ ამდენი და კიდევ უფრო მეტი შეუძლია, და საერთოდ, თუ მაინცდამაინც ფულიანი კაცი ყოფილა საჭირო პრემიერ-მინისტრად, აქამდე გაგეშვათ ის კაცი; მარტო ღიმილი და ცალ-ცალი კალოში თუ ჰქონდა, რა ეპრემიერებოდა?!.

მაგრამ ესეც პოლიტიკური ჩანაფიქრია: ხალხი დაბნეულია, ნაადრევი სკლეროზი სჭირს და სად ერთი წლის წინ მომატებული პენსია-ხელფასი და სად — არჩევნებადე ერთი თვით ადრე გაკეთებული საჩუქარი! ანუ სარეკლამო კამპანია კარგა ხნის დაწყებული აქვს პრეზიდენტს: იქ სპორტსმენებს მიეხმატკბილა — ოლიმპიურ ჩემპიონებს 300 კი არა, 1000 ლარი ექნებათო, თითო მედალზე პრემია გაორმაგდებაო, ქართულ ფეხბურთს მსოფლიო ჩემპიონატზე გავიტანო, თუ თავდასხმა ვერ მოახერხებს, გოლსაც მე გავიტანო, საქართველოს საზღვარს ფსოუმდე ჩავიტანო, ჩვენს დროშას ნატოში შევიტანო, თუ რამე გაქვთ წასაღები, მომეცით, მივიტანო, თუ პრეზიდენტად კიდევ ხუთი წელი ამიტანო... მიდი და ეჭიდავე ახლა შენ, რომ დაგიღია პირი და იძახი, ოპოზიციის ერთიანი საბჭოს ზიარი ჰაერიც არ მინდა და თვითონ გავხდები პრეზიდენტიო...

ეტყობა, არ გივლია სკოლაში და არც ისრების გადატეხის იგავი გისწავლია, „ძალა ერთობაშიას" რომ ნიშნავს და ახლა, „უყარე კაკალი"!.. „გიჟები ხართ, ბიძია, ვიღაცა ხართ, ტო!.."

სადაც ორი კვირის წინ ხალხს კრებდი მისი გადაგდგომის მოთხოვნით, ახლა ის კაცი აღმშენებლობისა და ვარდბულბულობის ოთხი წლის იუბილეს ზეიმობს და კონცერტზე „სმოუკი" ჩამოჰყავს. ეჭვი არ შეგეპაროს, იგივე ხალხი მივა და ტაშსაც დაუკრავს. რატომ არ მივა, რა, შენი — „წადი შენი" უფრო კარგი მოსასმენია თუ SMOKE?!

P.S. პოლიტიკა სოფლის ბირჟაზე:

— რას შვრები, ავქსენტიჩ, აძლევ ხმას სააკაშვილს?!

— როგორ გეკადრება, არ მინდა სააკაშვილი, დაგვაქცია მაგან. მარა, აგერ პენსია ორმაგდება; ჩემი სიძე და ქალიშვილი ორივე მასწავლებლები არიან და ორივეს ხელფასი მოუმატა, შვილიშვილი სკოლაში უფასო ავტობუსს დაჰყავს, რძალმა უფასოდ იმშობიარა და 300 ლარი მისცა და...

— შენ გნდომებია, ძმაო, სააკაშვილი და რაღას წუწუნებ?!

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პროვოკატორი

„პრემიერ-მინისტრის შეცვლით, ქვეყნის ეკონომიკაში სასიკეთო ძვრები არ დაიწყება...“

გასული კვირის მიმდინარე მოვლენებიდან, საზოგადოებისთვისაც და პოლიტიკოსებისთვისაც ყველაზე მნიშვნელოვანი მინისტრთა კაბინეტში განხორციელებული ცვლილებები გახლდათ. ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი ლადო გურგენიძის პრემიერ-მინისტრობას მიესალმება, მაგრამ ამ ფაქტს მოწინააღმდეგეებიც ჰყავს... მთავრობის წევრები წინასაარჩევნო კამპანიით არიან დაკავებულნი, მოსახლეობა კი არჩევნებისთვის გულმოდგინედ ემზადება.

„ვნახოთ, რას მოგვიტანს ეს არჩევნები“

ნათია ქივიძე

ხელისუფლება

ლადო გურგენიძე, *პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი:*

— ჩემი თანამდებობაზე დანიშვნის შემთხვევაში, 2010 წლიდან გადასახადებს მკვეთრად შევამცირებთ. გადასახადების განაკვეთებთან დაკავშირებით, სამუშაოები 2009 წლიდანაც დაიწყება, მაგრამ ეს უფრო მკვეთრი 2010 წლიდან გახდება. ბიუჯეტი იქნება პროფიციტული, მიუხედავად ამისა, საგადასახადო განაკვეთების შემცირების მცდელობა მაინც იქნება. ინფლაციასთან დაკავშირებით კი, მთავრობამ ეროვნულ ბანკთან უნდა გააგრძელოს მუშაობა,

გიგი უგულავა, *თბილისის მერი:*

— საინტერესო მოვლენაა ის, რომ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სპეციალური ურნები დაიდგმება, რომელთა საშუალებითაც, მოსახლეობა დედაქალაქის მერს საკუთარ პრობლემებს გაუზიარებს. თბილისის მოსახლეობა მიიღებს საინფორმაციო ფურცლებს, რომლებზეც მათთვის პრობლემატურ საკითხებსა თუ მოსაზრებებს ჩაწერენ და დედაქალაქის მერიის მიერ დადგმულ ურნებში ჩაყრიან. დედაქალაქის მერია აღნიშნულ საკითხებს გაეცნობა, განიხილავს და მომავალი წლის ბიუჯეტში გაითვალისწინებს. გარდა ამისა, მომავალი წლიდან, ტრანსპორტზე შეღავათები გავრცელდება სტუდენტებზე, ომის ვეტერანებზე, უსინათლოებსა და კიდევ რამდენიმე სოციალურ ჯგუფზე. ეს საკითხი ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებულია. მოთხოვნები, რომლებიც საზოგადოებისგან იქნება მოწოდებული, ჩვენ მიერ დამუშავდება, ბიუროს წარედგინება და მათ მომავალი წლის ბიუჯეტში გავითვალისწინებთ. თბილისში მილიონ-ნახევარი ადამიანი ცხოვრობს და მოსახლეობამაც უნდა გაითვალისწინოს, რომ თბილისის ბიუჯეტი ვერ იქნება ის „თოვლის ბაბუა“, რომელიც თითოეული მათგანის სურვილს აასრულებს.

ოპოზიცია

ზურაბ ჭყონია, *საპარლამენტო ფრაქცია „მრეწველების“ ლიდერი:*

— პრემიერ-მინისტრის შეცვლა მნიშვნელოვანი მოვლენაა, მაგრამ მიმაჩნია, რომ მხოლოდ მისი შეცვლით ქვეყნის ეკონომიკაში სასიკეთო ძვრები არ მოხდება. „მრეწველები“ პოზიციას არ ცვლიან და რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობას ვერ აიღებენ იმ მთავრობაზე, რომელიც ხელუხლებელი დარჩა (მხოლოდ „თავი“ შეეცვალა). არა მგონია, ამ ნაბიჯით რაიმე სასიკეთო მოხდეს და ბენდუქიძის ხელში ეკონომიკური პრობლემები მოგვარდეს. ვიმედოვნებ, ახალი პრეზიდენტი თითოეულ მათგანს სახლში გაუშვებს.

გია გურგენაძე, *ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი:*

— ჩვენ არაერთხელ ვთხოვეთ ხელისუფლებას, რომ ყური დაეგდო საზოგადოების მოთხოვნებისთვის, მაგრამ... რაც მათ გააკეთეს, ეს წმინდა წყლის ამპარტავნება იყო. 2 ნოემბრის აქციამ შედეგი გამოიღო — თითქოს, სააკაშვილი სხვა პიროვნებად იქცა, სულ სხვანაირად ლაპარაკობს და იქცევა. ამ ბოლო დროს, საქართველოში განვითარებული მოვლენები, ყველაზე მეტად რუსებს გაუხარდათ. 7 ნოემბერს, გაზით ნახევარი ქალაქი მოიწამლა. ამავდროულად, „რუსთაველზე“ მდებარე სასტუმროებში ბევრი სერიოზული ინვესტორი იყო დაბინავებული, რომელიც ამ ამბის შემდეგ, საქართველოდან გაიქცა. ხელისუფლების ამპარტავნების შედეგად, ჩვენ მხოლოდ ის მივიღეთ, რომ რამდენიმე მილიარდი დოლარის ინვესტიცია დავკარგეთ. რაც შეეხება არჩევნებს, ეს კარგი გამოსავალია, მაგრამ საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა, თუ საპარლამენტო არჩევნები დაინიშნებოდა, შედგებოდა გარდამავალი კოალიციური მთავრობა და ისეთი საარჩევნო სისტემა იქნებოდა, რომელიც ევროპელი და მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოების ნდობას დაიმსახურებდა. რამდენად მოახერხებს ამას ხელისუფლება, არ ვიცი. მიმაჩნია, ხელისუფლებამ ხალხის გამო კი არ დაიხია უკან, არამედ ეს, საერთაშორისო საზოგადოების სერიოზული ზეწოლის შედეგია... ჩვენთვის მთავარია, რომ არჩევნები სუფთად და სამართლიანად ჩატარდეს.

კახა კუკავა, *„დემოკრატიული ფრონტის“ თავმჯდომარე:*

— პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა ვლადიმერ გურგენიძემ, შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა და თავდაცვის მინისტრმა დავით კეზერაშვილმა ფრაქცია „დემოკრატიულ ფრონტის“ წევრებთან ღია შეხვედრაზე უარი განაცხადეს... ჩვენი ძირითადი შეკითხვები მთავრობასთან 7 ნოემბრის მოვლენებს უკავშირდება. კერძოდ, ვინ გასცა აქციის დარბევის ბრძანება, რა აპარატურა იყო გამოყენებული ხალხის წინააღმდეგ და ა.შ. ასევე, გვაინტერესებს, არსებობს თუ არა სახელმწიფო შეთქმულებასთან დაკავშირებული ისტორიის საფუძველი...

საზოგადოება

ლალი აფციაური, *პედაგოგი, 46 წლის:*

— ჩემს სახელსა და გვარს შევცვლი, რადგან მეშინია, ჩემი კომენტარის გამო არ დამიჭირონ. რამდენიმე დღის წინ, სკოლებში გამოგვიცხადეს: თუ მიხეილ სააკაშვილის მომხრეთა სიას არ შეუერთდებით და მის სასარგებლოდ გარკვეულ დოკუმენტებზე არ მოაწერთ ხელს, სამსახურს დაკარგავთო. მიუხედავად იმისა, რომ სულაც არ მომწონს ჩემი პრეზიდენტი და არც მისი მომხრე ვარ, იძულებული ვიყავი, იმ საბუთებზე მომეწერა ხელი. მართალია, „კაპიკებს“ მიხდიან, მაგრამ სამსახური რომ დავკარგო, მერე რა ვაჭამო შვილებს?! ამას ჰქვია სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნები?..

ანზორ გირგვლიანი, *პენსიონერი, 74 წლის:*

— ჩვენს ქვეყანაში კარგი რომ არაფერი ხდება, ეს ფაქტია, მაგრამ ბოლო დროს, ჩვენი პრეზიდენტი ისეთი ლმობიერი გახდა, რომ აღარ ვიცი, რა ვიფიქრო. ის ხან ვის ხვდება და ხან — ვის, თან უამრავ დაპირებას იძლევა. თუ ამდენი რამის გაკეთება შეეძლო, აქამდე სად იყო?! რატომ დააწამვლინა და აცემინა ეს ხალხი? ნუთუ, არ შეიძლებოდა, სხვანაირად მოეგვარებინა პრობლემა? ვნახოთ, აბა, რას მოგვიტანს ეს არჩევნები!..

ნინო წულუკიძე, *დიასახლისი, 34 წლის:*

— მნიშვნელოვანი პრემიერ-მინისტრის შეცვლა იყო. ზურაბ ნოღაიდელი ნამდვილად არ მომწონდა, ლადო გურგენიძე კი წარმატებული და ჭკვიანი ბიზნესმენია. ლომაია რომ მოხსნეს, ძალიან გამიხარდა, მაგრამ თანამდებობა მაინც გამოუნახეს, მთლად გასაშვებად ვერ გაიმეტეს. ეს არ უნდა გაეკეთებინათ. ის ისეთი კაცია, რომელიც არც ერთ სფეროში არ გამოდგება. ■

ზურაბ ნოღაიდელის პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლება, ქართველმა პოლიტოლოგებმა და ექსპერტებმა დადებით მოვლენად შეაფასეს. მათი აზრით, ნოღაიდელისა და ლომაიას თანამდებობიდან გათავისუფლება, 7 ნოემბრის მოვლენებმა განაპირობა. პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ფიქრობს, რომ მინისტრების გადაადგილებასთან ერთად, სტრუქტურული ცვლილებებიც მოსალოდნელია და შესაძლოა, შინაგან საქმეთა სამინისტროს, უშიშროების სამსახური გამოეყოს და ცალკე სტრუქტურად ჩამოყალიბდეს.

„პრეზიდენტი თავდაცვისა და უშიშროების სამინისტროების გაყოფას გეგმავს...“

„ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი ანომალია ხდება...“

ხათუნა ბახტურიძე

— ბატონო სოსო, რა გაძლევთ იმის ფიქრის საბაბს, რომ ცვლილებები კიდევ განხორციელდება?

— ის, რომ 7 ნოემბერს ქუჩაში ასი ათასი კაცი გამოვიდა, ნოღაიდელთან ერთად, სხვა მინისტრების დამსახურებაცაა. დღეს ოფიციალური განცხადებები კეთდება იმის შესახებ, რომ თურმე, ბიუჯეტი ხალხის კეთილდღეობას უნდა მოხმარდეს. ე.ი. გამოდის, რომ ნოღაიდელი და დანარჩენი მთავრობაც მხოლოდ ბუტაფორია იყო. მათ ან არ იცოდნენ, რა უნდა გაეკეთებინათ, ან სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე პრინციპულად არ ზრუნავდნენ. ჯერჯერობით, ჩვენ მოლოდინში ვართ და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ჩემი აზრით, არჩევნებში ისევ საეკაშვილი გაიმარჯვებს. რატომ? — თუნდაც იმიტომ, რომ ოპოზიციამ საერთო კანდიდატი ვერ გამოძერწა... ჩემი აზრით, ძირეულ ცვლილებებს თებერვალში უნდა ველოდეთ, როდესაც პრეზიდენტი მინისტრთა კაბინეტს წარადგენს.

— როგორ მოხდა, რომ თითქმის ყველა ექსპერტი და პოლიტოლოგი პრეზიდენტის გადაწყვეტილებას (ნოღაიდელის გათავისუფლებას ვგულისხმობ) იწონებს?

— ეს იმიტომ, რომ ნოღაიდელმა მთლიანად მოშალა სტრუქტურა. მისი პრემიერ-მინისტრობის დროს, რამდენიმე გავლენიანი მინისტრი, თავიანთ სამინისტროებს საუფლისწულო მამულებად აღიქვამდა. შემთხვევითი არ იყო, რომ ირაკლი ოქრუაშვილი საერთოდ არ ესწრებოდა მთავრობის სხდომებს. გარდა ამისა, ახლა უკვე ყოფილი პრემიერ-მინისტრი, მოსახლეობის ნდობას პიროვნულადაც არ იწვევდა.

— პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ლადო გურგენიძის დანიშვნას როგორ შეაფასებთ?

— ჯერჯერობით, ლადო გურგენიძემ ძალიან კარგი იუმორის გრძნობა გამოავლინა, როდესაც ლომაიას დაწინაურება მიულოცა.

— რას გულისხმობთ?

— არა მგონია, უშიშროების საბჭოს მდივნობა დაწინაურება იყოს. ამ პოსტის არსებობა ბევრმა არც კი იცის.

— როგორ ფიქრობთ, მინისტრთა კაბინეტს ლომაია და ხევიაშვილი რატომ ჩამოაშორეს?

— ხევიაშვილი, ალბათ, ჯანდაცვის სამინისტროსათვის დახმარების თხოვნას შეეწირა. რაც შეეხება ლომაიას, ის უკვე ოდიოზურ ფიგურად იქცა, როგორც საზოგადოებისათვის, ისე განათლების მუშაკებისათვისაც. ამ კაცმა თავისი საქმე უკვე გააკეთა — მეცნიერება და განათლება ბოლომდე დაანგრია. ახლა, ვინც უნდათ ის დანიშნონ.

— ვანო მერაბიშვილიც ოდიოზური ფიგურაა. საზოგადოება მის გათავისუფლებას უფრო ელოდა. როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ შეელია მას პრეზიდენტი?

— საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, ძალოვანი მინისტრების შეცვლა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ხდება. მერაბიშვილი ხომ არ არის ეკოლოგიის ან ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი, რომელთა ფუნქცია ბევრმა არც კი იცის. შესაძლოა, პრეზიდენტი მის გათავისუფლებას იმიტომაც აყოვნებს, რომ თავდაცვისა და უშიშროების სამინისტროების გაყოფას გეგმავს და რეორგანიზაციასაც მოგვიანებით მოახდენს. სხვათა შორის, ეს პრეზიდენტის მხრიდან სწორი გადაწყვეტილება იქნება. არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში, უშიშროება და შინაგან საქმეთა სამინისტრო ერთ სტრუქტურაში არ არის გაერთიანებული. საერთოდ, ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი ანომალია ხდება. არ შეიძლება, მინისტრს მხოლოდ იმიტომ ტოვებდე თანამდებობაზე, რომ შემცვლელს ვერ პოულობდე. მაგალითად, გილაურს მინისტრობიდან იმიტომ ვერ ათავისუფლებდნენ, რომ „ენერგეტიკაში“ წასვლა არავის უნდოდა.

— კობა სუბელიანის დევნილთა და განსახლების მინისტრად გამწესებაზე რას იტყვით?

— სუბელიანი კარგი მეურნე კაცია და მან ეს უკვე არაერთხელ დაამტკიცა. გზებს რომ უხარისხოდ აგებენ, ამაში სუბელიანი არაა დამნაშავე. ის ძალიან უბრალო და უპრეტენზიო ადამიანია. მის შესახებ სხვას ვერაფერს გეტყვით.

— მალე საარჩევნო კამპანია უნდა დაიწყოს. მინისტრთა კაბინეტის გადახალისებას რა აზრი ჰქონდა? ეს მხოლოდ ხალხის გულის მოსაგებად ხომ არ გაკეთდა?

— მაშინ, როდესაც მინისტრების 95% შესაცვლელია, მხოლოდ ორი მათგანის გათავისუფლება გადახალისებად არ მიმაჩნია. უბრალოდ, ამ ორი კაცის გაშვება გადაუდებელი საქმე იყო. ეს ყველაფერი ხალხის გულის მოსაგებად გაკეთდა, თუ საკუთარი შეცდომების გამოსასწორებლად, ამას მომავალი გვიჩვენებს. თუ კადრების „სამჭედლოდ“ კვლავ „თავისუფლების ინსიტიტუტი“ დარჩება, მაშინ ყველაფერი წყალშია გადაყრილი.

■

რა ღირს საქართველოში სიტყვის თავისუფლება, როცა (მეოთხე) ხელისუფლება შეზღუდულია?

როგორც ამბობენ, ქართული მედიასაშუალებების უმრავლესობა ტენდენციურია, ჟურნალისტების თავისუფლების ხარისხი არც ისე მაღალია და მათი უფლებებიც ხშირად ირღვევა და იზღუდება... საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ქართულ მედიას პროფესიონალიზმს უწუნებენ და ხაზგასმით, ამაყად აცხადებენ, — „ჩვენებურ" ჟურნალ-გაზეთებს არ ვკითხულობთო. ტელეარხებს კი როცა მოესურვებათ, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ხურავენ, ხოლო „ობიექტურ" მაუწყებლებს საკუთარი ინტერესებისათვის იყენებენ, თანაც განუსაზღვრელი დროით. ამ ყველაფრის ფონზე, ხელისუფლება გვარწმუნებს, დემოკრატიულ საზოგადოებას ვქმნითო. რა ღირს საქართველოში თავისუფალი სიტყვა, როცა მეოთხე ხელისუფლება შეზღუდულია? რატომ არ მოსწონთ ხელისუფალთ ქართული მედია? რატომ არავის ადარდებს ჩვენი კოლეგების უფლებების დარღვევა-შელახვა?! ამ საკითხებთან დაკავშირებით, რადიო „თავისუფლების" წარმომადგენელი, ჟურნალისტი და ექსპერტი, პოპა ლიკლიკაძე გვესაუბრება.

ხათუნა ბახტურიძე

— ბატონო პოპა, როგორ ფიქრობთ, რაში გამოიხატება ქართველი ჟურნალისტების ტენდენციურობა?

— ჩემი აზრით, ქართული ჟურნალისტიკისთვის 7 ნოემბერი წყალგამყოფი იყო. საქართველოში, ბოლო 4 წლის განმავლობაში პოლიტიკური პროცესები ისე ვითადრდებოდა, რომ ჟურნალისტებს ხშირად, შესაძლოა, თავისი ნების წინააღმდეგაც, „ბარიკადის" ამ თუ იმ მხარეზე უწევთ ყოფნა, რაც მედიის წინსვლისა და განვითარების პროცესს ძალზე ანელებს. ჟურნალისტს, რა თქმა უნდა, შეუძლია, იყოს პატრიოტი და „ბარიკადებზე" დადგომის უფლებაც აქვს, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, როდესაც მის ქვეყანას მტერი ესხმის. პოლიტიკური პროცესების დუღილისას, ჩვენი მხრიდან კონკრეტული პოზიციების დაფიქსირება, ობიექტური და მიუკერძოებელი ჟურნალისტიკის განვითარებას სერიოზულად შეაფერხებს.

„ტელეიმედისა" და რადიო „იმედის" საეთერო სივრციდან მოხსნამ საკმაოდ დიდი ინფორმაციული ვაკუუმი წარმოშვა

პირადი სიმპათიებისაგან დაზღვეული ვერავინ ვიქნებით, რადგანაც ადამიანები ვართ, მაგრამ სამხედრო, რევოლუციური ტელევიზიების ან მაუწყებლობის ჟამი უნდა დასრულდეს. მე იმედს ვიტოვებ, რომ ტელეკომპანია „იმედი" მალე განაახლებს მაუწყებლობას და ეთერში განსხვავებული ფორმატით გავა.

— ფიქრობთ, რომ ტელეკომპანია „იმედის" დახურვა მართებული იყო?

— არავითარ შემთხვევაში. „ტელეიმედისა" და რადიო „იმედის" საეთერო სივრციდან მოხსნამ საკმაოდ დიდი ინფორმაციული ვაკუუმი წარმოშვა. რაც არ უნდა სერიოზული არგუმენტი ჰქონდეს ხელისუფლებას, ისეთი პოპულარული ტელეარხის დახურვა, როგორიც „იმედია", დღეს გაცილებით უფრო საზარალოა ქვეყნისათვის, ვიდრე მისი ეთერში გაშვება იქნებოდა. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.

— საგანგებო მდგომარეობის გაუქმებამდე, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს მხოლოდ საზოგადოებრივი არხი გვატყობინებდა. როგორ ფიქრობთ, ამის გათვალისწინებით, საზოგადოებრივი არხის რეიტინგი ხელოვნურად ხომ არ გაიზარდა?

— „საზოგადოებრივი მაუწყებელი" რეიტინგული მხოლოდ დროის მცირე მონაკვეთში იყო. ამ ტელეკომპანიას ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა მოუწევს იმისათვის, რომ თავისი სახელი გაამართლოს და ხელისუფლების ნების აღმსრულებელი არ ერქვას...

— საგანგებო ვითარების პირობებში, პრეზიდენტი საზოგადოებრივი არხის საშუალებით მოსახლეობას ყოველდღე მიმართავდა. როგორ ფიქრობთ, ეს მისი მხრიდან გამოუცხადებელი წინასაარჩევნო კამპანია ხომ არ იყო?

— მას მართლაც გამოუცხადებელი წინასაარჩევნო კამპანია გამოუვიდა. ფაქტია, რომ ცდილობდა, საერთაშორისო საზოგადოების თვალში საკუთარი საქციელის რეაბილიტაცია მოეხდინა და ამომრჩევლისთვისაც მიეცა დაპირებები. ჩვენ ვნახეთ, რომ სწორედ პრეზიდენტის მითითებით, უამრავი სოციალური პროგრამა ამოქმედდა.

— ხელისუფლების წარმომადგენლები ახდენენ თუ არა, ბეჭდური მედიის დისკრიმინაციას, როდესაც ისინი საჯაროდ აცხადებენ, რომ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს არ კითხულობენ?

— სიმართლე რომ გითხრათ, არა მგონია, ქართული ბეჭდური მედია დისკრიმინირებული იყოს, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ხელისუფლების რიგი წარმომადგენლები ხმამაღლა აცხადებენ, — გაზეთებს არ ვკითხულობთო, ყოველგვარი ანალიტიკური ჩაძიების გარეშეც ცხადი ხდება — ხელისუფლებასა და პრესას შორის ნორმალური ვითარება არ არის. დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნის რომელიმე წარმომადგენელმა მხოლოდ ეს ერთი ფრაზაც რომ მოისმინოს, პირდაპირ დაასკვნის, იქ დემოკრატია და მედია, ალბათ, არ არსებობსო. სხვათა შორის, ეს კითხვები ორი-სამი წლის წინ უნდა დასმულიყო. საქართველოს ხელისუფლებამ არაფრით უნდა დაუშვას „ამაყი სიმარტოვე" მედია საშუალებებისაგან და ნებისმიერ დასმულ კითხვებზე პასუხების გაცემა უნდა ისწავლოს.

— 7 ნოემბერს და მის შემდგომ პერიოდში ჟურნალისტებზე არაერთხელ განხორციელდა ზეწოლის ფაქტები.

როგორ ფიქრობთ, მათი უფლების დაცვაზე რატომ არავინ იზრუნა?

— ეს ფაქტი მეც ძალიან მაფიქრებს. მგონი, ქართულ მედიას სოლიდარობა აკლია. საქართველოსა და პაკისტანში თითქმის ერთსა და იმავე დროს გამოაცხადეს საგანგებო მდგომარეობა (იქ 3 ნოემბერს, ჩვენთან — 7-ში). იქ ჟურნალისტები გამოვიდნენ და თავიანთი უფლებების დაცვა მოითხოვეს. აქ კი — პრეტენზიაც არავის გამოუთქვამს. ალბათ, იმიტომ, რომ ქართველ ჟურნალისტებს შორის სოლიდარობა არ არსებობს. მე, რადიო „თავისუფლების" წარმომადგენელი ვარ და სხვა კოდექსით ვხელმძღვანელობ, მაგრამ ბუნებრივია, ქართველ აუდიტორიაზე ვმუშაობ და ეს ყველაფერი ჩემზეც აისახება (ადამიანურადაც და პროფესიულადაც). მიკვირს, რომ ორი-სამი წლის განმავლობაში, ქართველ ჟურნალისტებს ერთმანეთის მიმართ სოლიდარობა ერთხელაც არ გამოუჩენიათ.

— „ვარდების რევოლუციამდე" ჟურნალისტთა ფედერაცია ფუნქციონირებდა. როგორ ფიქრობთ, რატომ გაუქმდა ეს კავშირი ან ახალი რატომ არ შეიქმნა?

— ჩემი 15-წლიანი ჟურნალისტური მოღვაწეობის პერიოდში არანაირი ფედერაციის წევრი არ ვყოფილვარ. მე მათ უბრალოდ არ ვცნობდი, იმიტომ, რომ ასეთ ორგანიზაციებში ჟურნალისტიკის დარგის განვითარებისთვის არაფერი კეთდება, იქ მხოლოდ ქაოსი, შიდა საორგანიზაციო პრობლემები და ქონებრივი დავებია. ყველაზე კარგი გამოსავალი იქნება, თუ ნებისმიერი მედიაორგანიზაცია შიდაპროფესიული ეთიკის კოდექსს შეიმუშავებს და რთულ ვითარებებში ამით იხელმძღვანელებს. ამ ყველაფრის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ რაღაც ერთი მაკოორდინირებელი, თუნდაც ჟურნალისტური პროფკავშირი უნდა არსებობდეს; რადგან ვიცი, რომ ჟურნალისტები, შრომითი კოდექსის მიხედვით, დღემდე არ არიან დაცულნი. მათ ძალიან ხშირად უგვიანებენ ხელფასებს, დაზღვევაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ამას ისეთი მედიაორგანიზაციები აკეთებენ, რომლებიც სოციალური პოლიტიკის ნაკლოვანებების გამო, ხელისუფლებას აკრიტიკებენ. ამ მხრივ ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

— როგორ ფიქრობთ, ჟურნალისტი უნდა ითვალისწინებდეს თუ არა ხელმძღვანელობის მიერ მიცემულ მითითებებს?

— მაქსიმალური სარედაქციო თავისუფლება უნდა არსებობდეს. ჟურნალისტმა თავისი თავი მანიპულაციის მსხვერპლად არ უნდა აქციოს, უსიტყვოდ არც არავის უნდა ენდობოდეს და არც არავის უნდა ემორჩილებოდეს. ზოგიერთი სარედაქციო პოლიტიკის მთავარი მაგისტრალური ხაზი რესპონდენტის კედელთან მიყენება და მისი ჭუჭყიანი თეთრეულის გამომზეურებაა. ჩვენს მედიასივრცეში ზოგჯერ დაუსაბუთებელი ინფორმაციის გაჟღერებაც ხდება, რაც, ჩემი აზრით, ქართული ჟურნალისტიკის საყმაწვილო სენია (ეს ყველას არ ეხება). საქართველოში მედია განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე უნდა ავიდეს და ხელისუფლება დაარწმუნოს, რომ ეს არის პროფესიონალური, ანგარიშგასაწევი ძალა და სხვის ხელწამოსაკრავად თავს არ გაიხდის. რაც მთავარია, ჟურნალისტი არ უნდა გახდეს არც ერთი მხარის მანიპულაციის საგანი. ხელისუფლებასა და ჟურნალისტებს შორის დიალოგი აუცილებლად უნდა შედგეს და საბოლოოდ ჩამოყალიბდეს, თუ როგორი უნდა იყოს ქვეყანა, მისი დემოკრატიული სახე და როგორ უნდა მოქმედებდეს მედია. ეს მარტივი პროცესი არ არის, მაგრამ ამის გაკეთება აუცილებელია. სამწუხაროა, რომ ხელისუფლების მხრიდან ადგილი ჰქონდა ჟურნალისტების ხელოვნურ დახარისხებას ანუ არსებობენ ხელისუფლებისთვის მისაღები და მიუღებელი ჟურნალისტები... რაც, როგორც ვნახეთ, დამღუპველი აღმოჩნდა ქვეყნის დემოკრატიისათვის. ასეთი რამ არ უნდა მოხდეს, ეს, დაუშვებელია!

პატარა პიჭუნაკის ცხაბიჯული ამბავი

ბოლო დროს, რედაქციაში სულ უფრო ხშირად შემოდის წერილები, რომლის მიხედვითაც, ადამიანები დახმარებას — მათი ამბების და გულისტკივილის გაშუქებას გვთხოვენ. ამ წერილის ავტორები ამბობენ, რომ ძალიან უჭირთ — ზოგს ჯანმრთელობის პრობლემა აქვს, ზოგს შიმშილი ტანჯავს და ა.შ. გვწერენ, რომ გიორგი ბერძენიშვილის (და არა მარტო) ამბავმა მათ იმის იმედი ჩაუსახა, რომ საქართველოში კიდევ არიან კეთილი ადამიანები, რომლებიც მათ დახმარებას მოისურვებენ.

„ჩვენი სიცოცხლის გადარჩენის უკანასკნელი გზა თქვენ ბრძანდებით..."

ლიკა ქაჯაია

გვინდა, 2 წერილი თქვენც გაგაცნოთ, მაგრამ მანამდე, შეგახსენებთ, „გზის" №37-ში დაიბეჭდა სტატია სათაურით — „ექიმების მიერ დაშვებული შეცდომების მსხვერპლი და 3 წელიწადში ჩატარებული 12 ოპერაცია", სადაც ლაპარაკი იყო 16 წლის გიორგი ბერძენიშვილზე, რომელიც ბედისწერამ ინვალიდის ეტლს მიაჯაჭვა. ამ სტატიას უამრავი ადამიანი გამოეხმაურა. მათ თავიანთი წვლილის შეტანა განიზრახეს გიორგის იმ ნანატრი ოპერაციის გაკეთების საქმეში, რომლის შემდეგაც, მოზარდი სიარულს შეძლებს.

რედაქციაში ზარები დღემდე არ წყდება. კეთილი ადამიანები გამოთქვამენ სურვილს, კიდევ ერთხელ დავბეჭდოთ იმ ანგარიშისა და ტელეფონის ნომრები, რომლის მეშვეობითაც ბიჭუნასთვის დახმარების გაწევას შეძლებენ. მაშ ასე, თუ გაგიჩნდათ სურვილი, სნეულ მოზარდს დაეხმაროთ, დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27. ასევე შეგიძლიათ, გადარიცხოთ თანხა გიორგის პირად ანგარიშზე: „საქართველოს ბანკი", კოდი — 220101502, მიმღების ანგარიშის ნომერი: 168704100 ან: „თიბისი ბანკი", კოდი — 220101820, მიმღების ანგარიშის ნომერი: 95136010100002/. და კიდევ, „ჯეოსელის" აბონენტებს შეუძლიათ დარეკონ ნომერზე: 700 304, ხოლო „მაგთის" აბონენტებს ნომერზე: 200 314. ამის შემდეგ, თქვენ ანგარიშიდან ჩამოგეჭრებათ 1 ლარი, რომელიც გიორგის სახელზე გადაირიცხება...

საზღვარგარეთიდან თანხის გადმორიცხვის მსურველებს ვაცნობებთ, „საქართველოს ბანკისა" და „თიბისი ბანკის" პარტნიორთა რეკვიზიტებს:

Intermediary Bank, Citibank N.A., New York, USA, SWIFT: CITIUS33, Account With Institution, Bank of Georgia, SWIFT:BAGAGE22, 3, Pushkin Street, 0105 Tbilisi, Georgia; Account: 168704100, Beneficiary: giorgi berdzenishvili.

INTERMEDIARY: DEUTSCHE BANK A.G. D-6236, FRANKFURT/ESCHBORN; SWIFT: DEUTDEFF; BLZ: 50070010; TBC BANK,s Correspondent Account: #9499096 ან

INTERMEDIARY: DRESDNER BANK A.G.; 60301, FRANKFURT/MAIN; SWIFT: DRESDEFF; BLZ: 50080000; TBC BANK,s Correspondent Account: #08 122 957

ან კიდევ: INTERMEDIARY: COMMERZBANK; 60261, FRANKFURT DEUTSCHLAND; SWIFT: COBADEFF; TBC BANK,s Correspondent Account: #400886868900 სამივე მათგანის ანგარიშის ნომერია (BEN,S Account): 91136110100011, ხოლო მიმღები (NAME OF BENEFICIARY: P/E TAMILA SARDLISHVILI.

ჩვენ კი გპირდებით, რომ აუცილებლად შეგატყობინებთ გიორგის ამბავს და იმ ოპერაციის შედეგს, რომელიც — გვჯერა — მას, თქვენივე წყალობით, ჩაუტარდება...

ახლა კი ჩვენი მკითხველების წერილებს გაგაცნობთ.

მეთერთმეტეკლასელი მოზარდის გულისტკივილი და გასაჭირი

„ჟურნალ „გზის" რედაქციას! თქვენი ჟურნალის პატარა მეგობარი ვარ. ვიცი, „გზას" უამრავი მკითხველი ჰყავს და ამიტომაც მოგმართავთ თხოვნით — დამეხმარეთ... პატივცემულო მკითხველო, მინდა, ჩემი ცხოვრების შესახებ გიამბო. დედა სტუდენტი იყო, როცა მამამ მიგვატოვა. ბებიამ სოფელში წამიყვანა და იქ მზრდიდა, დედა კი თბილისიდან გვეხმარებოდა, უფრო სწორად, გვარჩენდა. ერთხელაც, ჩემი დედიკო ცუდად გახდა და პურის ფულიც დავკარგეთ. ბებია მოხუცია და არ მუშაობს. 3 თვეა, რაც დედამ რთული ოპერაცია გაიკეთა, მას არაფრის გაკეთება არ შეუძლია. მერწმუნეთ, ძალიან ცუდადაა და კარგი კვება, სითბო სჭირდება, რათა ფეხზე წამოდგეს. მაგრამ სითბო და კარგი კვება კი არა, წამლის საყიდელი ფულიც არა გვაქვს... მე სწავლის გარდა, არაფერი შემიძლია და მხოლოდ იმაზე ვოცნებობ, რომ დედა და ბებია ჯანმრთელად იყვნენ. მინდა, იმდენი შემოსავალი მქონდეს, რომ მათი რჩენა შევძლო, მაგრამ ჯერჯერობით, ეს შეუძლებელია. იმედს არ ვკარგავ და მჯერა, მიზანს აუცილებლად მივაღწევ, მით უმეტეს, რომ არც სწავლა მეზარება და არც — მუშაობა. იქნებ, ვინმემ ყურადღება მოგვაქციოს, მთელი სიცოცხლე მისთვის ვილოცებ... ახლა ცხოვრება ძალიან გვიჭირს, ოჯახის არც ერთი წევრი არ ვმუშაობთ. მინდა, კარგად ვისწავლო, რათა ცხოვრებაში ადგილი დავიმკვიდრო და მერე, იმედია, სიკეთეს გადაგიხდით. გკოცნით და გეფერებით. პატივისცემით, ნიკუშა".

სასოწარკვეთილი და თვითმკვლელობამდე მისული დედა

„კეთილო და დიდსულოვანო ადამიანებო, თქვენი ჟურნალის მეშვეობით, ბევრ პატარას გაეწია დახმარება და იმედია, პატარა ნიკუშასთვისაც გამოინახება რაღაც გზა... ჩემი შვილი დაბადებიდანვე უნარშეზღუდულია: ვერ დადის, ვერ ჯდება, თავს ვერ იკავებს, კონტაქტში ვერ შემოდის, საკვებს ვერ ღეჭავს და ორივე თვალით ბრმაა. მთელ ამ უბედურებასთან ერთად, ნახევრად მშიერია, ვინაიდან ჩვენი თვიური შემოსავალი პატარას პენსიაა, ხოლო მე, როგორც მის მომვლელს, თვეში 2 ლარს მიხდის მთავრობა. თითქმის ყველა შევაწუხეთ, მაგრამ... ჩვენი სიცოცხლის გადარჩენის უკანასკნელი გზა თქვენ ბრძანდებით. იმედია, გამოიჩენთ გულისხმიერებას და პატარას იმედს არ გაუცრუებთ. ამ წერილს მოწიწებით გწერთ სასოწარკვეთილი და თვითმკვლელობამდე მისული დედა — ნანა ლეჟავა. უფალი გვფარავდეს, ყველას".

***P.S.** მადლობას კიდევ ერთხელ ვუხდით ყველა იმ ადამიანს, ვინც თუნდაც მცირედით დაეხმარა ან მომავალში დაეხმარება გიორგი ბერძენიშვილს შერყეული ჯანმრთელობის აღდგენაში! ასევე, იმედს ვიტოვებთ, რომ არც მეთერთმეტეკლასელი ნიკუშას და არც ქალბატონი ნანა ლეჟავას წერილებს დატოვებთ უყურადღებოდ. იმ შემთხვევაში, თუ მათი დახმარების სურვილი გაგიჩნდათ, დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27.*

„კვირის პალიტრა“ წარმოგიდგენთ!



მაგარი გარეკანი,
დიდი ფორმატი (A4),
608გვ. + 128გვ.
ფერადი ილუსტრაციები
შეუდგენელი თემური ყიფიანი

ფასი
27.99
ლარი

წიგნი - ყველა ოჯახისათვის!

შპს „ელვასერვისი“ www.elva.ge
ტელ: 38 26 73; 38 26 74; 42 43 40

შეგვიკვეთეთ და მიიღეთ „დიდი სამაგიდო ენციკლოპედია“
თქვენთვის სასურველ ნებისმიერ მისამართზე ფასნამატის გარეშე!

მიგი უგულავამ ნეკა სებისკვერაძეს

თანამღებობა მისცა

როგორ დამოძღვრა ის დათო ოქიტაშვილმა

მომღერალი ნეკა სებისკვერაძე მერრის კულტურის სამსახურის შეფად დაინიშნა. ის ჩვენ „ჟურნალისტის როლში“, მის მეგობართან და აღნიშნულ სამსახურში ერთ-ერთ წინამორბედთან, ბატონ დავით ოქიტაშვილთან ერთად მოვიწვიეთ. „მიუხედავად ჩემი დატვირთული გრაფიკისა, დათოსთან ერთად ინტერვიუზე უარის თქმა ძალიან გამიჭირდა“, — თქვა ნეკამ. ინტერვიუს ჩაწერამდე, მან ბატონ დათოსთან შეხვედრისას თავმდაბლობა გამოიჩინა და გამოცდილი კოლეგისგან უამრავი რჩევა-დარიგება მიიღო.

სოფო ჭონიშვილი

ჟურნალისტი – დათო ოქიტაშვილი
რეპორტიორი – ნეკა სებისკვერაძე

— ნეკა, პირველ რიგში, მინდა, საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნა გულით მოგილოცო. ეს სამსახური, როგორც შვილი, ისე მიყვარს. მისი ჩამოყალიბება წლების წინ, მეგობრებთან ერთად შევძელი. ყველამ იცის, ჩემამდე, მერრის კულტურის სამსახური არაფერს წარმოადგენდა. მიმაჩნია, რომ შენი სახით, ამ სამსახურს სათავეში კარგი ადამიანი ჩაუდგა. იმედი მაქვს, იმ ტრადიციებსა და მიმართულებებს გააგრძელებ, რომლებიც მე დავნერგე. თუკი ოდესმე, ჩემი რჩევა დაგჭირდება, ყოველთვის შენ გვერდით მიგულე. ახლა ის მითხარი, ახალ ამპლუაში თავს როგორ გრძნობ?

— შემიძლია, თამამად გითხრა, რომ თავს გადასარევად ვგრძნობ. აქვე გეტყვი იმასაც, რომ შენთან ერთად, ამ რუბრიკაში სტუმრობა ძალიან გამიხარდა. ამ დღეებში, ინტერვიუების მისაცემად ნამდვილად არ მეცალა, მაგრამ როცა გავიგე, „ჟურნალისტის როლში“ შენთან ერთად უნდა მიმეღო მონაწილეობა, უარი ვერ ვთქვი.

— ახალ გარემოსთან შეგუება ხომ არ გაგიჭირდა? ვინმე ხომ არ გაბრაზებს?

— არა, არავინ მაბრაზებს. აქ საკმაოდ კარგი და სასიამოვნო გარემო დამხვდა. მიმაჩნია, მართლაც საპასუხისმგებლო საქმეს ჩავუდექი სათავეში. პირველ დღეებში, ცოტა არ იყოს, დაბნეული ვიყავი, რადგან ეს სფერო უამრავ დარგს მოიცავს. ახლა ვცდილობ, ყველაფერში გავერკვე, ამას კი ბევრი დრო და ენერგია სჭირდება. დაახლოებით 3 კვირაა, რაც ამ სამსახურში მოვედი და მაქსიმალურად შევეცადე, ყველაფერი მალე, თანაც — კარგად ამეთვისებინა. თითქმის 24-საათიან რეჟიმში ვმუშაობდი. მგონი, საქმეს კარგად გავართვი თავი.

— ვიმედოვნებ, რომ ესტრადას არასოდეს მიატოვებ...

— ეს გამორიცხულია. მუსიკის გარეშე ვერ ვიცხოვრებ. დღევანდელ დღემდე, სწორედ მუსიკამ მომიყვანა და ვფიქრობ, სიმღერა ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

დღემდე, სწორედ მუსიკამ მომიყვანა და ვფიქრობ, სიმღერა ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია

— ჩემი ამ სამსახურში ყოფნის პერიოდში, მომღერლებს ამა თუ იმ ღონისძიების ან კონცერტის გამართვაში ვეხმარებოდით. იმედი მაქვს, შეძლებისდაგვარად, შოუბიზნესის წარმომაგენლებს შენც შეუწყობ ხელს.

— რა თქმა უნდა, მათთვის ყველაფერს გავაკეთებ, უკან არ დავიხევ. როგორც ვიცი, სახელმწიფო შოუბიზნესს არც ერთ ქვეყანაში არ აფინანსებს. იმისთვის, რომ ეს სფერო წარმატებული იყოს, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა უნდა გაძლიერდეს — ადამიანს იმის საშუალება უნდა ჰქონდეს, რომ ამა თუ იმ მომღერლის კონცერტზე წავიდეს ან მისი დისკი და ალბომი შეიძინოს.

— გეთანხმები, სახელმწიფო მომღერალს კლიპის გადაღების და ალბომის გამოშვების თანხას ვერ აუნაზღაურებს... მიხარია, რომ ასეთი შემართებით და მონდომებით მუშაობ. ნეკა, შემოთავაზება ვისგან მიიღე? ვინ გითხრა პირველად, რომ შენ მერრის კულტურის სამსახურის შეფი უნდა გამხდარიყავი?

— პირადად ბატონმა გიგი უგულავამ დამირეკა. ამის გაგონებაზე, ცოტა არ იყოს, შევშფოთდი. ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო. პირველი, რამაც დამაფიქრა, იყო ის, რომ ფრიად საპასუხისმგებლო საქმეს მავალებდნენ. მაგრამ მაინც, გადაწყვეტილება სწრაფად მივიღე, რადგან ეს ჩემი სფეროა, შოუბიზნესის ყველა წარმომადგენელთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს. ხელოვნებას ბავშვობიდან დიდ პატივს ვცემ. ურთიერთობა მაქვს მუსიკალურ სკოლებთან, საბავშვო ბაღებთან და მათ მიმართ ყურადღების გამოჩენა, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

— გისმენ და მგონია, რომ ერთმანეთს ძალიან ვგავართ. ალ-

ბათ, იმიტომ, რომ ორივე — 9 დეკემბერს დაბადებული და ჰოროსკოპით მშვილდოსნები ვართ. ისე, ჰოროსკოპების თუ გჯერა და თუ იცი, რა თვისებებით გამოირჩევა მშვილდოსანი?

— ვიცი, რომ მშვილდოსნები მიზანსწრაფულები და „ჟილკიანები" ვართ!.. ხანდახან, ჩემს ჰოროსკოპს ვკითხულობ, მაგრამ მას მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ ვაქცევ. თუმცა, როცა პროფესიონალ ასტროლოგებს ვხვდები, მათ ლაპარაკს გულდასმით ვუსმენ და მათ რჩევებს ვითვალისწინებ.

— დაბადების დღის აღნიშვნას სად აპირებ?

— ჯერ არ გადამიწყვეტია. 7-დან 10 დეკემბრამდე ბაზალეთზე, საბავშვო ბაღების დირექტორებთან სემინარი გვაქვს და შესაბამისად, 9 დეკემბერს იქ მომიწევს ყოფნა. თუ რაიმეს გადავწყვეტ, აუცილებლად დაგპატიჟებ.

— ჯერ მეც არ გადამიწყვეტია, რას გავაკეთებ. ვნახოთ, რა იქნება... დაბოლოს, მინდა, ბატონ გიგი უგულავას მადლობა ვუთხრა იმისთვის, რომ არჩევანი შენზე შეაჩერა. როგორც ვიცი, 2-3 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა განხილვა იმისა, თუ ვინ უნდა დაენიშნათ ამ თანამდებობაზე. შენ მარტო მომღერალი კი არა, ის პიროვნება ხარ, რომელიც ორგანიზატორული ნიჭითაა დაჯილდოებული.

— არა მარტო შენგან, ბევრი ადამიანისგან მივიღე გულწრფელი მოლოცვა, რაც ჩემთვის მართლაც, ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

ჟურნალისტი – ნეკა სამხისკვერაძე
რესპონდენტი – დათო ციციშვილი

— დათო, პირველ რიგში, გეტყვი იმას, რომ მერიის კულტურის სამსახურისთვის შენ ბევრი სასიკეთო რამ გააკეთე. დიდი იმედი მაქვს, რომ რაშიც არ უნდა დამჭირდე, დაუფიქრებლად დამეხმარები. რჩევის კითხვა არასოდეს მეთაკილებოდა. ჩემთვის შენ დიდი იმედი ხარ. რას ურჩევდი დღეს ნეკას, შენს მეგობარს?

— მიმაჩნია, რომ ჩემი რჩევა არ გჭირდება, მაგრამ მაინც გეტყვი, შენმა თანამდებობრივმა მდგომარეობამ არ უნდა შეგცვალოს, ადამიანს ზემოდან არასოდეს უნდა უყურო. პატივს იმიტომ გცემ, რომ ასეთი თვისებები არ გახასიათებს. შენთვის ამპარტავნება და ქედმაღლობა ძალიან უცხოა. დღესაც არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს ყველა იმ ადამიანთან, რომელიც თანამდებობაზე ყოფნის დროს გავიცანი. ესენი არიან: სკოლის დირექტორები, ბაღის პედაგოგები და ა.შ. ისინი ჩემ მიმართ აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ იმიტომ, რომ არასდროს ვუყურებდი მათ ქედმაღლურად. ვერასოდეს ვიმეგობრებ ისეთ ადამიანთან, რომლისთვისაც არარაობა ვარ. ცხოვრება კიბეა, რომელზეც ზოჯერ ადიხარ, ზოგჯერ — ჩადიხარ. ის სითბო, სიყვარული და სიხარული, რაც ამ სამსახურში იყო, ეცადე, ბოლომდე აღადგინო. და კიდევ, ვიცი, შენც ჩემსავით მიმნდობი ხარ. გირჩევ, ყველას არ ენდო, რადგან ზოგჯერ, ადამიანები ამას ცუდად იყენებენ.

შენმა თანამდებობრივმა მდგომარეობამ არ უნდა შეგცვალოს

სხვათა შორის, ეს საკუთარ თავზე ბევრჯერ გამოვცადე. შენც ზედმეტად მიამიტი ადამიანი ხარ. იცი, ეს საბოლოოდ როდის დავასკვენი? — როცა „მზის დარტყმა" მოგიწყვე. მაშინ ხომ არ გაწყენინე?

— არა, რას ამბობ, უბრალოდ, შენგან არ ველოდი ასეთ რაღაცას და ამიტომაც, ამის დაჯერება ბოლო წუთამდე არ მინდოდა... დათო, რა ვუშველოთ შოუ-ბიზნესს, როგორ მოვიქცეთ?

— როგორც მოგეხსენება, საქართველოში არსებობს „საქართველოს ხელოვანთა პროფესიული კავშირი". ძალიან მინდა, შენმა სამსახურმა და ამ კავშირმა ითანამშრომლონ. 23 დეკემბრიდან, 29 დეკემბრის ჩათვლით, კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვაკურთხევით, სწორედ ამ ხალხის დასახმარებლად ვატარებთ ღონისძიებებს, რომელიც ძველი თაობის „ქართული ხმების" ვარსკვლავის გახსნით დასრულდება. ამ კვირეულში მონაწილეობას მიიღებენ: ეკა მამალაძე, ნანი ბრეგვაძე; ქორეოგრაფიული ანსამბლები: სუხიშვილები, „ერისიონი". თან, ეს ღონისძიებები პატრიარქის 30 წლის აღსაყდრების თარიღს ეძღვნება. შემოსული თანხით, მინდა, იმ ხელოვან ადამიანებს დავეხმაროთ, ვისაც გვერდში დგომა სჭირდებათ. მართალია, ზოგიერთმა ხელოვანმა პრეზიდენტს ბრალი დასდო იმაში, რომ თითქოს, მან მათ „ჩარეცხილები" უწოდა, მაგრამ შენც ხომ იცი, რომ პრეზიდენტს ასეთი რამ არ უთქვამს. უბრალოდ, მისი ნათქვამი სხვაგვარად გაიგეს. ის კი არ იფიქრო, რომ ვიღაცას ადვოკატობას ვუწევ, მაგრამ პრეზიდენტს ეს ადამიანები „ჩარეცხილებად" რომ მიაჩნდეს, მაშინ ის არ მოგვცემდა მათი გახსენების საშუალებას და ვერც ვარსკვლავს გავუხსნიდით. სახელმწიფო ხელოვან ადამიანებს „ჩარეცხილებს" კი არ უწოდებს, არამედ მათ ღვაწლს აფასებს.

— რა თქმა უნდა, ასეა... ძალიან მინდა, თვეში ერთხელ, სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან შეხვედრები მოვაწყო და მათთან შინაურულად ვისაუბრო იმ პრობლემებზე, რაც აწუხებთ. ეს იდეა როგორ მოგწონს? ალბათ, დამეთანხმები იმაში, რომ ქართველ ადამიანს ნიჭიერებაში ბადალი არ მოეპოვება.

— ის, რაც ახლა შენ მითხარი, ჩემთვის უცხო არ არის. მსგავს შეხვედრებს, თვეში ერთხელ მეც ვაწყობდი, მაგრამ რატომღაც, ამ ტრადიციის გაგრძელება შენმა წინამორბედმა აღარ ისურვა. მოხარული ვიქნები, თუკი ამის აღდგენას და გაგრძელებას შეძლებ.

— მე მზად ვარ, თითოეული ხელოვნის პრობლემა მოვისმინო. ხელოვნება ხომ საზოგადოებისთვის იქმნება.

— მომწონს, ასე რომ მსჯელობ. წარმატებას გისურვებ!

— დიდი მადლობა. ■

ფირმა „შოკი"
საუკეთესო ხარისხის უგემრიელესი
ხინკალი, პელმენი
და ვარენიკი
მთელი ოჯახისათვის
იკითხეთ მაღაზიებში
მის: სპირიდონ კედიას ქ. №15
(დიდუბის ეკლესიასთან)
ტ. 34-58-75; 899-22-76-48 გიორგი

როგორ აფასებენ „ჩარეცხილები“ მიმდინარე მოვლენებს

როგორც ცნობილია, საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ გამართულ აქციებზე ბევრი ცნობილი ხელოვანი ადამიანი გამოდიოდა და საკუთარ აზრს გამოთქვამდა. პრეზიდენტის მიერ „ჩარეცხილად“ წოდებული ხელოვნები საზოგადოებას ხელისუფლების წინააღმდეგ კი არ განაწყობდნენ, არამედ აღნიშნავენ — ჩვენ ხალხის გვერდით ვიდექითო. დღევანდელი გადასახედიდან თუ როგორ აფასებენ ისინი განვლილ მიტინგებს, რა აზრის არიან პრეზიდენტის მიერ გადადგმულ ზოგიერთ დამთმობ ნაბიჯზე და რას ფიქრობენ ვადამდელ არჩევნებზე? ამ შეკითხვებზე პასუხებს გია მაჭარაშვილი, მზია კვირიკაშვილი და რეზო ესაძე გაგვცემენ.

ნათია ქივიძე

მზია კვირიკაშვილი, *მსახიობი:*

— დაინტერესებული პირებისთვის ვაცხადებ, რომ პოლიტიკასთან არანაირი შეხება არ მაქვს. ჯერ ერთი, არ მესმის, მეორეც — არ მიყვარს და საერთოდ, იმაში, რაც არ ვიცი, არასოდეს ვყოფ ცხვირს, მიუხედავად ჩემი ცხვირის სიდიდისა. პოლიტიკოსებმა პოლიტიკა თავად გაარკვიონ, რადგან ამ საქმის პროფესიონალები თვითონ არიან. მე კი მსახიობი ვარ. დავინახე ჩემი ხალხი და აქციაზეც იმიტომ მივედი. სადაც ხალხს დავინახავ, მნიშვნელობა არა აქვს, ეს „პოზიცია“ იქნება, თუ ოპოზიცია, ჭირი იქნება თუ ლხინი, ყველა შემთხვევაში, მათთან გავრბივარ, რადგან ვიცი, ხალხს უხარია ჩემი დანახვა და ისიც ვიცი, რომ ჩემი იქ მისვლით, მათ გარკვეული სტიმული მივეცი. შემეცოდნენ, მთავრობის სახლის წინ მშივრები და გაყინულები რომ იდგნენ და მეც მათ გვერდით დავდექი. ძალიან მინდოდა, რაღაც მეხუმრა და გამემხიარულებინა, მაგრამ იმდენად ემოციური ვარ, რომ ჩემზე ხალხის ასეთმა წუხილმა იმოქმედა და გაცინების ნაცვლად, მეც ავტირდი. არც ერთის მხარეს ვარ და არც — მეორის, მე ის კაცი მინდა ქვეყნის სათავეში, რომელიც ქართველებს ამოასუნთქებს და მათ პრობლემები აღარ ექნებათ. ჩემი აზრით, ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, რაც ამჟამად ქვეყანაში გვაქვს, უმუშევრობაა. ახლა სინათლეც გვაქვს, გაზიც და ჩვენი ქვეყანაც დღითი დღე ლამაზდება. მიხარია ეს ყველაფერი, მაგრამ დაუსაქმებელი ხალხი მართლა ძალზე დიდი პრობლემაა. ეს ამბავიც რომ მოგვარდეს, ხალხი მშიერი რომ არ იყოს, ნამდვილად უბედნიერესი ერი ვიქნებოდით. ალბათ, ამ პრობლემასაც მოევლება და არ არის საჭირო, შენ იმისიანი ხარ, მე-ამისიანის ძახილი. ვინ არის „ის“ და „ეს“, ხომ ვერ მეტყვით?! ჩემთვის ორივე ქართველია, ორივე მხარეს მყავს ძმაკაცებიც, მეგობრებიც და მათ ერთმანეთისგან არ ვასხვავებ. რაც შეეხება არჩევნებს, ნამდვილად არ მყავს კერპი, ვისზეც ვფიქრობ, რომ ხმას მივცემ. ვინც გინდა, ის იყოს პრეზიდენტი, მთავარია, რომ ხალხი კმაყოფილი და ბედნიერი იყოს, არ შიოდეს და წამლის ფული ჰქონდეს... რა ვიცი, რომელი იქნება ასეთი ადამიანი. წინასწარმეტყველი არა ვარ და ნამდვილად არ ვიცი, რომელი მათგანი გააკეთებს ამ ყველაფერს. რა თქმა უნდა, არჩევნებზე წავალ, მაგრამ ვის მივცემ ხმას, ჯერ არ გადამიწყვეტია.

არც ერთის მხარეს ვარ და არც — მეორის, მე ის კაცი მინდა ქვეყნის სათავეში, რომელიც ქართველებს ამოასუნთქებს

რა თქმა უნდა, არჩევნებზე წავალ, მაგრამ ვის მივცემ ხმას, ჯერ არ გადამიწყვეტია

რეზო ესაძე, *მწერალი:*

— არც ერთ მხარეს არ ვემხრობი, ოპოზიციაცა და „პოზიციაც" ბევრ შეცდომას უშვებს. ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს ერთად დაჯდომა და ყველაფრის სერიოზულად განსჯა სჭირდება. ქვეყანაზე უნდა ვიფიქროთ, ხალხნო. გულდასმით და გულისტკივილით უნდა განვიხილოთ ყველაფერი. ქვეყნის პრეზიდენტი, რომ ახლა გარკვეულ დათმობაზე წავიდა და სულ სხვანაირად იქცევა, სად იყო ამდენ ხანს?! ეს ჭკუა რატომ აქამდე არ გამოიჩინა? 20 ნოემბერს „რუსთავი 2"-ზე მიტინგის დამონტაჟებული კადრები რომ გავიდა, ამან ყველაზე მეტად აღმაშფოთა. როგორ შეიძლება ასე მოქცევა? ვინ გააკეთა ეს? ვის ჰგონია, რომ ქართველი მაყურებლები ბრიყვები ვართ და ვერაფერს ვხვდებით? ჩვენ იმაზე მეტი გვესმის და იმაზე მეტს ვხედავთ, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია. ყველამ ყველაფერი ისე უნდა შეაფასოს, როგორც არის და არა ისე, როგორც მათ უნდათ. არჩევნებზე, რა თქმა უნდა, წავალ, მაგრამ ხმას ვის მივცემ, ეს უკვე თქვენი საქმე აღარ არის. როგორ შეიძლება ამაზე წინასწარ ლაპარაკი?! ეს ხომ ფარული კენჭისყრაა. არჩევნებზე წასვლით პატივი ჩვენს ქვეყანას უნდა ვცეთ. დავბერდი და ქვეყნის გარდა სხვა არაფერზე მიფიქრია. ამ არჩევნებით უზარმაზარი საქმე კეთდება. მედიაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული და შეეცადეთ, რომ სივრცე გაათბოთ და არა — გააცივოთ. ყველაში მტერს ნუ ვეძებთ, მე მტერს ჩემს მოძმეში ვერ ვხედავ. გენიალური ერი ვართ და ჩვენ მოვლა გვჭირდება. ქვეყანას კი მხოლოდ მთავრობა კი არა, ხალხიც უნდა უვლიდეს. ჩვენი აზრისა და სულის ამოთქმა არის ის, რომ ქვეყანაზე ვიზრუნოთ. გარემო დაიღალა, ბალახი აღარ ამოდის ადამიანის უგუნურების გამო... დავიფიცე, რომ ამ საკითხზე აღარასოდეს ვილაპარაკებდი, მაგრამ თქვენ ეს ფიცი გამატეხინეთ.

ყველამ ყველაფერი ისე უნდა შეაფასოს, როგორც არის და არა ისე, როგორც მათ უნდათ

გია მაჭარაშვილი, *მუსიკოსი:*

— პოლიტიკის არაფერი გამეგება და ამ სფეროთი დაინტერესებულიც არ ვარ. არც აქციებზე ვყოფილვარ. უბრალოდ, ტელეკომპანია „იმედიდან" დამირეკეს და მთხოვეს, რომ ჩემი აზრი მათი ეთერით გამომეხატა. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ჩემი ცხოვრების მანძილზე არც ერთ აქციაში მონაწილეობა არ მიმიღია. არ ვარ ჩხუბისა და გაუგებრობის მოყვარული ადამიანი, თორემ ვინმესი კი არ მეშინია. მიმაჩნია, რომ ჩემი სათქმელი ისევ და ისევ მუსიკით უნდა ვთქვა. საერთოდ კი, მგონია, შემოქმედ ადამიანს, არც „პოზიცია" და არც ოპოზიცია არ უნდა ეხებოდეს თავ-თავიანთი დადებითი და უარყოფითი რჩევებითა და პრინციპებით. აბსოლუტურად მართალი ადამიანი არ არსებობს. ყველას აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები. შესაბამისად, არც ერთ მხარეს არ ვემხრობი. უბრალოდ, ვერავინ გაიგო, რომ საკუთარ ჯიბეზე ფიქრს უნდა შეეშვან და მასას ელემენტარული პირობები გაუუმჯობესონ. მერე რა, თუ ქალაქი გაალამაზეს! ხალხს კუჭი უხმება შიმშილით, რა ჭამონ, არ იციან, რადგან ბევრი უმუშევარია. ამ ყველაფერს, ჩემი აზრით, სიყვარული, დათმობა და ერთმანეთის მოფერება გადაარჩენს. ომს და ჭიდაობას არავისთვის არაფერი მოუტანია. გულახდილად რომ გითხრათ, ბევრს არაფერს ვითხოვ, უბრალოდ, მინდა, რომ რასაც მე ვაკეთებ, სწორად შეფასდეს. საავტორო უფლებები უნდა დაიცვან საქართველოში. როცა სხვა სფეროში ყველაფერი დალაგდება, ამ სფეროსაც თავისთავად მოევლება. ხომ არ შეიძლება, რომ ქვეყანა კულტურის გარეშე არსებობდეს, მით უფრო, რომ ჩვენ შემოქმედებითი ერი ვართ და მთელი მსოფლიო სწორედ ჩვენი ნიჭის გამო გვიცნობს. ამ საკითხს მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს. შემოქმედს შრომა უნდა დაუფასდეს. ყველა საარსებო და სასიცოცხლო სფერო მოსაწესრიგებელია. ერთი კვირის წინ, ჩემმა მეუღლემ ზეთი იყიდა, რომელშიც ნ ლარი გადაიხადა. რატომ უნდა ღირდეს ზეთი ასე ძვირი? ეს ხომ პირადად ჩემთვისაც კი დიდი პრობლემაა. ადამიანს თუ შემოსავლის წყარო არა აქვს, იმ ქვეყანაში, სადაც ყველაფერი ძვირდება, როგორ უნდა იარსებოს?! ჩემს საუბარს გინდათ, პოლიტიკური უწოდეთ და გინდათ, არაპოლიტიკური, ეს ჩემთვის ჩვეულებრივი, ყოფითი პრობლემაა.

ამ ყველაფერს, ჩემი აზრით, სიყვარული, დათმობა და ერთმანეთის მოფერება გადაარჩენს

ფული თავზე არასოდეს გადამდიოდა, მით უმეტეს, დღეს... მეც ისევე ვცხოვრობ, როგორც სხვა ადამიანები. ვიდრე ასეთ ცხოვრებას სათითაოდ თვალებში არ ჩახედავენ ისინი, ვინც დღეს ქვეყანას მართავენ, ვიდრე ერთი დღით მაინც არ წარმოიდგენენ ჩვენს ადგილას საკუთარ თავს და ამ ყველაფერს გულთან ახლოს არ მიიტანენ, სულ რომ ყოველდღე რევოლუციები მოვაწყოთ, მაინც არაფერი გვეშველება. მიხარია, რომ პრეზიდენტი გარკვეულ დათმობაზე წავიდა. სიამოვნებით მივიდოდი მასთან დიდ მადლობას გადავუხდიდი და ჩემს სატკივარს ვეტყოდი. იმედი მაქვს, რომ ის რაღაცნაირად დამაკვალიანებდა, ვიღაცას თითს დაუქნევდა და ეტყოდა — ამ ხალხს მიხედეთო; საავტორო უფლებებს მოაგვარებდა და ყველას გვეშველებოდა. რაც შეეხება არჩევნებს, ამ საკითხშიც საკმაოდ ცუდად ვერკვევი. არ მაინტერესებს, ვინ იქნება ჩვენი პრეზიდენტი. მთავარია, რომ ხალხი იყოს კარგად. ხელმძღვანელი პირები ის ადამიანები უნდა იყვნენ, რომლებსაც მხოლოდ საკუთარი თავი და ოჯახი კი არა, თითოეული ქართველი უყვარს.

■

მიხეილ სააკაშვილი ულვაშებს აუხირდა



დღეს საქართველოში ოფიციალურად იღებს სტარტს წინასაარჩევნო საპრეზიდენტო კამპანია. „ხელისუფლების მშვიდობიანად შეცვლის სახალხო მოძრაობაში" გაერთიანებულ ოპოზიციას, ქვეყნის მეთაურის პოსტზე საკუთარი კანდიდატის — ლევან გაჩეჩილაძის სასარგებლოდ აგიტაციის დაწყება აქვს განზრახული; მოქმედი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კი წინასაარჩევნო კამპანიაში წინასწარვე ჩაერთო. გასული კვირის ბოლოს, მან კვლავ მკაცრად გააკრიტიკა ოპოზიციის მთავარი ფინანსისტი, ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი.

ბადრი პატარკაციშვილი პრეზიდენტს ღვინის რუსული ემბარგოთი ყველაზე მეტად დაზარალებულ რეგიონში — კახეთში ჩასვლისას გაახსენდა. „ულვაშა შემკვეთების" საამებლად ვაზის გაჩეხის თაობაზე ტელეეთერში მოწყობილი ისტერიკა მიუღებელი და ხელოვნურია", — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც პატარკაციშვილის კონტროლქვეშ მყოფი ტელეკომპანია „იმედის" ეთერში გასულ გახმაურებულ სიუჟეტს გულისხმობდა.

ტელესიუჟეტმა, სადაც სასოწარკვეთილი კახელი გლეხი, რომელსაც რუსეთში საკუთარი ღვინო ვეღარ გააქვს, ვაზს ნაჯახით ჩეხს, საქართველოში მძაფრი რეაქცია გამოიწვია. ამ ქვეყანაში ხომ ყველაფერი, რაც ღვინოსთან, ყურძენთან და ვაზთან არის დაკავშირებული, მარტო ეკონომიკის ფაქტორი კი არა, ეროვნული იდენტურობის ატრიბუტიცაა. მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ „კახეთმა მტრების არაერთ შემოტევას გაუძლო, არ გატყდა" და მეღვინეებს პოლონეთისა და დიდი ბრიტანეთის ბაზრებზე ქართული ღვინის სახელმწიფოს ხარჯზე, უფასოდ რეკლამირებას შეპირდა.

ღვინის თემის დასრულების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტი ისევ ბადრი პატარკაციშვილს მიუბრუნდა. მან გააფრთხილა „საქართველოს ულვაშა მტერი", რომ მაშინაც კი, თუ ის „საქართველოს დასამონებლად მილიარდ დოლარს დახარჯავს, ვერაფერს მიაღწევს, რადგან თავისუფლებისმოყვარე ქართველებთან აქვს საქმე". ბატონ სააკაშვილს გვერდი არც იმაზე ლაპარაკისთვის აუვლია, თუ თავად როგორღა მოექცა თავისუფლებისმოყვარე ქართველებს 7 ნოემბრის მიტინგის გარეკვის ბრძანების გაცემის შემდეგ. „მეგობრებო, რა თქმა უნდა, არც ისე სასიამოვნოა, როცა თავში ხელკეტს გირტყამენ, მაგრამ სახელმწიფო სახელმწიფოა. როცა მეამბოხეები სახელმწიფო ხელისუფლების დამხობას ცდილობენ, ის იძულებულია, თავი დაიცვას", — განმარტა მან. პრეზიდენტის აზრით, „მომხდარი ბუნტი, იმის სადემონსტრაციოდ იყო იმიტირებული, ვითომდა, საქართველო დემოკრატიული ფასეულობების მატარებელი არ არის. მაგრამ საქართველო სახელმწიფოა. ხელისუფლების დამხობის მცდელობას ხომ ნებისმიერი სხვა სახელმწიფოც ასევე უპასუხებდა".

გლეხების წინაშე გამოსვლისას მიხეილ სააკაშვილმა პირველად განმარტა, თუ რატომ შეცვალა პრემიერი ზურაბ ნოღაიდელი ლადო გურგენიძით, რომელიც, სხვათა შორის, პრეზიდენტს კახეთში თან ახლდა. „ახალი პრემიერის დანიშვნა, პირველ რიგში, იმითაა განპირობებული, რომ მთავრობამ სამმაგი ძალით იმუშაოს. ეს ადამიანი არჩევნების შემდეგაც პრემიერი იქნება, რათა საქართველოს ეკონომიკა უფრო ფართო ასპარეზზე გაიყვანოს".

თუმცა ამ საკადრო გადაადგილებებს სხვა ახსნაც აქვს. როგორც ექსპრემიერის გარემოცვაში მყოფმა „კომერსანტის" წყაროებმა შეგვატყობინეს, ბატონმა ნოღაიდელმა გადადგომა თავად ითხოვა. მისი აზრით, პრეზიდენტის ახალი, საბიუჯეტო ხარჯების გაზრდაზე, ხელფასებისა და პენსიების მომატებაზე, დასაქმების პროგრამების დაფინანსებასა და ა.შ. დაფუძნებული კურსი, ნოღაიდელის კაბინეტის მიერ 2005 წლიდან გატარებული მკაცრი მონეტარული პოლიტიკის შედეგად მიღწეული მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესებას გამოიწვევს.

ამასთან, დღეს საქართველოში ოფიციალურად იღებს სტარტს საპრეზიდენტო წინასაარჩევნო კამპანია. „მოქმედმა პრეზიდენტმა უკვე დაიწყო ემოციური წინასაარჩევნო სიტყვით მიტინგებზე გამოსვლა, მაგრამ ჩვენც არანაკლებ ხმაურიან, მშვიდობიან მიტინგებს მოვაწყობთ და ამ აქციებზე ჩვენი პრეზიდენტობის კანდიდატიც თავისი პროგრამით წარდგება, — დაარწმუნა „კომერსანტი" ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ.

ოპოზიციონერები ტელეკომპანია „იმედის" მაუწყებლობის აღდგენის მოთხოვნაზე ხელისუფლების უარით, აღშფოთებულნი არიან. „ლეიბორისტებმა" ამ ტელეკომპანიის შენობის წინ, რომლის ქონებაც, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ბრალდებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შედეგად, ჯერაც დაყადაღებულია, მიტინგიც კი გამართეს. „ამ კედლების მიღმა, — „იმედის" შენობაზე მიუთითა ლეიბორისტური პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ, — სიტყვის თავისუფლებაა დაპატიმრებული. — რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა არ გაუქმებულა, ძალადობა გრძელდება და ადგილი აქვს ხელისუფლების უზურპაციის მორიგ მცდელობებს".

КОММЕРСАНТЪ (რუსეთი), 19 ნოემბერი. ■

ლტოლვილებმა ბრიტანეთში ტონი ბლერის BMW-თი შეაღწიეს

ბრიტანული ტაბლოიდის — San ცნობით, ოთხმა ინდოელმა ლტოლვილმა დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე იმ სატვირთო მანქანით შეაღწია, რომელსაც ექსპრემიერ ტონი ბლერის დაჯავშნილი BMW გადაჰქონდა. სამართალდამცავებმა ისინი მხოლოდ მას შემდეგღა დააკავეს, რაც ექსპრემიერის ავტომობილი პოლიციის ერთ-ერთ განყოფილებაში მიიტანეს. წინასწარი მონაცემებით, ლტოლვილები სატვირთო მანქანაში საფრანგეთის ტერიტორიაზე შეიპარნენ.

100 ათასი გირვანქა სტერლინგის ღირებულების დაჯავშნილი BMW ლონდონის საქალაქო პოლიციის ანტიტერორისტულმა ქვეგანყოფილებამ (ის ყოფილი პრემიერ-მინისტრების უსაფრთხოებაზე აგებს პასუხს) მიუნხენში შეუკვეთა. ზოგიერთი ცნობით, ლტოლვილების აღმოჩენის შემდეგ, სკოტლანდ-იარდმა ტონი ბლერისთვის განკუთვნილი ავტომობილი, მისი უსაფრთხოების გადასამოწმებლად, ისევ გერმანიაში დააბრუნა. ■

რუბრიკის გაგრძელება იხ. გვ. 18

16 ნოემბრიდან თვეში ორჯერ

3 ვრცელი



ექსკლუზიური ფოტორეპორტაჟი სატანკო სწავლებიდან

გერმანელი დივერსანტები ბრანდენბურგი-800

შხამების ევოლუცია

სომხეთის არმია — რეალური მონაცემები



ომგამოვლილები



საშხედროების ომების წინააღმდეგ

ყველაზე კასური უურნალი არა მარტო მამაკაცებისთვის

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

რუბრიკის დასაწყისი იხ. გვ. 16

გადადგომამდე მოსასწრები

საპასუხვილი ვადამდელ არჩევნებზე ახალი პრემიერით მიდის

მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, ამ ოთხშაბათს საპრეზიდენტო უფლებამოსილება უნდა მოიხსნას, გადადგომამდე დარჩენილი დღეებისგან მაქსიმუმის გამოწურვას ცდილობს. გასულ პარასკევს, საღამოს, საგანგებო მდგომარეობის გაუქმებისთანავე, მან მკვეთრი პოლიტიკური სვლა გააკეთა და მთავრობის მეთაური ზურაბ ნოღაიდელი „ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო" გადააყენა. ამ თანამდებობაზე სააკაშვილმა 37 წლის ბიზნესმენის, საქართველოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ლადო გურგენიძის კანდიდატურა წამოაყენა. უახლოეს ორ-სამ დღეში ახალი პრემიერის კანდიდატურა საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარედგინება...

ზურაბ ნოღაიდელის გადადგომას, რომელმაც 2005 წელს, ამ პოსტზე გარდაცვლილი ზურაბ ჟვანია შეცვალა, თბილისში კარგა ხანია, ვარაუდობდნენ. ჯერ ერთი, ნოღაიდელს მართლაც გაუჩნდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები — მიმდინარე წლის გაზაფხულზე მას ამერიკის შეერთებულ შტატებში გულის რთული ოპერაცია გაუკეთეს. მეორეც, მისი პრემიერობა საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის სერიოზული პრობლემების მომტან მკაცრ ეკონომიკურ რეფორმებს დაემთხვა.

ასეთი პრემიერით ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებზე მისვლა სააკაშვილმა ვერ გარისკა. ამიტომაც, არჩევანი პოლიტიკისგან ძალზე შორს მდგარ, ბანკირ ლადო გურგენიძეზე შეაჩერა. ამ ადამიანზე მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ მან ამერიკაში უბრწყინვალესი განათლება მიიღო და შემდეგ, თითქმის თხუთმეტი წელი, ინგლისის საბანკო სტრუქტურებში მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა. ბრიტანეთის ქვეშევრდომობაშენარჩუნებული გურგენიძე თბილისში სამ წელზე ცოტა მეტი ხნის წინ დაბრუნდა, მაგრამ პრეზიდენტთან დაახლოება უკვე მოასწრო. სააკაშვილმა პრემიერობის საკუთარ კანდიდატს არაერთხელ უწოდა „ყველაზე უფრო წარმატებული ქართველი ბიზნესმენი" და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სწორედ ლადო გურგენიძის მიერ მართული საქართველოს ბანკის აქციები გავიდა საერთაშორისო საფინანსო ბაზარზე და ბოლო ხანებში, ლონდონის საფონდო ბირჟაზეც მოიკიდა ფეხი.

პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ წამოწყებულ საკადრო გადაადგილებებს, მისი მხრიდან დიდი ახსნა-განმარტებები არ მოჰყოლია. სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ ხანმოკლე ბრიფინგზე მან მხოლოდ ის განაცხადა, რომ აკმაყოფილებს ნოღაიდელის თხოვნას გადადგომის თაობაზე და იქვე, მთავრობის ახალ მეთაურს ახალი დავალებებიც მისცა. „ჩვენ რეფორმების უფრო აქტიურად გაგრძელება, უფრო აქტიური მუშაობა გვჭირდება. ახალ პრემიერს უახლოეს პერიოდში საქართველოში პენსიების ეტაპობრივი გაორმაგების, პედაგოგების ხელფასებისა და სოციალური დახმარებების მკვეთრი ზრდის, დასაქმების პროგრამების მკვეთრად გაფართოებისა და ჩვენი რეფორმების შესახებ მოსახლეობის ფართოდ ინფორმირების უზრუნველყოფა დავავალეთ", — განაცხადა სააკაშვილმა და ამით იმაზეც მიანიშნა, რა არ მოსწონდა ან უკვე ყოფილი პრემიერის მუშაობაში.

პრემიერ ნოღაიდელის გადაყენებას, რომელიც საზოგადოებაში მაინცდამაინც დიდი პოპულარობით როდი სარგებლობდა, საქართველოს გაერთიანებულმა ოპოზიციამ „სააკაშვილის მიერ უკვე დაწყებული წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი" უწოდა. როგორც თბილისში გამართული მიტინგების ერთ-ერთმა აქტივისტმა, ოპოზიციური საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის" წევრმა, დავით ზურაბიშვილმა „ნეზავისიმაია გაზეტას" განუცხადა, იანვრის არჩევნებამდე დარჩენილ დროში პრემიერის შეცვლით, „სააკაშვილი 7 ნოემბერს დაკარგული, ხალხის ნდობის აღდგენას ცდილობს". ამასთან, ოპოზიციის ლიდერები ყურადღებას ამახვილებენ, რომ სააკაშვილი, ყველა მოქმედი კანონის დარღვევით, წინასაარჩევნო კამპანიის ოფიციალურ სტარტამდე, უკვე აქტიურად იყენებს მის ხელთ ჯერ კიდევ არსებულ ყველა ადმინისტრაციულ რესურსს. ის პრაქტიკულად, ყოველდღიურად წინასაარჩევნო შეხვედრებს მართავს პედაგოგებთან, ბიზნესმენებთან, მეღვინეებთან და ხელფასებისა და პენსიების მომატებისა და ყველა სოციალური პრობლემის მოგვარების პირობას დებს.

შაგრამ საერთო-სახალხო მოძრაობის ეროვნულ საბჭოში დარწმუნებულნი არიან, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ ფუჭი მცდელობაა და 5 იანვრის არჩევნებს სააკაშვილი მათ კანდიდატთან, პარლამენტის დეპუტატთან და ყოფილ ბიზნესმენ ლევან გაჩეჩილაძესთან პირწმინდად წააგებს. როგორც ოპოზიცია აცხადებს, უკვე დღეს გაჩეჩილაძეს ამომრჩეველთა 60% უჭერს მხარს, სააკაშვილის რეიტინგი კი 8%-მდეა დაცემული.

თუმცა თავად სააკაშვილი თავს „კუდა ხარად" ნამდვილად არ მიიჩნევს და ქულებსაც აქედანვე თანამიმდევრულად აგროვებს. გასულ შაბათ-კვირას მან საკუთარი წინასაარჩევნო აქციები თბილისიდან პროვინციაში გადაიტანა. შაბათს ის, მომავალ პრემიერ ლადო გურგენიძესთან ერთად, კახელ ამომრჩევლებს შეხვდა. პრეზიდენტი იქაურ გლეხებს უკვე მომავალ წელს ყურძნის შესასყიდი ფასის გაზრდას და ადგილობრივი მეურნეობების ტექნიკური ბაზის აღჭურვის გაუმჯობესების გზების გამოძებნას დაჰპირდა. და ამას, როგორც ჩანს, უკვე შედეგიც მოაქვს. ყოველ შემთხვევაში, სააკაშვილის გამოსვლა ყვარლის ცენტრში გამართულ ხალხმრავალ მიტინგზე, სადაც ის ძალზე ემოციურად ამხელდა თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისა და დღევანდელი ოპოზიციის უკან მდგარი ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის ჭეშმარიტ მიზნებს, „ვარდების რევოლუციის" შემდეგ გვარიანად მივიწყებულ „მიშა! მიშა!"-ს სკანდირებაში ჩაიძირა.

Независимаиа газета (რუსეთი), 19 ნოემბერი.

ტელე
პალიტრ
ᲨᲔᲛᲔᲮᲜᲔᲑᲘᲗ-ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲝᲑᲘ ᲟᲣᲠ
ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔ
PTP ПЛАНЕТА
ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲮᲐᲛᲡᲘ ᲭᲝᲠᲘ ᲐᲜᲠᲘ ᲯᲝᲮᲐᲫᲔᲖᲔ
ᲓᲐᲬᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ „ᲐᲠᲐᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ“
ᲡᲘᲛᲚᲔᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ: ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲩᲘᲮᲢᲘᲙᲝᲠᲘ, ᲒᲐᲗᲔᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲖᲚᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲐᲓ ᲓᲐᲭᲔᲠᲘᲚᲘ ᲞᲔᲞᲔᲚᲐ...
ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲡᲘᲣᲟᲔᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲩᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲔᲑᲘᲓᲐᲜ
ᲐᲤᲘᲨᲐ
ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ
ISSN 1987 - 5126
9 771987 512008
23 - 29 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ ᲤᲐᲡᲘ 70 ᲗᲗᲗᲠᲘ N2

დასაწყისი იხ. „გზა“ №44-46

ᲛᲔᲣᲠᲘᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲜᲐ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲔᲑᲘ

ᲘᲜᲒᲐ ᲧᲐᲧᲔᲚᲘ

გიგის წყალი შეასხა სახეზე, უკვე შედეგებული სისხლი მოსწმინდა თავიდან და ჭრილობა შეუხვია.

— ცუდად ვარ! — ამოიხრიალა კაცმა.

— და მაინც, თავს ძალა უნდა დაატანო და მანქანამდე ჩამყვე, თუ სიკვდილს არ აპირებ, რა თქმა უნდა! — სიტყვები უაზროდ „მიუგდო“ ანამ.

— მოგკლავ! — გიგის თვალები ჩაუსისხლიანდა.

— ახლა მაგისი ძალა არა გაქვს და როგორმე, სხვა დროისთვის უნდა გადადო...

...გიგი წონასწორობას ძლივს იცავდა:

— რეტი მესხმის და გული მერევა! — შესჩივლა ქალს, როცა ავტომობილამდე მიაღწიეს. ანამ გიგი მანქანის სალონში ჩასვა და საჭეს თავად მიუჯდა:

— კისერიც გიტეხია. თუ გინდა, აქვე მოისაქმე... ამ ადგილიდან დაახლოებით ხუთას მეტრში გაგიყვან და „სასწრაფოს“ გამოვუძახებ, მაგრამ მათთვის სიმართლის თქმა არც გაბედო. თქვი, რომ ავარია მოგივიდა.

— ვინ დაიჯერებს?! — თვალები დახუჭა გიგიმ და თავი საზურგეზე გადააგდო.

— ისე მოვაწყობ, რომ დაიჯერებენ! — თქვა ანამ და მანქანა დაძრა...

შორიდანვე შეარჩია განათების ბოძი, სიჩქარეს უმატა და გეზი სწორედ მისკენ აიღო... შეჯახება იმდენად სუსტი იყო, რომ მანქანას ოდნავ შეეჭყლიტა წინა მხარე.

— მკლავ?! — გაოცებისგან, თვალები ლამის ბუდიდან გადმოუცვივდა გიგის.

— არა! თუმცა, რომ შემეძლოს, ამას ნამდვილად გავაკეთებდი. ისე, ისეთი ნაძირალა ხარ, არც არავის დააკლდებოდი...

ანამ გიგის მობილური ტელეფონი გამოართვა და „სასწრაფო დახმარების“ ნომერი აკრიბა:

— ავარიაა... მამაკაცი დაზარალებული... არა, არ მოკვდება, თუმცა, ჯობია, იჩქაროთ!.. — ამ სიტყვების შემდეგ, მორიგეს მისამართიც უთხრა და მანქანიდან გადასულმა მოზრდილი ქვა აიღო ხელში.

გიგი დაიძაბა, აშკარად ეგონა, რომ ანა მას თავში ჩაარტყამდა და ამის თქმაღა მოასწრო:

— შენ გიჟი ხარ... არანორმალური!

ანამ ქვა საქარე მინას გამეტებით დაარტყა. მინა უსიამო ჟღრიალით ჩამოიშალა.

— აღარასოდეს გაბედო ჩემთან მოახლოება, თორემ, მართლა მოგკლავ! — გამოცრა კბილებში და აუჩქარებლად გაეცალა იქაურობას.

ქალი შორიდან ადევნებდა თვალს, თუ როგორ გადაიყვანეს გიგი საკაცეზე და საავადმყოფოში გააქანეს...

...შინისკენ ფეხით გაუდგა გზას და თავზე დაათენდა კიდეც...

...კართან მინდვრის ყვავილების საოცრად ლამაზი თაიგული დახვდა. აიღო და ბარათიც შეამჩნია:

— ძალიან მომენატრე და აკრძალვის მიუხედავად, შენთან მოსვლა გადავწყვიტე. მაგრამ ვიღაც კაცმა დამასწრო, ათიოდე წუთით და... ალბათ, ასეც ჯობდა. ახლა უკვე ვიცი, რომ მარტო ჩემი არასოდეს იქნები, მე კი სხვასთან გასაყოფი არაფერი მსურს... ვეცდები, დაგივიწყო... ბედნიერებას გისურვებ!..

„დათო“! — დაიკვნესა ანამ, რომელსაც იმწუთას გიგი რომ ჰყოლოდა გვერდით, აუცილებლად მოკლავდა; ისე დაახლოდა ტყვიას, ხელიც არ აუკანკალდებოდა.

შინ შევიდა. საწოლზე პირქვე დაემხო და მოთქმა დაიწყო. ასე მწარედ ბავშვობის შემდეგ არ უტირია...

...მართალია, გიგის სიმართლის თქმა არც უფიქრია, მაგრამ შემთხვევითი ავარია ყველამ საეჭვოდ მიიჩნია და ქალაქში ათასი ჭორი დაირხა.

წესით, ანას უკან უნდა დაეხია, მაგრამ ახლა, დათოს დაკარგვასაც გიგის აბრალებდა და მისი ბოლომდე გათელვა გადაწყვიტა. ამ მიზნით, მან ის მასალებიც გამოაქვეყნა, რაც ადრე არ გამოიტანა სააშკარაოზე და ამით გამოძიებას იმ გზაზეც მიუთითა, რომელიც გიგის თანამზრახველებზეც გაიყვანდა საქმის გახსნის მსურველებს...

გაზეთის გამოსვლის მეორე დღეს, რედაქციის შენობიდან გამოსულ ანას ლიკა სულაძე დახვდა. მიუხედავად იმისა, რომ ქალი აშკარად ღელავდა, დასაშვები ზღვრისთვის მაინც არ გადაუბიჯებია და ანას სთხოვა, ნახევარი საათი მაინც დაეთმო მისთვის...

ახლომდებარე კაფეში შევიდნენ. ლიკამ ყავა და მინერალური წყალი შეუკვეთა ისე, რომ ანასთვის არც უკითხავს, რამე სხვა ხომ არ სურდა.

ლიკას აშკარად უჭირდა ლაპარაკის დაწყება, ანას კი მისთვის დაძაბულობის მოხსნაში ხელის შეწყობა არც კი უცდია. აკვირდებოდა და ისევ ჯადოზე ფიქრი ამოუტივტივდა გონებაში — არც მთლიანობაში და არც ცალ-ცალკე, ლიკას არაფერი ჰქონდა მიმზიდველი და წესით, არაფერი იყო გასაკვირი, რომ ასეთი ქალი გაუთხოვარი რჩებოდა; კაცი გიჟი უნდა ყოფილიყო, მისგან შვილების ყოლის სურვილი რომ გასჩენოდა...

— გიგის შეეშვი! — მოესმა ანას.

— ეს თხოვნაა თუ ბრძანება?! — მისმა ხმის ინტონაციამ ანა დააბნია.

— როგორც გინდა, ისე გაიგე! — თვალი გაუსწორა ლიკამ. — ის ახლა ძალიან ცუდადაა. მას შემდეგ, რაც საავადმყოფოში მოხვდა, არავის გველაპარაკება...

— ცოლთან ერთად ადგახარ თავზე?! — ანამ ისევ ვერ შეიკავა თავი ირონიისგან.

ლიკამ შენიშვნას ყური აარიდა:

— არ ვიცი, რა გაკავშირებთ ერთმანეთთან და საერთოდ, რატომ დაუპირისპირდი ასე მწარედ. თუმცა, ეს არც მაინტერესებს. მე გიგის გარდა, არავინ და არაფერი გამაჩნია ქვეყანაზე, მის გამო მშობლებსა და ძმებზეც უარი ვთქვი... სახლის გაყიდვაც რომ დამჭირდეს, ყველაფერზე წავალ და თანხას გადაგიხდი, ოღონდ კი ჩამოშორდი!

ლიკას ატირებას აღარაფერი უკლდა და ანა მოლბა, გულწრფელად შეებრალა ბედისგან აშკარად გამეტებული ქალი.

— მე გიგისთან ყველა ანგარიში გავასწორე და საქმე აქამდეც არ მივიდოდა, თავად რომ არ გაერთულებინა ყველაფერი. ჩემთან მოსალაპარაკებელი არაფერია. გიგი დაარწმუნე, რომ აღარასოდეს გადამეღობოს წინ! — თქვა ანამ და წამოდგა.

— თქვენ ერთმანეთი გიყვართ! — კართან დაეწია ლიკას ხმა და უკან მოახედა. ქალს ცრემლებით ავსებოდა თვალები და დამშვიდება სჭირდებოდა, მაგრამ ახლა, არც საამისო ნერვები ჰქონდა ანას და არც

— სურვილი. კარი გამოაღო და ქუჩაში გავარდა. ასიოდე მეტრიც არ ჰქონდა გავლილი, რომ საპატრულო პოლიციის მანქანამ გაუჩერა ფეხებთან. კარი გაიღო და უკანა სავარძლიდან მიშა ბერიძემ, ვედრებით

საკუთარ თვალები შემოანათა:

— მხოლოდ ხუთ წუთს წაგართმევ... სადაც მეჯყვი, მიგიყვან, გზაში კი სათქმელსაც გეჯყვი.

ანა მანქანაში ჩაჯდა, რადგან მიშას თვალებმა უკვე „უთხრეს“, რომ ეს კაცი მისთვის არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდა.

— ერთადერთი სათხოვარი მაქვს, ანა. შენ რომ „მიხმარე“, ასე ჯერ არავის გამოუყენებივარ და ღმერთმა შეგარგოს. ძლიერ პიროვნებებს ვაფასებ... ყველაფრის სანაცვლოდ, მხოლოდ ერთ რამეს გთხოვ: იარაღიც რომ დაგადონ შუბლზე, უნდა უარყო, რომ მიცნობ და ოდესმე რაიმე საერთო გვქონია.

— არც გვქონია რამე! — მხრები აიჩეჩა ანამ.

— მაშ, მოსულა შეთანხმება?! — გაშლილი ხელი გაუწოდა მიშამ.

— მოსულა! — მარჯვენა შეაგება ანამ. მიშა ბერიძესთან მართლა არაფერი ჰქონდა საპრეტენზიო.

— გმადლობ! — უთხრა კაცმა და საჭესთან მჯდომს მანქანის გაჩერება უბრძანა.

— მეც მადლობელი ვარ და მაპატიეთ, თუ ზედმეტი მომივიდა! — გულწრფელად უთხრა ანამ.

მიშამ აღარაფერი უთხრა, მაგრამ ქალმა მის თვალებში მადლიერება ამოიკითხა.

ანამ ერთბაშად უსაშველო დაღლილობა იგრძნო და გადაწყვიტა, ერთი თვით მაინც გასცლოდა ქალაქს. მეორე დღესვე განცხადება დაუდო ნიკა ვაწაძეს მაგიდაზე, სადაც მას შვებულების გაფორმებას სთხოვდა.

ნიკას უარი არ უთქვამს (არც არასოდეს ეუბნებოდა უარს რამეზე). ოღონდ, იმის გამხელა სთხოვა, სად აპირებდა წასვლას:

— თუ წინააღმდეგი არ იქნები, ორიოდე დღით ჩამოგაკითხავ!..

ანას ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადაწყვეტილი, საით აიღებდა გეზს, მაგრამ ის კი კარგად უწყოდა, რომ ნიკას საზოგადოებაში ყოფნის სურვილი არ ჰქონდა და ამიტომაც, გულახდილად უთხრა:

— არ გეწყინოს, მაგრამ მარტო უნდა ვიყო და საკუთარ თავში გავერკვე. ახლა ისიც კი არ ვიცი, გავაგრძელებ თუ არა ჟურნალისტურ საქმიანობას. მართლა დავიღალე. თან, მგონია, რომ აღარც ობიექტური ვარ და რაღაცნაირად ვუღალატე კიდეც ჟურნალისტურ ეთიკას.

— ერთი თვე კი არა, თუ გინდა, მთელი წლით გაგიშვებ შვებულებაში, ოღონდ აუცილებლად უნდა დაბრუნდე. შეუძლებელია, შენ ჟურნალისტიკის გარეშე გაძლო და ჟურნალისტიკასაც დააკლდები... მეც დამაკლდები! — თავი დახარა ნიკამ.

ანა მიუახლოვდა და შუბლზე აკოცა:

— ტვინი და ცოტა ბედიც რომ მქონოდა, მანამდე შეგხვდებოდი, სანამ ისევ შემეძლო სიყვარული და საკუთარ თავს ვეკუთვნოდი! — უთხრა და კაბინეტიდან გავიდა.

ბათუმში გადაწყვიტა წასვლა.

სეზონი არ გახლდათ და ამიტომ, სასტუმროებშიც სიხალვათე იყო. საუკეთესო ნომერი აარჩია — აივანი გაშლილ სივრცეს გადაჰყურებდა და ლურჯად მოლივლივე ზღვას სიმშვიდის სანეტარო განცდა მოჰქონდა, ტალღების ხმაური კი მარტოობის შეგრძნებას უფანტავდა და სასიამოვნო მოლოდინით-ავსებდა. ეს ფაქტი ნამდვილად აკვირვებდა, რადგან არავის ელოდა — ძველი ნაცნობებიდან თითქოს, ყველასთან გაწყვიტა კავშირი, ახალი ნაცნობობა კი არ იზიდავდა.

სასტუმროდან გამოსული, რაც შეიძლება სადად იცვამდა და ცდილობდა, შესამჩნევი არ ყოფილიყო — ერთჯერადი საკურორტო რომანები არასოდეს იზიდავდა.

რესტორანში სასადილოდ შევიდა, სადაც ადგილობრივი ჯგუფი უკრავდა. ორკესტრს აშკარად ეტყობოდა სიყალბე — ბიჭები სინქრონში მოიკოჭლებდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მუსიკამ კარგა ხანს შეიყოლია. აი, პიანისტი კი მართლაც ნიჭიერი ჰყავდათ და მის გამო ღირდა დარბაზში ჯდომა.

ანა კუთხეში იჯდა. ჯინსის კეპი ისე ჰქონდა ჩამოფხატული თვალებზე, რომ ლამის ნახევარ სახეს უფარავდა და ასეთ ფორმაში, თავდახრილად მჯდომარეს, მშობელი დედაც ვერ იცნობდა. სამაგიეროდ, თავად შეეძლო დარბაზში მსხდომების თვალიერება და მოულოდნელობისგან ლამის წამოიყვირა, როცა მეორე კუთხეში მსხდომი სამი მამაკაციდან, ერთ-ერთში დათო ამოიცნო — ის ერთადერთი კაცი, ვისი დანახვაც გამოაცოცხლებდა და ხასიათზე მოიყვანდა. თავის შეკავება აღარ შეეძლო, წამოხტა და... ჯიქურ მიეჭრებოდა კაცს, რომ არა მისი თავის გატოკება. დათომ ამით აშკარად ანიშნა — არ მომიახლოვდეო! სხვებს არაფერი შეუმჩნევიათ. მის თანამესუფრეთაგან ერთი თავჩაღუნული ჭამდა აჭარულ ხაჭაპურს და თითებს ისე ილოკავდა, აშკარად ეტყობოდა, სუფრის ეტიკეტის ბევრი არაფერი გაეგებოდა და დიდად არც სხვისი დაკანონებული წესი და კანონი ანაღვლებდა; მეორე კი გუთავებლად ლაპარაკობდა და დათოს რაღაცაში არწმუნებდა.

ანას თავისი სადარდებელი ჰქონდა. ფიქრობდა: „ახლა ადგება და წავა. ვინ იცის, ისევ ინებებს თუ არა განგება ჩვენი გზების გადაკვეთას, მე კი უნდა ავუხსნა, რომ მასავით არავინ მჭირდება და რომ მისთვის არც იმ დამპალ გიგისთან მიღალატია, იმ საღამოს...“

დათო ადგა და ისე გავიდა დარბაზიდან, რომ უკან ერთხელაც არ მოუხედავს. არა, ამის დაშვება არ შეეძლო. წამოდგა, დანახარჯის ფული მაგიდაზე დააგდო და გასასვლელისკენ ლამის გაიქცა. წინ ოფიციანტი გადაუდგა და შეაჩერა:

— სად გეჩქარებათ?! თანაც, ხურდა გეკუთვნით!

— არ მინდა, მეჩქარება! — მისი გზიდან ჩამოშორება სცადა ანამ, მაგრამ ვერ შეძლო.

— დათომ გთხოვათ, რომ მისი მოძებნა არც სცადოთ! — ჩასჩურჩულა ყურში ოფიციანტმა. დაბნეული ანა ადგილს მიელურსმა.

— თქვენ მას იცნობთ?! — მაჯაზე ხელი წაავლო ქალს.

— რა თქმა უნდა, არა! — გაუღიმა მომხიბლავმა ოფიციანტმა და მერე, ბოდიშის მოხდით, სწრაფად გაეცალა, რადგან შეზარხოშებულმა სტუმრებმა რომელიღაც მაგიდასთან უხმეს.

ქუჩაში სიცარიელე იყო. ანას ახლა მარტოობა აღარ უნდოდა, ეს აღიზიანებდა კიდეც.

დისკოთეკისკენ გასწია, სადაც ასე თუ ისე, ხალხმრავლობა იყო. ახალგაზრდებისთვის, როგორც ჩანს, ყოველთვის გართობის სეზონია, მით უმეტეს, ისეთ ქალაქში, როგორიც ბათუმია.

დარდს როგორმე უნდა გაჰქცეოდა, თორემ ალბათ, შეიშლებოდა. ამიტომაც, მოცეკვავეთა წრეში შეიჭრა და გიჟური როკვა დიწყო. ცოტა ხანში სცენაზე ახტა,

„გოუ-გოუ“ გოგონების წრეში ჩადგა და მალე, ისე დასცხა, რომ ჯინსის მოკლე ქურთუკი გაიხადა; ტოპიდან მოშიშვლებული მხრები და მუცელი გამოუჩნდა და უცებ მიიპყრო საზოგადოების ყურადღება.

როცა სცენიდან ჩამოდიოდა, მას დაცვის ბიჭი მიუახლოვდა და გვერდზე გაიყვანა:

— თურქი სტუმრები გვყავს. ჰოდა, ერთს ძალიან მოეწონეთ, ერთ ღამეში ათას დოლარს გადაგიხდით!..

— ორი ათასზე ნაკლებად არ დავთანხმდები! — ირონია გაურია ხმაში ანამ, რასაც კუნთებიანი მუტრუკი აშკარად ვერ მიუხვდა:

— ალბათ, არ იტყვის უარს, მოველაპარაკები! — თქვა და იმ მაგიდისკენ წავიდა, სადაც სამი ორმოციოდე წლის მამაკაცი უჯდა სუფრას.

ლამაზები კი არიანო! — გულში გაიცინა ანამ, მაგრამ იქვე შეუკურთხა სამივეს: „უხ, თქვენი ნაბოზარი დედები, ქართველ ქალს ამდენს რომ უბედავთ!“

რა თქმა უნდა, დაცვის ბიჭის აღარ დაელოდა, დისკოთეკიდან გამოვიდა და ზღვისკენ აიღო გეზი. ძაღლი აეკიდა, რომელიც სულაც არ ჰგავდა მანანწალას და ამიტომ, შიში არც უგრძნია, პირიქით — ალერსიანად დაუყვავა ცხოველს, მერე კი გაიქცა. ძაღლიც გაედევნა. მათ კარგა ხანს ითამაშეს სანაპიროზე.

— ვერც ერთი სულიერი ასე ვერ მასიამოვნებდა! — თქვა ანამ, რომელიც პირუტყვს მიეფერა და შემდეგ, მადლიერების ნიშნად გზისპირა კაფეში ფუნთუშებიც უყიდა.

■

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ნაზი ჯაფარიძის ინტერლოქი, სულმოუთქმელად წაკითხული წიგნები და...

„თქვენი რუბრიკა ძალიან მომწონს, საკმაოდ მრავალფეროვანი კითხვები გაქვთ, მაგრამ ძალიან რთული", — გვითხრა პარლამენტარმა ნაზი არეშიძემ, როცა მას ტელეფონით დავუკავშირდით და „ერუდიტში" სტუმრობა ვთხოვეთ. ქალბატონი ნაზი „რთულ კითხვებს" არ შეუშინდა და ინტერვიუსთვის პარლამენტში მიგვიპატიჟა. როგორც შეხვედრის დროს გვითხრა, ყველაზე აქტიური მკითხველი მოსწავლეობის და სტუდენტობის პერიოდში ყოფილა. წიგნებს ღამის 3-4 საათამდე სულმოუთქმელად კითხულობდა. მისი საყვარელი მწერლები — კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, გოეთე და ბალზაკი არიან, საყვარელი პოეტი — გალაკტიონი. წუხს, რომ თანამედროვე ლიტერატურის კითხვას მოუცლელობის გამო ვერ ახერხებს. ყველაზე მეტჯერ კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი" და სხვა ნაწარმოებები აქვს წაკითხული. ხელმეორედ წიგნის წაკითხვას, ერთხელ მოსმენილი სიმღერის კვლავ მოსმენას ადარებს და ამბობს, რომ ნაცნობ პერსონაჟებთან შეხვედრა სიამოვნებს.

თამუნა კვინიკაძე

— „ბიბლიური" თქმულების თანახმად, რამდენი დღე-ღამის განუწყვეტელმა წვიმამ გამოიწვია მსოფლიო წარღვნა?

— როგორც მახსოვს, გადაუღებლად 40 დღე-ღამის განმავლობაში წვიმდა. ასეა?

— დიახ. სენა, ტიბრი, ხუანხე — მათგან რომელი არ გადის ქვეყნის დედაქალაქზე?

— სენა და ტიბრი რომ ქვეყნების დედაქალაქებზე გადის, ნამდვილად ვიცი. სწორი პასუხია ხუანხე.

— ექიმების აზრით, ეს ხელს უშლის კარიესის წარმოქმნას, აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას, აყოვნებს სიბერეს, ამაღლებს ცხოვრების ტონუსს. — რა აქვთ ექიმებს მხედველობაში?

— ზუსტად ვერ გეტყვით. ალბათ, მცირე დოზით ღვინის მიღება.

— ცდებით. ასე ექიმები კოცნის შესახებ ამბობენ. რას ნიშნავს „შტრაუსი" გერმანულად?

— ვერ გეტყვით.

— სირაქლემას. რამდენი წელი გაატარა ედმონ დანტესმა ციხეში?

— 14 თუ 15 წელი.

— 14 წელი. რა ერქვა სერვანტესის დონ კიხოტის ცხენს?

— როსინანტი. პასუხში დარწმუნებული ვარ.

— ყველაზე ძველი გლობუსი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, გამოშვებული იყო 1492 წელს. მას ორი დიდი ხინჯი ჰქონდა. დაასახელეთ ეს ორი ხინჯი.

— (*ფიქრობს*) გამოტოვებული იყო ანტარქტიდა და ავსტრალია?

— დიახ. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, პეგასი ფრთოსანი რაში იყო, რის სიმბოლოდ მიიჩნეოდა იგი?

— არ ვიცი.

— მიგანიშნებთ, მას პოეზიასთან ჰქონდა კავშირი.

— პოეტური შთაგონების სიმბოლოდ?

— დიახ. ვინ იყო ბაგრატიონთა სამეფო დინასტიიდან ერთიანი საქართველოს პირველი მმართველი? აქვე გეტყვით, რომ იგი 1001-1014 წლებში მეფობდა.

— ბაგრატ III.

— დავით გურამიშვილი ტყვეობაში 2-ჯერ იყო ნამყოფი. პირველად — დაღესტანში, როცა ლეკებმა მოიტაცეს. სად გაატარა მან მეორე ტყვეობა?

— ედინბურგის ციხეში.

— რომელ ქვეყანაში მდებარეობს ეს ციხე?

— (*ფიქრობს*)

— პრუსიაში. ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ, 1814 წელს მოკავშირეთა ჯარები პარიზში შევიდნენ. ტახტიდან გადამდგარი ნაპოლეონი კუნძულ ელბაზე გადაასახლეს, მაგრამ იგი 1815 წელს პარიზში ჩავიდა და ხელისუფლების აღდგენა მოახერხა. რამდენ ხანს იყო ამჯერად ნაპოლეონი იმპერატორის ტახტზე?

— ძალზე ცოტა ხანს. დაახლოებით 3 თვის მანძილზე.

— ზუსტად 100 დღე. რა ჰქვია ბრტყელ ზედაპირზე ამობურცულ სკულპტურულ გამოსახულებას?

— ბარელიეფი.

— თუ იცით მწერლის სახელი და გვარი, რომლის ფსევდონიმი იყო ვოლტერი?

— ვერ გიპასუხებთ.

— მარი ფრანსუა არუე. რა ჰქვია მეცნიერებას მწერების შესახებ?

— ენტომოლოგია.

— რომელ კომპოზიტორს აქვს დაწერილი ყველაზე მეტი ოპერა?

— ვერ გეტყვით.

— ალექსანდრ სკარლატის. ვინ იყო პეტრე II, პეტრე I-ისთვის?

— შვილიშვილი.

— რას ეძახიან პიგმენტაციის არმქონე ადამიანს?

— ამ კითხვაზე პასუხი ნამდვილად ვიცი, ვეღარ ვიხსენებ (*ფიქრობს*)... ალბინოსი.

— ვინ არის ავტორი ქანდაკებისა „ქართვლის დედა"?

— ელგუჯა ამაშუკელი.

— რომელი ქართველი მეფე მოკლეს ეკლესიაში?

— სამწუხაროდ, ვერ ვიხსენებ.

— აშოტ კურაპალატი. რას ნიშნავს ბერძნული სიტყვა „დემოკრატია"?

— ხალხის მმართველობას.

— ძველი დროის რომელ სახელგანთქმულ მხედართმთავარს ეკუთვნის სიტყვები: „ვენი, ვიდი, ვიცი"?

— „მიველ, ვნახე, დავამარცხე", — ეს სიტყვები იულიუს კეისარმა წარმოთქვა.

— ვინ დაწერა „ვაზის ყვავილობა"?

— კონსტანტინე გამსახურდიამ.

— რომელი ფრანგი კომპოზიტორი იბრძოდა პირველ მსოფლიო ომში მოხალისედ?

— არ ვიცი.

— მორის რაველი. რომელი ციური სხეულის სინონიმია ცხრათვალა?

— არც ეს ვიცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

44 წელი სცენაზე
გენო ნადირაშვილი 70 წლისაა

ლეგენდარული ანსამბლი „ორერა", რამდენიმე ათწლეულის წინ, უცხო ენათა ინსტიტუტში ჩამოყალიბდა. 1961 წელს კი, როგორც პროფესიონალური ანსამბლი, პირველად წარდგა მაყურებლის წინაშე. მას შემდეგ „ორერა" სცენაზე აქტიურ მოღვაწეობას შეუდგა და ქართული ქსტრადის მოყვარულებისთვის უამრავი სიხარული აქვს მინიჭებული. ცოტა ხნის წინ, ამ ანსამბლის უცვლელ წევრს — ბატონ გენო ნადირაშვილს 70 წელი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში საიუბილეო საღამო გაიმართა, რომელსაც „პაწაწინა სამოთხე" უწოდეს. ინტერვიუ ბატონ გენოსთან კონცერტის წინ ჩავიწერეთ.

„როგორც იტყვიან, გული არ ბერდება"...

მარეხ ჭონიშვილი

— ამ საიუბილეო კონცერტის ჩატარება თავიდან, 29 ივნისს, ჩემს დაბადების დღეს გვინდოდა, მაგრამ ხალხი ქალაქიდან იყო გასული და შემოდგომისთვის გადავდეთ. საერთოდ, არ მიყვარს დაბადების დღის აღნიშვნა, მაგრამ მეგობრების დაჟინებული მოთხოვნით, პირველად ვაწყობ ჩემს საიუბილეო კონცერტს. აი, ანსამბლის საიუბილეო თარიღებს კი დიდი სიამოვნებით აღვნიშნავდით ხოლმე.

— კონცერტის წინ ხომ არ ნერვიულობთ?

— სცენაზე გამოსვლის წინ, ყოველთვის ვნერვიულობ, განსაკუთრებით ახლა. ძალიან საპასუხისმგებლო საღამოა. როგორც ვიცი, პრეზიდენტმა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ გამოთქვეს მოსვლის სურვილი. ასევე სტუმრებს ველოდებით პარიზიდან, მოსკოვიდან, ლონდონიდან.

— რამდენი ხანია, რაც ქართველი მსმენელის წინაშე არ გიმღერიათ?

— 4 წელია, რაც ქართველი მსმენელის წინაშე არ გამოვსულვართ, დიდი დროა და ამიტომაც ვნერვიულობ; თან, დღეს საზოგადოებას კონცერტისთვის, ვფიქრობ, ნაკლებად სცალია, რადგანაც უამრავი საზრუნავი და სადარდელი აქვს.

— „ორერას" გარდა, კონცერტზე კიდევ ვინ იმღერებს?

— ჩვენი მეგობრები: ნანი ბრეგვაძე, თემურ წიკლაური, ნეკა სებისკვერაძე, მერაბ სეფაშვილი, ვაჟა დურგლიშვილი, ვაჟა აზარაშვილი. ამ კონცერტზე ასევე ტრადიციულად ფრენკ სინატრას 5 სიმღერას შევასრულებ.

— როგორც ვიცი, „ორერას" ახალი წევრები ჰყავს...

— დიახ. „ორერაში" ახალი წევრები გვყავს, რომლებიც ჩვენს გზას გააგრძელებენ. ძველი თაობიდან მხოლოდ მე და თემურ დავითაია დავრჩით; დროა, ასპარეზი ახალგაზრდებს დავუთმოთ.

— როგორ შეარჩიეთ ეს ახალგაზრდები?

— რთული იყო არჩევა. თუმცა ამ ახალგაზრდებს ანსამბლში მოხვედრა არ გასჭირვებიათ, იმიტომ რომ ისინი ჩვენს სიმღერებზე იყვნენ აღზრდილები. ჩვენი მოთხოვნა მათ მიმართ ერთია, შეინარჩუნონ „ორერას" სტილი, მიმართულება, მანერა და ნამდვილი ქართული საესტრადო სიმღერები შეასრულონ. ანსამბლის ხელწერისა და კვალის წაშლა, ვფიქრობ, არ შეიძლება.

— ანსამბლის წევრად გოგონას აყვანასაც ხომ არ აპირებთ?

— ნანი ბრეგვაძის გარდა, ჩვენს ანსამბლს ქალბატონი არ ჰყოლია და არც ეყოლება. ნანი ხომ განუმეორებელია. მას ჩვენ ხელისგულზე ვატარებდით და დედოფალივით გვყავდა. 6 ბიჭი ვიყავით და ამიტომ, მასაც მამაკაცის სახელს — ჯანიკოს ვეძახდით. ის კი ზოგს ქეთინოს, ზოგს თამრიკოს გვეძახდა.

სცენაზე გამოსვლის წინ, ყოველთვის ვნერვიულობ (გენო ნადირაშვილი სოსო პავლიაშვილთან ერთად)

— თუ შეგიძლიათ, მითხრათ, სულ რამდენი კონცერტი გაქვთ ჩატარებული?

— „ორერა" 47 წლისაა, მე 44 წელია, რაც ამ ანსამბლის წევრი ვარ. ეს ჩემთვის დიდი პატივია და ვამაყობ ამით! რაც შეეხება კონცერტებს, ნამდვილად არ მახსოვს, მაგის დათვლა შეუძლებელია. ჩვენ განებივრებულები ვიყავით და ზოგჯერ, დღეში 4 კონცერტის ჩატარებაც კი გვიხდებოდა. 1972-91 წლებში ჩვენი 300 მილიონი ფირფიტაა გაყიდული. მოსკოვში კი ჩვენი 3 დისკი გამოუშვეს.

— სოლო დისკი თუ გაქვთ?

— ახლახან გამოვიდა ჩემი დისკი, მასში 24 სიმღერაა შესული: 8 ქართული, 8 რუსული და 8 ინგლისური. მარტო ჩემი სიმღერებია და რამდენიმეა, რომელსაც „ორერასთან" ერთად ვასრულებ. ამ დისკის პრეზენტაცია ფილარმონიაში ჩემს საიუბილეო კონცერტზე გაიმართება.

— თქვენს შემოქმედებაში, რომელი ეტაპი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი?

— ჩემს შემოქმედებაში ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი თარიღია. 4 წლის წინ, ლონდონში ჩავატარეთ კონცერტი, იქაურმა პრესამ კი ჩვენ შესახებ დაწერა: 4 ქართველი ლორდი ძმა გამოვიდა სცენაზეო. ეს შეფასება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი და სასიამოვნო იყო. ქუჩაში რომ გავდიოდით, ხალხი გვცნობდა და გვესალმებოდა. 1964 წელს კი, „ბიტლებს" უნდა შევხვედროდით. ჩვენ ლონდონში ჩავედით, მაგრამ ისინი ლივერპულში გაემგზავრნენ და ჩვენი შეხვედრა არ შედგა. მაგრამ წერილი დაგვიტოვეს, სადაც

ბოდიშს იხდიდნენ იმის გამო, რომ გამგზავრება მოუხდათ და ვერ მოახერხეს ჩვენთან შეხვედრა. ეს წერილი შენახული გვაქვს. ახლო მომავალში, ვაპირებთ, რომ „ორერას“ მუზეუმი გავხსნათ და ეს წერილი ექსპოზიციაში საპატიო ადგილს დაიკავებს.

— როგორც ვიცი, რეგიონებშიც აპირებთ კონცერტების ჩატარებას...

— ქალაქის მერიამ გამოთქვა სურვილი და ჩვენც გვინდა, რომ ამ კონცერტით მთელი საქართველო შემოვიაროთ, მაგრამ ხალხი რამდენად მოვა, არ ვიცი. დღეს საქართველოს მოსახლეობა მძიმე მდგომარეობაშია, ხალხს უჭირს და ეს მაშინებს. თან, ცოტა დავავიწყდით კიდეც მსმენელს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ გაგვიხსენებენ და გაუხარდებათ ჩემთან და თემურ დავითაიასთან შეხვედრა.

— ცხოვრებას თავიდან რომ იწყებდეთ, რაიმეს ხომ არ შეცვლიდით?

— ბედნიერი ვარ, რომ ამ ანსამბლში ვმოღვაწეობ და აბსოლუტურად არაფერს შევცვლიდი. ბევრი რამ განვიცადე, ვიწვალე, ბევრი სასიამოვნო წუთიც მქონდა — ეს ჩემი ცხოვრებაა და ჩემი განვლილი გზით, კმაყოფილი ვარ.

— დღეს ე.წ. ფანები თავიანთ კერპებს ტელეფონით მესიჯებს უგზავნიან, ურეკავენ. თქვენ დროს, როგორ ურთიერთობდნენ გულშემატკივრები და თაყვანისმცემლები თქვენთან?

— გვირეკავდნენ, წერილებსაც გვიგზავნიდნენ. ძალიან სასიამოვნოა, როცა სურვილს გამოთქვამენ, რომ შეგვხვდნენ, გაგიცნონ, ეს იმას ნიშნავს, რომ ის შენ გისმენს და შენი სიმღერები უყვარს. თუმცა, ამის გამო, ჩვენი ცოლები ხშირად ეჭვიანობდნენ.

— ბატონო გენო, შემოქმედისთვის 70 წელი ბევრია?

— როგორც ამბობენ, გული არ ბერდებაო. ბევრი ნამდვილად არ არის.

— როგორ ფიქრობთ, რაში მდგომარეობს თქვენი პოპულარულობის საიდუმლო?

— „ორერამ“ თავისი განსაკუთრებული სტილი შექმნა. ასევე განვსხვავდებით შესრულების მანერით. სიმღერებს ყოველთვის ცოცხლად ვასრულებთ.

— გინესის რეკორდების წიგნში როდის შეხვალთ, როგორც ყველაზე ხანდაზმული ანსამბლი?

— საბუთებია მოსაგროვებელი, რომ გინესის რეკორდების წიგნში შევიდეთ. როგორც ვიცი, კულტურის სამინისტროში მიდის ამაზე მუშაობა და ვნახოთ. ■

ნიკა არაბიძის საცოლე აუცილებლად ჭიქა უნდა იყოს

„ეს საკითხი ჩემი ოჯახის წევრებს ძალიან აღელვებთ...“

„ამდენი ხანი იმიტომ არ დავოჯახდი, რომ ოჯახის რჩენა დამოუკიდებლად არ შემეძლო“, — მითხრა „COMEDY შოუს“ ერთ-ერთმა აქტიურმა სახემ — ნიკა არაბიძემ, რომელიც ცოლის მოყვანასა და ოჯახის შექმნაზე უკვე სერიოზულად ფიქრობს.

ამასთან, ნიკა შეგვეჩრდა, რომ გოგონას, რომლის მესიჯი თუ შეკითხვა ყველაზე მეტად მოეწონება, აუცილებლად შეხვდება და შესაძლოა, თქვენ მისი გულის დაპყრობაც შეძლოთ.

სოფო ჭონიშვილი

— ნიკა, პირველ რიგში, შენი ოჯახი გაგვაცანი.

— როგორც ყველა ადამიანს, ოჯახი მეც მაქვს. ჩემი ოჯახის წევრები არიან: დედა, ძმა, რძალი და პატარა ძმისშვილი. დედა, პროფესიით პედაგოგია და სკოლაში ქიმია-ბიოლოგიას ასწავლის. სხვათა შორის, ის ჩემი მასწავლებელიც გახლდათ და კლასიდან პირველად სწორედ მან გამაგდო.

— რატომ? რა დააშავე?

— ჩემ უკან მჯდომმა, შუა გაკვეთილის დროს ქინძისთავი მიხჩვლიტა და მეც, სიმწრისგან ხმამაღლა ვიყვირე, რის გამოც დედამ დამსაჯა — გარეთ გამაგდო.

— მამაზე რას გვეტყვი?

— მამა გარდამეცვლა. ის პროფესიით ინჟინერი იყო... დედა ამჟამად, სოფელში ცხოვრობს. თქვენ გგონიათ, მე ქუთაისელი ვარ? — არა, მთლად ქუთაისელიც არა ვარ, თერჯოლაში მაქვს სახლი. ამჟამად, ჩემი ძმა რუსეთშია.

— რამდენი წლის ხარ?

— თქვენ რამდენს „მომცემდით“? ჰო, კარგი კარგი, ნუ ფიქრობ ამდენს, 34 წლის ვარ.

— ბედისწერის თუ გჯერა?

— როგორ არა?! სხვათა შორის, ჰოროსკოპისაც მჯერა, მით უმეტეს, თუ კარგი რაღაცები წერია ჩემს ნიშანზე; აი, ცუდის დაჯერება კი ძალიან მიჭირს...

— ნათქვამია, უნაკლო ადამიანი არ არსებობსო. შენს ნაკლად რას მიიჩნევ?

— ცოტა არ იყოს, ჯიუტი ვარ და ზოგჯერ გაბრაზებაც მჩვევია.

— გაბრაზებას როგორ გამოხატავ?

— ვიბოღმები და ბუზღუნს ვიწყებ. ახლობელმა ან მეგობარმა თუ გამაბრაზა, ეს ამბავი მალე მავიწყდება, მაგრამ უცხომ თუ მაწყენინა, მტრისას...

— მუშტზე გადადიხარ?

— მგონი, მაგ ასაკში აღარ ვარ, რომ მუშტი-კრივი მიზიდავდეს. მსგავს რაღაცებს სტუდენტობის პერიოდში ვაკეთებდი. თან, ქუთაისში ვსწავლობდი, იქ კი მოგეხსენებათ, რომ ყოველი მეორე „ძველბიჭობას“ აწვება. ხშირად მიჩხუბია. სხვათა შორის, ბევრჯერ მეც „გავძუნულვარ“. ახლა, ასეთ სიტუაციებს ვერიდები.

— რას ვერ ეგეუები?

— ოო... აზარტული ვარ და საშინლად არ მიყვარს წაგება.

— ისე, ხშირად იგებ?

— მიმაჩნია, რომ ცხოვრებაში ყოველთვის მიმართლებს, მაგრამ კაზინოში იშვიათად დავდივარ.

— მოდი, შენს თაყვანისმცემლებს თავი მოაწონე და საკუთარ დადებით თვისებებზე გვითხარი რაიმე.

— ჩემს ერთ-ერთ საუკეთესო თვისებად ის მიმაჩნია, რომ უზომო სიყვარული შემიძლია. უზომოდ მიყვარს ოჯახის წევრები, მეგობრები, ახლობლები და ყველა ის ადამიანიც კი, ვისთანაც ელემენტარული რაღაც მაკავშირებს. ჩამოყალიბებული ადამიანი ვარ.

— უზომო სიყვარული თუ შეგიძლია, ამდენი ხანი დაუოჯახებელი რატომ ხარ?

— ახლა, დედაჩემი რომ გისმენდეს, შენი კითხვა ძალიან მოეწონებოდა, რადგან ეს საკითხი, ოჯახის წევრებს ძალიან აღელვებთ; ჩემს დაუოჯახებლობას საოცრად განიცდიან. ცოლი იმიტომ არ მოვიყვანე, რომ ოჯახის დამოუკიდებლად რჩენის საშუალება არ მქონდა. ოჯახის შექმნა ძალზე დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს.

— მაგრამ, როცა უზომოდ შეყვარებული ხარ, ამ ყველაფერს ნაკლებად აქცევ ყურადღებას...

— მართალი ხარ, გეთანხმები.

— ეტყობა, შეყვარებული არასდროს ყოფილხარ, არა?

— კი. ვყოფილვარ, მაგრამ რატომღაც ამ სიყვარულს ცუდი დასასრული ჰქონდა.

— დედას, შენ გამო მაჭანკლები არ აწუხებენ?

— სხვათა შორის, ასეთი რაღაცები ხშირად მესმის. დედაჩემთან ვიღაცები მიდიან და ეუბნებიან: ისეთი კარგი გოგოა, როგორც კი შეეხედე, იმ წუთში შენი ნიკასთვის მომეწონაო (*იცინის*).

— ამ ყველაფერზე შენ რა აზრის ხარ?

— ცოლის მოყვანის ამგვარი ფორმა ჩემთვის მიუღებელია. ეს ყველაფერი არასერიოზულია. მჯერა, ჩემს მომავალ მეუღლეს თავადვე გავიცნობ და ჩვენს ურთიერთობაში მესამე პიროვნება ზედმეტი იქნება.

— ამჟამად, რა ხდება შენს გულში?

— მომავალ სიყვარულზე ვფიქრობ. მაგრამ სიმართლე გითხრა, ამ თემაზე ფიქრისთვის, ბევრი დრო ნამდვილად არ მაქვს.

— ნიკა, როგორი გოგონები მოგწონს?

— კარგები.

— უფრო კონკრეტულად?

— მნიშვნელობა არა აქვს, შავგვრემანი იქნება თუ ქერა. მთავარია, გოგო ჯერ გარეგნულად მომეწონოს, შემდეგ კი მის ადამიანურ თვისებებს შევაფასებ. შეიძლება, ბანალურ რაღაცას ვამბობ, მაგრამ ასეა.

— როგორი გოგო მიიქცევს შენს ყურადღებას — ისეთი, რომელიც

ცუდს ვერაფერს ვხედავ იმაში, თუ მანდილოსანი, ჩემი გულის დასაპყრობად თავად იაქტიურებს

შენი გულის მოსაგებად ყველაფერს გააკეთებს, თუ რომლის გულის მოსაგებადაც საგმირო საქმეების კეთება თავად მოგიწევს?

— ორივე შემთხვევა გამართლებულია. ცუდს ვერაფერს ვხედავ იმაში, თუ მანდილოსანი, ჩემი გულის დასაპყრობად თავად იაქტიურებს. თუმცა მიმაჩნია, რომ პირველი ნაბიჯის გადადგმა, მაინც მამაკაცის მოვალეობაა. რაც შეეხება საგმირო საქმეების კეთებას, ამას შეძლებისდაგვარად მოვახერხებ, თუმცა ქაჯეთის ციხის აღებას, ვფიქრობ, რომ ნამდვილად ვერ შევძლებ.

— როგორ ფიქრობ, რომანტიკოსი ხარ?

— სიყვარული ადამიანს ბევრ სისულელეს აკეთებინებს. ვფიქრობ, რომანტიზმიც სიყვარულთან ერთად მოდის და ყველა შეყვარებული ადამიანი რომანტიკოსია.

— მანდილოსნისთვის ყვავილების ჩუქება თუ გიყვარს?

— სიმართლე გითხრა, ეს პროცესი მაინცდამაინც დიდ სიამოვნებას არ მანიჭებს. რატომღაც, ყვავილების ხელში დაჭერა მეუხერხულება. მაგრამ ახლა, როცა საკუთარი მანქანა უკვე მყავს, თუ მეცოდინება, რომ საყვარელ ადამიანს ყველაფერზე მეტად, ყვავილები გაახარებს, მათ ავტომობილის სალონში ჩავაწყობ და ისე მივართმევ.

— თუ იცი, გოგონას რა ყვავილი უნდა აჩუქო?

— ალბათ, ვარდი... მიხაკს სიდედრს მივართმევ.

— რატომ?

— არა, ვხუმრობ, თორემ სიდედრს რას ვერჩი, სიდედრიც ხომ ადამიანია (*იცინის*)?!

— დედაშენს როგორი სარძლო უნდა?

— დედაჩემი მიიღებს და შეიყვარებს იმას, ვინც მე მეყვარება. ოღონდ, ჩემი რჩეული აუცილებლად გოგო უნდა იყოს (*იცინის*).

— განათხოვარ გოგოს ცოლად თუ მოიყვანდი?

— რატომაც არა?! ყოველ შემთხვევაში, გამორიცხული არაფერია.

— დედაშენი როგორ მიიღებდა განათხოვარ რძალს?

— ამ თემაზე დედათან არასდროს მილაპარაკია და შესაბამისად, მისი აზრიც არ ვიცი. ისე, განათხოვარი გოგო რატომ უნდა მოვიყვანო?! უპირატესობას, გაუთხოვარ გოგონას მივანიჭებ.

— „აზიატი" ხარ?

— მთლად „აზიატი" არა ვარ. ქართულ ტრადიციულ ოჯახში გაზრდილი გახლავართ და ამიტომაც, ქართული ტრადიციები ჩემში ყველაფერზე მაღლა დგას. არც ისეთი „აზიატი" ვარ, რომ მეუღლეს მოკლე კაბის ან დეკოლტირებული მაისურის ჩაცმა ავუკრძალო, მით უმეტეს, თუკი მოუხდება.

— გულახდილად მითხარი, ოდესმე ისეთ მეუღლეზე თუ გიოცნებია, რომელსაც იმდენი ფული და ქონება ექნებოდა, რომ მთელი ცხოვრება უზრუნველად გაცხოვრებდა?

— სხვათა შორის, მქონდა იმის საშუალება, რომ ვიღაცის ხარჯზე უზრუნველად და ბედნიერად მეცხოვრა, მაგრამ ეს არ გამიკეთებია. ვფიქრობ, მსგავსი რამ მამაკაცისთვის შეურაცხმყოფელია.

— შენს მეუღლეს მზითვში რა უნდა მოჰყვეს?

— მთლად შიშველ-ტიტველი ნუ წამოვა და სხვა არაფერი მინდა.

— მზითვში ვგულისხმობ ავეჯს, ჭურჭელს, ქვეშაგებს...

— მისი არაფერი მინდა, ყველაფერს ჩემით ვიყიდი. ისე, თუ რამეს მოიტანს, ნამდვილად არ გადავყრი.

— საოჯახო საქმის კეთება თუ გეხერხება?

— აქ, თბილისში, ქუთაისელი ბიჭები ერთად ვცხოვრობთ და ყველაფრის გაკეთება თავადვე გვიწევს — საჭმელსაც ვამზადებთ, სახლსაც ვალაგებთ და ვრეცხავთ კიდეც. ოღონდ, ჯინსების რეცხვა არ მიყვარს, ხელებს „გაღლიტავს". როგორც კი ცალკე ბინაში გადავალ, პირველ რიგში, სარეცხი მანქანა უნდა ვიყიდო.

— გემრიელ კერძებს ამზადებ?

— რა ვიცი, აბა?! კარტოფილსაც კარგად ვწვავ და კვერცხსაც. სხვათა შორის, აჯაფსანდალიც გემრიელი გამომდის.

— თუ მიაქცევ ყურადღებას იმას, როგორი დიასახლისი იქნება შენი რჩეული?

— ამას გადამწყვეტ მნიშვნელობას არ მივანიჭებ. თუ არ ეცოდინება, არა უშავს, ვასწავლი. მთავარი სიყვარული და პატივისცემაა. დიასახლისობა მეორეხარისხოვანია. ბოლოს და ბოლოს, აჯაფსანდალის გაკეთებას მაინც ვასწავლი.

— თქვი, რომ ქართული ტრადიციები მოგწონს. ალბათ, ცოლსაც ტრადიციული წესების დაცვით მოიყვან, არა?

— აბა, რას ვიზამ?! ქუთაისში, დიდ დარბაზში, ვეებერთელა სუფრას გავშლი, სუფრის თავში კაი მსმელ თამადას დავაყენებ და კარგადაც მოვილხენთ. სხვათა შორის, თამადა უკვე შერჩეული მყავს.

— ისეთი ცეკვა თუ იცი, ქორწილში მაყრიონს თავი რომ მოაწონო?

— სუხიშვილებში არ ვცეკვავდი, მაგრამ სხვა ანსამბლში დავდიოდი. მოსკოვშიც ვყოფილვარ, გასტროლებზე და მედალიც მაქვს მიღებული.

— სიდედრს როგორ მიმართავ?

— მთლად დედა-დედიკოს ვერ დავუძახებ, მაგრამ ალბათ, ქალბატონოთი ან მამის სახელით მივმართავ.

— ცოლმა რომ გთხოვოს, დედაჩემს დედა დაუძახეო, როგორ მოიქცევი?

— ძალიან გთხოვ, ჩამჭრელ კითხვებს ნუ მისვამ.

— შენმა ცოლმა რომ არ დაუძახოს დედაშენს დედა, როგორი რეაქცია გექნება?

— დაუძახებს, აუცილებლად დაუძახებს დედას. ჩემმა მეუღლემ, ჩემს სურვილებს პატივი უნდა სცეს.

— კიდევ, რითი მოაწონებ თავს შენს თაყვანისმცემლებს.

— დავამატებ იმას, რომ მყავს მანქანა — „ოპელ ასტრა" (*იცინის*). „ასტრაში" რომ ზიხარ და „მალბოროს" ეწევი, მაგრად „ასწორებს".

— დაბოლოს, პროფესიით ვინ ხარ?

— ინჟინერ-პოლიგრაფისტი. გადასარევად კარგი სპეციალობა მაქვს და რომელიმე სტამბის დირექტორი უნდა ვყოფილიყავი (*იცინის*), მაგრამ ხელი შემეშალა. ჩემი პროფესიით არასოდეს მიმუშავია — საინჟინრო კარიერა, მხოლოდ პრაქტიკით შემოიფარგლა.

P.S. იაქტიურეთ გოგონებო! აი, ასეთი ჰერსპექტიული კომუნიკაბელური და ოჯახის შესაქმნელად მონდომებული „სასიძო" წარმოგიდგინეთ. მაშ ასე, გამოგზავნეთ მესიჯები და კითხვები ნომერზე: 8 (98) 23.09.21. წარმატებებს გისურვებთ!

■

ვაპატიოთ თუ არა მეუღლეს ღალატი

სტატისტიკა ცხადყოფს, რომ უმეტესწილად, ოჯახები ღალატის ნიადაგზე ინგრევა.

ვინც არ უნდა მოგვევლინოს მოღალატედ, ცოლი თუ ქმარი, გაყრის უსიამოვნო პროცესი, მისი თანმდევი მოვლენებით, მტკივნეულად აისახება ოჯახის თითოეულ წევრზე. შესაძლებელია თუ არა ღალატის პატიება, ასეთ შემთხვევაში, ღირს თუ არა ბრძოლა ოჯახის შესანარჩუნებლად და რა განაპირობებს მყარ ცოლქმრულ ურთიერთობას? — ამ კითხვებზე მსახიობი ნანა შონია გაგვცემს პასუხს, მანამდე კი გვინდა, იმ ადამიანების გულისტკივილი გაგიზიაროთ, რომელთაც ამის სურვილი თავად გაუჩნდათ.

ანუ რის ფასად გვიჯდება ოჯახის შენარჩუნება

ემა ტუხიაშვილი

ანა, *30 წლის:*

— მე და გიამ ოჯახი სიყვარულით შევქმენით. ჩემი მომავალი მეუღლე საერთო მეგობრების წრეში გავიცანი, მერე კი ერთმანეთი შეგვიყვარდა და გვეგონა, ვერაფერი დაგვაშორებდა. გიას თბილისში ბინა არ ჰქონდა და ამიტომაც, შეუღლების შემდეგ, საცხოვრებლად ჩემს სახლში გადმოვიდა. ჩემს მშობლებს არასდროს მიუციათ მისთვის საბაბი, რომ ოჯახში თავი უცხოდ ეგრძნო. მით უფრო, რომ დედისერთა გახლავართ და მშობლების ბინაში შემცილებელი არავინ მყავს. ის კი არა და, ჩვენი შეუღლებიდან ცოტა ხანში, სოფლიდან დედამისიც ჩამოვიყვანეთ — შეგვეცოდა, რადგან იქ მარტო ცხოვრობდა (გიას მამა გარდაცვლილი ჰყავს). მოკლედ, ვცხოვრობდით ერთად და ჩვენი სიამტკბილობა ყველას უკვირდა. უზომოდ ბედნიერი ვიყავი. იმდენად ბედნიერი, რომ ზოგჯერ, მეშინოდა კიდეც: ვაითუ, ეს უსაზღვრო ბედნიერება რაიმე ცუდის დასაწყისია-მეთქი. მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ჩემი შიში უსაფუძვლო იყო... ნინიკოზე რომ ვიყავი ორსულად, გიას ფაქტობრივად, ხელში აყვანილი დავყავდი. ყოველი დილა იმით იწყებოდა, რომ ჩემთვის საწოლში მოჰქონდა რძე და ხილი, რათა ფეხზე წამოდგომისას ტოქსიკოზს არ შევეწუხებინე; მთელი დღის განმავლობაში მირეკავდა სამსახურიდან, რათა გაეგო, როგორ ვგრძნობდი თავს, ვისადილე თუ არა, ხომ არ დამავიწყდა წამლის დალევა და ა.შ. საღამოს, დაღლილ-დაქანცულიც რომ მოსულიყო სამსახურიდან, სუფთა ჰაერზე სასეირნოდ მაინც წამიყვანდა და არც ჩემი საყვარელი ნაყინის ყიდვა ავიწყდებოდა. ნინიკო რომ შეგვეძინა, მის ზრუნვასა და სიყვარულს გაათმაგებულად ვგრძნოდი. ბავშვმა ჩვენი ცხოვრება კიდევ უფრო გაალამაზა და შემიძლია გითხრათ, რომ მთელი ათი წელი უსაზღვროდ ბედნიერები ვიყავით. ნინიკო უკვე მესამე კლასში იყო, როდესაც ისევ დავფეხმძიმდი. რა თქმა უნდა, ყველა კაცი ოცნებობს, რომ ვაჟი ჰყავდეს და ვერ დავიჯერებ, გიას ამის სურვილი არ ჰქონდა, მაგრამ ორსულობის მეშვიდე თვემდე ისე მივედი, რომ ექიმისთვის ნაყოფის სქესი არ გვიკითხავს. გია ვაჟსაც და გოგონასაც ღმერთის საჩუქრად მიიჩნევდა. ბავშვის დაბადებამდე, ორივე სქესის სახელიც წინასწარ შევარჩიეთ. მახსოვს, შვიდი თვის ორსული ვიყავი და ექოსკოპია უნდა გამეკეთებინა. როგორც ყოველთვის, გიაც თან მახლდა. გულმა არ მომითმინა და ექიმს ვთხოვე, ბავშვის სქესი გაემხილა. არასდროს დამავიწყდება ჩემი მეუღლის გაბრწყინებული თვალები, როდესაც ექიმმა გვაცნობა, რომ ვაჟი შეგვეძინებოდა. როგორც კი ექიმის კაბინეტი დავტოვეთ, გიამ ყველა ჩვენს მეგობარს და ახლობელს დაურეკა, რათა თავისი სიხარული სხვებისთვისაც გაეზიარებინა... მოკლედ, არსად მეგულებოდა ჩემს მეუღლეზე უფრო ერთგული, მოსიყვარულე და მზრუნველი ადამიანი, მაგრამ... ერთ ავბედით დღეს, ბედნიერება ხუხულასავით დამენგრა. გიას მობილურ ტელეფონში ბავშვების ფოტოებს ვათვალიერებდი. ნინიკოს და გიორგის სურათების გარდა, ჩემი ქმრის მობილურში კიდევ ერთი ბავშვის ფოტოებს წავაწყდი. თავდაპირველად გამელიმა, როდესაც მობილურის ეკრანზე, დაახლოებით ერთი წლის, ფუმფულა ბავშვის გაღიმებული სახე გამოჩნდა; მომდევნო ფოტოზე ბავშვი შიშველი გახლდათ და დავინახე, რომ გოგონა იყო. დაახლოებით ათამდე კადრი ჰქონდა გადაღებული... შეეცადე გამეხსენებინა, ჩვენს მეგობრებს ან გიას თანამშრომლებს შორის ხომ არ ჰყავდა ვინმეს ამ ასაკის პატარა, მაგრამ ვერაფრით გავიხსენე. გიას უკვე ეძინა და არ მინდოდა, ის მხოლოდ იმ მიზეზით გამეღვიძებინა, რომ მობილურ ტელეფონში ნანახი ბავშვის ვინაობა მეკითხა, არადა ვგრძნობდი, რომ ვეჭვიანობდი. 11 წლის თანაცხოვრების შემდეგ, პირველად ვეჭვიანობდი. ფეხაკრეფით შევედი საძინებელში, რომ ბავშვებს არ გაღვიძებოდათ და გია მთელი ძალ-ღონით შევანჯღრიე. კაცი საწოლიდან შეშინებული წამოხტა. მისთვის არაფერი მიკითხავს, უბრალოდ, ტელეფონი მივაწოდე. ძილბურანში მყოფს, თავდაპირველად ეგონა, რომ მობილურზე ურეკავდნენ, მაგრამ ტელეფონის ანთებულ ეკრანს დახედა თუ არა, სახე შეეცვალა... იმ ავბედით დღიდან უკვე სამი თვე გავიდა, მაგრამ ჩემს ქმარს ჯერაც არაფერი უთქვამს ამ ბავშვის შესახებ. მთელი ამ ხნის განმავლობაში, როდესაც მისგან პასუხს მოვითხოვ, ის ან დუმს, ან ამბობს, რომ ჩვენ გარეშე ცხოვრება არ შეუძლია. აშკარაა, ის მისი შვილია. ჩემს გიორგიზე რამდენიმე თვით უფროსი უნდა იყოს. მაგრამ ვერ ვხვდები, როდის, როგორ მოხდა ასეთი რამ, როცა გია, ფაქტობრივად, გვერდიდან არ მომცილებია და არ ვიცი, ვინ არის ის ქალი, რომელმაც ცხოვრება ჯოჯოხეთად მიქცია!.. უკვე სამი თვეა, გია ჩვენს მეჯვარესთან ცხოვრობს. ჩვენგან წასვლა არ უნდოდა, მაგრამ ვაიძულე. ბავშვების სანახავად ყოველდღე მოდის და მისი დანახვისთანავე, საკუთარ თავთან ბრძოლა მიწევს, რათა გრძნობა არ მოერიოს შელახულ თავმოყვარეობას და აქვითინებული კისერზე არ მოვეხვიო. გია შერიგებას მთხოვს, მაგრამ მე დამცირებას ვერ ვპატიობ. დედა მეუბნება, რომ ერთ დღესაც, ჩემს ქმარს მოჰბეზრდება ხვეწნა-მუდარა და სამუდამოდ წავა ჩვენგან; მეგობრებიც მეუბნებიან, რომ ვიღაც ქალს არ უნდა მივცე საშუალება, ბავშვებს მამა წაართვას, მე კი საყვარელი ადამიანი. არ ვიცი, რა ვქნა — სასწორის ერთ მხარეს ჩემი თავმოყვარეობაა, რომელიც ფეხქვეშ გათელეს, მეორე მხარეს კი ჩემი და ჩემი შვილების ბედნიერება...

ფსიქოლოგების აზრით, ქორწინებაში მთავარია მოთმინება, წყენის პატიება და კონფლიქტების უმტკივნეულოდ მოგვარება. ფსიქოლოგები ერთხმად თანხმდებიან იმაზეც, რომ ხშირად, ყველა ამ თვისებას ქალი ავლენს, რითიც ოჯახს დანგრევისგან იცავს, მაგრამ მოთმინებასაც აქვს საზღვარი...

ნინა, *40 წლის:*

— ჩემი ქმარი რომ მექალთანე იყო, ყოველთვის ვიცოდი, მაგრამ თავს ჭკვიან ქალად მივიჩნევდი და ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ქალი, რომელსაც გონება მხოლოდ ერთი მიმართულებით უმუშავებს. — როგორ დაეკმაყოფილოს მამაკაცური ენერგია, ჩემზე ჭკვიანი აღმოჩნდებოდა და საკუთარი ცხოვრების მოსაწყო-

ჩემ გვერდით იმდენად ერთგული ადამიანია, რომ ხშირად მიფიქრია, ცოტა არაბუნებრივი ხომ არაა-მეთქი

ბად, ჩემს ოჯახს დაანგრევდა. მე და ჩემს მეუღლეს პატარ-პატარა უსიამოვნებები ხშირად გვქონდა. არ უარვყოფ, ვეჭვიანობდი, რადგან ამის საბაბი მქონდა და ჩემი მეუღლეც ხშირად გარბოდა სახლიდან, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ, ისევ შინ ბრუნდებოდა. მეც ვპატიობდი ღალატს. ასე ვიცხოვრეთ 15 წელი. ერთ დღეს კი მობილურზე ახალგაზრდა ქალმა დამირეკა და კმაყოფილი ხმით მამცნო, რომ ჩემი ქმრისგან შვილს ელოდა. ამ ამბავს ვეღარ შევეგუე და მეუღლეს საშინელი ისტერიკა მოვუწყე. მან ეს ამბავი არ უარყო და თავი იმართლა: ბოლოს, სახლიდან რომ გამაგდე, სადღაც ხომ უნდა მეცხოვრაო?! მან სცადა, იმ ქალს დალაპარაკებოდა და როგორც თავად ამბობდა — პრობლემა უმტკივნეულოდ მოეგვარებინა (ვაღიარებ, ის მართლა ცდილობდა, როსკიპი თავიდან მოეშორებინა), მაგრამ ქალი არ ცხრებოდა: ხშირად მირეკავდა ტელეფონზე და მერე, ჩემს გოგონებსაც შეატყობინა, რომ მალე, ძამიკო ეყოლებოდათ. თქვენ წარმოიდგინეთ, მან სახლში ექოსკოპიის პასუხიც კი გამოგვიგზავნა. ბოლოს, ნერვებმა მიმტყუნა და მეუღლე ვაიძულე, ჩვენგან წასულიყო. დღეს, იმ როსკიპ ქალთან ცხოვრობს და რაოდენ დაუჯერებელიც არ უნდა იყოს, უკვე მესამე შვილს ელოდებიან. ახლა, ჩემს ყოფილ ქმარს იმდენი საზრუნავი აქვს, რომ ქალებისთვის კი არა, ჩვენს გოგონებთან საურთიერთოდაც ვეღარ იცლის.

ამ ამბების კომენტირება ცნობილ მსახიობს, **ნანა შოდიას** *მივანდვეთ. შეგახსენებთ, ამ ქალბატონს და მის მეუღლეს 13 წელია, მყარი ცოლქმრული ურთიერთობა აქვთ.*

— პირველ რიგში, ახალგაზრდა წყვილმა, შექმნილ გაურკვევლობას ნათელი უნდა მოჰფინოს. მერწმუნეთ, გაურკვევლობაში ყოფნას ყველაფერი სჯობს... ჩემს მეგობრებს ჰქონიათ ისეთი სიტუაცია, როცა გაურკვევლობამ, მათი ოჯახები კინაღამ დაანგრია. მაშინაც, ჩემი მათდამი მიცემული რჩევა იყო, გულწრფელად დალაპარაკებოდნენ ერთმანეთს. ბედნიერი ვარ, რომ ამ რჩევით, მათი ოჯახის გადასარჩენად ერთი აგური მეც დავდე.

— როგორ ფიქრობთ, რა არის ქალსა და მამაკაცს შორის მყარი ურთიერთობის გარანტი?

— მე ფსიქოლოგი არ გახლავართ, მაგრამ შემიძლია, რაღაც საკუთარი გამოცდილებიდან გაგიზიაროთ. მყარი ცოლქმრული ურთიერთობა თავად პიროვნებებზეა დამოკიდებული. მაგრამ გამონაკლისი აქაც არსებობს ანუ შესაძლოა, ძალიან სტაბილური, სანდო ადამიანი იყო, მაგრამ სხვა შეგიყვარდეს. ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, მაგრამ მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება ნაკლებად ვატკინოთ გული მათ, ვისაც ჯერ კიდევ ვუყვარვართ. სიყვარული იმას გულისხმობს, რომ ორ ადამიანს შორის საიდუმლო არ უნდა არსებობდეს, ისინი ბოლომდე უნდა ენდობოდნენ ერთმანეთს და რაც უნდა მოხდეს, ერთურთს უნდა გაუგონ, შეცდომები უნდა აპატიონ; იმ შემთხვევაშიც კი, როცა ამ შეცდომას ღალატი ჰქვია. მერწმუნეთ, მიმტევებლობა გაცილებით ღირებული რამაა, ვიდრე თავმოყვარეობის გრძნობა. შენი პირველი რესპონდენტის შემთხვევაში, თავი იჩინა ამპარტავნებამ, რომელიც მას აუცილებლად უნდა დაეძლია ოჯახის, შვილების საკეთილდღეოდ. თუმცა, ნათქვამია: სხვა სხვისა ომსა ბრძენიაო. ვაღიარებ, არ ვიცი, როგორ მოვიქცეოდი, თქვენი რესპონდენტის სიტუაციაში რომ აღმოვჩენილიყავი.

— ალბათ, დამეთანხმებით, რომ მამაკაცები უფრო ხშირად გვევლინებიან მოღალატის ამპლუაში. რითია ეს განპირობებული? მათ უფრო სუსტი ნებისყოფა აქვთ?

— აქაც პიროვნული ფაქტორია განმსაზღვრელი. მოღალატე შესაძლოა, ქალიც იყოს და კაციც. ჩემ გვერდით იმდენად ერთგული ადამიანია, რომ ხშირად მიფიქრია, ცოტა არაბუნებრივი ხომ არაა-მეთქი. თუმცა, ზუსტად ვიცი, ვგრძნობ, რომ ჩემს მეუღლეს ეს საკითხი დალაგებული აქვს... ერთგულება საკმაოდ იშვიათი თვისებაა. შემიძლია გითხრათ, რომ ათასი ჩემი ნაცნობიდან, ხუთი თუ იქნება ისეთი, ვინც ბოლომდე მიერთგულებს. ადამიანმა რაღაცნაირად უნდა შეძლო და მოწოლილი გრძნობა დაიოკო, თორემ გატაცებები, რაღაც დონეზე, ყველა ადამიანის ცხოვრებაში იქნება.

— ინტრიგანობაში არ ჩამომართვათ, მაგრამ ნუთუ, ცამეტი წლის თანაცხოვრების მანძილზე, მეუღლის ერთგულებაში ეჭვი არასოდეს შეგპარვიათ?

— 28 წლის გავთხოვდი. მანამდე, რა თქმა უნდა, შეყვარებულიც ყოფილვარ, თაყვანისმცემლებიც მყოლია... ხშირად, იმაზეც კი მიფიქრია, რომ არა ჩემი მეუღლე, დღეს ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ჩემ გვერდით. ჰოდა, როცა რამდენიმე ვარიანტს წარმოვიდგენდი, შვებით ამოვისუნთქავდი ხოლმე — ვხვდებოდი, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე. მე საკმაოდ მძიმე, ფეთქებადი ხასიათი მაქვს, ჩემთან ცხოვრება იოლი როდია. ჩემი მეუღლე იმდენად მშვიდი და გაწონასწორებულია, რომ ჩვენს ურთიერთობას აბალანსებს. ადრე, საკმაოდ თავნება ვიყავი და ვერ წარმოვიდგენდი, რომ დათმობაზე, კომპრომისზე წასვლა მომიწევდა, მაგრამ გარკვეულწილად, ახლა ესეც მომწონს.

— მე სხვა რამ გკითხეთ, სხვა ქალზე ეჭვიანობის საბაბი თუ მოუცია თქვენთვის მეუღლეს?

— მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო. დასასვენებლად ვიყავით. ერთი ახალგაზრდა ქალი ჩემს მეუღლეს გადამეტებულ ყურადღებას აქცევდა და ეს არ მომწონა. ჩემი მეუღლე საკმაოდ გულუბრყვილო ადამიანია და ამ ქალის საქციელს განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, მაგრამ მაინც, ძალიან გავბრაზდი.

— და როგორ გამოხატეთ გაბრაზება?

— იმ ქალისთვის არაფერი მიგრძნობინებია, მაგრამ მეუღლეს ვუთხარი: ეს ქალი ცუდად გეკურკურება-მეთქი. ქმარს აბსოლუტურად ვენდობი, ჩვენ ჯანსაღი ურთიერთობა გვაქვს და ერთმანეთთან თამაში არ გვიხდება. ერთურთს ყოველთვის პირდაპირ და დაუფარავად ვუუბნებით სათქმელს... მიმაჩნია, რომ თქვენი მეორე რესპონდენტი აბსოლუტურად სწორად მოიქცა, როდესაც ქმართან ურთიერთობას წერტილი დაუსვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სულ სტრესის ქვეშ უნდა ეცხოვრა და ეფიქრა, რომ მეუღლე ღალატობს, სხვასთან არის და ა.შ. მექალთანე კაცთან განშორება გარდაუვალია და სამწუხაროდ, ასეთი კაცისთვის შვილების რაოდენობაც ვერ იქნება ოჯახის ერთგულების გარანტი. ვფიქრობ, მისმა ცოლყოფილმა, მასთან გაყრით, უკვე გადადგა წარმატებული ნაბიჯი და ახლა საკუთარ ბედნიერებაზეც უნდა იფიქროს. ერთადერთი, რაც მაფიქრებს, მამისგან მიტოვებული შვილების ბედია, რადგან გოგონებს მასთან ურთიერთობის დეფიციტი ყოველთვის ექნებათ და ეს მათ ფსიქიკაზეც აისახება. ასე რომ, ცხოვრება ძალიან რთული რამაა, მაგრამ ამავე დროს, ტკბილი და საინტერესო. თუ შეძლებ და მის დარტყმებს გაუძლებ, ბედნიერებას აუცილებლად მოიპოვებ. ■

რაც მაფიქრებს, მამისგან მიტოვებული შვილების ბედია, რადგან გოგონებს მასთან ურთიერთობის დეფიციტი ყოველთვის ექნებათ და ეს მათ ფსიქიკაზეც აისახება

„წერის პროცესი ჩემთვის ტანჯვა კი არა, „კაიფია“

პროფესიით არქიტექტორი ვაჟა გიგაშვილი საზოგადოებამ, როგორც მწერალი და კინოდრამატურგი, რამდენიმე ათეული წლის წინ გაიცნო. პირველი პროზაული ნაწარმოები — „ნადირობა ჩინ-ტაშში“ იყო, შემდეგ — „დღე და ღამე“ და „მოთხრობები პოეტზე, რომელიც იშვიათად წერდა ლექსებს“. არის არაერთი კინოფილმის სცენარის ავტორი. ბატონი ვაჟა ჩვენს რუბრიკაში სტუმრობაზე სიამოვნებით დაგვთანხმდა, ლიტერატურაზე საუბარი არასდროს მომწყინდებაო, — გვითხრა და ინტერვიუსთვის შინ მიგვიპატიჟა.

თამუნა კვინიკაძე

— ჩემი მშობლები ლიტერატორები იყვნენ. წერა-კითხვა 5 წლის ასაკში ვისწავლე. სკოლაში რომ მივედი, ზღაპრებს გამართულად ვკითხულობდი. განსაკუთრებით, ანდერსენის და ძმები გრიმების შემოქმედება მომწონდა. 7 წლის ვიყავი, პირველად ჟიულ ვერნის წიგნი რომ ავიღე. მაშინ ტექსტის ნახევარს ვერ ვიგებდი, არც ყველა სიტყვის მნიშვნელობა ვიცოდი, მაგრამ მაინც ვკითხულობდი, თან — ძალიან დიდი ინტერესით.

— რომელმა წიგნმა მოახდინა თქვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება?

— მე მყავდა მეგობარი — ნინკა მესხიშვილი, რომლის ოჯახშიც 1937 წელს, რუსულ ენაზე გამოცემული ჰემინგუეის წიგნი (მოთხრობების კრებული და ერთი პიესა — „მეხუთე კოლონა“) ინახებოდა. ეს წიგნი ვითხოვე და წავიკითხე. მაშინ 18-19 წლის ვიქნებოდი. შეიძლება, არ დამიჯეროთ, მაგრამ ის ემოცია, რომელიც ამ წიგნის კითხვისას მქონდა, დღესაც მახსოვს. წერის ოსტატობით ჰემინგუეიმ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ვკითხულობდი და მეგონა, მეც იმ გმირების გვერდით ვიყავი, მათსავით განვიცდიდი და მეტსაც გეტყვით (არ ვიცი, რამდენად დამიჯერებთ), ყოველი გასროლის ხმაც კი მესმოდა. მერე ეს წიგნი ჩემს მეგობარს, გურამ რჩეულიშვილს მივუტანე. წაიკითხა და ჩემსავით აღფრთოვანებული დარჩა.

— თანამედროვე ქართულ მწერლობას თუ ეცნობით? ჩვენს ახალგაზრდა ავტორებზე რას გვეტყვით?

— სანამ ახალგაზრდა ავტორებზე ჩემს მოსაზრებას გაგაცნობდეთ, მინდა გითხრათ, რომ ქართველი მწერლებიდან, ჭაბუა ამირეჯიბმა და ოთარ ჭილაძემ ეპოქა შექმნეს. ჭაბუა ლეგენდარული კაცია, როგორ იცხოვრა და როგორ მოვიდა დღევანდელ დღემდე, ეს მთელი ეპოპეაა, ოთარი კი ბრწყინვალე რომანისტია. რაც შეეხება ახალგაზრდა ავტორებს, — მათზე კარგის მეტს, ვერაფერს გეტყვით. უნიჭიერესი თაობა მოდის. აკა მორჩილაძის „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“ რომ წავიკითხე, ვთქვი, — ეს ადამიანი მწერლადაა დაბადებული-მეთქი. 80-იანი წლების დასაწყისში, ლაშა თაბუკაშვილმა გამოსცა ალმანახი, სადაც მხოლოდ დამწყებ მწერალთა ნაწარმოებები იბეჭდებოდა. იმ ალმანახით საზოგადოებამ კოტე ჯანდიერი, ქეთი ნიჟარაძე, ზაალ სამადაშვილი, ზურა სამადაშვილი და კიდევ ბევრი ნიჭიერი მწერალი გაიცნო და ვწუხვარ, რომ ეს ჟურნალი აღარ გამოდის. თანამედროვე ახალგაზრდა ავტორებიდან, ასევე მომწონს ლაშა ბუღაძის, რეზიკო თაბუკაშვილის, ლაშა იმედაშვილის, ირაკლი ჯავახაძის, ბექა ქურხულის, აჩიკო ქიქოძის, შოთა იათაშვილის, რატი ამაღლობელის შემოქმედება.

— მათ ნაწერებში რა მოგწონთ?

— ის მომწონს, რომ ახალ თემებს ხსნიან და გადაჭარბების გარეშე გეტყვით, წერა იციან. მათ თავიანთი სტილი აქვთ, ნაწერებს ავტორის სახელისა და გვარის მიწერა არ სჭირდება — მკითხველი ისედაც ცნობს. ეს კი ადვილი მისაღწევი არ არის. შეიძლება, ვინმე შემეკამათოს და მითხრას: საკუთარ თავზე იმუშავა და მიაღწიაო. არა, გენაცვალე, ათასი უნიჭოც მუშაობს საკუთარ თავზე, მაგრამ არაფერი გამოსდის. წერის ნიჭი დაბადებიდანვე დაჰყვება ადამიანს. ასეთი ავტორები, თავიანთი ნაწერებით ისე იტაცებენ მკითხველს, რომ ისინი დროის სვლას ვერ გრძნობენ. ე.ი. ავტორი საკუთარ სამყაროში ითრევს — ეს კი არ ისწავლება.

— ამდენ ნიჭიერ ავტორს ქვეყანაში, წიგნს მკითხველი რატომ დაკარგა?

— ეს მარტო ჩვენი ქვეყნის კი არა, მსოფლიო პრობლემაა. თავის დროზე, წიგნის ადგილი კინომ დაიკავა, დღეს კი ადამიანთა უმრავლესობა ფილმებსაც აღარ უყურებს. დღეს დასავლეთის ქვეყნებში გავრცელებულია დაავადება, სახელწოდებით — „ცაპინგ“. ამ სენით შეპყრობილ ადამიანებს, მთელი დღის მანძილზე, ხელში პულტი უჭირავთ და ტელევიზორს ყოველ წუთას სხვადასხვა არხზე რთავენ — არც ერთ გადაცემას არ უყურებენ.

— ბატონო ვაჟა, პროზაულ ნაწარმოებებთან ერთად, არაერთი კინოსცენარის („გაზაფხულის სალამო“, „მწვერვალი“, „იმედის მწვანე კუნძული“, „სურამის ციხე“, „სპირალი“, „ანთიმოზ ივერიელი“) ავტორი ბრძანდებით. ამ ორი ჟანრიდან, რომელში უფრო გიადვილდებათ მუშაობა?

— პროზაში. სცენარების წერა მხოლოდ შემოსავლის მიღების მიზნით დავიწყე. 1971 წელს, რეზო თაბუკაშვილმა, კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ მწერალთა გაერთიანება ჩამოაყალიბა. მე მისი ერთ-ერთი წევრი გახლდით და სცენარების წერაც მაშინ დავიწყე.

— ამ სცენარებიდან წარმატებულად რომელს მიიჩნევთ?

— არც ერთი ჩემი სცენარით გადაღებული ფილმით კმაყოფილი არ დავრჩენილვარ. ფილმი ყოველთვის სხვაგვარი გამოდის. თავიდან, ეს ძალიან მაღიზიანებდა, მოგვიანებით კი მივხვდი, რომ მწერალი სცენარს რეჟისორისთვის წერს და ამას უნდა შეურიგდე.

— თქვენი პერსონაჟები ცხოვრებაში შეგხვედრიათ თუ გამოგონილები არიან?

— ზოგი მათგანი ცხოვრებაში მართლაც შემხვედრია, ზოგი კი თავიდან ბოლომდე გამოგონილია... მსმენია, მწერალი დიდი ტანჯვის ფასად, დიდი ძალისხმევის შედეგად წერსო. ამის მთქმელს არ ვეთანხმები. წერის პროცესი ჩემთვის ტანჯვა კი არა, — „კაიფია“. და კიდევ, წერის პროცესში არადროს ვფიქრობ იმაზე, ეს მკითხველს მოეწონება თუ არა.

— ვიცი, რომ ნადირობა და ალპინიზმი თქვენი ჰობია. ექსპედიციაში წიგნები თუ მიგაქვთ?

— თუ 1 კვირით ან 10 დღით მივდივარ, არ მიმაქვს, მაგრამ შუა აზიაში ზოგჯერ, 3 თვით მიწევდა გამგზავრება, ამიტომ წიგნები ყოველთვის მიმქონდა.

— ყველაზე მაღალი, რომელი მწვერვალი გაქვთ დალაშქრული?

— მყინვარწვერზე რომ ავედი, IX კლასში ვიყავი. 1966 წელს კი ტიან-შანის მთებში, 6000-მეტრიანი მწვერვალი დავლაშქრე. ასევე, პამირის მთებში, იმ ზეგანზე ვარ ნამყოფი, რომლის სიმაღლეც, ზღვის დონიდან 7000 მეტრია.

— ლიტერატურული პერსონაჟებიდან მეგობრად ვის აირჩევდით?

— დამაფიქრებელი კითხვაა. მეგობრობის სურვილს ძალიან ბევრ ლიტერატურულ პერსონაჟთან გამოვთქვამდი. მაგალითად, ჰემინგუეის გარი მორგანთან, ვაჟა-ფშაველას ჯოყოლასთან და მინდიასთან. მათ გვერდით, ჩემი ცხოვრება, უფრო საინტერესო იქნებოდა.

— დაბოლოს, რა განცდა გაქვთ მაშინ, როცა ნაწარმოებს დასრულებთ და ბოლო წერტილს სვამთ?

— სასიამოვნო განცდა მაქვს, დაახლოებით ისეთივე, როგორიც კარგი ქეიფიდან დაბრუნებულ კაცს.

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის
უბის წიგნაკიდან:

1. ტრინტე მოლდავური ჭიდაობაა.
2. მამაკაცებში უფრო მეტია ცაცია, ვიდრე — ქალებში.
3. თითების თანდაყოლილ შეზრდას სინდაქტილია ჰქვია.
4. ფელიქს ძერჟინსკი რბილი, პოლონური აქცენტით ლაპარაკობდა.
5. ბინადარ, არამომთაბარე გლეხს არაბულ ქვეყნებში ფელაჰი ჰქვია.
6. ჰიტლერის „ათასწლიანმა" რეიხმა 12 წელი და სამი თვე იარსება.
7. რაინდთა აბჯარს უამრავ ნახვრეტს უკეთებდნენ, წონის შესამსუბუქებლად.
8. დენთი, ქაღალდი, ფაიფური და კბილის ჯაგრისი ჩინელების გამოგონილია.
9. კოსმონავტებს თითქმის ყველაფერი, მათ შორის, თეთრეულიც ერთჯერადი აქვთ.
10. პუშკინის სახელობის მუზეუმი მოსკოვში, მარინა ცვეტაევას მამის დაარსებულია.
11. „ვაზ 21-08" პირველი სერიული საბჭოთა ავტომობილი იყო წამყვანი წინა ხიდით.
12. მთვარეთევზა ჩემპიონია ქვირითის ყრაში. ეს ორტონიანი თევზი, ტოფობის დროს, 300 მილიონამდე ქვირითს ყრის.
13. რომის იმპერატორმა, კონსტანტინე I-მა დედაქალაქი ბიზანტიონში გადაიტანა და კონსტანტინეპოლი უწოდა.
14. ბრაზილიელი ფეხბურთელი სოკრატესი განათლებით ექიმი იყო, რის გამოც, მეტსახელად დოქტორს ეძახდნენ.
15. იამაიკის ოფიციალური ენა ინგლისურია, ეროვნული დღესასწაული — აგვისტოს პირველი ორშაბათი, დამოუკიდებლობის დღე.
16. ალექს ფერგიუსონს, რომელიც 21 წელიწადია, რაც „მანჩესტერ იუნაიტედს" ხელმძღვანელობს, სერის წოდება აქვს მინიჭებული.

17. ფარანჯა ხალათის მსგავსი წამოსასხამია, რომელსაც ტაჯიკი და უზბეკი ქალები ატარებდნენ. იგი მთლიანად ფარავდა თავსა და ფიგურას, მხოლოდ სახესთან ჰქონდა შავი ბადე.
18. „რეზინა ნომერ ადინ", — ასე ეძახდნენ აირწინაღს საბჭოთა პერიოდში. ამავე სახელწოდებით დღევანდელ რუსეთში პრეზერვატივს მოიხსენიებენ.
19. „მე დავკარგე დღე", — ლეგენდის თანახმად, ასე შესძახა რომის იმპერატორმა ტიტუს ფლავიუსმა, როცა მიხვდა, რომ დღის განმავლობაში კარგი

დიდი პრესტისტის წელიწადი ახალგაზრდა ფასიოას ანუ ფასიოპეპი ფეშაოპენ თუ ეროთიან!..

გურამ ფირცხალავას არ უყვარს იმ ფილმების ყურება, სადაც თავად მონაწილეობს. ისე, ხანდახან, ჩუმად შეიძლება ნახოს, მაგრამ იმის გახსენება უფრო უყვარს, რაც გადაღების დროს ხდებოდა.

ნანული ზოტიკიშვილი

ვინ უნდა გამოვიდე?

ალბათ, 7 წლის ვიქნებოდი, ჩემზე ცოტა მოზრდილმა ბიჭებმა კინოფილმის სანახავად რომ წამიყვანეს, სასწაულს განახვებთო. მე ფოთელი კაცი ვარ, იქ სამხედრო ნაწილი იდგა. ჯარისკაცებისთვის შაბათს, ან კვირადღეს ფილმებს აჩვენებდნენ. ეკრანის მაგივრად ზეწარი იყო ჩამოფარებული და ღია ცის ქვეშ გადიოდა ფილმი. სათაური არ მახსოვს, მაგრამ მახსოვს ჩემი გაოცება. მერე ვნახე სამხედრო მზვერავებზე გადაღებული ფილმი **Звезда**, სადაც გამოჩენილი მსახიობი ნიკოლაი კრიუჩკოვი თამაშობდა. რა არის ბედი? წლების შემდეგ მასთან ერთად ფილმ „ცეცხლოვან ზღვაში" ვითამაშე. ძალიან დავმეგობრდით და ეს ამბავი მოვუყევი, კინოს სიყვარული თქვენ ჩამინერგეთ-მეთქი. საოცარი კაცი იყო, დიდი არტისტი.

ბავშვობაში ვფიქრობდი, რომ მსახიობობას ვერ შევძლებდი. როცა წამოვიზარდე, ვიფიქრე — ვინ უნდა გამოვიდე? ჩემთვის ვამბობდი — მფრინავი მინდა გავხდე, დედაჩემმა თქვა, — არაო; — მაშინ გემის კაპიტანი-მეთქი. — ვერა, დედა, ზღვაში ვერ გაგიშვებ, სკოლას რომ დაამთავრებ, მერე გადაწყვიტეო. წავედი ჯარში. კინოსადმი სიყვარული უფრო გამიღრმავდა, თეატრს კი ცოტა სკეპტიკურად ვუყურებდი; ამის მიზეზი მქონდა: პირველ კლასში, მასწავლებელმა ფოთის თეატრში „ნაცარქექიაზე" წაგვიყვანა. იმ ეპიზოდში, როდესაც ნაცარქექიამ სადგისი უნდა ჩაარჭოს დევს, დავინახე, რომ არ ჩაარჭო მხარში. ეს ტყუილია, ამას ვერ ავიტან-მეთქი! — და ამიტომ უფრო კინოსკენ მიმიწევდა გული...

პირველი იმედგაცრუება და პირველი წარმატება

თეატრალურ ინსტიტუტში ვსწავლობდი. ერთხელ ინსტიტუტში რეჟისორის ასისტენტები მოვიდნენ და მეუბნებიან, მაცი ხვიტიას როლზე უნდა გაგსინჯოთო. სიმართლე გითხრათ, თავბრუ დამეხვა, უცებ — ამხელა როლი! სიხარული და შიში ერთდროულად დამეუფლა. სასინჯი გადაღებები სოფიკო ჭიაურელსა და მე ერთად გვქონდა. მაცის როლზე დამამტკიცეს. მერე სვანეთში წავედით. ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ რაღაც მოხდა და როლიდან მომხსნეს. პირველი ჩემი შეხვედრა კინოსთან — ამ ჩემს საოცნებო პროფესიასთან ასე დამთავრდა. ტკივილი დამიტოვა, მაგრამ სამაგიეროდ, წრთობა მივიღე იმ მხრივ, რომ „მომხსენი — დამნიშნე" ჩემთვის სულერთია, არ ვნერვიულობ.

პირველი როლიდან რომ მომხსნეს, კინოსკენ აღარც ვიხედებოდი, გაბრაზებული

ზურაბ ქაფიანიძესთან ერთად

ვიყავი. მოხდა ისე, რომ მითხრეს — შოთა მანაგაძე გიბარებსო. გული შემიქანდა. ისევ ინსტიტუტში ვსწავლობდი. ბატონი შოთა იღებდა „ჯვარცმულ კუნძულს", რეზო თაბუკაშვილის სცენარის მიხედვით. უარი ვთქვი, არ მინდა-მეთქი. მეორე დღეს ასისტენტი მოვიდა და მეკითხება — რატომ ამბობ უარსო? — მარცხი მქონდა და შემძულდა კინო-მეთქი. — წამოდი, ნახავ, ეს კაცი ვინ არისო. დავუჯერე და მივედი. მანაგაძემ მითხრა, — შენ გუჯას ითამაშებო. — სინჯები როდის იქნება ბატონო შოთა-მეთქი? — რად გინდა სინჯებიო? — მკითხა და ის გახდა იმ წუთიდან ჩემი ღმერთი. ფილმის გადაღება დაიწყო. ჩემი ეპიზოდი ტალინში გადავიღეთ. რეზო თაბუკაშვილი ჩამოვიდა გადაღებული მასალის სანახავად. მსახიობები დარბაზში არ შედიოდნენ. ჩვენება დამთავრდა. კარი ღია იყო. მე იქვე ვიდექი. მესმის ქება, ბატონი რეზო ამბობს: ვინ არის ეს ბავშვი? რა კარგად თამაშობსო! ისე მაქებდა, ახლა იმ სიტყვებს ვერ გავიმეორებ. ისეთი დიდი სიხარული იყო, რომ დღემდე მახსოვს.

მოსკოვში მცხოვრებმა ფირცხალავებმა ბატონი გურამი სტუმრად მიიწვიეს

მსახიობი დროს აბარებს თუ მუშაობს

დედაჩემი მეტყოდა ხოლმე, — შენ არტისტი ხარ, დროს ატარებო. მოხდა ისე, რომ „მიზანს" ფოთში ვიღებდით. თუ გახსოვთ, იქ ჭაობშია ბევრი ეპიზოდი გადაღებული და ტალახში ამოგანგლული, დაღლილი რომ ვბრუნდებოდი სახლში და საწოლზე ვეცემოდი, — შენც მუშაობ თურმეო, — მითხრა. მაშინ მიხვდა დედაჩემი, რომ ეს მართლაც, სამუშაო იყო. გადაღების პროცესი ძალიან რთულია. ძნელია ფიზიკურადაც. ყველაზე მეტად ლოდინი მიშლის ნერვებს — დანიშნულ დროზე მზად რომ არ არის გადასაღები მოედანი. რატომღაც ყველას არაშრომისმოყვარე ვგონივარ, მაგრამ რეჟისორებმა იციან, რომ ეგრე არ არის. ყველა როლში ერთნაირ შრომას ვდებ, არა აქვს მნიშვნელობა, როლი დიდია თუ პატარა. ერთი კია, როცა რეჟისორმა იცის, რა უნდა, მაშინ შრომა დღესასწაულია. მსახიობები ხშირად დავდიოდით სხვადასხვა რაიონში მაყურებელთან შეხვედრაზე. თითქმის ყველგან ვარ ნამყოფი. სხვათა შორის, ფოთში არ ვყოფილვარ, იმიტომ, რომ ჩემი მშობლიური ქალაქია და ყველაზე მეტად ფოთის მაყურებლის მეშინია და მერიდება...

ძალიან ბედნიერი ვიყავი, როდესაც სესილია თაყაიშვილმა წერილი მომწერა. ჩემ მიმართ საქებარ სიტყვებს არ იშურებდა. ამ ფაქტმა მთელი ოჯახი გაგვაბრუა. მეორე დილით მივედი და ყვავილები მივართვი. რამ დაგაწერინათ, ქალბატონო სესილია, წერილი, ჩემზე დროის დაკარგვა შეიძლებოდა-მეთქი?!. — შე ხულიგანო, მოდი დაჯექიო, — ყავა დამალევინა, ღვინოც დამიდგა...

საჩემო როლი

ბატონ რეზო ჩხეიძესთან არასოდეს მიმუშავია. ვიცი, რომ თვითონაც აქვს სურვილი გადამიღოს, მაგრამ გამოდის — არ არის საჩემო როლი. თუ ასეთი როლი გამოჩნდა, ნაღდად მივალ და ვეტყვი, მინდა, გამსინჯო-მეთქი. „მაგდანას ლურჯას" რომ იღებდა რეზო ჩხეიძე, აკაკი კვანტალიანი მასთან თვითონ მივიდა, გაიკეთა გრიმი და სთხოვა, — სინჯი გადამიღეთო. რეზო იხსენებდა, — რომ დავინახე, გავოცდიო.

ლანა ღოღობერიძე იღებდა ფილმს — „დღეს ღამე უთენებია". მეც დამიძახეს. ლანამ მითხრა: გურამ, სცენარი წაიკითხე და მერე ვილაპარაკოთო. ზაირა არსენიშვილის სცენარია, საოცრად მომეწონა. მივედი და ვამბობ: თანახმა ვარ-მეთქი. მთელმა ჯგუფმა სიცილი დაიწყო, — რაზე ხარ თანახმა?.. ასე რომ, სანამ დამამტკიცებდნენ, თავად დავიმტკიცე თავი სპირიდონის როლზე. მართლა კარგი როლია და მე მგონი, გამომივიდა.

კარგმა რეჟისორმა შეიძლება, ცუდი სცენარიდან კარგი ფილმი გამოიყვანოს. ზოჯერ სცენარი საერთოდ არ არსებობს. რეჟისორს აქვს მონახაზი და საუბრის დროს ატყობ, რა უნდა შენგან. თუ რეჟისორს უკვე იცნობ, ისედაც ენდობი. რაჟა სარჩიმელიას როლი თავიდან სხვანაირად იყო ჩაფიქრებული. მერე თქვეს — ეს პერსონაჟი სიმპათიური გამოსდისო, — და ჩემი წყენის მიუხედავად, მაინც გადააკეთეს. „დათა თუთაშხიას" ზოგიერთ ეპიზოდს აფხაზეთში ვიღებდით. მაშინ ერთად ვიყავით აფხაზები და ქართველები. გადაღების დროს ჩვენთან მოდიოდნენ, მოჰქონდათ ღვინო, სამწვადე, აჯიკა. იქ დღესაც ბევრი მეგობარი მყავს...

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ლეგალიზ

უბის წიგნაკიდან:

არაფერი გაუკეთებია.

20. მას შემდეგ, რაც 1959 წელს გადაღებული მხატვრული ფილმი — „ჰერაკლეს გმირობანი" ეკრანებზე გამოვიდა, პატარა ბიჭებმა დილაობით ვარჯიში დაიწყეს.

21. ბელურები ჩინეთში მაო ძე დუნის ბრძანებით გაანადგურეს — ბრინჯის მოსავალს დიდ ზიანს აყენებენო. ათიათასობით მოხალისე დოლებს აბრახუნებდა, დუდუკებს აჭყვიტინებდა, თუნუქის ქვაბებს არახრახებდა. ფრინველებს დაჯდომის საშუალებას არ აძლევდნენ. დაქანცული და გულგახეთქილი ჩიტები უსიცოცხლოდ ცვიოდნენ მიწაზე. ჩინელები კალათებს, გოდრებს, ხელურმებს, სატვირთო მანქანების ძარებს ავსებდნენ დახოცილი ფრინველებით და ისე გაჰქონდათ სანაგვეზე. P.S. ბელურების განადგურებამ სავალალო შედეგი მოიტანა — მავნე მწერებმა, რომლებსაც მუსრს აღარაფერი ავლებდა, თითქმის სულ მოსპეს ბრინჯის მოსავალი.

22. ასტრიდ ლინდგრენი რამდენჯერმე სტუმრად იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში — ქვეყანაში, სადაც მისი ნაწარმოებები მილიონიანი ტირაჟებით იბეჭდებოდა. მათი რეალიზაციიდან მიღებული მოგება მილიონობით მანეთს შეადგენდა, თუმცა შვედი საბავშვო მწერლისთვის ჰონორარის გადახდა აზრად არავის მოსვლია. თავად ასტრიდი კი ძალზე კორექტული ადამიანი იყო და საავტორო უფლებებზე კრინტი არ დაუძრავს.

23. „ოტ ილიჩა დო ილიჩა, ბეზ ინფარქტა ი პარალიჩა", — ასეთი ლექსი გამოუთქვა ხალხმა ანასტას მიქოიანს, რომელისთვისაც ლენინის ბელადობიდან მოყოლებული, ბრეჟნევის გენერალურ მდივნობამდე ბუზი არავის აუფრენია.

24. 1947 წელს, ინგლისელებმა ბიუჯეტის მოწესრიგებისას გააუქმეს სამხედრო თანამდებობა, რომელიც ჯერ კიდევ ნაპოლეონთან ომის დროს იყო შემოღებული. ამ თანამდებობის მქონე სამხედრო პირს, ნაპოლეონის ინგლისში შეჭრის შემთხვევაში, ქვემეხის გასროლით თანამემამულეთა გაფრთხილება ევალებოდა.

25. იოსებ სტალინის პირად კოლექციაში ინახებოდა პელაგია სემიონოვას მიერ დამზადებული სამელნე, კალამი და საშრობი. ინვალიდმა ქალმა, რომელსაც ხელები ჰქონდა ამპუტირებული, ფეხის თითებით გააკეთა ეს ნივთები და დიდ ბელადს გაუგზავნა საჩუქრად.

სანამ ცოცხლები ვართ...

წერილი მე-13

უკანონო დეპორტაციის შედეგები

წინამორბედი წერილი იხ. „გზა", №45

XX საუკუნის 70-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ იმდენი მოახერხა, რომ გახლიჩა მესხთა ერთობა და ისინი გადაიქცნენ „პროქართულად" და „პროთურქულად" განწყობილ ადამიანებად. ოდობაშვ-ხოზრევანიძე იმ დონემდე დაეცა, რომ კა-გე-ბეში ასმენდა პროქართულად განწყობილ მესხებს და სახაროვისთვის გადაცემულ თავის განცხადებებსა და ინფორმაციას მათ აბრალებდა. თბილისში ჩამოსვლის დროს ანდრეი სახაროვმა აღიარა, რომ შეცდომაში შეიყვანეს, როდესაც მესხები „თურქ-მესხებად" მონათლა, მაგრამ საქმე უკვე გაფუჭებული იყო.

მანანა იაშვილი

დაპარგული ძმები

„საქართველოს მოამბე" გვაუწყებს, რომ ქართველმა ახალგაზრდობამ, დისიდენტურმა წრეებმა მესხთა პრობლემის შესახებ რუსული თვითგამოცემებიდან შეიტყვეს. 1976 წლის დასაწყისში მათ, მესხებთან დაკავშირებულ ქართულ წრეს მიაკვლიეს, რის შედეგად მესხთა პრობლემამ ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი დაიკავა „ადამიანის უფლებათა დაცვის ქართული საინიციატივო ჯგუფის" საქმიანობაში. როგორც ვიცი, ეს წრე ისტორიის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა და მასში აქტიურად მონაწილეობდნენ ძველი და ახალი თანამშრომლები, მათ შორის, გურამ მამულია, რომელიც შემდეგ, მესხთა ჩამოსახლების საკითხის გამო, ზვიად გამსახურდიას და ეროვნული მოძრაობის სხვა წევრებს დაუპირისპირდა.

ადამიანის უფლებათა ქართველი დამცველები მესხთა პრობლემას, ისევე, როგორც სხვა სახის ადამიანის უფლებების დარღვევებს, ჩვეული ემოციურობით მიუდგნენ.

თბილისში გაზაფხული ძალას იკრებდა. 1976 წლის 27 მარტს თბილისში მესხთა მორიგი ჯგუფი ჩამოვიდა ყაბარდო-ბალყარეთიდან და ისტორიის ინსტიტუტში დახმარების თხოვნით მივიდა. პროფესორმა ვახტანგ ჯაფარიძემ დაურეკა ვიქტორ რცხილაძეს და სთხოვა, — ჩემთან მესხები არიან ჩამოსული, იქნებ მოხვიდეო, — და ვიქტორი სასწრაფოდ ისტორიის ინსტიტუტში გაჩნდა. ვახტანგ ჯაფარიძემ მას, ქართული იერის მქონე ორი ახალგაზრდა კაცი გააცნო, რომლებსაც კავკასიური წესისამებრ, თავზე კრაველის ფაფახები ეხურათ. რუსულად ლაპარაკობდნენ, ქართულად თითქმის არაფერი ესმოდათ, ჯემალ აიუბოვად (აბაშიძე) და ალიხან ისკანდეროვად წარუდგინეს ვიქტორს თავი.

— ხალილი სადაა? — მოიკითხა ხალილ გოზალიშვილი ვიქტორმა.

— ერთად ჩამოვედით ყაბარდოდან, მაგრამ გუშინ ცუდად გახდა და უკან დაბრუნდა, — უპასუხა ერთ-ერთმა სტუმარმა.

— მოდი, მერაბ კოსტავას გავუაროთ, მერე სადმე ჩავუსხდეთ და თქვენი ამბავიც, ტრადიციისამებრ, სუფრაზე უფრო კარგად გაირკვევა, — შესთავაზა სტუმრებს ვიქტორმა.

რესტორან „დარიალში" მშვენიერი სუფრა გაიშალა. მეგობრებმა ვიქტორს თამადობა დააკისრეს. პირველი სადღეგრძელო ჩამოსულებისა ითქვა:

— გაუმარჯოს თქვენს დაბრუნებას საქართველოში!

— ასე იყოს, ალაჰმა გისმინოს! — წამოსცდათ სტუმრებს.

— რაც შეეხება რელიგიას, დაე, იმ რელიგიამ იხაროს, რომელიც ყველაზე მეტ სიყვარულს დაამკვიდრებს ძმათა შორის! — სტუმრებმა თავი უხერხულად რომ არ იგრძნონ, სიტყვას აშველებს თამადა და სტუმარმასპინძლობის ტრადიციას მისდევს:

— ოჯახებს დაგილოცავთ, ღმერთმა გამრავლოთ და გაგახაროთ!

— ჩვენ არაფერი გვინდა, ქართველობის დაბრუნების გარდა! — ილოცებიან მესხები და ქართველობის დასამტკიცებლად, ღორის ხორცის მწვადს შეექცევიან. — ოღონდ გადავრჩეთ იმ გაუზბეკებას, გაყირგიზებას, აზერბაიჯანელებად ჩაწერას, რაც ჩვენს ხალხს ემუქრება. — ღვინის ჭიქებს ბოლომდე ცლიან ჩამოსულები და მასპინძლებს ტოლს არ უდებენ.

— ჩვენ არაფერი გვინდა, ქართველობის დაბრუნების გარდა! — ილოცებიან მესხები

— ჩვენს ძმობას, ჩვენს სისხლს გაუმარჯოს! — ილოცება თამადა. მესხებს თვალზე ცრემლი ადგებათ, ჯიბიდან საბუთებს იღებენ და თავიანთ გასაჭირს უზიარებენ ახალნაპოვნ ძმებს:

— ჩვენ ვითხოვდით ეროვნების აღდგენას და გვარების შეცვლას, აი, ყაბარდო-ბალყარეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო განყოფილების უფროსის, მურად ხურანოვის პასუხში წერია, რომ ეს მათი საქმე არაა და საქართველოში „ზაგსსა" *(მოქალაქეთა მდგომარეობის აღმნუსხავი სარეგისტრაციო ბიურო. — ავტ.)* და არქივებს უნდა მივმართოთ. საქართველოდან ერთი და იგივე პასუხი მოგვდის, არქივები დაიწვა და თქვენი გვარების და ეროვნების აღდგენა შეუძლებელიაო.

— უნდა დავეხმაროთ ძმებს, ვიქტორ! — აბობოქრდა მერაბ კოსტავა. — აქ მეცნიერები ვერ გვიშველიან, ვინმე სხვა უნდა მოვნახოთ.

— რისმაგს ვეტყვი, ჩვენიანია; უნივერსიტეტის პარტკომად რომ ნიშნავდნენ, რჩევა მთხოვა, ძალიან დაფიქრებული იყო, პარტკომად დანიშვნას მიპირებენ, რა ვქნა, რას მირჩევო? მაშინ ვუთხარი, — ჩემო რისმაგ, რადგან უკვე პარტიული ხარ, ბარემ პარტკომიც გახდი, შენისთანა კაცი ამ პოსტზე ბევრ კარგ, მამულიშვილურ საქმეს გააკეთებს-მეთქი.

— მართალია! უკეთესს ვერც მოვიფიქრებდით, „ზევით" რას ფიქრობენ ამ ამბავზე, იმასაც გვეტყვის და იქნებ, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებში და სტუდენტებში ხელმოწერებიც შეგროვდეს, საქართველოში მესხთა დაბრუნების მოთხოვნით, — გაუხარდა მერაბს. მეგობრები ერთმანეთს ასწრებდნენ, სტუმრებისთვის ეს ამბავი ეხარებინათ, — ხვალ-ზეგ „დიდ კაცთან" მიგიყვანთ, აუცილებლად დაგვეხმარებაო, — ამშვიდებდა ვიქტორი ჩამოსულებს.

იმ ღამეს დიდხანს შეჰყვნენ სუფრას და სტუმრები მერაბმა თავისთან წაიყვანა მოსასვენებლად. ოლიჩკამ ტრადიციისამებრ, ერთი წაიწუწუნა — ბოხოხიანი თათრებიღა მაკლდაო, — მაგრამ მერაბმა მხარზე ხელი მოხვია დედას და სტუმრები წარუდგინა: „დედი, ესენი ჩემი ძმები, ჩემი სისხლის ხალხია, შვილებად იგულე!" ხოლო სტუმრებმა მორიდებით „დედა" დაუძახეს მერაბის დედას და ამით მოიგეს მისი გული.

მეორე დღეს ვიქტორ რცხილაძე უნივერსიტეტში მივიდა. პარტიული პოსტით დამძიმებულმა რისმაგ გორდეზიანმა უთხრა, რომ მესხებთან მის შეხვედრას აზრი არ ჰქონდა და ჯობდა, ისინი თვითონ მისულიყვნენ შევარდნაძესთან, რომელიც იმ დროს უკვე საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი იყო. თვითონ რისმაგი ამასობაში გაიგებდა, რას ფიქრობენ „ზევით" ამ საკითხზე და ვიქტორს შეატყობინებდა.

29 მარტს, ცენტრალურ კომიტეტში, მესხებს ვიქტორ რცხილაძე და მერაბ კოსტავა გაჰყვნენ. ჯემალ აიუბოვი (აბაშიძე) „ნაციონალურ საკითხზე" სასაუბროდ შევარდნაძის ნაცვლად, მისმა თანაშემწემ, იაშვილმა მიიღო. ორ საათზე მეტხანს უცდიდნენ გარეთ ჯემალს მეგობრები და ფიქრობდნენ, — რადგან დაიგვიანა, შიგნით სერიოზული საუბარი მიმდინარეობსო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩამოსულ სტუმარს მისაღებში დიდხანს აცდევინეს და მასთან საუბარს შევარდნაძის თანაშემწემ მხ-

ოლოდ რამდენიმე წუთი დაუთმო:

— ამ საკითხზე მომავალში შევარდნაძეს აღარ მიმართოთ. ქართველები დღეს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობენ. მაგალითად, „ბაშზე" (ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობა) და თავს შესანიშნავად გრძნობენ. თქვენ რაღა დაგემართათ!

— კი, მაგრამ ისინი თავიანთი ნებით არიან იქ სამუშაოდ წასულები, ხოლო ჩვენ იძულებით გაგვასახლეს. თანაც ეროვნებას ვკარგავთ, პასპორტში ხან თურქმენს და ხან აზერბაიჯანელს გვიწერენ!

— ეს მე არ მეხება, ამ საკითხზე აღარ მოგვმართოთ.

ასე დასრულდა მათი საუბარი. გაწბილებული და გამწარებული ვიქტორ რცხილაძე ისევ რისმაგ გორდეზიანთან გაეშურა. უნივერსიტეტში შედგა სერიოზული საუბარი, რომელიც დეპორტირებულების დაბრუნებასთან დაკავშირებით, მაშინდელი ქართული ოფიციალური და არაოფიციალური საზოგადოების ორ განსხვავებულ აზრს გამოხატავს. ამ კამათს ვიქტორ რცხილაძე თვითგამოცემა „საქართველოს მოამბეში" ასე აღწერს:

„— დამშვიდდი, — მითხრა უკვე „მომზადებულმა" რისმაგ გორდეზიანმა — ფერეიდნელების გადმოსახლებაზე მთავრობა ხომ თანახმაა.

— მაგრამ ეს რა ვაჭრობაა! ფერეიდნელების ოცი ოჯახის გადმოსახლება უშველის 300 ათასი მესხის ტანჯვას? — ვუპასუხე გაბრაზებულმა.

— მომისმინე, მთავრობა მთელ საქართველოს განიხილავს, როგორც სამხედრო-სტრატეგიულ ზონას; ამიტომ აქ, თურქეთის სიახლოვეს თურქოფილური ელემენტის ჩამოსახლება მთავრობას არამიზანშეწონილად მიაჩნია. დავუშვათ, გადასახლებულთაგან 100 ათასი ნამდვილი მესხია, მაგრამ 100 ათასი ხომ ნამდვილი თურქია? განა ასი ათას თურქს საქართველო მოინელებს? განა მათი ჩამოსახლება საქართველოში ქართველების გამრავლება იქნებოდა? ხოლო მარტო ქართველთა ჩამოსახლება ვერ მოხერხდება, კონსტიტუცია და კანონი საბჭოთა კავშირში, როგორც იცი, ყველასათვის ერთია.

— ჯერ ერთი, გინდაც ასეთი პროპორცია იყოს, როგორც შენ ამბობ, — ასი მესხი ას თურქზე, — განა თურქთა გამო ის ასი მესხი უნდა დავკარგოთ? მეორეც, ჩვენი აქტივისტების მიერ კარგადაა ეს საკითხი შესწავლილი და „თურქულ-ქართული ელემენტი" გადასახლებულთა ერთ მეათედს შეადგენს. რაც შეეხება მესხთა შორის პროთურქულ განწყობილებას, სამართლიანობა მოითხოვს, გაირკვეს, ვინ ქმნიდა ამას ხელოვნურად. ხოლო თუ საქართველოში ჩამოვიყვანთ და ქართულ სოფლებში გადავანაწილებთ, შევასწავლით მათ ისტორიას, დავუკავშირებთ ქართულ კულტურას, განა ისინი „თურქთა აგენტებად" დარჩებიან?..

მესხნი დიდი მოუთმენლობით მოელოდნენ ჩემს დაბრუნებას „დიდი კაცისაგან". ყოველივე ვამცნე დაუფარავად, თანაც დავძინე: გულს ნუ გაიტეხთ, ბრძოლა ახლა იწყება, გაემგზავრეთ თქვენებთან, უფრო მეტი ხელმოწერა შეაგროვეთ და ასე ჩამოდით თბილისში".

ამ ამბების შემდეგ საქართველოს ადამიანის უფლებადამცველებმა მიმართეს ეთნოგრაფიის ინსტიტუტს, სადაც პროფესორებმა ჩიქოვანმა და რობაქიძემ მათი შეხედულებები გაიზიარეს. თანამოაზრეები იპოვეს კომპარტიის ცეკაშიც, სადაც იდეოლოგიის განყოფილების უფროსმა სევერიან მოსიძემ მათ დახმარება აღუთქვა. ჩასახლების ადგილებიდან მესხები წერილებს ხშირად სწერდნენ ვიქტორ რცხილაძეს და მერაბ კოსტავას, უგზავნიდნენ მათ პატრიოტულ ლექსებს და მათთან შეხვედრას „ისტორიულს" უწოდებდნენ.

ნოხები და ხალიჩები

1976 წლის 27 ივნისს მესხთა ათკაციანი დელეგაცია, ყაბარდოდან, აზერბაიჯანიდან და შუა აზიიდან თბილისში ორი მანქანით ჩამოვიდა. ყაბარდოელებს ევროპულად ეცვათ, დანარჩენები, თათრულ ხალათებსა და ჩექმებში იყვნენ გამოწყობილი, თავზეც უზბეკური „ტიუბეტეიკები" და ფაფახები ეხურათ. ამას აგვირგვინებდა „ვოლგების" საქარე მინებზე დამაგრებული, სტალინის პორტრეტები, რითიც ჩამოსულებს ალბათ, საკუთარი ქართველობის დამტკიცება სურდათ. მაშინდელი თბილისის პირობაზე დელეგაცია ძალიან ეგზოტიკურად გამოიყურებოდა. მერაბ კოსტავამ სტალინის სურათები ჩამოხსნა, — ეგ ჯალათი ღირსი არაა, რომ მისი სურათები გეკიდოთ, მაგან ნახევარი საქართველო გაელიტაო. ვიქტორ რცხილაძემ კი დაამატა, — ერთი, რომ თქვენი და სხვა გადასახლებული ერების უბედურება მის კისერზეა, მეორეც, ოლიჩკა სახლში არ შეგვიშვებსო. მესხმა მუსლიმანებმა ჩამოიტანეს ათასობით ხელმოწერა და სიები, სადაც ოჯახის უფროსი თავისი ოჯახის რიცხოვნობას და დაკარგულ ქართულ გვარს მიუთითებდა. ცეკას პირველი მდივნის, ედუარდ შევარდნაძის სახელზე დაწერილ მიმართვაში ისინი მოითხოვდნენ მათი შვილები განათლების მისაღებად, ქართულ სკოლა-ინტერნატებში მიეღოთ; საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში 10-15 ახალგაზრდისათვის გამოყოფილიყო ლიმიტი; მესხების კომპაქტურად დასახლების ადგილებზე გაეგზავნათ ლექტორები, რომლებიც წაიკითხავდნენ ლექციებს საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ, უჩვენებდნენ დოკუმენტურ ფილმებს საქართველოზე, ხოლო წარჩინებული მოსწავლეები მიეწვიათ თბილისის პიონერთა სასახლეში, მათთვის სასურველ წრეებში ცოდნის მისაღებად.

მეორე დღეს მესხთა დელეგაცია შევარდნაძის თანაშემწემ, ვლადიმერ ალფენიძემ მიიღო, რომელმაც მესხ მუსლიმანებს ახალი ვერაფერი უთხრა, — თქვენი საკითხი „ზევით", მოსკოვში წყდებაო. მაშინ დელეგატებმა სთხოვეს, — ნაციონალობის დაბრუნებაში მაინც დაგვეხმარეთო. ალფენიძემ ისინი ცეკას იურისტთან გაუშვა, რომელმაც მესხებს შესთავაზა, — რადგან საარქივო დოკუმენტები დამწვარი იყო, თითოეულ მესხს ეპოვა ორი მოწმე, რომელიც მათ ნაციონალობას დაადასტურებდა და შემდეგ, სარჩელი შეეტანათ ადგილობრივ სასამართლოში, საკუთარი ეროვნების დასადგენად. დელეგატებმა იუარეს: 300 ათასი კაცი ვართ, რამდენი სასამართლო უნდა გაიმართოს?! თან, ამ სასამართლოებით, ადგილობრივ ხელისუფლებას ჩვენს წინააღმდეგ ავამხედრებთო. 2 ივლისს დელეგატები სუკის იდეოლოგიის განყოფილების უფროსთან, პოლკოვნიკ შალვა ზარდალაშვილთან მივიდნენ (ეს ის ზარდალაშვილია, რომელიც შემდგომ, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას საქმეს იძიებდა). მან უთხრა, — თქვენი გადმოსახლება ჩვენ არ გვეხებაო; მაგრამ სტუმრებს სხვა სათხოვარი ჰქონდათ, — რამდენიმედღიანი საშვი მოგვეცით ჩვენი მშობლიური კუთხის, ადიგენ-ახალციხის რაიონების მოსანახულებლადო. ზარდალაშვილმა უპასუხა, — ვნახოთო, — და დელეგატები 5 ივლისს დაიბარა.

მერაბ კოსტავა და ვიქტორ რცხილაძე

იმ ღამეს ვიქტორ რცხილაძის ბინაზე, მესხთა პატივსაცემად, დიდი წვეულება გაიმართა, რომელსაც მეცნიერები, მწერლები, მომღერლები და აზერბაიჯანიდან ჩამოსული ინგილოები ესწრებოდნენ. ლხინი ღამის 3 საათამდე გაგრძელდა. ღამის გასათევად, თითქმის ყველა სტუმარი მერაბ კოსტავამ სახლში წაიყვანა, მხოლოდ პოეტი ალიხან აბასთუმნელი (ისკანდეროვი) ირაკლი კენჭოშვილმა ისტუმრა. დილის 8 საათზე კენჭოშვილს, კოსტავას და რცხილაძეს შინ მილიციელები წამოადგნენ თავზე. უკლებლივ ყველა მესხი, რაიონების მიხედვით, მილიციის განყოფილებებში წაიყვანეს.

ვიქტორ რცხილაძეს ღამე სახლში არ გაუთევია, მაგრამ მასთან ჩხრეკა მაინც ჩაატარეს, „ჩაუწერელ" პირებს ეძებდნენ (საბჭოთა კავშირში კანონით დადგენილი იყო, სახლის პატრონს უნდა განეცხადებინა მილიციაში ბინაში ჩაუწერელი ადამიანის ყოფნის შესახებ და მას განსაზღვრული დროით, სტუმრის რეგისტრაციაში გატარების შემდეგ, უფლება ჰქონდა, ეს ადამიანი თავისთან მიეღო. ამ კანონს არავინ ასრულებდა, მაგრამ სამართალდამცველები მას საჭირო შემთხვევაში იყენებდნენ). მილიციაში მესხებს განუცხადეს, რომ ისინი ეჭვმიტანილი არიან ქალაქ ცხაკაიაში (სენაკი) ნოხების მოპარვაში. მილიციაში მათ აჩვენეს დიდი რაოდენობის დახვეული ხალიჩები, მაგრამ რა საქმე ჰქონდათ ამ ნოხებთან ჩამოსულ სტუმრებს არავის აუხსნია.

გაგრძელება იქნება

„ზოვი ალექიანის ოჯახისთვის თვალით ხედავს, მე კი ხელით ვეჯრაზოვ...“

სახალხო მკურნალი თითოეული პაციენტის ტკივილს თავად განიცდის

სახალხო მკურნალი ავთანდილ ომიაძე 15 წელზე მეტია, რაც თითოეული პაციენტის ტკივილს თავად განიცდის. ავადმყოფებს, ყოველგვარი მედიკამენტის გარეშე, სპეციალური ვარჯიშებით, მანუალური და წერტილოვანი მასაჟებით კურნავს. მან სენსაცია მოახდინა და მსოფლიოში მოურჩენელ დაავადებად აღიარებული, პოლიართრიტით დასნეულებული არაერთი ადამიანი განკურნა. ბატონ ავთანდილს ერთ-ერთი მადლიერი პაციენტის წყალობით მივაკვლიეთ.

თამუნა კვინიკაძე

— თბილისის პოლიტექნიკური სასწავლებლის დასრულების შემდეგ, მოსკოვში გავემგზავრე და დისერტაცია დავიცავი, ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატი ვარ. მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ, რაჭაში ქიმიური ქარხნის დირექტორის მოადგილედ ვმუშაობდი. მედიცინასთან არანაირი შეხება არ მქონია.

— პირველად როდის აღმოაჩინეთ, რომ უცნაური ნიჭით იყავით დაჯილდოებული?

— 1989 წელს ჩემმა მეუღლემ ხელი მოიტეხა, როცა მისაშველებლად მივედი და მისი მოტეხილი ხელი ხელში დავიკავე, უცნაური გრძნობა დამეუფლა — ტკივილი მე თვითონ ვიგრძენი. თავდაპირველად ვერ მივხვდი, რა ხდებოდა. შემდეგ კი თანდათან გავერკვიე, რომ „მეექვსე გრძნობა“ განმივითარდა. ოჯახის წევრებს თუ რაიმე წამოსტკივდებოდათ, მტკივან ადგილზე ხელს ვადებდი და ტკივილი ეხსნებოდათ, უფრო სწორად რომ ვთქვა, მათი ტკივილი ხელზე გადმომდიოდა, ხელს ავიღებდი თუ არა, იმ ტკივილისგან მეც ვთავისუფლდებოდი. შემდეგ, ჩემ შესახებ რაჭის გაზეთში დაიწერა. სამკურნალოდ სხვებიც მაკითხავდნენ. ხელი სამკურნალოდ უნიკალური რამ არის. თქვენი აზრით, როცა რაიმე წამოგვტკივდება, მტკივან ადგილზე ხელს რატომ ვიდებთ?

— ეს ინსტინქტურად ხდება.

— ამ ინსტინქტში სხვა რამ იმალება. რაჭაში ბევრი პაციენტი მყავდა და მკურნალობაში კარგ შედეგსაც ვაღწევდი. შემდეგ თბილისში, მეტალურგიის ინსტიტუტში გადმოვედი, სადაც პაციენტების მისაღებად ერთი ოთახი დამითმეს. ცოტა ხანში რესპუბლიკური საავადმყოფოდან მივიღე მიწვევა. იქ მუშაობის დროს, საავადმყოფოს მაშინდელი მთავარი ექიმის მოადგილემ ერთ ქალბატონთან გამგზავნა. უმძიმესი ავადმყოფი იყო.

— რა აწუხებდა?

— რევმატული პოლიართრიტი. მთელი სხეული — ატროფირებული, სახსრები გაქვავებული ჰქონდა, ყბასაც კი ვეღარ ამოძრავებდა. ეს ქალბატონი 160 კილოგრამს იწონიდა და შეშუპებებიც აღენიშნებოდა. ერთი სიტყვით, მისი გადარჩენის იმედი აღარავის ჰქონდა. პოლიართრიტი მსოფლიოში არსებულ 5 განუკურნებელ დაავადების ჩამონათვალშია შეტანილი. ამ დაავადებას რევმატოლოგიის ცენტრებში, მსოფლიოში აპრობირებული მეთოდით მკურნალობენ. ავადმყოფს ჰორმონებს აძლევენ, რაც არ კურნავს, მაგრამ სიცოცხლეს უხანგრძლივებს. მე ყოველგვარი მედიკამენტის გარეშე, ამ ქალბატონს ხელით ვუტარებდი მკურნალობას. კურსის გავლის შემდეგ, მან სიარული შეძლო და წონაში 60 კილოგრამი დაიკლო. იმ დღიდან 14-15 წელია გასული და თავს კარგად გრძნობს. ეს იყო სენსაცია, რომელსაც ბევრი ეჭვის თვალით უყურებდა. ეგონათ, რომ ავადმყოფი 1-2 წლის შემდეგ, ისევ ლოგინად ჩავარდებოდა.

— როგორ ხვდებით, რომ ადამიანი განკურნა? თქვენ ხომ არანაირ აპარატურას არ იყენებთ.

— ადამიანის ორგანიზმს ხელის შეხებით აღვიქვამ. თუ მას რაიმე დარღვევა აქვს ან დეპრესიაშია, მისი ბიოველი ძლიერდება. ამ ენერგიას ხელით ვგრძნობ და კორექციას ვახდენ. ადამიანის ბიოველი ორგანიზმში მიმდინარე პროცესებს ირეკლავს. როცა პაციენტს ვეხები და ხელში ტკივილს აღარ ვგრძნობ, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი განკურნებულია. ბევრ რამეს ავადმყოფისგანაც ვსწავლობ. პოლიართრიტის შემთხვევათა რიცხვმა ბოლო დროს ბავშვებშიც იმატა. 4-დან 12 წლამდე ასაკის პაციენტებიც მყავდნენ. ონკოლოგიური ავადმყოფობების შემდეგ, ამ დაავადებით მსოფლიოში ყველაზე მეტი ადამიანი იღუპება.

— ექიმები თქვენით არ დაინტერესდნენ?

— მათ ყველაფერი კარგად იციან, მაგრამ ჩემი მიღწევების იგნორირებას ახდენენ. უკვე გითხარით, რომ კაბინეტი რესპუბლიკურ საავადმყოფოშიც მქონდა, მაგრამ ზოგიერთების ჩემდამი დამოკიდებულების გამო, იქიდან წამოსვლა ვარჩიე.

— პოლიართრიტის გარდა, კიდევ რომელ დაავადებებს კურნავთ?

— ჩამონათვალი დიდია: დისკოზი, კოქსართროზი, ართრიტი, სისხლძარღვების შევიწროება, ნევროზი, შიშები (თუ გენეტიკური არ არის). ყველაფერი ინდივიდუალურად თითოეულ პაციენტზეა დამოკიდებული. თუ ადამიანს უფლის და საკუთარი თავის რწმენა არ აქვს, ის საკუთარი თავის უპირველესი მტერია. განწყობილებასაც ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ამა თუ იმ დაავადებისგან განკურნების ხანგრძლივობაც ინდივიდუალურია: ზოგისთვის 3-4 ან 10 სეანსია საკმარისი, ზოგს კი თვეობით უწევს სიარული.

— თუ არის ისეთი დაავადებები, რომლებთან ჭიდილშიც შედეგს ვერ აღწევთ?

— ონკოლოგიური დაავადებების დროს, სრული შედეგის მიღწევა ძნელია, მაგრამ სიცოცხლის გახანგრძლივებაც ხომ შედეგია! ერთი პაციენტი მყავდა, რომელიც ფილტვის კიბოთი იყო დაავადებული, მეტასტაზები მთელ ორგანიზმში იყო წასული. ავადმყოფის და მოვიდა (ის ადრე ჩემი პაციენტი იყო) და მთხოვა, ჩემი ძმა უმძიმეს მდგომარეობაშია, წამომყევი, იქნებ რამე უშველო. ეს ადამიანი წარსულში ცნობილი, კანონიერი ქურდი იყო. მკურნალობის დაწყებიდან მესამე დღეს ლიმფური ჯირკვლები გაეხსნა, თანდათან მომჯობინდა. ჯერ ლაპარაკი დაიწყო, შემდეგ, საკვებიც მოითხოვა, ლოგინიდან წამოდგა და ქუჩაში გასვლაც შეძლო. ეს ადამიანი დღესაც ცოცხალია და თავს კარგად გრძნობს.

— რამდენი წლის წინ უმკურნალეთ?

— 15 წლის წინ. მაშინ, როცა ოჯახის წევრები ქელეხისთვის ემზადებოდნენ, ღვთის ძალით, სასწაული მოხდა. ზოგჯერ ავადმყოფი არ მემორჩილება და კურსის ბოლომდე მიყვანას არ მანებებს. 42 წლის პაციენტი მყავდა, ყელის კიბოთი იყო დაავადებული. ონკოლოგიური ცენტრიდან

გამოწერეს, მაქსიმუმ 1 კვირას იცოცხლებსო, — მითხრეს მისმა ახლობლებმა. ავადმყოფს თმა — გაცვენილი, მხედველობა — დაკარგული ჰქონდა. შევუდექი მის მკურნალობას. სიმსივნური წარმონაქმნი თანდათან დავაპატარავე. 2 თვეში ეს ქალბატონი, რომ იტყვიან, ჩიტივით დაფრინავდა. კურსი ჯერ კიდევ არ მქონდა დასრულებული, — ახმეტაში ქმარი და ოჯახი მიტოვებული მყავსო, — მითხრა და გამექცა. მიუხედავად არასრული კურსისა, მან წელიწად-ნახევარი მაინც იცოცხლა.

— პრეპარატებს საერთოდ გამორიცხავთ, მათ შორის მცენარეულ ნაყენებსაც?

— არანაირ წამალს არ ვიყენებ. ავადმყოფებს ვთხოვ, კვების რეჟიმი დაიცვან. კვებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. საერთოდ, ჩვენ საკუთარი თავის მოვლა არ ვიცით.

— კვებასთან დაკავშირებით რას გვეტყვით?

— ამ საკითხთან ყველა ადამიანს ინდივიდუალური მიდგომა მართებს, სტანდარტი არ არსებობს. საერთოდ, უმჯობესია, საკვები ხშირად და მცირე ულუფებით მივირთვათ. საღამოს 6 საათის შემდეგ კი, საკვების მიღება სასურველი არ არის. როცა ამას ვამბობ, მეკამათებიან, ქორწილში მყოფმა ადამიანმა, 6 საათის მერე არაფერი უნდა ჭამოსო?!. კი, ბატონო, მიირთვით, მაგრამ — იცეკვეთ, იმოძრავეთ. ალკოჰოლი, მცირე დოზით, წამალია, სტიმულატორის ფუნქციას ასრულებს, გარკვეული რაოდენობის შემდეგ კი, საწამლავად იქცევა.

— ვიცი, რომ ამერიკიდან გქონდათ მიწვევა. თქვენი კარიერის იქ გაგრძელებაზე უარი რატომ თქვით?

— 1991 წელს ნიუ-იორკის ერთ-ერთი კერძო კლინიკიდან მივიღე მიწვევა, ვიზაც გამომიგზავნეს. მოგეხსენებათ, იმ წლებში საქართველოში დაძაბული ვითარება იყო, ოჯახი ვერ მივატოვე. შემდეგ, ისრაელშიც მიმიწვიეს, ამ ქვეყნის არაერთი მოქალაქე ჩემი პაციენტი იყო, მაგრამ უარი ვთქვი. ცოტა ხნის წინ, ჩემი ერთი პაციენტი, რომელიც პროფესიით ექიმი გახლავთ, ამერიკაში წავიდა. იქ ჩასვლის შემდეგ დამიკავშირდა და მთხოვა, რომ მეც წავსულიყავი. მასაც უარი ვუთხარი. რაღაც ძალა არ მიშვებს. ვგრძნობ, რომ აქ ჩემს ხალხს ვჭირდები. როცა დისერტაციაზე ვმუშაობდი, 4 წელი მოსკოვში გავატარე. ერთი სული მქონდა, როდის დავბრუნდებოდი სამშობლოში. ბუნებით კონსერვატორი ვარ, მირჩევნია, ჩემს სამშობლოში ვიყო, ქართველებს დავეხმარო და ნაკლები შემოსავალი მქონდეს, ვიდრე საზღვარგარეთ ფუფუნებაში ვიცხოვრო.

— დღის განმავლობაში რამდენ პაციენტს იღებთ?

— დაახლოებით 10-ს. დილის 10-დან საღამოს 9 საათამდე ვმუშაობ. ერთ პაციენტს დაახლოებით 1 საათს ვანდომებ.

— ეი. დღის განმავლობაში 10 ადამიანის ტკივილს თქვენ თვითონ განიცდით. დღის ბოლოს თავს როგორ გრძნობთ?

— მე ხომ ზედმეტი ენერგია მაქვს, რაც უფრო მეტად ვიხარჯები, თავს უკეთესად ვგრძნობ. თითქოს დიდი ტვირთი მეხსნება. საღამოს ვმოძრაობ, ძალების ვიღდგენ.

— შეცდომა არასდროს დაგიშვიათ?

— არ ვიცი, ამ შემთხვევას შეიძლება თუ არა, შეცდომა ეწოდოს. ონკოლოგიურ ავადმყოფთან ურთიერთობის პირველი შემთხვევა რაჭაში მქონდა. პაციენტი 38 წლის ქალბატონი იყო. მისი ახლობლები მოვიდნენ და მითხრეს: პანკრეასის სიმსივნე აქვს, 10 დღე და ღამე არ სძინებია. ისეთი საშინელი ტკივილები აქვს, არანაირი გამაყუჩებელი არ შველისო. ავადმყოფთან რომ მივედი, მანიშნა, რა ადგილას სტკიოდა, ხელი დავადე თუ არა, 5 წუთში ტკივილმა გაუარა და ჩაეძინა. იმ დროს მე თვითონ ხელში წარმოუდგენელ ტკივილს, ის კი შვებას გრძნობდა. მთელი ღამე მშვიდად ეძინა. მეორე დღესაც კარგად იყო, საღამოს კი მისმა ახლობლებმა კვლავ მომაკითხეს და მითხრეს, — ისევ ტკივილები დაეწყოო. რომ მივედი, 5 წუთის ნაცვლად, მისთვის ტკივილის მოსახსნელად, ნახევარი საათი დამჭირდა. ამ ნახევარ საათს ძლივს გავუძელი. მესამე დღეს რომ მივედი, ტკივილის მოხსნას 1 საათი მოვანდომე. მერე მივხვდი, რომ სიმსივნით დაავადებულ ადამიანს მტკივან ადგილზე ხელი არ უნდა დაადო. სითბო არ უნდა იგრძნოს — ასეთ დროს, ხელი სხეულთან ახლოს უნდა ატარო, მეტასტაზები გაყინო და ტკივილი „გამოიყვანო". ართრიტიან და პოლიართრიტიან ავადმყოფს კი, პირიქით, ხელით უნდა შეეხო — ამ დროს მტკივანი ადგილის სისხლით მომარაგება უმჯობესდება. სამწუხაროდ, დიაგნოსტიკაში შეცდომას ხშირად უშვებენ. ერთი პაციენტი მოვიდა და მითხრა, გული მაწუხებსო; გავსინჯე და აღმოჩნდა, რომ გული ჯანმრთელი ჰქონდა, მას ხერხემალთან დაკავშირებული პრობლემები აწუხებდა.

— პაციენტები თქვენთან პროფილაქტიკის მიზნით თუ მოდიან?

— დიახ. გასინჯვის შემდეგ ვეუბნები, რა დარღვევები აქვთ. მე ბიოენერგეტიკულ დიაგნოზს ვსვამ. ზოგი თვალით ხედავს ადამიანის შიგნეულობას, მე კი — ხელით ვგრძნობ.

— იმ შემთხვევაში, როცა თავად წამოგტკივდებათ რაიმე, როგორ იქცევით?

— საკუთარ თავსაც ანალოგიურად ვმკურნალობ, მტკივან ადგილას ხელს ვიდებ და ვთავისუფლდები. ყოველ დილით, ლოცვის შემდეგ, მთელ სხეულზე ხელს ვამოძრავებ, ორგანიზმში ყველაფერს „ვალაგებ" და კარგ განწყობილებაზე ვდგები.

— მადლიერი პაციენტები ალბათ გიმეგობრდებიან, არა?

— დიახ. გაზეთებში სამადლობელ წერილებს წერენ. პაციენტების ნაკლებობას ნამდვილად არ ვუჩივი, მიუხედავად იმისა, რომ რეკლამა არასდროს გამიკეთებია. ჩემი რეკლამა — ჩემი საქმეა. ბევრი უცხოელი პაციენტიც მყავს. ერთ პაციენტს მეორე მოჰყავს, მეორეს — მესამე და ა.შ. მათ შორის ცნობილი ადამიანებიც არიან, პარლამენტარების შვილები, მინისტრების მეუღლეები. წლების წინ, ჯანო ბაგრატიონსაც ვმკურნალობდი, ჩემთან სეანსებზე ბადრი პატარკაციშვილის დედა დადიოდა. მყავდა ყრუ-მუნჯი პაციენტიც — 1 წლის ბიჭი, რომელსაც სმენა დავუბრუნე, პარალელურად, ლოგოპედთან დადიოდა და ლაპარაკიც ისწავლა. დღეს მას უკვე ოჯახი აქვს. ჩემი პაციენტი იყო ერთი სვანი გოგონა, რომელიც მომაკვდავი მოგიყვანეს, თავში სიმსივნე ჰქონდა. თავად მას, ჩემთან მოსვლის მომენტი არც ახსოვს, ისე იყო ტკივილებისგან გათიშული; მესამე სეანსზე ტკივილები მოეხსენი. დღეს 4 შვილს დედაა და სვანეთში ცხენით დაჯირითობს... როცა იცი, რომ შენი ყოფილი პაციენტი კარგად არის, მკურნალისთვის ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს?.. ■

ფილიმონ კარბელაშვილი „გლახის ნაამბობის“ მოძღვრის პროტოტიპად გვევლინება

მორენა მერკვილაძე

განვაგრძობთ „გზის“ წინა ნომერში დაწყებულ საუბარს ძმები კარბელაშვილების შესახებ. გვესაუბრება მამა ანდრია კარბელაშვილის შვილიშვილი **ანდრე კარბელაშვილი.**

— 1924 წლის აჯანყებას შეეწირნენ თქვენი პაპა — მამა ანდრია და მისი ძმა პეტრე, ისინი ტირიფონის ველზე დახვრიტეს...

— როგორც ცნობილია, 1922-24 წლებში საქართველოში კომუნისტური ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ წარუმატებელ აჯანყებას მასობრივი რეპრესიები მოჰყვა. სექტემბერში, შეიარაღებულმა რაზმმა გორის მაზრის სოფელ ქვემო ჭალაში აჯანყების მონაწილენი დააკავა. ისინი გასასამართლებლად გორში უნდა წაეყვანათ. ამის შესახებ სოფელ ჭალის მოძღვარს, დეკანოზ ანდრია კარბელაშვილსა და მის ძმას, მამა პეტრეს შეუტყვიათ, დაპატიმრებულებთან მისულან და რაზმის მეთაურისთვის განუცხადებიათ — ამათთან ერთად, ჩვენც წამოვალთო. — რაც გინდათ, ის ქენით ბებრებო (მამა ანდრია 73 წლის იყო, მამა პეტრე — 64-ის), ოღონდ პატიმრებთან არ მიგიშვებთ, კონდახებით გაგიხეთქავთ თავებსო, — უპასუხია რაზმის მეთაურს.

მოძღვრები უკან მიჰყვებოდნენ გორისკენ მიმავალ ტუსაღებს... ტირიფონის ველზე ყველანი დახვრიტეს. სოფელ ჭალაში მცხოვრებმა მხცოვანმა ქალბატონმა, ოლღა თათარაშვილმა მომითხრო, როგორი წარმოუდგენელი სისასტიკით დახოცეს მამა ანდრია და მამა პეტრე: როდესაც პირველი გასროლის ხმა გაისმა, ორი ღვთისმსახური უშიშრად, ხელიხელჩაკიდებული გადაუდგა ტყვიებს, სურდათ, სხეულით გადაეფარებოდნენ ტუსაღებს, მაგრამ რას გააწყობდნენ?!

— მამა ფილიმონ კარბელაშვილიც გავიხსენოთ...

— მამა ფილიმონი ძმებს შორის, უფროსი იყო. მას გალობის, მოძღვრებისა და ქადაგების ნიმუშს ეძახდნენ. სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, შინ სკოლა გაუხსნია, სადაც გლეხების შვილებს წერა-კითხვას, ანგარიშს, ლოცვებსა და სამშობლოს ისტორიას ასწავლიდა, თან, უმცროსი და-ძმის აღზრდით იყო დაკავებული. 33 წლის ფილიმონს თავისი უმცროსი ძმები — 13 წლის ანდრია, 9 წლის პოლივექტოსი და 6 წლის ვასილი

1864 წლის 1-ელ მაისს სოფელ ქვემო ჭალასთან მდებარე, ცვილოს ციხესთან გამართულ საზეიმო შეკრებაზე აუყვანია. სწორედ იქ შედგა მგალობელი ძმების დებიუტი — ხალხური სიმღერები: „ყურშაო“, „ვინცა კაცია“, „ღიღინი“, „გვიბრძანე“, „ზამთარი“, „თამარ მეფე“, „შავლეგო“, „ესო, მესო“ შეასრულეს და დიდი მოწონებაც ხვდათ წილად. მამა ფილიმონი დაახლოებული იყო ნიკო მესხიშვილთან, მისგან ილია ჭავჭავაძე გაუცნია. მას იმდენად მოსწონებია ჭეშმარიტად ქართული აზროვნების მქონე, სამშობლოს წარსულის მოტრფიალე და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ერთგული ფილიმონი, რომ „გლახის ნაამბობში“, მოძღვრის პროტოტიპად აურჩევია: „მღვდელი შუაში იდგა, ხალხი ბუზსავით ირეოდა მის გარშემო, ზოგს ის ელაპარაკებოდა, ზოგიც დაუზარებლად პასუხს აძლევდა, ზოგს თვითონაც გაეხუმრებოდა და მაშინ უნდა გენახა გულიანი ხარხარი ერისა. ბევრი სიკეთე უნდა დაეთესოს კაცსა, რომელსაც ეგრე სიყვარულით გარს არტყია ხალხი!“ — წმინდა ილია მართალს მღვდლის ამ სახეში სწორედ ფილიმონი ჰყავს გამოყვანილი... სუსტი ჯანმრთელობის გამო, ფილიმონ კარბელაშვილი 48 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი ქვემო ქართლიდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ სოფელ სამთავისში დაკრძალეს.

— ძმების მსგავსად, პოლივექტოს კარბელაშვილმაც ღვთისადმი მსახურებას მიუძღვნა ცხოვრება, თუმცა სასულიერო მოღვაწეობასთან ერთად, აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა...

— მართლაც, იმ პერიოდში არც ერთ მნიშვნელოვან ეროვნულ მოვლენასა და წამოწყებას არ ჩაუვლია მამა ვასილ და მამა პოლივექტოს კარბელაშვილების გარეშე. ისინი იყვნენ კათოლიკოს-პატრიარქის, კირიონის (საძაგლიშვილი) უერთგულესი თანამებრძოლები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისთვის ბრძოლაში და მასთან ერთად ხელისუფლებისთვის საშიშ პიროვნებებად იყვნენ მიჩნეულნი. ამის შესახებ ნათქვამია თბილისის გუბერნატორის მიერ, კავკასიის მთავარმართებლის მოადგილის, გენერალ-ლეიტენანტ ფრეზესადმი საიდუმლო მიწერილობაში — დაზვერვის მასალებში: „...თბილისში მოღვაწე ორივე მღვდელი, მამა ვასილ და პოლივექტოს კარბელაშვილები, რომელთაგან პირველი, წმინდა მიხაილის საავადმყოფოსთან არსებულ ეკლესიაში მსახურობს, ხოლო მეორე — ანჩისხატის ეკლესიაში, ცნობილნი არიან, როგორც აშკარა რუსოფობები და საქართველოში რუსული პოლიტიკის დაუძინებელი მტრები“... საიდუმლო მიწერილობაში ასევე აღწერილია იმხანად ეპისკოპოსი (მოგვიანებით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) კირიონის საქმიანობა, რომელიც ძმებ კარბელაშვილებთან ერთად, დახასიათებულია, როგორც ხელისუფლებისთვის საშიში პიროვნება. მინიშნებულია მათი ერთობლივი იატაკქვეშა მოღვაწეობის შესახებ, რომ სწორედ ისინი ხელმძღვანელობდნენ ხალხის მასების გამოსვლებსა და ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ აჯანყებებს... მამა პოლივექტოს კარბელაშვილმა მიაკვლია დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსში დაცულ ხელნაწერებს და მათი კატალოგიც შეადგინა. 1886 წლის 4 თებერვალს გაზეთი „ივერია“ წერდა: „ჯერ მარტო დავითგარეჯის მონასტერში ასზე მეტი წიგნი აღმოჩენილა, მათ შორის იმისთანაა, თავისი სიძველით, რომ ფასდაუდებელია“, — წერდა მამა პოლივექტოსის ღვაწლით აღრფთოვანებული ილია ჭავჭავაძე. მან 132 ხელნაწერი აღწერა, რომელთა შორის, 22 ტყავზე იყო ნაწერი. ამჟამად ამ ხელნაწერთა უმეტესობა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება — მამა ვასილის (სტეფანე) და მამა პოლივექტოსის პირად არქივებთან ერთად. პოლივექტოს კარბელაშვილი მრავალი პუბლიკაციისა და ნაშრომის ავტორიცაა. ერთ-ერთი მათგანი — „ქართული სასულიერო და საერო კილოები“ — ფასდაუდებელი განძია ქართული მუსიკის მკვლევართათვის. ■

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

კომპიუტერული თაობის „მტკივნეული წერტილები“

ალბათ, არ არსებობს ადამიანი, ვინც კომპიუტერს „მავნებლობისთვის“ გამუდმებით არ ლანძღავდეს. აქაოდა, მისი გამოისობით მხედველობაც მაკლდება, ხელებიც მელლება, წელიც მტკივა და ნერვული სისტემაც მინადგურდებაო. არადა, ამ ჭკვიან მანქანას ლაპარაკი რომ შეეძლოს, თავისი უმადური მომხმარებლებისთვის პასუხის გაცემა ნამდვილად არ გაუჭირდებოდა.

„ასე ნუ მიყურებ!“

ეს იქნებოდა პირველი, რასაც კომპიუტერი მის მონიტორთან თქვენი გაქვავებული სახის (როცა მზერა დაძაბული, თვალები წითელი, ზოგჯერ კი აცრემლებულიც გაქვთ) „დანახვისას“ გეტყოდათ.

უკვე მეცნიერულადაა დამტკიცებული, რომ დიდხანს და თვალის მოუშორებლად დისპლეის ყურება საზიანოა. ჯერ ერთი, ამ დროს თავს იჩენს ე.წ. გამოსახულების პიქსელური სტრუქტურა, როცა მონიტორზე სურათი მთლიანი ხაზების კი არა, მიკროსკოპული წერტილების სახით გამოიყვანება. ამასთან, ეს წერტილები კიდეც ციმციმებენ ანუ გარკვეული სიხშირით ინთებიან და ქრებიან; მეორე, არეკლილი სინათლის ნორმალურად აღმქმელ თვალებს, მონიტორის პირდაპირი სინათლის სხივები ვნებს; მესამე, თვალებს ხელს უშლის დაბალი კონტრასტულობაც, რასაც მონიტორზე სხვა მანათობელი ობიექტების სახით წარმოშობილი ათინათიც ემატება. ყოველივე ამის შედეგად ვითარდება ასთენოპია — მხედველობითი გადაღლა და ადამიანი იძულებულია, სათვალე მოირგოს.

როგორ მოვიძცეთ?

თვალები არ გადაიღალოთ. დაარეგულირეთ ეკრანის განათება და მონიტორი ისე დადგით, რომ მასზე საგნები სარკესავით არ აისახოს. ყველაფერს კომპიუტერის ფანჯრისკენ ზურგით (უკანა პანელით) დადგმა სჯობს. ეს ქუჩაში მიმავალ ადამიანებზე, იქ მდგარ ხეებსა თუ სახლებზე მზერის ავტომატური გადატანის საშუალებას მოგცემთ, რაც თქვენი თვალებისთვის მშვენიერი ვარჯიში იქნება. ოფთალმოლოგები, დაბეჯითებით ითხოვენ კომპიუტერთან მუშაობის დროს სპეციალური ვარჯიშების ჩატარებას. მაგალითად, შეიძლება, დროდადრო თვალები აქეთ-იქით (ექვსჯერ მარჯვნივ, ექვსჯერ — მარცხნივ) ისე ატრიალოთ, რომ რაც შეიძლება მეტი რამ დაინახოთ. ასეთი ვარჯიში კომპიუტერის სპეციალური სათვალით აღიჭურვის შემდეგაც არ გაწყენდათ.

როგორც წესი, კომპიუტერთან მჯდომ ადამიანს თვალების დახამხამება ავიწყდება. უფრო სწორად, თვალების ხამხამის ნორმალური სიხშირე წუთში 15-ია, მაგრამ როცა ადამიანი ეკრანს დაძაბული აცქერდება, ხამხამი საჭიროზე ორჯერ ნაკლები გამოსდის. შედეგად, თვალის სიმშრალის, ჭრის, ჩხვლეტისა და ტკივილი შეგრძნება ჩნდება.

თუ კომპიუტერთან მუშაობისას, უსაფრთხოების უმარტივეს წესებს დავიცავთ და ყოველი ნახევარსაათიანი მუშაობის შემდეგ, თვალებს ხუთი წუთით მაინც დავასვენებთ, ამ მიზეზით მხედველობის გაუარესება არ დაგემუქრებათ.

„თაგვი“ არ მომიგუდო!“

კომპიუტერისთვის სრულიად გაუგებარია, რა საჭიროა „თაგვისთვის“ ხელის მთელი ძალით მოჭერა და კლავიატურაზე თითების ბრახუნი?! მით უმეტეს, თუ ეს ისეთ უსიამოვნო დაავადებასაც იწვევს, როგორიც „გვირაბული სინდრომია“ — კომპიუტერის კლავიშებზე გამუდმებული ბრახუნის შედეგად, თითქოს თითების ბალიშები შუაზე იყოფა, ხელის მტევნებში კი სისუსტის, დაბუჟების, ჟრუანტელის დავლის შეგრძნება ჩნდება... ეს ავადმყოფობა თანდათან ვითარდება და თუ მისი პირველი ნიშნებისთანავე საჭირო ზომებს არ მიიღებთ, მაშინ ტკივილი გაძლიერდება და სერიოზული მკურნალობა (შეიძლება, ქირურგიული ჩარევაც) გახდება საჭირო. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ მეტი რისკის ქვეშ კომპიუტერის „თაგვით“ მომუშავე ხელი დგას.

 აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად

ინტერნეტ მაღაზია

www.elva.ge

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. ოჯახის მკურნალი	0.80	11.2
2. ЗДОРОВЬЕ	6.00	36.0
3. КАРДИОЛОГИЯ	14.00	84.0
4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА	11.00	66.0
5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ	9.55	57.3
6. МЕДИЦИНА ТРУДА	14.00	84.0
7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС	50.95	305.6
8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ	9.55	57.3

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის გავრცელების სააგენტო „ელვასერვისი“

ქ. თბილისი
იოსებიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40; 38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

როგორ მოვიძცეთ?

მიეჩვიეთ ხელების სწორად დაჭერას. კლავიატურაზე მუშაობისას ხელი იდაყვში 90%-ით უნდა იყოს მოხრილი, „თაგვით" მუშაობისას — ხელის მტევანი გამართული და რამდენადაც შესაძლებელია, მაგიდის კიდიდან მოშორებული უნდა გქონდეთ. სკამის ან სავარძლის სახელურებს სასურველია, საიდაყვეები, ხოლო მაჯებქვეშ ამოზნექილი ადგილები ჰქონდეს. პროფილაქტიკისთვის, რაც შეიძლება ხშირად შეასრულეთ შემდეგი ვარჯიში: ხელის მტევნები ხშირ-ხშირად „დაიფერთხეთ" და დაიზილეთ, თითები მომუშტეთ, მუშტები კი წრიულად ატრიალეთ.

„ქანდაკებად ნუ გადაიქცევი!"

ის, ვინც ფიქრობს, რომ დაღლილი ზურგის დასვენება სავარძლის საზურგეზე გადაწოლითა და მოდუნებით შეიძლება, ძალიან ცდება. ერთსა და იმავე პოზაში დიდხანს ყოფნა, კუნთების უმოძრაობა მის დეგრადაციას იწვევს და რადგანაც ხერხემალში ნივთიერებათა ცვლა სწორედ კუნთების მეშვეობით ხდება, შესაბამისად, ისიც ზიანდება. საბოლოო შედეგი კი მალებშორისი დისკოების დაშლა ანუ ოსტეოქონდროზი გახლავთ. ამ მხრივ, განსაკუთრებული რისკის ზონას ხერხემლის კისრის მიდამო წარმოადგენს. სწორედ იქ გადის თავის ტვინის მკვებავი არტერიები და ხელებთან, გულთან, ფილტვებთან თავის ტვინის დამაკავშირებელი ნერვები. ასე რომ, დიდხანს ერთ პოზაში ყოფნა კარგს არაფერს მოგიტანთ.

როგორ მოვიძცეთ?

მონიტორი ზუსტად პირდაპირ ანუ ისე უნდა დადგათ, რომ მისი ზედა წერტილი თქვენ თვალწინ ან ოდნავ მაღლა იყოს. ეს თავის სწორად დაჭერაში დაგეხმარებათ. ზურგი ოდნავ უკან უნდა იყოს გადახრილი, რათა ხერხემალზე დატვირთვა შემცირდეს, თეძოები ტანთან, მუხლები კი თეძოებთან სწორ კუთხეს უნდა ქმნიდეს.

კომპიუტერთან უწყვეტად მუშაობის ხანგრძლივობა ორ საათს არ უნდა აღემატებოდეს, შემდეგ 10-15 წუთი უნდა შეისვენოთ, ადგეთ, გაიარ-გამოიაროთ, მაღლა აიხედოთ და რამდენჯერმე უკან ისე გადაიხაროთ. ყველაზე მთავარი კისრისთვის განკუთვნილი ვარჯიში ანუ თავის მარჯვნივ-მარცხნივ გადახრა და წინ და უკან დახრაა.

„ნუ დაიძაბებით!"

დამწყებისთვის თვით „თაგვის" ერთფეროვანი მოძრაობაც კი სტრესია. თავის მხრივ, შემთხვევითი შეფერხება და ინფორმაციის დაკარგვა კომპიუტერთან მუშაობაში გამოცდილ ადამიანსაც არანაკლებ სტრესში აგდებს. ფსიქიკას ტრავმას აყენებს უმოქმედო პროგრამები, კომპიუტერული ვირუსების შემოტევა, საკუთარი არასწორი მოქმედებები და შეცდომები. შედეგად, ადამიანი ნერვული, გაღიზიანებული და არაპროგნოზირებადი ხდება...

როგორ მოვიძცეთ?

ასეთი სტრესის მოხსნა კომპიუტერითვე ხდება. მისი დხმარებით შეგიძლიათ, მუსიკას (მათ შორის, ენციკლოპედიურსაც) უსმინოთ და დაისვენოთ ან საყვარელი თამაში ითამაშოთ, რათა სამუშაოს ცოტა ხნით მოსწყდეთ და აზრები დაალაგოთ, სასაცილო გამოსახულებებსა და ფილმებს უყუროთ და განწყობილება აიმაღლოთ...

ჟურნალი ჟურნალში

ფეხბურთელები

22.11-21.11.2007

ხემოთხვევითი ნაცნობი

...ჩაზელეს, ამოვა; ჩაზელეს, ამოვა... ვიღაცამ უთხრა, „ფორთოჩკიდან" გადავაგდოთო და როგორც იქნა, მოიცილეს...

თემა

გათხოვება საკუთარ ქმარზე ანუ ორჯერ ერთსა და იმავე მდინარეში ბანავება



ასე გავთხოვდი მეორედ საკუთარ ქმარზე. რაც შეეხება სიყვარულს, მის მიმართ არანაირი გრძნობა არ მაქვს

ეროვნული მავფლეფლთა ინსტიტუტი

პოლიციის მიერ ამოღებულ ნივთებს შორის საინტერესო დოკუმენტაციაა ნაპოვნი: „ნამდვილი მაფიოზის ქცევის 10 წესი"



შემთხვევითი ნაცნობი

სიკვდილის რეპეტიცია და ცოცხით დაბოლილი მგზავნელები ანუ უკაცრავად, თქვენი ცოლი ქალია?



მარი ჯაფარიძე

„გზავნილები“ არა მარტო თქვენთვის, არამედ ჩემთვისაც ძალზე სასარგებლოა. მისი წყალობით იმდენი პროფესიის ადამიანი გავიცანი, რომ წესით, ყოფაცხოვრების არც ერთ სფეროში პრობლემები არ უნდა შემექმნას. მაგალითად, თუ გული შემომიტეევს, კარდიოლოგი დამეხმარება, მის დანიშნულებას მედდა ფინტიკოზა (რომელიც ამ ბოლო დროს რატომღაც დაიკარგა) „მოიყვანს სისრულეში“; იურისტის დახმარება თუ დამჭირდება, აგერაა კანბალკა; თუ სპორტით დავინტერესდები, მონასტრის ბიჭი დამეხმარება; ფრანგულს პარიჟანკა მასწავლის, მეგრულს — მეგრელი მგელო, ჟურნალისტიკაში — პატარა ჟურნალისტკა (ისეც ხომ ხდება, რომ კოლეგის დახმარება გჭირდება?) წამაშველებს ხელს; ახალ ამბებს ჭორიკანა გამაცნობს, პატრული დამჭირდება და საშველად ელისოს ვუხმობ (ამიწყვია ცხოვრება, არა?)_ ვინ იცის, კიდევ რამდენი ეკონომისტი, ბულალტერი, მარკეტინგის მენეჯერი, მომლერალი თუ სხვა პროფესიის ადამიანი ამესიჯებს ჩვენთან. ჰო, მართლა, ამ კვირაში ჭრიჭინამ თავისი ფოტო გამოგზავნა, რომელიც სამწუხაროდ, წამეშალა და თუ კიდევ გამოგზავნის, დიდად მოხარული ვიქნები. ახლა კი ვიდრე თქვენ მიერ გამოგზავნილ მესიჯებზე გადავალ, კიდევ ერთ რამეს დავამატებ: 2 კვირის წინ გითხარით, რომ საუკეთესო მესიჯებს განსხვავებული დიზაინით დავბეჭდავდი. ძალიან მაინტერესებს თქვენი აზრი ამასთან დაკავშირებით. მოგწონთ თუ არა ეს სიახლე და როგორ გგონიათ, სამართლიანად ვარჩევ თუ არა ჩარჩოში ჩასასმელ მესიჯებს? ნუ დაიზარებთ ამასთან დაკავშირებით აზრის გამოთქმას. ხომ იცით, რომ თქვენს აზრს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ახლა კი — წავიდა „ლაი-ლაი ამბები“ (იმედია, სხვა ჟურნალები საავტორო უფლებებს არ დაარღვევენ და „ლაი-ლაი ამბებს“ თავიანთი ახალი რუბრიკის სახელწოდებად არ გამოიყენებენ)_“

„შემთხვევითი“ სარძლო

„აუ, ნეტავ, იცოდეთ, როგორი სიამოვნების ჟრუანტელი დამივლის ხოლმე ტანში, როდესაც ჩემს მესიჯს „გზაში“ ვკითხულობ. ჰოდა, რას ვყვებოდი... ერთხელ, ბანკში რიგში ვიდექი. ამ დროს ვიღაც ქალი წინ ჩამიხტა და აბა მე რის ჟუკი ვიყავი, სათანადოდ არ მიმელანძღა. ისე, არც იმ ქალმა დამაკლო და რომ გადიოდა, მომაძახა: ჩემს მტერს, შენნაირი რძალიო. მეორე დღეს „ლოვემ“ თავისთან დამპატიჟა, თავისი ოჯახის გასაცნობად და ჩემი მომავალი დედამთილი რომ შემოვიდა მისაღებში, კინაღამ ვიკივლე. თურმე, წინადღეს ეს ქალი გამილანძღავს და ახლა სარძლოდ გამოვეცხადე. ისე, კი შემრცხვა... :) ჟუკი“.

მწვანეთვალება „შემთხვევა“

„მარი, ძალიან, ძალიან გთხოვ, გამომიქვეყნო. ერთი წლის წინ მეტრო „ნაძალადევში“, მწვანეთვალება მანდილოსანს გადავეჩეხე და ლექსი მივუძღვენი. ფურცელზე დავუწერე და ზედ სახელი და ტელეფონის ნომერი მივუთითე იმ იმედით, რომ გამომეხმაურებოდა. ამაოდ ველოდი. არავინ გამომხმაურებია. დიდი ხნის განმავლობაში ლანდად მდევდა მისი ენით აუწერელი სილამაზე. ათიოდე დღის წინ კი დაუჯერებელი რამ მოხდა: უკვე დავიწყებასა და წარსულს ჩაბარებულმა „სილამაზემ“ კვლავ შემახსენა თავი. ჩემს ტელეფონზე მესიჯი მოვიდა: „მე ვარ ლიზი. კუსოს მეძახიან. ის ვარ, ვისაც ერთი წლის წინ ნაძალადევის გვირაბში ლექსი მიუძღვენი“. მინდა, „გზავნილებით“ ვისარგებლო და გითხრა, რომ მონატრებამ, გაუთავებელმა მოლოდინმა და სევდამ ლამის ფერფლად მაქციოს, იქნებ მითხრა, მიყვარხარო, შენკენ გამომაქციო? ამიტომაც ოქრ... ო! ნუ მაქციე ფერფლად, მალე თოვლიც ჩამოწვება, გულს დამიდნობს ჩემსას. ლიზი, ერთხელ გნახე და ჩემი გული დაიპყარი. მიყვარხარ! სამი დღეა, არ მპასუხობ, რატომ, პატარავ? მ.გ“.

ცისფერთვალება მამების „მკერავი“

„მე და მამამ მატარებლით მგზავრობისას მთლიანი კუპეს ბილეთები შევიძინეთ, რომ არავის შევეწუხებინეთ. გამცილებელმა გვთხოვა, ერთი ქალია უბილეთოდ დარჩენილი და თქვენთან შემოუშვითო. ვი-

ფიქრეთ, ქალია და ჯანდაბას, შემოვიდეს-თქო. ამ ქალმაც ზევით მოინდომა დაწოლა, მამაჩემის პირდაპირ და გაუბა „ბაზარი“ — თუ როგორ დაქვრივდა, ორ ბავშვს როგორ ზრდის, ქმარი რომ ჰყავდეს, მაშინ რა უჭირს... მოკლედ, ამ ლაპარაკში როდის ჩამეძინა, არ ვიცი, მაგრამ რომ გავიღვიძე, ისევ „თიფთიფებდა“ და მამაჩემის დაკერვის მიზნით, რაებს აღარ როშავდა. საწყალი მამიკო! იმ ცისფერ თვალებს რაფერ აფახულებდა უძილობისგან... იმ ქალმა ისე შეაცოდა თავი, რომ დილით ტვირთიც გაუტანა და ტაქსიმდეც მიაცილა. P.S. მარი, ამ დილაუთენია იმიტომ გწერ, რომ მერე ხულოს „წვერში“ მივალ ნიშნობაზე და იქიდან როის დავბრუნდები, არ ვიცი. აბლახანუმი“.

ვიდრე შემდეგ მესიჯს გაგაცნობთ, მინდა, ერთი ანეკდოტი მოგიყვეთ: ხნიერი მამაკაცი საკონდიტროში შევიდა და გამყიდველს ეუბნება:

— თუ შეიძლება, 3 ცალი სკლეროზი მომეცით!

— ასეთი რამ გაყიდვაში არ გვაქვს. — დაიბნა გამყიდველი.

— რას ჰქვია, არ გაქვთ? ყოველდღე თქვენთან ვყიდულობ სკლეროზს და ახლა არ გაქვთ? — აღშფოთდა კლიენტი.

— არა, ბატონო, ჩვენ ასეთი ნამცხვარი არ გვაქვს.

— ვაა, „ნიუელი“, ეკლერი მაქვს? — ჩაილაპარაკა მყიდველმა და მაღაზია დატოვა. აი, სწორედ ასეთი „ეკლერი“ დაემართა მომდევნო მესიჯის ავტორს.

სკლეროზი

„საინტერესოდ სასიამოვნო განცდა ყოფილა თურმე, „გზაში“ შენი მესიჯის წაკითხვა. თემას რაც შეეხება, ერთხელ ნაცნობს შევხვდი, რომელმაც თანმხლები დაქალი გამაცნო. კარგა ხნის მერე, ქუჩაში ვიღაც გოგო შემხვდა, თბილად მომესალმა, სახელით მომმართა და საათნახევრიანი საუბარი გამიბა. არ შევიმჩნიე, აზრზეც რომ ვერ მოვედი, ვინ იყო. საინტერესოდ ვისაუბრეთ. მოკლედ, არ ამოგვეწურა სასაუბრო თემა და ძლივს შეველიეთ ერთმანეთს. :-)ისე, თავს ძალიან უხერხულად ვგრძნობდი, ჩემდამი ასე თბილად განწყობილი ადამიანი რომ ვერაფრით ვიცანი. მეორე დღეს ის ნაცნობი შემხვდა, დაქალი რომ გამაცნო და მითხრა: გავიგე, გუშინ შენ და ნათიას კარგა ხანს გიმუსაიფიათ, აღფრთოვანებულია შენითო. რა ცუდია, სახეებს რომ ვერ ვიმახსოვრებ... რა გინდა, მაინც ხომ მშვენივრად ვიმუსაიფეთ? რა მეტყობოდა, რომ ვერ ვიცანი? ახლა რომ არ გამემხილა, ვერც ვერასოდეს მიხვდებოდა. :-) პოეზიის დედოფალი“.

მონასტრის ბიჭის ვნებანი და „ნოსტალგიანი“

„გამარჯობა. ეს მოხდა ტულაში, 2001 წელს. ბიძაჩემთან სტუმრად ვიყავი, თან ფეხბურთელის კარიერის აწყობა მინდოდა. თუმცა, ეს სხვა ამბავია... 48 საათი ავტობუსში ერთი დიდი ძიაკაცი არ მასვენებდა, ჩემს ადგილზეც კაი ბარაქიანად იყო გადმოსული. ნუ, „გაჭყლეტილ“ მდგომარეობაში ჩავაღწიე დიდი რუსეთის ერთ პატარა ქალაქში (თბილისზე ბევრად დიდია) — ტულაში. დავიწყე რუსულად მეტყველება: „ია წიბია ლუბლუ“; „ტი მნე ზაკალიბალ, ჩუვაკ“; „დავაი რასძენსა“ და ა.შ. მოკლედ, იქაური ქუდი დავიხურე. დისკოთეკაზე ვიღაც რუსს ვეცეკვებოდი (ჭიპხახუნას), თავი ერთი ადგილისკენ შევაბრუნე და ისეთი მაგარი ნაშა დავინახე, თვალები „ნასკებში“ ჩამივარდა. ამ ლამაზს ერთი გოგოც ახლდა, დაქალოჩკა. გასასვლელს მიაშურეს. მეც დავიძარი. ფეხს აუჩქარეს, მეც ავუჩქარე. შემამჩნიეს და რა თქმა უნდა, მაგრად მოქუსლეს. მეც ვუმატე სირბილს. მირბოდა და მივდევდი. ღამეა, ყველა ნასვამია ან გალეშილი. საშველი არსაიდან ჩანს. ჰმ, ამ გოგონებს მანიაკი ვეგონე (საქართველოდან). შეცვივდნენ ტრამვაიში (იქ ახლაც დადის) და მეც მოვასწარი. აქოშინებული ამ გოგონასთან ძალიან ნელა მივედი. პულსი ალბათ 100-ზე მეტი მქონდა. ჰოდა, ასეთ მდგომარეობაში მყოფს, ცალი მუხლი მომეკვეთა და ამ გოგონას წინ დაჩოქილი აღმოვჩნდი (უნებლიეთ). აღარ ავდექი, მომეწონა ეს მდგომარეობა, რადგან მის „შესაბმელად“ იდეალური საშუალება იყო და ეგრევე ვაჯახე, ჩემი „დაღრეცილი“ რუსულით: „ძევუშკა, კაკდა ია წიბია უვიძელა („უვიძელ“ უნდა მეთქვა), სრაზუ პალუბილა (აქაც შეცდომა დავუშვი) წიბია. კაკ წიბია ზავუტ?“ დავიწყეთ ასე უცნაურად ურთიერობა. პაემნები, ყვავილები, ღამის კლუბები... შევაყვარე თავი, შევასწავლე ქართული და ქართულად მიხსნიდა სიყვარულს. მე მის ქართულზე „ვკაიფობდი“, ის — ჩემს რუსულზე. შეგვიყვარდა ერთმანეთი. ერთხელ „ტროლიკას“ ვერ მივუსწარი, რომელშიც ის იჯდა. „პაშა, ბისტრა, იძი კნამ!“ — მომაძახა. შიგნით რომ ვერ შევედი, ტრამვაის უკან ჩამოვეკიდე. სიცივე იყო, ჰოდა, მინაც დაორთქლილი გახლდათ. დიდი გული დავხატე თითით და შიგნით „იულია“ ჩავწერე. ვინც კი მხედავდა, ემოციებს ვერ ფარავდა. გოგონები იცრემლებოდნენ. გაჩერდა „ტროლიკა“ შემდეგ გაჩერებაზე, შევედი ტრანსპორტში და ხალხში ერთმანეთს ვაკოცეთ. სიმართლეს ვამბობ, ბევრმა ტაში დაგვიკრა. მოკლედ, მაშინ ბედნიერი ვიყავი. ძალიან კარგი დრო იყო. ასე გავატარეთ სამი თვე. მერე... მერე მომენატრა საქართველო, ღამეები არ მეძინა. ილია ჭავჭავაძის ლექსით ვიძინებდი და ვიღვიძებდი, სამხრეთის ღამეს ვნატრობდი. მივატოვე ფეხბურთის კლუბი, იქაური ძმაკაცები, ბიძაჩემს ვთხოვე, გამოვეშვი. მართლა ვეღარ ვძლებდი და იულიაც დაუმშვიდობებლად მივატოვე... თურმე, ახლაც ვახსოვარ. მაპატია ჩემი საქციელი, მაგრამ... მონასტრის ბიჭი“.

„ქალბატონო, ვარ?ვისიანობის ვადა გავიდათ?“

გადარჩენილი თავი და ტაფა

„ერთ დღეს, დილაადრიან დავადექი თავზე ჩემს დაქალს, ჯერ კიდევ ლოგინში მყოფს. სანამ ის გამოფხიზლდებოდა და ჩაიცვამდა, მე სააბაზანოში შევიპარე, კბილის პასტას თავი მოვაძვრე, შიგთავსი გადმო-

ვასხი და შიგ იაფფასიანი, ვადაგასული და შედედებული ხელის კრემი ჩავასხი. მერე ყველაფერი თავ-თავის ადგილზე დავალაგე და გამოვედი. ტელევიზორთან მჯდომს მესმოდა, როგორ შევიდა ჩემი დაქალი სააბაზანოში. ვიჯექი და განცხრომით ველოდი წამს, როცა კივილით ჭერი აიხდებოდა, მაგრამ ჩემი დაქალი რაღაც საეჭვოდ დუმდა. ნუთუ ისეთი დებილია, ვერც მიხვდამეთქი? ვიფიქრე და სააბაზანოში შევედი. გაფითრებული, პირგამოგლესილი და კბილებზე მოთეთრო მასაშეწებებული იდგა ჩემი დაქალი და „მამის მკვლელის" თვალებით მიყურებდა. როცა კბილებიდან ის საზიზღრობა ჩამოიფხიკა და ჩემთვისაც მოიცალა, მეგონა, ახლა კი ნამდვილად მომკლავს-მეთქი და მხოლოდ ესღა გავიფიქრე დანანებით: ვაჰ, სადაური სადა ვკვდები-მეთქი?! მაგრამ ის მშვიდი სახით მეუბნება: კეთილი გულით გირჩევ, შენთვისვე აჯობებს, თუ 5 წამში აქედან გაქრები; წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემს სახლში არსებული ყველაზე დიდი ტაფა დაგელეწება თავზეო. ისეთი თვალები ჰქონდა, მივხვდი, გამკეთებელი იყო და სასწრაფოდ გამოვიძურწე იქიდან. შედეგად, მე თავი მაქვს მთელი, ჩემს დაქალს კი — ტაფა. ხომ გამომადგა ეს კეთილი რჩევა? პენსიონერი".

მგზავნელების ჯიბრზე

„თვეების წინ ჩატში „მეგრელი კანიბალკას" ნიკით ვიყავი. იქ გამეცნო ნინო კირკიტაძე: შენ „გზის" კანიბალკა ხარო? :) მას მერე დიდი ხანი გავიდა და ახლა მე და ნინო დაქალები ვართ. ჩემი სიყვარულის გადარჩენაც, 50% ნინოს დამსახურებაა. შესაძლოა, ნინო ჩემი მეჯვარეც გახდეს. ამისათვის მადლობა „გზავნილებს" და მარის, რომელმაც რატომღაც ჩემს მესიჯებს ნიკი არ მიაწერა. „მაშვალი" და ის მესიჯი, სადაც მეგრელ მგელოსა და ალბენს ვახსენებ, ჩემია. ყველანი ძალიან მიყვარხართ, მგზავნელებო, მაგრამ იმ ჟურნალში, სადაც ყოველ ნომერში გულს მტკენენ, ალბათ ჩემი ადგილი არ არის. :) თუმცა, იმ უინტერესო მგზავნელების ჯიბრზე, ვინც ჩემზე ჭორაობს, „გზას" არ დავტოვებ. თუ ელისო, პავლიკა, ფინტიკოზა, ილინი, აბლახანუმი, ლელუჩია, ნელკა, ლორელაი, შეწირული, ჩუქჩა, მანაველი და ა.შ. სერიოზული მგზავნელები გადაწყვეტენ, რომ წავიდე, ალბათ ასე ყოფილა საჭირო და წავალ კიდეც, რადაც არ უნდა დამიჯდეს. ველოდები თქვენს განაჩენს! განსასჯელის სკამზე ჩემს სურათს გიტოვებთ. კანიბალკა".

ცომი

„ქუთაისში ერთი კარგი მხატვარი ცხოვრობს. პური რომ არ იშოვებოდა და რიგები იყო, ის მუულლემ პურზე გაუშვა. დიდხანს იდგა პურის რიგში და ბოლოს, პურის მაგივრად ცომი მისცეს. წამოვიდა გახარებული და 8 ნომერ ტროლეიბუსში ჩაჯდა. ზამთარი იდგა. ტროლეიბუსში ბევრი ხალხი იყო და სიცხისგან ცომმა ამოსვლა დაიწყო. რა ქნას ჩვენმა მხატვარმა? ცელოფანში ცომი არ ეტევა, ხელები ცომით დაესვარა. ჩაზელს, ამოვა; ჩაზელს, ამოვა... ხალხი იგუდება სიცილით. ვილაცამ უთხრა, „ფორთოჩკიდან" გადავაგდოთო და როგორც იქნა, მოისროლეს, სიმწრით აღებული ცომი. მივიდა სახლში ხელებდასვრილი, უცომოდ და მთავრობის „ლოცვით" გულანთებული. გერასიმე".

ჭკვიანური კითხვა

„ჰოოო... ჰო, ჰო, რა გამახსენდაა! ერთხელ, ფსიქოლოგიის ლექტორი ქალისა და კაცის ურთიერთობებს გვიხსნიდა და აუდიტორიაში ბუზის გაფრენის ხმა ისმოდა. ჰოოდა, ჩემს კურსელს, არ ვიცი რატომ, მაგრამ აშკარად დააინტერესა ფსიქოლოგის ოჯახურმა მდგომარეობამ და ზრდილობინად იკითხა: უკაცრავად, თქვენი ცოლი ქალიაო? მახსოვს, სამოცდაათი კაცის მიბრუნებული თავი და მშვიდი პასუხი: რა ვიცი, რომ წამოვედი, ქალი იყოო... თან ისე თქვა, მგონი ეჭვი შეეპარა და შესამოწმებლად გაიქცა. ვირუსა 89".

მოღალატე

„შარშან ზღვაზე შემთხვევით ერთი ქალი და ბავშვი გავიცანი. შევყევით საუბარს. აბა ოჯახიო, სერიალებიო და ასე შემდეგ. მეორე დღესაც შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს და ძალიან გაგვიხარდა. თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვყოფილიყავით. მალე ჩემი ქმარიც მოვა და გაგაცნობო. ცოტა ხანში, მართლაც მოვიდა და მის დანახვაზე სახე მომეღრიცა, რადგან ჩემს დაქალს ცოტა ხნის წინ სიყვარულს ეფიცებოდა (უსინდისო), მაგრამ როგორ გამოვტყდებოდი? ჰმ... აბლახანუმი".

სიკვდილის რეპეტიცია

„უიი, რადგან „დელივერი რეპორთ" მომივიდა, რაღა მომკლავს? ჰოდა, მოგიყვებით მაშინ რაღაცას: ერთხელ, 2 წლის წინ ოპერასთან ვისხედით მე და ჩემი მეგობარი. რაღაცებზე ვლაპარაკობდით და გვერდზე რომ გავიხედე, ვიღაც გოგო იჯდა მარტო. გავიდა 1, 2, 3 საათი და ეს გოგო ისევ მარტო ზის. შემეცოდა, მივედი (ვინ მექაჩებოდა) და დაველაპარაკე. ნუუ, გავიცანით ერთმანეთი და ნომრები გავცვალეთ. მას მერე ვნახულობდი ხოლმე. ჰოდა, ერთ დღეს ჩემთან დარჩა და აქ უკვე ვაიიი! ძილის წინ ყურში ჩამჩურჩულა, შენზე ლამაზი გოგო ჯერ არ მყოლიაო. მთელი ღამე „სიკვდილის რეპეტიციებს" გავდიოდი, 4 საათი სააბაზანოში ვიმალებოდი და გასვლის მეშინოდა. თურმე ეს ჩემი საყ-

ადამიანს სიცოცხლე ერთხელ
ეძლევა და ისიც შემთხვევითი

ვარელი შემთხვევითი ნაცნობი „ლესბიანკა“ ყოფილა. მთელი ღამე ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ ვიმყოფებოდი. როგორც იქნა, გათენდა და გაიძურწა ჩემი სახლიდან. მეორე დღეს კარგად დავიძინე. ჰოდა, მესიჯი მომივიდა და დედაჩემმა წაიკითხა (მე მეძინა). მესიჯი ამ გოგოსგან იყო, ასეთი ტექსტით: „გოგონები მოგწონებია“ და კითხვის ნიშნის დასმა დაავიწყდა. დედაჩემს გაახსენდა, რომ წინაღამეს ეს გოგო ჩემთან დარჩა და დღეს კიდევ ასეთი მესიჯი გამომიგზავნა. მიდი ახლა და აუხსენი, რომ კითხვის ნიშნის დაწერა დაავიწყდა. მერე რაც მოხდა, აღარ ღირს მოსაყოლად. ჩემი ორიენტაციის დასამტკიცებლად 1 წელი ვიყავი იმ ბიჭთან, რომელსაც ვერ ვიტანდი. ესეც ჩემი STORY. ჰოდა, ეგრე!“

მატყუარა ჯარისკაცი

„ერთხელ ჩემმა ბიძამ თავის ჯარისკაცს ჩემს ნომერზე ანგარიშის შევსება დაავალა და თან ფულიც მისცა. გიომ კი ეს ფული ძმაკაცებთან დახარჯა, მერე დამირეკა და მითხრა: შენს ნომერზე თანხა უნდა ჩამერიცხა, მაგრამ ფული დავკარგე, ახლა კი შენი გაცნობა მომინდაო. მე და გიომ ერთმანეთი გავიცანით და შეგვიყვარდა. იმის მერე გამომიტყდა, რომ ის ფული ძმაკაცებში დახარჯა. გავიდა დრო და გავიგე მე სულელმა, რომ ის ტიპი, სახელად გიო, ცოლშვილიანი ყოფილა. ასე დამთავრდა ჩემი უიღბლო სასიყვარულო ამბავი, რომელიც ერთი „ლაი-ლაის“ და ბიძაჩემის წყალობით დაიწყო. პატარა“.

შუმახერა

„აქა ამბავი ჩემი და დაცვის ბიჭის გაცნობისა. ერთ მშვენიერ დღეს, ბიძაჩემის ავტოთი „წავიშოპინგეთ“. რაღაც მომენტში მანქანაში მარტო აღმოვჩნდი და თავისუფლების მოედნის თვალიერებით ვტკბებოდი. უცებ ავტომატგადაკიდებული სამთავრობო დაცვის წევრი წამომადგა თავზე ისეთი ღიმილით, ვიფიქრე: „კაკ მინიმუმ“ მკითხავს — ამ საღამოს რას აკეთებო? ის იყო, „ვიზიტკა“ მოვიძიე და ნაზად გავუღიმე, რომ მიბრძანა: — გადააყენე მანქანაო. :)თურმე, იქ გაჩერება არ შეიძლებოდა. ცოტა კი დავიბენი, მაგრამ

გასაღები მძღოლს აქვს-მეთქი, ვუთხარი. ერთი იქ მქონოდა, დავამხობდი პუშკინის „ფანტანს“, ბერეტიან თავზე. გადავუვლიდი იმ „პაგონებზე“ და ვანახვებდი, რა „შუმახერიც“ ვარ.) პარიჟანკა“.

„შემთხვევითი“ ქმარი

„აუუუ, მარი, ჩემს მერამდენე მესიჯს გაუთხარე საფლავი, ვინ იცის? ჩემი ძვირფასი მეუღლე ჩემი შემთხვევითი ნაცნობი იყო. ერთ დროს ერთ ლამაზ ბიჭზე ვოცნებობდი, ისეთ ლექსებს ვუძღვნიდი, ნებისმიერ ტარიელსა და ნესტანს შეშურდებოდა. შენც არ მომიკვდე! ზედ არ მიყურებდა.

ჰოდა, დავიფიცე: ქალი არ ვიყო, თუ შენზე უკეთესი არ დავითრიო-მეთქი. ასეთ ცხელ გულზე გადავეყარე ჩემს კაცს. მას აინტერესებდა, რომელი საათი იყო. ორიოდ საათში კი უკვე მისი ცოლი ვიყავი და... 8 წელია, დღემდე სულ ჩემი საათია. რაც მთავარია, ჩემი ძველი შეყვარებული ჩემი „შემთხვევითი“ ქმრის „პაგონებადაც“ არ ღირს, სხვა ღირსებებზე რომ არაფერი ვთქვათ. შერიფის ცოლი“.

შემთხვევა ხიდზე

„ერთხელ მე და ჩემი რძალი დასავლეთის ერთ-ერთ რაიონში პირველად ვიყავით და უკან დასაბრუნებლად „მარშრუტკას“ რომ უნდა გამოვყოლოდით, იქვე დიდ ხიდზე გავედით და დაველოდეთ. აი, იქ კი საოცრება მოხდა. ვარდების რევოლუციის დროს შემოსული მანქანების კოლონა გამახსენდა, ისეთი სიგნალები ატყდა. საპირისპირო მხარეს მიმავალი მძღოლებიც გვისიგნალებდნენ და თვალს გვიკრავდნენ. გაკვირვებისაგან ერთმანეთს მივაშტერდით. მანქანები გვიჩერებდნენ და წაყვანას გვთავაზობდნენ. ერთ მანქანაში კი იმდენი ბიჭი იჯდა, სასწრაფო ევაკუაციას საჭიროებდნენ, რომ

ყოვლის შემტყობარი დოქტორი

„მარი, იცი, ჩემთვის რამხელა პატივია, შენნაირი ნიჭიერი ადამიანი ჩემს ორივე გზავნილს ჩარჩოთი რომ დაბეჭდავს? ბავშვობიდან ჟურნალისტობაზე ვოცნებობდი, მაგრამ მამაჩემმა ქვა კი არა, ქვები აყარა და მე შემაშვერინა თავი მანამდე, სანამ არ დამითანხმა და სამედიცინოზე არ ჩამაბარებინა. ჰოდა, სკოლაში სიმწრით დამახსოვრებული „ადენოზინტრიფოსფორმჟავა“ სანატრელი გამიხდა, ისეთ ორომტრიალში მოვყევი. სად მეცალა საწერად? გმადლობთ, სტიმულისთვის. თემას რაც შეეხება: შარშან დაქალთან დავრჩი სახლში. ყველა საჭირბოროტო თემა რომ ამოვწურეთ, სულის მოსათქმელად აივანზე გავედი. ცოტა ხანში დავაფიქსირე, რომ მოპირდაპირე კორპუსიდან (საკმაოდ ახლოს დგას), ძალზე სიმპათიური ბიჭი მიმზერდა დაჟინებით. ნუ, დავდნი და დავნაზდი, „დავიშალე მარტივ მამრავლებად“. ბოლოს ცოტა გაბრანჭვა გადავწყვიტე და ოთახში შევედი. თან ფარდაში დატანებული „რგოლიკებიდან“ ვიჭყიტებოდი. უცებ, „ობიექტმა“ გაილიმა და თვალთახედვის არედან გაუჩინარდა, თუმცა მალევე გამოჩნდა, დიდ ქაღალდზე მარკერით დაწერილი შემდეგი წინადადებით: „ფარდაც კი ვერ ფარავს შენს სილამაზეს, მშვენიერო!“. გადავწიე ფარდა, დავეჯღანე და იმ დღესვე გავიცანი ეს „ყოვლის შემტყობარი დოქტორი“. კარდიოლოგი“.

არ გაგუდულიყვნენ და ჩვენ სად გვეპატიჟებოდნენ, არ ვიცი. მოკლედ, ძლივს ვიშორებდით აბეზარ მძღოლებს. ერთმა მოხუცმა გამოიარა და გვითხრა: ჩასხედით, სანამ გიჩერებენ, თორემ ჩემს ასაკამდე რომ მიხვალთ, რომც დაწვეთ, არავინ წაგიყვანთო. გვეღირსა „მარშრუტკა“ და ძლივს დავაღწიეთ აბეზარ მძღოლებს თავი. რამდენიმე დღეში მანქანით მოგვიწია ისევ იქ გავლამ და იმ ხიდისკენ ინტერესით გავიხედეთ. ჩვენმა მძღოლმა დაგვაკვალიანა:

„შპილკების“ ქურდი

„ახლა მასწავლებელზე წავიკითხე და ჩემი კლარა მასწავლებელი გამახსენდა. არა მგონია, ვინმეს ასეთი „პრიკოლი“ მასწავლებელი ჰყოლოდა. ერთხელ, ავად ვიყავი და კლასელები მოვიდნენ ჩემს სანახავად. ბავშვები წავიდნენ. მერე მასწავლებლები მოვიდნენ. კლარა მასწავლებელმა თავისი ჩანთა სკამზე გადაკიდა. წასვლისას აიღო ჩანთა, მაგრამ ჩანთის ბოლოში რაღაც თეთრი, წითელი, ლურჯი, მწვანე ფერები მოჩანდა. კარგად დავაკვირდი და თოკზე ასხმული სარეცხის „შპილკები“ იყო. მე ვერაფერი ვუთხარი დაბნეულობისაგან, მაგრამ როცა დამემშვიდობნენ და ერთი სართული ჩაიარეს, მასწავლებლების ხმამაღალი სიცილი გავიგონე. თურმე ჩვენი „შპილკები“ უნებურად მოუპარავს. გულით მინდა, კლარა მასწავლებელს წავაკითხო. მიყვარხარ, მასწ! პუპსიკა“.

აქ ბოზები დგებიანო. მე და ჩემი რძალი სიმწრით გავშეშდით და სირცხვილმა თვალები აგვიწვა. აი, თურმე რამ გადარია იმ დღეს მძღოლები. ეგ კიდევ არაფერი. ერთი კვირის წინ „მარშრუტკაში“ ვიღაც ბიჭი მომაშტერდა. მერე, როცა ჩემ გვერდით ადგილი გათავისუფლდა, გვერდით მომიჯდა და მითხრა: მე შენ გიცნობ, შენ ის გოგონა არ ხარ, ხიდთან მანქანაში ჩაჯდომაზე რომ ვერ დაგითანხმეთო? ამის გაგონებას, „მარშრუტკის“ აფეთქების ოდენა ეფექტი ჰქონდა. ის ბიჭი შეძლებისდაგვარად გადავარწმუნე და მოვიშორე, მაგრამ ვინ იცის, კიდევ სად შემხვდებიან ეს შემთხვევითი ნაცნობები? კამელია“.

ძარცვა

„არ ვიცი, როგორ შეეფერება ეს ამბავი თემას. ამას წინათ ბებიაჩემთან მივდიოდი სტუმრად. სიბნელე იყო. ვიცოდი, ბებიაჩემი სადარბაზოსთან მელოდებოდა და ვიფიქრე, შევაშინებმეთქი. შევედი სადარბაზოში და ვიყვირე: ხელები მაღლა, ეს ძარცვაა! თურმე იქვე ორი ბიჭი იდგა და ორივე ისე შეშინდა, რომ ბებიაჩემს ასწრებდა დამალვას. მას შემდეგ ვმეგობრობთ და ხუმრობენ ხოლმე: ნიღბები შევიძინოთ და ერთად ვძარცვოთ სადარბაზოებში ხალხიო. პუმა“.

სიყვარულო, ძალსა, შენსა...

„აუ, მარი, ჟურნალისტი რომ ხარ, ვიცი, მაგრამ ნათელმხილველიც? როგორ მიხვდი, რა უნდა მომეწერა, ჰაااა? :) წინა კვირას დაგპირდი, რომ ჩემს ამბავს მოგიყვებოდი, რომელიც სწორედ შემთხვევით გაცნობილ ადამიანს ეხება. ჩვენ ერთმანეთი ძალიან შეგვიყვარდა. ერთ დღესაც ვერ ვძლებდი მის გარეშე, მაგრამ ის ჩემი ნათესავი აღმოჩნდა, რომელსაც არ ვიცნობდი, რადგან საქართველოში არ ცხოვრობდა. ჩვენ ერთმანეთს დავშორდით. 2 კვირა საშინელ დეპრესიაში ვიყავი, მთელ დღეებს ჩემს ოთახში ჩაკეტილი ვატარებდი. მერე „გზავნილებმა“ გამამხიარულა ცოტა, მაგრამ ისევ ცუდად ვარ. ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ ჩემს კართან ყოველ დილით ერთი თეთრი ვარდი და წარწერა — „მაპატიე“ — მხვდება და ეს უარესად მტანჯავს. ღმერთო! ასე რატომ იქცევა, არ ვიცი. ალ გამიბლაზდეთ, მე მინდოდა, რომ სულ საკალელი მესიჯები გამომეგზავნა, მაგრამ... ჭიკარტა“.

ორი კარი

„ახლა გამახსენდა ერთი ამბავი და რომ არ მოგწერო, არ შემიძლია. ერთ მშვენიერ დღეს, დაქალი მესტუმრა და ჩემთან დარჩა. დილით, ჩვეულებრივ, უნივერსიტეტში წასასვლელად მოვემზადე და წასვლისას გავაფრთხილე მაიკო, რომ კარი ჩაეკეტა შიგნიდან, ვინაიდან სახლში მარტო ვიყავით. შუადღისას ჩემმა ძმამ დამირეკა და მშვიდად გამაფრთხილა, რომ მომკლავს. :) თურმე, რა მოხდა: მე რომ წავედი, მაიკოს საერთოდ არ გახსენებია, კარი ღია რომ იყო (საერთოდ ასეთი „წინდახედულია“) და ძილი გაუგრძელებია. რომ გაიღვიძა, ადგა და საპირფარეშოში შებრძანდა, საცვლების ამარა. ამ დროს, სრულიად მოულოდნელად, სახლში ჩემი ძმა დაბრუნდა. დააფიქსირა ღია კარი და იფიქრა, რომ მე დავბრუნდი. შევიდა სახლში, ყველა ოთახი შეამოწმა და რომ ვერ მნახა, იფიქრა — ტუალეტშიაო. ჰოდა, გადაწყვიტა, გავეხუმრებიო და კარი გარედან გადაკეტა. ჩართო ტელევიზორი და წინასწარ ტკბებოდა იმის წარმოდგენით, როგორ გამაწვალებდა. ამასობაში, მაიკო მიხვდა, რომ სახლში ვიღაც შევიდა და რომ ეს „ვიღაც“ მე არ ვარ. გაახსენდა ღიად დარჩენილი კარი და დაბნეული გაშეშდა. მერე ფრთხილად ჩამოსწია კარის სახელური და რომ არ გაიღო, ისტერიკაში ჩავარდა. ატეხა ბრახუნი და ერთი ამბავი. ჩემმა ძმამაც, სიცილით გული რომ იჯერა, კმაყოფილი და გაბრწყინებული სახით გააღო კარი და გაოგნებული მიაშტერდა სრულიად უცნობ, ფაქტობრივად შიშველ გოგოს, რომელიც ფლოსტმომარჯვებული და ასევე გაოგნებული შესცქეროდა პირზე ღიმილ (უფრო სწორად — ხარხარ) შემშრალ ბიჭს. მერე კი მიხვდნენ, საქმის ვითარებას, მაგრამ... ლაშა და მაიკო, მაპატიეთ, ასე შემთხვევით რომ ჩამოყალიბდა თქვენი ნაცნობობა. გკოცნით კარდიოლოგი“.

შემთხვევითი ქორწილი

„არ დაიჯეროთ, რომ შემთხვევითი ნაცნობობა როგორც შემთხვევით იწყება, ყოველთვის ისევე მთავრდება. ჩემმა დაქალმა ქუჩაში სულ შემთხვევით გაიცნო ბიჭი და ყველას რომ გვეგონა, 3 დღეში აღარც ემახსოვრებოდათ ერთმანეთი, აგერ უკვე 2 წელია, ერთად არიან და ერთმანეთი უზომოდ უყვართ. მართალია, დღეში რამდენჯერმე ჩხუბობენ სისულელეებზე, მაგრამ მალევე რიგდებიან და აქვთ გულისამაჩუყებელი სცენები, ცრემლების ფრქვევა და ამბავი. შეიძლება ეს მათთვის სერიოზულია, მაგრამ მე მაგრად „ვკაიფობ“. ამ სიცილ-კაიფში, ჩხუბსა და ცემა-ტყეპაში მალე ოჯახსაც შექმნიან ალბათ და ამ შემთხვევით გაცნობილი წყვილის შემთხვევით დანიშნულ ქორწილში შემთხვევით აღმოვჩნდები მეჯვარედ. :) პენსიონერი“.

წერილის მცველი

„მეზობლის გოგოსთან ვიყავით ახალგაზრდები შეკრებილი და იმ გოგომ ერთ-ერთ ბიჭს სთხოვა, დაქალთან გამეგზავნე, წერილს გამოგატანს, საიდუმლოა და თუ ჩემი გიო ხარ,

პირდაპირ მე მომიტანეო. იმ დაქალის ძმაც ჩვენთან იყო და *ეს რომ გაიგო, დაბრუნებულ* გიოს პირველი შეეგება და წერილი მოსთხოვა. ეს გოგო აქედან კიოდა — არ მისცეო და ატყდა ნეწვა-გლეჯა. გიომ გმირულად გაუძლო წაქცევასაც, ცემასაც და წერილი მაინც არ დათმო. ბოლოს გამარჯვებული სახით შეხედა გამგზავნ გოგოს. — „ყოჩაღ, გიო, — უთხრა მან — მომეცი ახლა წერილი". — „არ მაქვს, — უპასუხა გიომ — არ გამოუტანებია, ასე მითხრა, თვითონ მოვალ და მოვუტანო". თქვენ მაშინ უნდა გენახათ იმ ბიჭის გაოცებული სახე, ვინც მთელი ძალა არარსებული წერილის წართმევას შეალია. ხედავთ, რა ერთგული შიკრიკები გვყავს? „არაფერი" ასე ღირსეულად რომ დაიცვა, ნამდვილ წერილს, ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ ერთგულად შეინახავდა? კამელია".

უცნობი ნაცნობი

„ერთხელ, მე და ჩემი მეგობარი მოხერხებულად ვისხედით სკამზე და გემრიელად შევექცეოდით ჩიპსს. ამ დროს, გულიანად მოღიმარი გოგონა შევნიშნე, რომელიც ჩვენკენ მოემართებოდა. ვიგრძენი, რომ სხვაში შევეშალე. თავზე წამომადგა და მეგობარივით მომიკითხა. როდესაც ჩემი გაოცებული სახე დაინახა, მიხვდა, რომ მისი ნაცნობი არ ვიყავი. დაბნეულმა გოგონამ უხერხული მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით, ახლა ჩემი დაქალი მოიკითხა. მის გაოცებულ სახესაც რომ წააწყდა, სასწრაფოდ გაგვერიდა. მე და ჩემი მეგობარი ერთმანეთს ვეკითხებოდით, რომლის ნაცნობი იყო. მეგობარს ცნობისმოყვარეობამ სძლია და „გაქცეულ" გოგონას დაედევნა. ასე შევიძინეთ შემთხვევითი ნაცნობი. იკჩო".

ჭირვეული ანი

„ვაიმე, იცით, რა საყვარელი და მყავს? 2,5 წლისაა. სულ ვცდილობ, მაღაზიაში არ გავიყოლო, რადგან თუ რამე მოეწონება და ვერ ვუყიდი, გაწვება ხოლმე ძირს და ისტერიკას მიწყობს, ჭირვეული ცოლივით. მოკლედ, ერთხელ იძულებული ვიყავი, ანისთან ერთად წავსულიყავი მაღაზიაში. ფაცხაფუცხით ვიყიდე ყველაფერი და ისე, რომ არც შემიხედავს ჩემი დისთვის, ჩავჭიდე ხელი და სანამ რამეს დაინახავდა და მომთხოვდა, კარისკენ წავათრიე. ცოტა კი გამიკვირდა, მორჩილად რომ მომყვებოდა და არაფერს მთხოვდა. გაკვირვებულმა მოვიხედე და სადაა ჩემი და? ვილაც ბავშვის გაოცებული სახე შემომყურებს. ;-) გავიხედე უკან და ბავშვის დედაც (შეიძლება დედა არც იყო) პირდაღებული მიყურებს. ბოდიში მოვიხადე და დავიწყე ანის ძებნა. ბოლოს ვიპოვე აკვარიუმზე ცხვირმიჭყლეტილი (ნეტავ, მაღაზიაში რად უნდოდათ თევზები?). რომ დამინახა, შეტევაზე გადმოვიდა — სახლში წავიყვანოთო. ერთი კი გავიფიქრე, ოღონდ ეს არა-მეთქი და მერე როგორ მივიყვანე ეს აკივლებული ბოვში სახლამდე, არ მახსოვს. :) ანი კითხვას რომ ისწავლის, ამ მესიჯს წავაკითხებ. მარი, 2 კვირაა არ მომიწერია და ძალიან მომენატრე. ბაჭია".

მოხვედრ? — მადლობა.
წახვედრ? — დიდი მადლობა!

ცოცხით დაბოლილები

„თემას არ ეხება, მაგრამ ერთი ძველი ამბავი უნდა მოგიყვეთ. ერთ ზაფხულს ჩემთან სოფელში, ჩემს ორი დაქალთან ერთად ვისვენებდი. ერთ საღამოს კი შემთხვევით გავგე, რომ თურმე გოგონებს პლანის გასინჯვა ნდომებიათ. ჰმ, თქვენ გიჩვენებთ სეირს-მეთქი, დავემუქრე გულში და თან გამახსენდა, მეზობელს ბაღში ცოცხი რომ ეთესა. მათთან კი ღიმილით მივედი და პლანის მოსაპარავად წასვლა შევთავაზე. რა თქმა უნდა, სიხარულით დამთანხმდნენ. არადა, პლანი როგორი იყო, ნანახიც არ ჰქონდათ. მეც მეზობლის ბაღში მივიყვანე და ახალამოსული ცოცხი დავკრეფინე. აუფ, რა ვიხალისეეე! მერე, უნდა გენახათ, რა დღეში იყვნენ, ცოცხით დაბოლილები. მთელი ღამე არ დამაძინეს, ერთს ცისფერთვალება თხა, მეორეს კი შემწვარი კოდალა ელანდებოდა. ორივეს უკვე შვილები ჰყავს, მაგრამ დღემდე არ იციან, ცოცხით რომ დავაბოლე და ახლა თუ გამიგეს, ვაი...".

ტკბილი მოგონებები

„ახლა სულმოუთქმელად გადავიკითხე „გზა" და მართლა ბევრი ვიცინე იმ ფაქტზე, რომ რომანის გმირ ანას გადარებენ, მაგრამ მოულოდნელი არ იყო. ვიცოდი, ვინმე ამას იფიქრებდა, მაგრამ თუ ნატალიც გახდებოდი?! ე.ი. პატარა გყავს, ქალაუ და რომ არ მომილოცავს? კარგი იყო, გენაცვალე! ნეტავ რას ერჩიან კანიბალკას? მართლა ვერ გავიგე. მგონი, ეს თვითდამკვიდრების ხერხი ჰგონიათ, მაგრამ შეცდნენ. ილინი მართლა ლამაზია და ამ ფოტომ მე ერთი ქართველი ახალგაზრდა მომღერალი გამახსენა, რომელიც ძალიან მიყვარს. შემთხვევით ბევრ ადამიანს გავიცნობ ხოლმე, მაგრამ მერე ზოგი მიახლოვდება. მაგალითად, ერთხელ თბილისში მივდიოდი მიკროავტობუსით. ჩემ გვერდით გოგო იჯდა, ბავშვთან ერთად. გავიცანით ერთმანეთი. მაკა დროებით ახალციხეში ცხოვრობდა, ოჯახით. თბილისიდან დაბრუნების შემდეგ ახლო ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. აქ არავის იცნობდა, მე ნელ-ნელა ჩემი მეგობრები გავაცანი, მან კი თავისი დიდი ოჯახი გაგვაცნო და ძალიან ბევრი ტკბილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგონება დაგვრჩა. ახლა მაკა ათენშია და ტელეფონით ვკონტაქტობთ. მისი საყვარელი ჟურნალი „გზაა". კითხულობს და სხვებსაც აკითხებს. ამაყობს ჩვენით. მაკა, გვენატრები და გვიყვარხარ. მალე ჩამოდი, სიხარულო. ელისო".

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

ეს რა ჭირი მჭირს, ტო!

ჩემი შემთხვევითი ნაცნობი ჩემი კოსტაა. ერთხელ გერმანიაში ლუიზის პარკში ვიჯექი და ერთი მაგარი „დაცემა" ბიჭი მოვიდა. მორიდებით მთხოვა: ტელეფონი გამიფუჭდა და იქნებ ზარი გამაშვებინო, ვნახავ, გაკეთდა თუ არაო. — კი, ბატონო-მეთქი. თურმე ჩემი ნომერი ნდომებია. მეორე დღეს დამირეკა. აუ, რა გამისწორდაა! შეხვედრაზე უარს როგორ ვეტყოდი?! ასე შემთხვევით გაცნობილი კოსტა შემიყვარდა. მთელი ის წელი სასიამოვნოდ მაგონდება და აქაც ვიხსენებ ხოლმე. გერმანელი".

„ერთ დღეს კლასელები იმდენ ეკლესია-მონასტერში ვიყავით, რომ საღამოს პარკში რომ შევდიოდით, კლასელმა იქაც, ჭიშკართან პირჯვარი გადაიწერა. :) ჟუკი".

„აი, მეც დავბრუნდი! მოგესალმებით, მგზავნელებო, მიყვარხართ ძალიან. განსაკუთრებით მინდა, ფინტიკოზა მოვიკითხო. ძალიან საყვარელია! მარი, გახსოვს, გთხოვე, შენ შესახებ რაიმე დაგეწერა? ჩემი თხოვნა (და არა მარტო ჩემი) შეასრულე. გთხოვ, ესეც შეგვისრულე და სტიქიაზე რამე გაგვიგე. სად დაგვეკარგა? კანიბალკას ნუ ლანძღავთ, თქვენ რა იცით, სინამდვილეში როგორია? მარიმ ეს „სამყარო" იმიტომ შეგვიქმნა, რომ ერთმანეთს სიყვარული ვაჩუქოთ. დიდი მადლობა, მარი. ძალიან მიყვარხარ! ჯეინ ეარი".

„ჩემი შემთხვევითი ნაცნობი იცით, ვინ არის? მონასტრის ბიჭი. სულ მაინტერესებდა, ვინ იყო და როგორც იქნა, მისი ნომერი გამოქვეყნდა. მადლობა მის სიოს. მისი ვინაობა იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ ერთხანს გაოგნებული დავცქეროდი სახელს. ვფიქრობდი, ნუთუ ის პავლიკაა, მე რომ ვიცნობ-მეთქი? ასე გავიცანი მეორედ მონასტრის ბიჭი. პავლიკ, მინდა ყველაფრისთვის მადლობა გადაგიხადო. მინდა ყველას გასაგონად გითხრა, რომ არაჩვეულებრივი ადამიანი ხარ. იმედია, ამ მესიჯს „გზაში" წაიკითხავ. დროებით, მეგობარო, 24-ში ხომ შენი ბიძაშვილისა და ჩემი დეიდაშვილის ქორწილი გვაქვს. დავნათესავდით კიდეც. მაგარია. ბედნიერებას ვუსურვებ. ღმერთმა დაგლოცოთ. მიყვარხართ ყველანი. ჭიათურა".

„მარორიტა, შენს ელფოსტაზე რომ სურათი გამოგიგზავნო, დამიბეჭდავ? თუ სხვა რამ არის კიდევ საჭირო მაგ საქმის გასაკეთებლად? გამარკვიე, რა, ძალიან გთხოვ. ზუუუ".

„მართალია, სულ რაღაც მესამე ნომერს ვკითხულობ, მაგრამ ამიერიდან მეც მგზავნელი მქვია. :-) გაიხარეთ. მაგრად დავინტერესდი ამ ჟურნალით! ლელუჩია, სიამოვნებით, 18-ში თქვენთან ვარ, ლამაზებო! ზუუ".

„ახლა, როცა ამ მესიჯს ვწერ, შუაღამე იწვის, დნება..." მინდა, რაღაც ვიორიგინალური, რომ მარის მოწონება დავიმსახურო, მაგრამ აბა, რა უნდა მოვიფიქრო, როცა ადამიანი, რომელმაც გული მომპარა, შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, მაგრამ კიდევ უფრო დიდი უბედურება ის არის, რომ ამ ქურდობის შესახებ ამ ადამიანმაც არ იცის. ვერც გაიგებს, მე ხომ არ ვეტყვი? არადა, როგორ მომენატრა! ოჰ, ოჰ, მარი, გულწრფელად თანაგიგრძნობ. დილით რომ გაიღვიძებ, რამდენი ჩემნაირი გზააბნეულის ნაბოდვარი უნდა წაიკითხო? ახლა ნეტავ რა გესიზმრება? იმედია, უსაფუძვლოდ განაწყენებული მგზავნელები — არა. ჯობია, ჩემნაირი მადლიერი მკითხველები დაგესიზმროს. ან კი რა ჩემი საქმეა, შენს სიზმრებში ბოდიალი? წავბოდიალდები ახლა ჩემს ფერად სიზმრებში, იქნებ აქ მაინც ვნახო, ვინც გული მომპარა. თაისი".

„ჯაფარიძეების სიამაყევ, ახლა წავიკითხე ჟურნალი. აუ, ეს კარდიოლოგი სად გაჩითე? რა მაგარ ამბებს გზავნის, უკეთ გაგვეცნოს, رااااا! სურათს თუ გამოგზავნის, ხომ საერთოდ დაგლიჯავს! მახო".

„პრივეტ", მარი, როგორ ხარ? დავიკარგე, არა? ეს იმის ბრალია, მესიჯებს რომ არ მიბეჭდავ. მეც გავქრი. ახლა კი გულმა არ მომითმინა და ისევ გწერ, რადგან „გზის" გარეშე ხუთშაბათი ვერ წარმომიდგენია. ჰო, რაც შეეხება თემას: ძალიან ბევრი შემთხვევითი ნაცნობი მყავს, საქართველოს ყველა კუთხეში. ერთი — განსაკუთრებით მიყვარს და დღემდე მახსოვს. მას ქრისტი ჰქვია. ჯერ პატარაა, მაგრამ ბევრი რამ გადაიტანა. მეც, რაც შემეძლო, გვერდით ვედექი. ერთ დღეს კი როგორც შემთხვევით გავიცანი, ისე შემთხვევით გაუჩინარდა. არადა, ძალიან მენატრება. ბაჭია".

„შეწირულო, დიდი ხანია, შენს მესიჯებს ვკითხულობ და ვგრძნობ, რომ კარგი ადამიანი ხარ. ისე, შენი სახელი ცოტა მაფიქრებს და სევდას მიტოვებს. მხოლოდ ერთს გთხოვ, ნუ წახვალ „გზავნილებიდან". O.K.? ილინს მინდა ვუთხრა: მართლაც ისეთი ანგელოზი ყოფილხარ, როგორსაც ვფიქრობდი. გაიხარე, კუსკუს. მპუა, შენ, მაგ კეთილ გულში. უსაყვარლესი ხარ. გაიხარეთ. ბაჭია".

„მე ცოტა მოწყენილი ვარ, ჩემი SMS რომ არ იყო, მაგიტომ, მაგრამ არა უშავს, მაგაზე არ გაგინაწყენდები, რადგან ეს პირველად მოხდა. რაც შეეხება თემას: ეს იყო გუშინ, როდესაც ჩემი ყოფილი შეყვარებული ვნახე. მე გული ამიჩქარდااا... ლამის მის ფეხებთან დავეცი, მიუხედავად იმისა, რომ აღარ მიყვარს. მაინც სულ სხვაა, პირველი სიყვარული. როზი".

„გზავნილებს" ვკითხულობდი და ძალიან მომინდა, მეც თქვენი გუნდის წევრი გავმხდარიყავი. იმედია, მიმიღებთ. რაც შეეხება თემას, დღეს შემთხვევით ძველი „პაკლო" ვნახე, მანქანიდან „გზა" ამოვაცალე და „გზავნილების" კითხვა დავიწყე. ასე შემთხვევით გაგიცანით ყველანი. კობრა".

„აუ, შემთხვევით ტელეფონზე ბიჭი გავიცანი. თავიდან მაგრად ვეჩხუბებოდი, ახლა კი „შემთხვევით" შემიყვარდა და „შემთხვევით" მის ცოლობაზეც არ ვიტყვი უარს. :) ტუტუცი".

„მონასტრის ბიჭო, ნამდვილი ანგელოზი ხარ! ეჰ, ნეტავ შემთხვევით გაგიცნო... მიმიღებ „გზავნილებში"? შენ თუ მიმიღებ, დავეცი... :) აუ, აღსარება რომ გითხრა, შეიძლება? ტუტუცი".

„დედაა! ისეთი დედობილი და „მერსედესი" მინდა, „გზაში" რომ იყოოოოო! ბარტი".

„პატარა ვიყავი, სურამში რომ ვისვენებდი. ჩვენი სახლის წინ მუდამ ტრიალებდა ვიღაც ბიჭი და ყველას ქურდი გვეგონა. ერთმა დამსვენებელმა ხუმრობით მითხრა, მოსწონხარო. მაშინ უნდა გენახათ ყვე-

ლას რეაქცია, როცა აღმოჩნდა, რომ ეს ყმაწვილი მართლაც მე მაკითხავდა. თუ ჩემი შემთხვევითი ნაცნობი სადმე შემხვდებოდა, თვალს მარიდებდა და გარბოდა. ამ ამბიდან 5 წელი გავიდა და თქვენმა თემამ გამახსენა ეს ყველაფერი. P.S. ქუთაისელებო, დამიმესიჯეთ. ეშმაკუნა".

„ახლახან აღმოვაჩინე „გზა" და „უმაგრესია". იცი, როგორ? ყვითელ ავტობუსში ორი გოგო „გზას" კითხულობდა და სიცილით იხეოდა. დააშტერეს მთელი ავტობუსი. მძღოლს კისერი ეღრიცებოდა, უკან ყურებით. :) ვიფიქრე, ნეტავ რა წერია ასეთი-მეთქი და პირველსავე ჯიხურს ვესტუმრეე... აუუუ, იმის მერე შემეყარა „გზავნილომანია". :) ხუთშაბათი რომ თენდება, დილაადრიან გავრბივარ, „გზა" რომ ვიყიდო. არადა, იცით, რა მძინარა ვაარ? :) ანტანარილუ".

„მარი, იცი, ძალიან, ძალიან მიყვარხართ შენ და „გზავნილები". ვინც ამესიჯებთ, ყველამ გაიხარეთ. ილინ, ძალიან საყვარელი გოგო ხარ. მთიული".

„მარ, ჩემს მესიჯებს თუ არ დამიბეჭდავ, ეგ არაფერია, მე მაინც მეყვარები, რადგან შენ რომ არა, „გზავნილები" არ იარსებებდა. მთიული".

„იურისტის დახმარება მჭირდება, ჩემი უფლებების დასაცავად. ჟურნალ „გზას" ჩემ გარდა ოჯახში არავინ ყიდულობს. მიზეზი რომ ვიკითხე, თურმე არავის მოსწონს. კითხვით კიდევ, ყველანი კარგად კითხულობენ. ჩანთაში რომ საგულდაგულოდ დამალული „გზა" მეგულებოდა, აღარ დამხვდა. მთელი 2 დღე მიმალავდნენ, მაწამებდნენ... შენ რომ გვიმლავ და გვაწვალებო?! მოკლედ, მჩაგრავენ! ჩუმჩუმელა".

„არასდროს მომიწერია, მაგრამ სულ ვკითხულობ „გზას". ძალიან მომინდა შევეხმიანო კარდიოლოგს: ნამდვილად საოცარია, მაგრამ ბებიაჩემიც მაგ წესით იყვითლებდა თმას, ახალგაზრდობაში. ნებისმიერ დროსა და ადგილზე, სილამაზე ყოველთვის მსხვერპლს მოითხოვდა ქალისგან. აი, კიდევ ერთი ცოცხალი მაგალითი ამისა. ლილ"...

„სად არის, საააد? ჩემი მესიჯი, „ბლინ", რატომ, რატოოოომ? გავბოროტდი! გავფოცხვერდი! უაუაااუეიااااა!!! ეს რა ჭირი მჭირს, ტო! ეს აუცილებლად დაბეჭდე. ბოროტი". :)

„პრივეტები". მე ახალი ვარ და პირველად გწერთ. რაც შეეხება თემას, 4 წლის წინ მე და ჩემი დაქალი მის „ლოვესთან" ვრეკავდით და სხვასთან მოვხვდით ანუ ბათუმელთან. ახლა იმ „სხვაზე" დანიშნული ვარ და არ მეღირსა მის გვერდით ყოფნა, იმიტომ, რომ მოგზაურობს კაცი და ჯერ ვერ იცლის ჩემთვის. გკოცნით, მეგრელი თამა".

„პრივეტ"! მარი, როგორ ხარ? შეგიძლია, არ დაბეჭდო, მაგრამ გაითვალისწინე, რომ მარტო „გზავნილების" ჟურნალი გამოუშვათ. მაგრები ხართ ყველა. ცხოვრება დავიწყე ხუთშაბათიდან ხუთშაბათამდე. ახალი ვარ. ანი".

„პირველად ვამესიჯებ. სახლში „დურდომია". ცოტაც და, გავაფრენ. დაქალუშკებმა ლოთაობა გადაწყვიტეს. არადა, სასწავლი მაქვს, მერხევა. მიშველეეთ! ვიკა".

„მარი, დიდი მადლობა, მესიჯი რომ დამიბეჭდე და გული რომ გამიხარე. რაც შეეხება შემთხვევით ნაცნობობას, ისეთი უნდა, მე და ჩემს პარალელურ კურსელებს რომ გვქონდა. ჯერ მაგრად ვიჩხუბეთ, სკამები ვუქნიეთ ერთმანეთს და ასე დაიწყო ჩვენი ნაცნობობა, შემდეგ კი — მეგობრობა. გკოცნით ყველას. „გზა" უძლიერესია. პატარა ბუზღუნა".

„გამარჯობა, მარიკუნა. როგორ ხარ? აუ, მარ, გთხოვ, 45-ე ნომერი, 1 ცალი „გზა" ყაზბეგში გამოგზავნეთ. გთხოვ... გამომრჩა და ლამისაა, გავაფრინო. შემეხმიანე, 45-ე ნომერ „გზას" მაღირსებთ? მომწერე, გთხოვ. გამოგზავნით? მოხევე".

„ეჰ, მარორიტა, მარორიტა... შემთხვევითი ნაცნობიო, არა? მე ეს შემთხვევითი ნაცნობი მართლაც ძალიან მჭირდებოდა და ამიტომაც დავამესიჯე „მობილიზაციაში". ჰოდა, ახლა ეს შემთხვევითი ნაცნობი ისე მოკალათდა ჩემს გულში, რომ ყველა დიდი ხნის ნაცნობი ამოაგდო იქიდან. აი, ასეა, ჩემო კარგო და რაც მთავარია, მან შეძლო ის, რაც ვერ შეძლეს დიდი ხნის ნაცნობებმა. მან მე სიცოცხლის სტიმული მომცა და დაკარგული ხალისი დამიბრუნა. ბა, მენატრები ტკივილამდე. ბაკო".

„გვიანი კია, მაგრამ ახლა ჩავამთავრე „გზის" კითხვა და დაესემესება მომინდა. მე ახალი არ ვარ, მაგრამ აქ იშვიათად ვამესიჯებ, „გზას" კი წლებია, ვკითხულობ. ყველანი ძალიან მიყვარხართ და გაიხარეთ, რომ არსებობთ. ბანალურია, მაგრამ მართლა მაგრად მომწონს ეს რუბრიკა. რაც შეეხება თემას, მე პირადად არავის რჩევას არ ვითვალისწინებ. „ზატო", ჩემს რჩევას ბევრი ითვალისწინებს და ბევრი დამიბრუნებია რეალობაში, ჩემი რჩევით. ნერვიულკა".

„სხვისი რჩევა არასდროს გამომდგომია, პირიქით, დამტანჯა. დედა მირჩევს: თავი დაიფასეო! რა ფასი დავადო, ხომ ვერ მეტყვის? რაც გულით გინდა, ის უნდა აკეთო. კნოპკა".

„პრივეტ ყველას. ახლა ვწევარ, სიცხე მაქვს და „გზავნილებს" ვკითხულობ, ცხოვრებაში პირველად(!) და გადავწყვიტე, მოგწეროთ. იმედია, დაბეჭდავთ. გკოცნით. სტერვიტა".

„მარი, ბოროტი ხარ, სულ

„ქუთაისელი სტუდენტები რაზე ვხუმრობთ, იცით? ქალაქს მერი ისე ხშირად იცვლება, იქნებ მეც მომიწიოს მერობამ, ათი დღით მაინც. ყველას ნიშნავენ და მე რა ლმერთი გამიწყრება?! თაისი".

თუ ქმარი ყვავილებს ოქმიზეზოდ ვიძლვნის, ალბათ საკმისო მიზეზი აქვს.

რატომ გაქვს ტელეფონი გამორთული? სკოფილდა“.

„ამ ზაფხულს ოპერის ბაღში ვიჯექი და სურათების დაბეჭდვას ველოდებოდი. თან მეგობარს ვემესიჯებოდი. ჰოდა, ამ დროს თავზე ერთი ბიჭი დამადგა: აქ დაჯდომა თუ შეიძლებაო? მე მხრები ავიჩეჩე, როგორც გენებოთ-მეთქი. ჰოდა, ასე გავაბით ლაპარაკი. ცოტა ხანში მისი მეგობარი შემოგვიერთდა და იმ ნახევარ საათში ბევრი საჭირბოროტო თემა განვიხილეთ. :-) თამაზი და გიგა — ასე ერქვათ შემთხვევით ნაცნობებს. ოპერის ბიჭებო, „გზას“ არ კითხულობთ? თიანეთი“.

„შემთხვევითი ნაცნობები არ მყავს ახლა მე და რა ვქნა, უუფ! ველური ყვავილი“.

„მინდა მადლობა გადავუხადო პარიჟანკას და ზუუუს იმისათვის, რომ მომიხსენიეს, თანაც ყველაზე საუკეთესო, სტაჟიანი მგზავნელების გვერდით. ჩემთვის ეს დიდი პატივია. მე ხომ ახლახან მოვედი. ყველანი კარგები ხართ. რომ ჩამოგთვალოთ, ვილაც გამომრჩება და არ მინდა, გული დასწყდეს. ყველანი მიყვარხართ. კამელია“.

„შემთხვევითი ნაცნობი? არაა, ასეთი არავინ მახსენდება. აი, არაშემთხვევითი, კი, ბატონო. აუ, ერთი ის გამაგებინა, ვინ მისცა იმ დეგენერატს ჩემი ნომერი და მერე გაიგებთ, არსებობს თუ არა ფრანგულში სალანძღავი სიტყვები, იცის თუ არა პარიჟანკამ კუნფუს ილეთები და საერთოდ, ჰყავს თუ არა ოფოფები. მარტო გავიგო! პარიჟანკა“.

„მივესალმები ჩემს 3 წლის უნახავ საქართველოს და თითოეულ თქვენგანს. განსაკუთრებით კი ქალბატონ მარის. გმადლობთ, რომ არსებობს თქვენი რუბრიკა — „გზავნილები“. მერწმუნეთ, აქაურ ყოველდღიურობას თქვენი ჟურნალი გვიფერადებს. თქვენთან ერთი კითხვა მაქვს: მარი, ათენში რომ აღწევს „გზა“, სტამბოლში მყოფმა ქართველებმა რა დავაშავეთ? არ ვიცი, დაიბეჭდება თუ არა ეს მესიჯი, მაგრამ ძალიან გთხოვთ, იქნებ როგორმე მოხერხდეს „გზის“ აქამდე ჩამოღწევა. აქაც უამრავი ქართველია, ვისაც სამშობლო, წლებია, არ უნახავს. ეს, ჩემი აზრით, სასიკეთო საქმეა. უდიდეს მადლობას გიხდით წინასწარ. სტამბოლი. ლ. მ“.

„მიმიღებთ, თქვენს სასტავში? ახალი ვარ. ყველანი მიყვარხართ. მარიკუნა, მიყვარხარ. მე ცრემლი ვარ“.

„მარი, ძალიან გამახარე, მესიჯი რომ დამიბეჭდე. შენ წარმოიდგინე, ზაზასაც კი მოეწონა ჩემი მესიჯი, რადგან პიჯაკი უკვე ნაპოვნია, ეზოში ეკიდა, ნაძვის ხეზე. იმედია, ამასაც „გზავნილებიდან“ გაიგებს ზაზა, რადგან დღემდე არ მითქვამს, სად იყო მისი „მფრინავი“ პიჯაკი. მ.917“.

„მე სულ ახალი ვარ. ნეტავ, *დამიბეჭდავთ? მინდა ილინს* ვუთხრა, რომ ძალიან საყვარელი ყოფილა. ადრე, მესიჯებით შემთხვევით გავიცანი. აბა, თუ მიხვდები, ვინ ვარ?“

„უსინდისობაა, დილას „ხაჭოს“ ქალი რომ მაღვიძებს, ცხრის ნახევარზე რომ მაქვს ჟურნალისტიკის ლექცია და უსინდისობაა, ჩემი მეზობელი გულმოდგინედ რომ აჭედებს რაღაცას ამ შუაღამისას. გასკდა თავიიიიიი! ვირუსა 89“.

„საზიზღარი გრიპი! ვეთანხმები იაპონელ პოეტს. ბალზაკი არ ვიცი და მე 5 „სელპაკი“ არ მყოფნის, დღეში. ისაააა... თუ ვინმეს მოგეპოვებათ სახლში თაგუნია, არ დამიკავოთ, რააა! და მაგანაც თუ არ მიშველა, მორჩა, გადავწყვიტე და არ გინდათ ახლა, ახალგაზრდა ხარო და თან „ვენოკის“ ფული არ გვაქვსო. მოკლედ, ჩემი ფეხით ავდივარ გილიოტინაზე. მგონი საკუთარი თავი „შემომევირუსა“ და... საერთოდ, ისე ამიჩუყდა გული... ჯანდაბას ჩემი გრიპიც. ვირუსა 89“

„ჰოოოდა, ერთ დღეს უნივერსიტეტში შემთხვევით გავიჭედე ლიფტში, 1 საათით და შემთხვევით ჩემთან ერთად ერთი ბიჭი აღმოჩნდა. გავიცანით ერთმანეთი. :) ახლა მაგარი მეგობრები ვართ. მადლობა ლიფტს. ვიკა“

„ასეთია მგზავნელების ბედი, მესიჯებზე ყოფნა გვიწევს მუდამ და ცხოვრების ნახევარზე მეტი, მობილურთან გავატაროთ უნდა.... მესიჯებით მოვკვდეთ, დავიმარხოთ, „გზის“ გარეშე დღეს ვერ ვხედავ მზიანს, ლიმონჩიკას ვინ შეუშვებს კარგო, „გზავნილებში“ ხომ ძველები ზიან! ლიმონა-მანიუ“.

„რა მქვია, აბა, მე? მარი, ჩვენ შემთხვევითი ნაცნობები ვართ. ეჰ, მენატრება ის დრო, ყველა მესიჯს რომ მიბეჭდავდი. გკოცნი, მაგარი ხარ. ლამაზი სული გაქვს, მარი, KISS. ბარბი“.

„აქ რა ხდება? რაღაც, ძალიან ბევრი ალაპარაკდა „გზავნილებიდან“ წასვლაზე. ერთი გამაგებინეთ, სად მიდიხართ? *მე პირადად, როცა მაქვს* თემაზე მოსაყოლი, უბრალოდ ვამესიჯებ. ჩემი ახლობლებიდან არავინ იცის ჩემი ამ იდუმალი ჰობის შესახებ. „გზავნილები“ ჩემი პატარა საიდუმლოა. ასე რომ, „გზავნილებიდან“ მაშინ წავალ, როცა ჩემი ცხოვრება იმდენად უინტერესო გახდება, რომ მოსაყოლი აღარაფერი მექნება. ჰოდა, მოეშვით „გზავნილებიდან“ წასვლა-დარჩენაზე ფიქრს. აგერ, მიჰბაძეთ პარიჟანკას და მას თუ არა — მე. ამხელა პენსიონერ ქალს მაინც დამიჯერეთ! პენსიონერი“.

„კაფეში პაემანზე მივედი. დავინახე, რომ ჩემი შეყვარებული ერთ-ერთ მაგიდასთან ზურგით იჯდა. უცებ მივცუნცულდი და დავჯექი. „სატრფომ“ თავი ასწია და გაოცებით შესძახა: დღეს რა ლამაზი ხარ, ვერც კი გიცანიო. მეორე მაგიდიდან კი ნამდვილი სატრფო მიბღვერდა. თურმე სხვასთან მივსულვარ“.

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო თემად გთავაზობთ: უსიყვარულოდ ჩავლილი ცხოვრება. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com მე კი ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე. კითხვა „მოკლე ჩართვისთვის“: რა არის თავისუფლება?

სიდედრმა 50-თეთრიანი გადაყლაპა? ხომ წეწილმანია, მაგრამ მაინც სასიამოვნოა

რამდენიმე წუთის განმავლობაში კარგად დააკვირდი მოცემულ ფოტოს და იფიქრე იმაზე, თუ რას ნიშნავს მასზე გადმოცემული მოქმედება. ჩაუღრმავდი საკუთარ ფიქრებს და ამის შემდეგ გაეცანი ფოტოტესტის პასუხებს.

1. თუ სურათმა საკუთარი თავი გაგახსენა, სავარაუდოა, რომ ამ ბოლო დროს, სამსახურში ან შინ სირცხვილი ჭამე. თუ სამსახურში შეირცხვინე თავი, სავარაუდოა, რომ ვინმეს ეკურკურებოდი და წაგასწრეს. თუ შინ, ალბათ „შავი დღისთვის“ გადანახული ფული აღმოგიჩინეს და ამის გამო დაგამუნათეს.

2. თუ ფოტომ რომელიმე პოლიტიკოსი („პოზიციონერი“ თუ ოპოზიციონერი, ამას მნიშვნელობა არ აქვს) გაგახსენა, სავარაუდოა, რომ ახლო წარსულში მიმდინარე მოვლენების აქტიური მონაწილე იყავი და ვფიქრობ, საკმაოდ მიამიტიც ხარ, ვინაიდან ჯერ კიდევ გჯერა, რომ მათ სირცხვილის გრძნობა აქვთ. შეგახსენებ, რომ ადამიანების უმეტესობა პოლიტიკურ პარტიაში შემთხვევით შედის, ხოლო იქიდან სირცხვილის გამო ვერ გამოდის.

3. თუ სურათმა საკუთარი ქმარი გაგახსენა, სავარაუდოა, რომ ცოტა ხნის წინ ფული სთხოვე და უარი გითხრა. ასე სწორედ მაშინ შერცხვა. თუ არაფერი აქვს, არ უნდა რცხვენოდეს. არქონის გამო ქმარს ნუ გაუბრაზდები. მით უმეტეს, მასთან განშორებაზე ნუ იფიქრებ. ჯერ დაფიქრდი, რა არის ამის მიზეზი? სისულელის ჩადენა თუ გინდა, ნუ იჩქარებ. ამას ყოველთვის მოასწრებ. მდიდარი ადამიანების უმეტესობა თავიდან შენი ქმარივით ღარიბი იყო.

მარტივი რჩევები დიასახლისებს

ამას წინათ შემოგთავაზეთ რჩევები, ჩემ მიერ აღმოჩენილი ერთ-ერთი წიგნიდან, რომელიც ახალბედა დიასახლისებს დახმარებასა და სადიასახლისო საქმიანობაში დახელოვნებას ჰპირდებოდა. მკითხველმა ამ რჩევებზე გულიანად იცინა. ერთ-ერთმა თქვენგანმა კი რამდენიმე დღის წინ მთხოვა, თუ შევძლებდი, კიდევ მომეძებნა წიგნში კაზუსები. ჰოდა, ერთ საღამოს ჩავუჯექი და კარგადაც ვიხალისე (არადა, იუმორისტული ჟანრის წიგნი ნამდვილად არ არის).

1. იმისათვის, რომ გაიგო, საჭმელში მარილი უკვე ჩაყრილია თუ არა, საკმარისია, ჩაუშვა მასში 2 ელექტროდი და მათში დენი გაატარო. თუ ქლორის სუნი წარმოიქმნება, ე.ი. კერძს მარილი უკვე აქვს.

2. ხელიდან თევზის სუნი რომ მოიშორო, ნავთით უნდა დაიბანო.

3. თუ გინდა, თავი დააღწიო ქუჩაში შემთხვევით გაცნობილ უცხო მამაკაცს, მის შეკითხვას: „ამ საღამოს რას აკეთებ?" — თამამად უპასუხე: „3 საათზე ვენეროლოგთან მივდივარ და მერე უკვე თავისუფალი ვარ!"

4. თუ ქმარმა საწოლში სხვისი სახელით მოგმართა, სკანდალს ნუ მოაწყობ. უბრალოდ, გააგონე — არ ინანებ.

5. ზეთოვანი საღებავის ლაქა შენს ტანისამოსზე არ გამოჩნდება, თუ ამ ტანისამოსს არ ჩაიცვამ.

6. ვეგეტარიანული წვნიანი გაცილებით ნოყიერი გახდება, თუ მას ხორცის მოზრდილ ნაჭერს ჩაუმატებ.

7. თუ შენს კომპიუტერს ვირუსი შეეყარა, მაშინვე მოახდინე მყარი დისკის ფორმატირება. ნუ მიანიჭებ ვირუსს სიამოვნებას, რომ თავად მოახდინოს ეს.

8. ელექტროხელსაწყოების უმეტესობა გაცილებით ნაკლებ ელექტროენერგიას ხარჯავს გამორთულ მდგომარეობაში.

9. შენს ქმარს წინდები გაცილებით დიდხანს გაუძლებს, თუ მათ ებოქსიტის წებოში ჩაყოფ და ფენით გააშრობ.

10. თუ გასუქების გეშინია, ჭამის წინ 50 გრამი კონიაკი დალიე. ალკოჰოლი შიშის გრძნობას ფრგუნავს.

11. არ ესროლო ქმარს სამარილე. მარილის დაფანტვამ ჩხუბი იცის.

12. თუ საფუვრიანი ცომის მოზელას აპირებ და საფუარი არ გაქვს, არაფერიც არ გამოგივა.

13. ქმარს სადილი გაცილებით გემრიელი მოეჩვენება, თუ 2 კვირა აშიმშილებ.

14. თუ სოსისს საქონლის ბულიონიოს წვენში მოხარშავ, მას ხორცის გემო ექნება.

15. იმისათვის, რომ ტილებისგან გათავისუფლდე, აგურის ნაფხვენი და დაფქული წიწაკა ერთმანეთში უნდა აურიო და თავზე დაიყარო. ტილი შეისუნთქავს წიწაკას, დააცემინებს, თავს დაჰკრავს აგურის ნაფხვენზე და მოკვდება.

16. თუ გეჩვენება, რომ თეთრი კბილები არ გაქვს, სარკის წინ დადექი, სახეზე მური წაისვი და გაიღიმე.

17. თუ სტუმრებს ელოდები და კაბაზე ზეთის ლაქას შენიშნავ, ნუ ინერვიულებ. ზეთის ლაქა იოლად ამოჰყავს ბენზინს. ბენზინის ლაქა — ტუტე ხსნარს, ტუტე ხსნარის ლაქა ამოჰყავს ძმრის ესენციას. ძმრის ესენციის ლაქა უნდა გაწმინდო მცენარეული ზეთით. ხოლო როგორ უნდა ამოიყვანო ზეთის ლაქა, ეს უკვე იცი...

18. კარაქი ფლავს გემრიელს გახდის, თუ შიგ ჩაამატებ.

19. შაქარი ყავას არასასიამოვნო გემოს აძლევს, თუ მისი ჩაყრა დაგავიწყდება.

20. იმისათვის, რომ ნამდვილი შვეიცარიული საათი ყალბისგან გაარჩიო, მთელი ძალით უნდა დაახეთქო მაღაზიის ფილაქანზე. თუ გამყიდველს გული წაუვა, ე.ი. საათი შვეიცარიულია.

21. მაკრატლისა და წებოს საშუალებით შეიძლება ერთი პამპერსიდან დაამზადო 3 ჩვეულებრივი ან 2 „ფრთიანი" საფენი.

„ერა, საყვარელო, ამ ჯიბაში ჭაბიოლამდე არ შეიძლება"

რატომ ერის კვირაში 7 დღე?

არასოდეს გიფიქრიათ იმაზე, რატომაა კვირაში 7 დღე? არა ხუთი ან ცხრა, არამედ — 7. თურმე ადამიანმა ამის შესახებ ფიქრი ჯერ კიდევ ათასი წლის წინ დაიწყო. ამგვარი ტიპის დროის საზომი ერთეული, რომელიც რამდენიმე დღე-ღამეს აერთიანებს, უძველესი დროიდან მოდის. მაგალითად, ძველი რომაელები დღეების აღრიცხვას 8-დღიანი ციკლით ახდენდნენ. ეს გახლდათ სავაჭრო კვირა, რომელშიც 7 სამუშაო და 1 საბაზრო დღე იყო.

როგორც ჩანს, 7-დღიანი კვირა ჩვენში ბაბილონიდან შემოვიდა და მთვარის ფაზების ცვლილებასთან იყო დაკავშირებული. ადამიანები მთვარეს ცაზე 28 დღის განმავლობაში ხედავდნენ. 7 დღე — მთვარის გაზრდა მეოთხედამდე, და თითქმის ამდენივე — სავსემთვარეობამდე.

ძველმა, ბაბილონელმა ასტროლოგებმა აღმოაჩინეს, რომ ცაზე არსებობენ მოხეტიალე მნათობები, რომლებსაც პლანეტები ჰქვიათ. ვარაუდობდნენ, რომ ეს მნათობები დედამიწის გარშემო შემდეგი თანამიმდევრობით ბრუნავდნენ: მთვარე, მერკური, ვენერა, მზე, მარსი, იუპიტერი და სატურნი. დღე-ღამის თითოეული საათი კონკრეტული პლანეტის მფარველობის ქვეშ იგულისხმეს. ათვლა შაბათით დაიწყეს. მის პირველ საათს სატურნი მართავდა, ხოლო კვირის პირველ საათს — მზე, ორშაბათს — მთვარე, სამშაბათს — მარსი, ოთხშაბათს — მერკური, ხუთშაბათს — იუპიტერი, პარასკევს — ვენერა. კვირის დღეებმაც შესაბამისი სახელწოდებები მიიღეს.

დღეების დასახელებები ჯერ რომაელებმა გადაიღეს, შემდეგ კი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გავრცელდა. სამშაბათის, ოთხშაბათის, ხუთშაბათისა და პარასკევის დღეების სახელწოდებები ინგლისელებმა სკანდინავიური მითოლოგიიდან აიღეს. კვირის დღეების აღსანიშნავად პლანეტების სახელწოდებებს აზიის ბევრ ქვეყანაში იყენებენ — ინდოელები, მონღოლები, კორეელები და ტაილანდელები.

ბევრ ენაში კვირის დღეები დანომრილია, მაგრამ კვირის დასაწყისი ყველგან ორშაბათი არ გახლავთ. ბაბილონელებმა, შაბათი კვირის ბოლო დღედ მიიჩნიეს, რადგან სატურნის დღე ბედნიერად არ მიიჩნევა. მიღებული იყო, რომ ამ დღეს არანაირი საქმე არ უნდა გაგეკეთებინა. მისი სახელწოდება — „შაბბატი" კი სიმშვიდეს ნიშნავს. ასეთი სახელწოდება რამდენიმე ენაში გადავიდა: ქართულში, არაბულსა და ებრაულში.

კვირის დღეები სლავურ ენებშიც დანომრილია, მაგრამ ათვლა კვირის შემდეგ იწყება. კვირა სადღესასწაულო დღედ 321 წელს რომაელმა იმპერატორმა, კონსტანტინემ დააწესა.

საბჭოთა კავშირში 5-6-დღიანი კვირა იყო. 1929-30 წლებში კვირა 5-დღიანი გახლდათ და თითოეულ მუშას 1 არაფიქსირებული დასვენების დღე ჰქონდა. 1931 წლის 1-ელ სექტემბერს ის 6-დღიანმა კვირამ შეცვალა, ფიქსირებული დასვენების დღით. ჩვეულებრივი, 7-დღიანი კვირა 1940 წლის 26 ივნისს შემოიღეს.

შესაძლოა, 7-დღიანი კვირა შრომისა და დასვენების ოპტიმალური შერწყმაა, მაგრამ ასეა თუ ისე, ცხოვრება გარკვეული რეჟიმით გვიწევს. ჩემი აზრით კი საუკეთესო ვარიანტი, „ხელფასიანი" დასვენების დღის სიმრავლეა.

მოკლე ჩართვა

რა ღირს პატიოსნება?

• პატიოსნება, იცით, რა ღირს? რა და, ჩემს კორპუსში რომ მალაზიაა, იქ — ლარი და ოცი. ორ ცალს თუ იყიდით, 10%-იანი ფასდაკლებაა. ბარტი.

• პატიოსნება ძალიან ძვირი ღირს. ჩემი პატიოსნება — განსაკუთრებით. :) როცა ჩემი ნაცნობები დასეირნობენ და მობილურით „ბლატაობენ", მე სახლში ვარ და წიგნებს ვკითხულობ ხოლმე. ბიჭი მეგობარიც კი არ მყოლია. ბოტასა. :)

• ჰმ, რა ღირს პატიოსნება? „ვაფშე" ღირს რამე? რალაც არ მგონია, ბიჭებს ხომ მხოლოდ— უნდათ. თუ არა და, დაგშორდებიან და შეგრჩება პატიოსნება, მაგრამ მე ვაფასებ... მარია.

• პატიოსნება ფასდაუდებელია. შეიძლება ბევრისთვის გოიმი და ბანძი ვარ, იმიტომ, რომ არავის ვეტენები, მაგრამ ჩემი აზრით, პატიოსნება არის ადამიანის ღირსება. ჰოდა, ეგრე.

• ვფიქრობ, ყოველ ადამიანს პატიოსნების თავისი საზომი აქვს, თორემ გამოთქმა „კიკუზე" ყველამ კარგად ვიცით. ლეო91.

• რა ღირს პატიოსნება? ძალიან ძვირი! დაახლოებით, 6 გამრავლებული ათის 23-ე ხარისხზე. ტრამალის მგელი.

• პატოსნებას იმიტომ ჰქვია პატიოსნება, რომ მას ფასი არა აქვს. არგელოდი.

• პატიოსნება შეუფასებელია და დაუფასებელიც. იცი, რატომ ვფიქრობ ასე? ძალიან ბევრ ქალს, რომელიც „ტულაობს" და ა.შ. მაგრად აფასებენ ოჯახშიც და გარეთაც, ვითომც არაფერი. ამ ფაქტზე ერთი ახლობელი ქალი ხუმრობს ხოლმე: სადმე გინახავთ, საფლავის ქვაზე ეწეროს, ეს ბოზი იყოო? თუმცა, მე მაინც ვფიქრობ, რომ ღმერთის წინაშე უნდა იყო მართალი, თორემ ხალხი ბრბოა, ხვალ მოვა და ფეხებს დაგიკოცნის (მურტალო). ეგრეა, ჩემო მარი, მაგრამ დღეს ვისაც როგორ აწყობს, ისე ცხოვრობს. ელისო.

<<< 23

კეთილშობილ მკვლელთა ინსტიტუტი

ბარონი

რამდენიმე ხნის წინ (სულ ახლახან), პალერმოდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით, სიცილიური მაფიის მამა, სალვადორ ლა პიკოლო დააკავეს. პოლიციის მიერ ამოღებულ ნივთებს შორის საინტერესო დოკუმენტიცაა ნაპოვნი: „ნამდვილი მაფიოზის ქცევის 10 წესი"; მათ შორის — მოთხოვნა, რომ მუდამ სიმართლე ილაპარაკოს.

სალვადორ ლა პიკოლო, მეტსახელად — ბარონი, ბოსთა ბოსის, სიცილიური მაფიის ნათლიის, ბერნარდო პროვენცანოს აღზრდილად მიიჩნეოდა. პროვენცანო 2006 წელს 43-წლიანი ძებნის შემდეგ დააპატიმრეს. ბარონი 1983 წლიდან იძებნებოდა. მან ქონება ნარკოტიკებით ვაჭრობითა და სახელმწიფო კონტრაქტებით დააგროვა. ცნობილია, რომ მას მჭიდრო კავშირი ჰონდა ამერიკულ მაფიასთან. ლა პიკოლოს გარდა, სიცილიური მაფიის ნათლიობაზე პრეტენზიას მაფიოზი, მესინა დენაროც აცხადებდა. პირველი, ტრადიციული მაფიოზის, მეოჯახე და რელიგიური ადამიანის ზუსტი ნიმუში იყო. მეორე ცნობილი იყო, როგორც ქალების, ძვირად ღირებული ავტომობილებისა და ღამის კლუბების მოყვარული. 2001 წელს, იტალიური ჟურნალის გარეკანზე გამოქვეყნდა დიაბლოს ფოტო, წარწერით — „მაფიის ახალი ბოსი". შესაძლოა, სწორედ დიაბლოს საქციელმა უბიძგა ლა პიკოლოს, რომ მაფიის წესდება შეემუშავებინა საიმისოდ, რომ ახალგაზრდა მაფიოზებს მისთვის არ მიებაძათ.

ლა პიკოლო შვილთან, სანდროსთან ერთად თავის მამულში დააპატიმრეს. ისინი ავტორიტეტულ მაფიოზს, ანდრეა ადამოსა და გასპარე პულიცის ხვდებოდნენ. სახლის შესასვლელთან სროლა ატყდა, რომლის შედეგადაც არავინ დაზიანებულა. ბოლოს და ბოლოს, პოლიციის 40-მა თანამშრომელმა ოთხივე მაფიოზი აიყვანა.

პრესა წერდა, რომ როდესაც 32 წლის სანდრო პოლიციას სახლიდან გამოჰყავდა, ის ყვიროდა: „მამა, მე შენ მიყვარხარ". როდესაც ოპერაცია დამთავრდა, პოლიციის განყოფილებაში თანამშრომლები ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავდნენ და რამდენიმე ბოთლი შამპანურიც გახსნეს. არავინ იცის, შემთხვევითი იყო თუ არა, რომ ბარონი სწორედ იმ დღეს აიყვანეს, როცა სიცილიაში მაფიის მსხვერპლთა დღეს აღნიშნავენ.

ლა პიკოლოს ბრალი სერიულ მკვლელობებსა და დამნაშავეთა ბანდის ჩამოყალიბებაში ედება. ხელისუფლების წარმომადგენლები ლა პიკოლოს დაპატიმრებას მთელ კოზა ნოსტრაზე დარტყმად მიიჩნევენ და იმედოვნებენ, რომ კრიმინალური ორგანიზაცია, რომელსაც 1 წლის განმავლობაში 2 მსხვილი ავტორიტეტი გამოაკლდა, წელში ველარ გაიმართება.

რას წარმოადგენს ლა პიკოლოს კუთვნილი, ყავისფერი, ტყავის ჩანთიდან ამოღებული მაფიოზთა წესდება, რომელსაც „უფლებები და მოვალეობები" ჰქვია?

1. მეგობრული კლანის წევრები ერთმანეთს უშუალოდ არ უნდა ეცნობოდნენ. ამ პროცესში უნდა მონაწილეობდეს მესამე მხარეც.

2. არ უნდა დაადგა თვალი მეგობრის ცოლს.

3. არ უნდა იურთიერთო პოლიციასთან.

4. არ უნდა იარო კლუბებსა და ბარებში.

5. მუდამ მზად უნდა იყო, კოზა ნოსტრას დავალების შესასრულებლად. მაშინაც კი, თუ შენი ცოლი ორსულადაა და დღე-დღეზე ბავშვს ელოდება.

6. არ უნდა დააგვიანო დანიშნულ შეხვედრაზე და არ უნდა გამოაკლდე მას.

7. ცოლს პატივი უნდა სცე.

8. როცა გეკითხებიან, მხოლოდ სიმართლე უნდა უთხრა.

9. არ უნდა მიითვისო სხვა ადამიანებისა და ოჯახების კუთვნილი ფული.

10. კოზა ნოსტრას წევრი ვერ გახდება ადამიანი, რომლის ნათესავებიც პოლიციაში მუშაობენ, ვინც ცოლს ღალატობს, უღირსად იქცევა და არა აქვს მორალური პრინციპები.

გარდა ამისა, იქვე მოცემულია კოზა ნოსტრას ფიცის ნიმუში. ფიცის დადება ხდება კოზა ნოსტრას მინიმუმ სამი, ავტორიტეტული წარმომადგენლის თანხლებით. ფიცის დამდები, ნაჩხვლეტი თითიდან სისხლს ღვთისმშობლის ხატზე აწვეთებს. შემდეგ ხატს ნუკუ და ამბობს: „ვფიცავ, რომ კოზა ნოსტრას ერთგული ვიქნები. თუ ვუღალატებ, ისევე დაიწვას ჩემი სხეული, როგორც ეს ხატი იწვის".

ზემოთ მოყვანილი 10 პუნქტი სიცილიური მაფიისთვის უჩვეულოს არაფერს შეიცავს. მასში უბრალოდ, ლაკონიურადაა ჩამოყალიბებული აზრი, რომელიც მაფიოზის ღირსეულ ქცევას აღწერს.

მაფიის ბოსების უმეტესობა თავისი რელიგიურობითა და ცხოვრების წესით ამაყობს. ისინი არ ცნობენ სიტყვას — მაფია. მის ნაცვლად „საძმოს" და „ღირსეულ ადამიანებს" იყენებენ. სიცილიელი მაფიოზები თავიანთ ამერიკელ „კოლეგებს" სიმდიდრის, ფუფუნების, ალკოჰოლური სასმელებისა და ნარკოტიკული ნივთიერებების სიყვარულის გამო კილავენ. ოჯახებში ისინი მოყვარული ქმრები და მზრუნველი მამები არიან.

შესაძლოა, ეს ყველაფერი უცნაურად მოგეჩვენოთ, თუ არ გაითვალისწინებთ კოზა ნოსტრას წევრების უცნაურ მსოფლმხედველობას. მაფიოზისთვის მთელი სამყარო 2 ნაწილად იყოფა: თავისიანებად და უცხოებად. თუ „თავისიანების" კანონი ქრისტიანული ნორმების შესაბამისია, „უცხო" მათთვის გამდიდრების წყაროა და არავითარი ქრისტიანული კანონები მასზე არ ვრცელდება.

„გზავნილები“ იმის საშუალებას მაძლევს, რომ ყურადღება ამა თუ იმ თემაზე გავამახვილო და რამდენიმე მკითხველის მიერ მოყოლილი ამბავი გავაერთიანო. ამჯერად ორჯერ ერთსა და იმავე კაცზე გათხოვილ ქალებზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას. ასეთ ქალებზე ვიტყოდი, რომ ისინი ისეთი კატეგორიის ადამიანებს მიეკუთვნებიან, რომელთაც საფარცხულზე ფეხის დაბიჯება არ აშინებთ, თუნდაც უკვე რამდენჯერმე ჰქონდეთ შუბლი „გატეხილი“.

ტასიხოვება საკუთარ ქმარზე

ანუ ორჯერ ერთსა და იმავე მღინარეში შესვლა

მარი ხაფარიძე

მსგავსი წყვილები შოუ-ბიზნესის წარმომადგენელთა შორისაც უხვად მოიძებნება. მაგალითად: რობერტ დე ნირო, პამელა ანდერსონი, ემინემი და ეროს რამაზოტი.

საინტერესოა, რატომ იქცევიან ასე ადამიანები? საკარაუდოა, რომ მარტოობით დაღლილი ადამიანები ბოლოს და ბოლოს რწმუნდებიან, რომ ყველაზე სუფთა გრძნობები სწორედ მაშინ ჰქონდათ, როდესაც ყოფილ მეუღლეზე იყვნენ დაქორწინებული და მზად იყვნენ, მთას შესჭიდებოდნენ.

ვიდრე პირველი რესპონდენტის მიერ ნაამბობს გაგაცნობდეთ, მინდა, ერთი მითის შესახებ გიამბოთ: ოდესღაც, ძალიან დიდი ხნის წინათ, ცხოვრობდნენ არსებები, რომელთაც 2 თავი და 8 კიდური ჰქონდათ. ისინი ისეთი ბედნიერები იყვნენ, რომ მათი ღმერთებსაც კი შეშურდათ და თითოეული არსება ორად გაყვეს. მითის თანახმად, ასე წარმოიშვნენ მარტოხელა ადამიანები, რომლებიც მუდამ თავისი მეორე ნახევრის ძებნაში არიან. რას ამბობს ამის შესახებ მეცნიერება, ამას ***ძალგატეხი ნინოს*** *ნაამბობის შემდეგ შეიტყობთ.*

— 40 წლის ახლახან გავხდი და ბედნიერ დღეებს სათითაოდ ჩამოგითვლით თითებზე. როცა გავთხოვდი, ჩემს ქმარს იმის საშუალება ჰქონდა, რომ მარტო გვეცხოვრა, მაგრამ დედამთილმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. მაშინ 19 წლის ვიყავი და მიზეზი ის იყო, რომ ჯერ გამოუცდელი ვიყავი და მეუღლის მოვლას ვერ შევძლებდი. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ქმარი უკვე ცოლიანი მამაკაცი იყო, მაინც დედის მზუნველობის ქვეშ იმყოფებოდა. დედა აჭმევდა დილით კარაქიან პურს, შუადღისას — კატლეტსა და პიურეს, შემდეგ კომპოტს დააყოლებინებდა; საღამოს კი ვიტამინებით მდიდარ საკვებს ახვედრებდა. თან დილა-შუადღე-საღამოს აღნიშნავდა, რომ ცოლი ასე ვერ მოუვლიდა მის შვილიკოს. ჩემი ქმარიც შოშიის ბარტყივით უღებდა პირს დედას და ლუკმებს მისი ხელიდან ჭამდა. დედა-შვილს შორის რაღაცნაირი, ურღვევი კავშირი იყო. მე კი ცალკე დავრჩი, გარიყული და განდგომილი. ძალიან განვიცდიდი ჩემს მდგომარეობას, მაგრამ ხმას არ ვიღებდი. ასე ვიცხოვრე 10 წელი. ამასობაში 2 შვილი შეგვეძინა. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში ბავშვები იყვნენ და მთელი ყურადღება მათზე უნდა გადასულიყო, ჩემი დედამთილი თავისი შვილის ძიძად დარჩა. ერთ მშვენიერ დღეს ეს ყველაფერი მომბეზრდა და ქმრის ოჯახიდან წამოვედი. მე და ჩემი შვილები მისსავე, დაკეტილ ბინაში გადავედით. ქმარს კი დავუბარე: როდესაც მიხვდები, რომ ცოლი და შვილები უფრო ძვირფასია შენთვის, ვიდრე დედის ხელიდან მოწოდებული ლუკმების ყლაპვა, შეგიძლია, მოხვიდე და ჩვენთან იცხოვრო-მეთქი. როგორც ჩანს, ჩემმა გადაწყვეტილებამ გააბრაზა, რადგან მომდევნო 1 თვის განმავლობაში არ გამოჩენილა. ერთ საღამოს კი გვეახლა და ბავშვები ლამის მოფერებით დაახრჩო. წასვლისას გვთხოვა, რომ დედამისისთვის არ გვეთქვა, ჩვენთან რომ იყო მოსული. ეს იმის ნიშანი იყო, რომ ჩვენს ნახვას დედა უშლიდა. ამან უარესად გამაღიზიანა და საერთოდ ავუკრძალე მოსვლა. შვილებს სკოლაში ნახულობდა და შაბათ-კვირას თავისთანაც მიჰყავდა ხოლმე. მე კი მასთან შეხვედრას თავს ვარიდებდი. გავიდა წლები. შარშან ჩემი ძვირფასი დედამთილი გარდაიცვალა. წლისთავი გადაიხადეს თუ არა, ჩემი ქმარი ჩვენთან გადმობარგდა. მისთვის ხელი არ მიკრავს. მივიღე და შევიკედლე. ასე გავთხოვდი მეორედ საკუთარ ქმარზე.

რაც შეეხება სიყვარულს, მის მიმართ არანაირი გრძნობა არ მაქვს. უბრალოდ, ბავშვებმა ძალიან მთხოვეს, რომ მიმეღო და მათ უარი ვერ ვუთხარი. ასე გაილია ცხოვრების ნახევარი. ორჯერ გავთხოვდი და არც ერთხელ თავი ბედნიერად არ მიგრძნია.

ახლა კი ამ მოვლენის მეცნიერულ ახსნას მივუბრუნდეთ. როგორც მეცნიერები ამბობენ, შეყვარებული ადამიანების 2 ტიპი არსებობს: კომპლიმენტარული და არაკომპლიმენტარული.

პირველი — ეს ისეთი ურთიერთობის ტიპია, როდესაც 2 ადამიანი ერთმანეთს ავსებს. ხშირად ერთმანეთი ასე უყვართ იმ ადამიანებს, რომლებსაც მსგავსი ხასიათი აქვთ და ერთნაირ ოჯახურ პირობებში აღიზარდნენ. არაკომპლიმენტარულად მიიჩნევა ქორწინება, როდესაც მეუღლეებიდან ერთ-ერთი იძულებულია, მეორეს შეეწყოს და თავისი ჩვეული ქცევის წესები ძირფესვიანად შეცვალოს.

როგორც წესი, ასეთი ქორწინება მალე ირღვევა. რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ადამიანები „იზრდებიან", ჭკვიანდებიან და ცხოვრებისეულ გამოცდილებას იძენენ, ყველაფერი იცვლება, მათ შორის — შეხედულებები ნაჩქარევი განქორწინების მიმართ. ხელმეორე ქორწინება იმ შეცდომების გამოსწორებას ჰგავს, რომელიც რამდენიმე წლის წინ იქნა დაშვებული. უნდა აღინიშნოს, რომ ხელმეორე ქორწინება პირველივით აღმაფრთოვანებელი და ვნებით სავსე არ გახლავთ. უბრალოდ, ხანდახან აუცილებელია, რომ ადამიანს გვერდით მეუღლე ჰყავდეს. თუ ხელმეორე ქორწინება იმისთვის ხდება, რომ ბოროტ ჭორიკანებს სალაპარაკო არ ჰქონდეთ, ამ შემთხვევაში ყოფილი ცოლის ან ქმრის კანდიდატურა საუკეთესო ვარიანტია. ის ნამდვილი თანამებრძოლია, რომელსაც ცეცხლი აქვს გამოვლილი და როგორც იტყვიან, მეორე ნახევარს შემწვარ-მოხარშულს იცნობს. მით უმეტეს, რომ ამ 2 ადამიანის უკან მათი შვილები დგანან.

მანანა:

— ჩემი ქმარი თავისი გარეგნობის გამო შემიყვარდა. ულამაზესი ბიჭი იყო და როცა ცოლობა მთხოვა, ჩემზე ბედნიერი ქალი დედამიწის ზურგზე არ დადიოდა, რადგან ქალაქში ერთ-ერთმა, ყველაზე წარმოსადეგმა და საუკეთესო ოჯახის შვილმა ჩემზე დაქორწინება ისურვა. ღარიბი ოჯახიდან ვიყავი და დედამთილი ყოველთვის ცდილობდა, არ ეგრძნობინებინა ჩემთვის, რომ სხვა სოციალურ ფენას ვეკუთვნოდი. შვილივით მივლიდა და მანებივრებდა, რადგან გათხოვების შემდეგ, თვითონაც სწორედ ჩემს სიტუაციაში აღმოჩენილა. ჩემი ქმარიც ჭკუას კარგავდა ჩემზე. ის კი არა და, მეხვეწებოდა, შვილი ჯერ არ გავაჩინოთ, რომ შენს სიყვარულში არ შემეცილოსო. გავიდა წლები. ჩემი ბედნიერება მარადიული არ აღმოჩნდა. ვიეჭვე, რომ ჩემი ქმარი სხვა ქალს ხვდებოდა. დავადგინე, ვინ იყო ის ქალი და სასტიკი „ბრძოლა" გამოვუცხადე, მაგრამ სამწუხაროდ, ამ ბრძოლაში დავმარცხდი. ქმარმა მე და 3 შვილი მიგვატოვა და მასთან გადაბარგდა. განვაგრძე მის გარეშე ცხოვრება და არცთუ ურიგოდ ავაწყვე ჩემი საქმე. დედამთილი ჩემთან ცხოვრობდა და სულ იმას მეუბნებოდა: ახალგაზრდა ქალი ხარ, ვინმე მამაკაცს გული გადაუშალე, ასე ნუ ჩამოჭკნებიო. — შენი შვილი ისევ ძველებურად მიყვარსმეთქი, — ვეტყოდი ხოლმე. ის კი ღრმად ამოიოხრებდა: არ არის ის ადამიანი შენი სიყვარულის ღირსიო. — დრო გავა და დამიბრუნდებამეთქი, — ვპასუხობდი. ახლა ჩემი შვილები 36, 32 და 31 წლისანი არიან და მათგან უკვე 5 შვილიშვილიც მყავს. ჩემი ქმარი კი სულ ახლახან, 3 თვის წინ დაბრუნდა ჩემთან და პატიება მთხოვა. ვაპატიე და დაბრუნების მიზეზიც არ მიკითხავს. ვგრძნობ, რომ ამ თემაზე ლაპარაკი სურს, მაგრამ თავს ვარიდებ. არ მინდა, ისეთი რამ თქვას, რაც მის სიყვარულს ერთ წამში გააქრობს. მეორედ გათხოვება მხოლოდ იმიტომ გადავწყვიტე, რომ ისევ ჩემს ქმარზე ვთხოვდებოდი, თორემ სხვა მამაკაცზე არავითარ შემთხვევაში არ გავთხოვდებოდი.

იმისათვის, რომ ხელმეორე ქორწინება შედგეს, ყოფილმა (მომავალმა) მეუღლეებმა ერთმანეთის მიმართ სიმპათია და პატივისცემა უნდა შეინარჩუნონ. ამის გარეშე არაფერი გამოვა.

გაცილებულ სასურველ შენი სურათები

მკვლელი

წინა კვირაში ჩვენი „რეალური დეტექტივის“ მთავარი გმირის, ფრიდონ პირტახიას დამ, ქალბატონმა ლიამ დამირეკა. მის ზარს ვუპასუხე თუ არა, მაშინვე შეტევაზე გადმოვიდა: რით ვერ დაივიწყეთ ეს 6 წლის წინანდელი ამბავი, რატომ არ ასვენებთ საფლავში ჩემს ძმასო. შემდეგ კი წყევლა-კრულვით სავსე მესიჯიც გამომიგზავნა, რომელიც შემდეგი სიტყვებით მთავრდებოდა: „ღმერთმა აგისრულოს ჩემი წყევლა და მერე ვნახავ, როგორი რომანტიკული ჟურნალისტი იქნები“. სამწუხაროა, რომ ქალბატონ ლიას „გზის“ ის ნომერი არ აქვს წაკითხული, სადაც დეტექტიური ამბის დაწყებამდე მათი ოჯახის შესახებ ვწერდი და ჩემს გულისტკივილსაც გამოვთქვამდი. გულს კი იმით ვიმშვიდებ, რომ წყევლა რომ ადრესატამდე მიდიოდეს, მაშინ ფრიდონის მსხვერპლთა ოჯახებიდან გაგზავნილი წყევლა პირტახიების გვარს „პირისაგან მიწისა აღგვიდა“.

ახლა კი განვაგრძობ ამბის თხრობას, რომელიც წინა ნომერში იმ ეტაპზე შევწყვიტეთ, როცა ფრიდონმა 14 წლის მსხვერპლი მშენებარე სახლის ბნელ სარდაფში ჩაიყვანა და გაუპატიურება დაუპირა.

მარი ხაშარიძე

ბავშვმა უკანასკნელად გაიბრძოლა და უცებ მოეშვა. ტკივილისგან სახე დაემანჭა. დანის ტარი მის ორგანიზმში მძიმედ შევიდა. როდესაც მოძალადემ იგრძნო, რომ საქალწულე აპკი წინააღმდეგობას უწევდა, მთელი ძალით მიაწვა დანას და როდესაც ხელმა თავისუფლება იგრძნო, რაღაცნაირად, ბოროტად გაიღიმა. გოგონა გულწასული ეგდო, ხელები მკერდზე ჰქონდა აფარებული და ფერწასული, მიცვალებულს ჰგავდა. ფრიდონმა გოგონას სახეზე დახედა და მუხლზე დაჩოქილმა მისი თავისკენ გადაინაცვლა. სახეზე დახედა, მერე მაჯა მოსინჯა და სუსტი პულსი იგრძნო. მიიხედ-მოიხედა და იქვე მიყრილი მავთულები დაინახა. წამოდგა, ყველა მავთული ხელით მოსინჯა, შედარებით მოქნილი შეარჩია და უკან დაბრუნდა. საწყისი პოზიცია მიიღო. გოგონას თავთან მუხლზე დაეშვა, მავთულის ცალი ბოლო კისრის ქვეშ გაუტარა, მეორე ყელზე მჭიდროდ შემოაჭდო და ერთმანეთზე გადაგრიხა. ბავშვი წინააღმდეგობასაც არ უწევდა. ფრიდონი კი მარყუჟს ნელ-ნელა ავიწროებდა და თან მთელი ძალით აწვებოდა. როდესაც დარწმუნდა, რომ გოგონა აღარ სუნთქავდა, ფეხზე წამოდგა, უსულო სხეულს ფეხებში ჩაეჭიდა და კუთხეში მიათრია. ამასობაში სანთელი ჩაიწვა და ირგვლივ სიბნელემ დაისადგურა. ფრიდონს სიბნელის შეეშინდა. გული აუჩქარდა, რაღაცნაირად შეკრთა და ხელი გულისჯიბეზე იტაცა, სადაც სანთელი ეგულებოდა. როდესაც მიხვდა, რომ სანთელი კიდევ ჰქონდა, ცოტა დამშვიდდა, სასწრაფოდ მოუკიდა და ანთებული სანთელი კედელზე მიამაგრა. შემდეგ ისევ გვამს მიუბრუნდა, პულსი კიდევ ერთხელ მოუსინჯა, იქვე მიყრილი ტომრისა და მუყაოს ყუთის ნაგლეჯები მიაფარა და გასასვლელისკენ დაიძრა. კართან მისული კიდევ ერთხელ მიბრუნდა და ოთახი მოათვალიერა. შემდეგ კიბეს ნელა აუყვა. სარდაფიდან ამოსულმა ჯერ უკაცრიელი მიდამო მოათვალიერა. ჯერ კიდევ დღე იყო და მზე აცხუნებდა. იქაურობა უკანმოუხედავად დატოვა და ჩქარი ნაბიჯით ქალაქისკენ დაეშვა. გზად პოლიციის განყოფილებასთან უნდა გაევლო. როდესაც შენობას გაუსწორდა, გული შეეკუმშა და გაქცევა მოუნდა, მაგრამ გზა მშვიდი, ნელი ნაბიჯით

გოგონას თავთან მუხლზე დაეშვა, მავთულის ცალი ბოლო კისრის ქვეშ გაუტარა, მეორე ყელზე მჭიდროდ შემოაჭდო და ერთმანეთზე გადაგრიხა

ცხოვრება ოცნებებზე გრძელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაგრძო, ცენტრალურ გზაზე გავიდა და ხალხს შეერია. შვებით მხოლოდ ამის შემდეგ ამოისუნთქა. ცოტა ხანს შეჩერდა, სიგარეტს მოუკიდა და გამვლელ-გამომვლელს დააკვირდა. „რამდენიმე წუთის წინ საშინელი საქმე ჩავიდინე, ესენი კი აზრზეც არ არიან“ — ფიქრობდა ფრიდონი და სიგარეტს ნერვიულად ექაჩებოდა.



პოლიციის განყოფილების შესასვლელში ჩოჩქოლი ატყდა. ვიღაც ტიროდა, ვიღაც — ყვიროდა... ხმაურმა დავითის ყურამდე მიაღწია. წამოდგა და ამბის გასარკვევად გავიდა.

— გიორგევიჩ, ვიღაც ქალია, მისი შვილი შინიდან გასულა და აღარ დაბრუნებულა. ტირის და შველას ითხოვს, — მოახსენა მორიგემ.

— შემოვიდეს ჩემთან, — მოკლედ მოჭრა დავითმა და უკან გაბრუნდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ თვალცრემლიანმა ქალმა მისი კაბინეტის კარი შეაღო.

— მობრძანდით, — ფეხზე წამოდგა დავითი და სკამზე მიუთითა. ქალს უკან მხრებაწურული მამაკაცი შემოჰყვა და იქვე, კართან გაჩერდა.

— დაბრძანდით, — ახლა მას მიმართა დავითმა. კაცი მორიდებით ჩამოჯდა. ქალი ცრემლს ვერ იკავებდა და ტირილისგან მხრები უცახცახებდა.

— დაწყნარდით, ქალბატონო, და მითხარით, რა მოხდა.

— ასე, 12 საათი იქნებოდა, როცა ჩემი გოგონა ბებიასთან გავგზავნე. შინიდან გავიდა, ბებიასთან კი არ მისულა, არც შინ მოსულა და არც მეგობრებთანაა.

— იქნებ, რომელიმე მეგობართან ჭორაობას შეჰყვა?

— არა, არა, ყველასთან დავრეკეთ, სახლებში ჩამოვიარეთ, მაგრამ არსადაა.

— იქნებ, ისეთი მეგობარი ჰყავდა, რომელსაც თქვენ არ იცნობთ?

— არა, ბატონო გამომძიებელო, თქვენ არ იცით, ჩემი გოგონა როგორია. ჩვენ გარეშე ნაბიჯსაც არ გადადგამს.

— რამდენი წლისაა გოგონა?

— 14-ის, — ისევ ატირდა ქალი.

— ჰოოო... იქნებ გათხოვდა? შეყვარებული არ ჰყავდა?

— არა, არა, რას ბრძანებთ? ამას არც დამალავდა და ვერც გამომაპარებდა.

— ქალბატონო, რამდენიმე დღე უნდა დაველოდოთ. თუ არ გამოჩნდება, საქმეს აღვძრავთ და ძებნას დავიწყებთ.

— კი, მაგრამ რას ჰქვია, რამდენიმე დღე უნდა დაელოდოთ? მერე გვიან რომ ოყოს? სადაური კანონებით მუშაობთ?

— ნუ ნერვიულობთ, ახლა მორიგე სახელს, გვარს და სხვა მონაცემებს ჩაიწერს და ძებნას არაოფიციალურად დავიწყებთ. თქვენ შინ წაბრძანდით და თუ რაიმეს შევიტყობთ, გაგაგებინებთ. კაცი ხმას არ იღებდა. მხოლოდ დავითის ბოლო სიტყვების შემდეგ წამოდგა, — წავიდეთო, ცოლს უთხრა და თვითონ პირველი გავიდა. დავითმა თვალი გააყოლა და ამოიოხრა. „ერთ მშვენიერ დღეს ჩემი შვილი რომ დაიკარგოს და ამათ სიტუაციაში აღმოვჩნდე, ნეტავ, რას ვიზამ? ალბათ ქვეყანას შევძრავ. საშინელებაა, როცა უძლური ხარ და მხოლოდ ტირილი და ცრემლის ღვრა შეგიძლია. ალბათ ყველა გზა მოსინჯეს, ყველა ახლობელი მოიარეს და ჩვენთან მერე მოვიდნენ“, — ფიქრობდა დავითი და ცდილობდა, რაიმე გზა მოეძებნა, რითაც ცოლ-ქმარს გოგონას მოძებნაში დაეხმარებოდა.

— გიორგევიჩ, შეიძლება? — კარში „ბომჟმა“ კოლიამ შემოყო თავი.

— მოდი, კოლია, მოდი, — შემოიპატიჟა დავითმა და სკამზე შესწორდა.

— უფროსო, ეხლა რაშია საქმე, — არყის სუნი შეაორთქლა კოლიამ, — თურმე იმ დღეს, ლუბოჩკას და მის დაქალ ზინას ვიღაც კაცი გაუცნიათ. ჰოდა, იმას უთქვამს, არყის ფული მაქვს და კაცი ვერ ვიპოვე რომ მარტომ არ დავლიოო. ამათაც მეტი რა უნდოდათ? გადაუწყვეტიათ, რომ ერთად დაელიათ.

— შენ ზინა ნახე? — გააწყვეტინა თხრობა დავითმა.

— კი, ვნახე, აბა, არ ვნახე?

— მერე, აქ რატომ არ მოიყვანე?

— როგორ არ მოვიყვანე, გარეთ დგას.

— მერე, შემოვიდეს, ბარემ მას ვკითხავ ყველაფერს.

— უფროსო, იცი, ასე თქვა,

თუ სასმელს არ მიყიდის, არაფერს ვეტყვიო.

— კარგი, ფულს მივცემ და თვითონ იყიდოს. შენი დარიგებული იქნება, არა?

— როგორ გეკადრება, უფროსო, მე მაგას როგორ ვიზამდი? — იუკადრისა კოლიამ და წამოდგა. დავითს ესმოდა, როგორ ეჯუჯღუნებოდა კოლია დერეფანში ზინას: გამოადგი ფეხი, დღეს რომ არ დაგელია, არ შეიძლებოდა? არ წაიქცე, ქალო! — კართან მუჯლუგუნი ჰკრა და ისე შეაგდო ოთახში. ქალი წაბორძიკდა, მაგრამ თავის შეკავება მოახერხა და იქვე, კართან მდგარ სკამზე დაჯდა.

— აქ დაჯექი, — კაბის საყელოში ჩაავლო ხელი კოლიამ და მაგიდასთან მდგარი სკამისკენ წაათრია. როგორც იქნა, დაშოშმინდნენ.

— როგორ ხარ, ზინა? — ჰკითხა დავითმა.

— კარგად.

— აბა, მხთხარი, რა მოხდა იმ ღამეს, როცა ლუბა მოკლეს?

— მე არ ვარ დამნაშავე, მე არ მომიკლავს ლუბოჩკა. — თავის მართლებით დაიწყო ლაპარაკი.

— ვიცი, ვიცი, ნუ გეშინია, შენ არავინ გაბრალებს. შენ უბრალოდ, ყველაფერი დაწვრილებით გაიხსენე და

„რამდენიმე წუთის წინ საშინელი საქმე ჩავიდინე, ესენი კი აზრზეც არ არიან“ — ფიქრობდა ფრიდონი და სიგარეტს ნერვიულად ექაჩებოდა.

მომიყევი, რა მოხდა იმ საღამოს.

— მე და ლუბოჩკამ იმ დღეს ფული ვერ ვიშოვეთ. სულ ლარი და 10 თეთრი გვქონდა. ეს მარტო არაყზე ან მარტო „ზაკუსკაზე“ გვეყოფოდა. ჰოდა, ერთი კაცი გავაჩერეთ. თვითონაც ცოტა გადაკრულში იყო და ლოთს ჰგავდა, ჰოდა, ვიფიქრეთ, რომ თუ ფული ექნებოდა, დაგვეხმარებოდა. ვთხოვეთ, რომ არყის ფული მოეცა. იმან გვითხრა, რომ დალევა თვითონაც უნდოდა და ფულიც ჰქონდა. ჩვენც დაგვპატიჟა. არაყი, „კალბასი“ და თევზი იყიდა და დასალევად „ალეაზე“ დაგვპატიჟა. უკვე გვიანი იყო და ხალხი აღარ მოძრაობდა. ჩავუჯექით და 2 ბოთლი არაყი დავლიეთ. მერე გვითხრა: ახლა რომელიმე უნდა გაგჟიმოთ და თქვენ თვითონ აირჩიეთ, რომელს გინდათ ჩემთან ჟიმაობაო. ლუბოჩკამ მითხრა: — მე მინდა, ზინა, დიდი ხანია, კაცი არ მყოლია, დამითმეო. შემეცოდა და დავუთმე. ჰოდა, იმათ რომ ჟიმაობა დაიწყეს, მე წამოვედი, რომ ხელი არ შემეშალა. მე და ლუბოჩკას ერთი ადგილი გვაქვს, სადაც ვიძინებთ ხოლმე და იქ წავედი. მერე გავიგე, რომ თურმე, ლუბა მოუკლავთ. — სულმოუთქმელად ჩაარაკრაკა ზინამ.

— ის კაცი რომ ნახო, იცნობ?

— კი, როგორ არა.

— რა ეცვა? — კოლია კარგი გამომძიებელივით სვამდა კითხვებს. დავითს გაეცინა.

— რა ეცვა და ლურჯი სვიტრი.

— ამ სიცხეში — სვიტრი? — გაუკვირდა დავითს.

— ჰო, ნაქსოვი სვიტრი ეცვა. მერე დასცხა და ისიც გაიხადა.

— გარეგნულად როგორი იყო? — მოვალეობის მოხდის მიზნით ჰკითხა დავითმა, რადგან წინასწარ ხვდებოდა, რომ ზინას მოყოლილი ამბავი არავითარ შედეგს არ გამოიღებდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ხელოვნური სიკვდილის საიდუმლო

„გრაფო, მინდა მეტი ვიცოდე კლინიკური სიკვდილის შესახებ. იქნებ გვიამბოთ, რა ხდება იმ ქვეყნად? თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ? ლელუჩია“.

სარწმუნო ინფორმაცია მხოლოდ ის იქნება, რომელსაც ადამიანი საკუთარი თვალით „ნახავს“ — ანუ თავად აღმოჩნდება მსგავს სიტუაციაში. ყველაფერი ის კი — რაც მე ვიცი, მხოლოდ სხვადასხვა წიგნისა თუ ინტერნეტსაიტის დამსახურებაა და სიამოვნებით მოგიყვებით.

გრაფი თარხანი

არავინ იცის, რა იმალება სიცოცხლის მიღმა. დროდადრო იმ ადამიანების ნაამბობს ვიგებთ, რომლებმაც კლინიკური სიკვდილი გადაიტანეს და „გაცოცხლებულები“ თავიანთი განცდების შესახებ გვიამბობენ. თითქმის ყველა მათგანი უჩვეულო ამბებს ჰყვება გვირაბებზე, კაშკაშა სინათლეზე, ანგელოზებსა თუ გარდაცვლილ ნათესავებთან შეხვედრაზე. რამდენიმე წლის წინ გამოვიდა ექიმი-ფილოსოფოსის, რაიმონს მოუდის წიგნი — „სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ“, რომელიც ამ საკითხით დაინტერესებული ადამიანების შეკითხვებს სცემს პასუხს. რაიმონს მოუდმა პირველმა შეაგროვა და გამოაქვეყნა შედარებით რეალური ინფორმაცია სიკვდილს მიახლოებულ მდგომარეობაზე.

„სიკვდილის დროს, ფიზიკური დაუძლურების მომენტში ადამიანს ესმის, როგორ ახდენს ექიმი მისი სიკვდილის კონსტატირებას. მის სმენას უსიამოვნო ხმაური სწვდება — ძლიერი სიგნალის ან ზარის რეკვის მაგვარი ხმა. ამასთან ერთად, ის გრძნობს, როგორ მიქრის გრძელ, ბნელ გვირაბში. გზაზე ხვდებიან რაღაც არსებები, რომელთა შორის გარდაცვლილი ნათესავებიც არიან“, — წერს იგი თავის წიგნში.

უკანასკნელი მეცნიერული აღმოჩენის თანახმად, ეს ხილვები მხოლოდ სიზმრის წყალობაა. ასეთ დასკვნამდე მივიდა პროფესორი კევინ ნელსონი, რომელიც აღნიშნულ სფეროში კვლევებს აწარმოებდა.

„კლინიკური სიკვდილის დროს, კაშკაშა სინათლის ასოციაციას, თვალის განსაკუთრებული ხედვა იწვევს“, — ხსნის მეცნიერი. გარდა ამისა, კუნთების ძლიერი სისუსტე, ავადმყოფს სიკვდილის შეგრძნებას უჩენს. აღნიშნული კვლევის მიზანია, სიკვდილის დროს წარმოქმნილ შეგრძნებებს ბიოლოგიური ახსნა მოუძებნოს.

მეცნიერების აზრით, ადამიანის გაღვიძების თავისებურება სიკვდილისწინა მდგომარეობის შეგრძნების საფუძველია. ამასთან, მეცნიერები ცდილობენ, კლინიკური სიკვდილი პაციენტის საკეთილდღეოდ გამოიყენონ. ექიმმა ჰაზან ალამმა განაცხადა, რომ პაციენტები, რომლებიც სიკვდილისთვის არიან განწირულნი, შესაძლოა მალე „შეჩერებული სიცოცხლის“ მდგომარეობაში გადაიყვანონ. მათ დროებით შეუწყვეტენ ყველა სასიცოცხლო ფუნქციას. ეს მდგომარეობს შემდეგში: გაჩერებული იქნება არა მარტო პულსი, არამედ — ტვინის ელექტრონული აქტივობა და ქსოვილები ჟანგბადს არ გამოიყენებენ. პაციენტის ასეთ მდგომარეობაში გადაყვანის შემდეგ, ექიმებს შესაძლებლობა ექნებათ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩაატარონ ოპერაცია და ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინონ, ვიდრე ის ხელოვნური სიკვდილის მდგომარეობაში იქნება. ეს ჩვეულებრივი, კლინიკური სიკვდილი იქნება, ოღონდ — ხელოვნური. მეცნიერები იმედოვნებენ, რომ მალე ექიმები ისწავლიან პაციენტის ამ მდგომარეობიდან გამოყვანას. ოპერაციის დროს შესაძლებელი იქნება ორგანიზმიდან სისხლის მთლიანად გამოდევნა, ხოლო

იმისათვის, რომ ქსოვილები უჟანგბადოდ არ დაზიანდეს, სხეულს საჭირო ტემპერატურამდე გააცივებენ. ოპერაციის დასრულების შემდეგ, გამთბარ სისხლს ორგანიზმში შეუშვებენ და გულს აამუშავებენ. როგორც ექიმი ალამი ამბობს, მსგავსი ცდები ღორებზე უკვე წარმატებით მიმდინარეობს. ის იმედოვნებს, რომ მალე ამ ტექნოლოგიას ადამიანებზეც გამოცდიან.

მართლაც, კლინიკური სიკვდილი ზოგჯერ საოცრებებს ახდენს.

მაგალითისთვის ერთ შემთხვევას გავიხსენებ. პენზაში ცხოვრობს წინასწარმეტყველი ძაღლი, სახელად — ფატიმა. იგი სრულიად ჩვეულებრივი ძაღლი იყო, ვიდრე ერთ დღეს, უეცრად — უბედური შემთხვევის შედეგად არ გარდაიცვალა. ძაღლის დამარხვა არ იჩქარეს. მეორე დღეს კი ის სიამოვნებით შეექცეოდა თავის კუთვნილ ულუფას. ყველაზე საინტერესო ამბები სწორედ მას შემდეგ დაიწყო, რაც ფატიმა „გაცოცხლდა". მისი ქცევები სრულიად შეიცვალა. ის სახლის ნამდვილი მცველის ფუნქციას სწევდა და დიასახლისს სულ კუდში დასდევდა. ერთ საღამოს, საქმეში გართულმა დიასახლისმა თავისთვის ჩაილაპარაკა: „რა ვქნა, წავიდე მოსკოვში?" პასუხად ძაღლმა თავი გააქნია. დიასახლისმა იფიქრა, რომ ეს უბრალოდ, დამთხვევა იყო, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის ძაღლს კითხვა გაუმეორა. იგივე გამეორდა. დიასახლისი მაინც გაემგზავრა, გზაში ავტოავარიაში მოყვა და სიკვდილს ძლივს გადაურჩა. ამ ამბის შემდეგ, ფატიმას ჭკუას უამრავი ადამიანი ეკითხებოდა. ისიც ან თანხმობის ნიშნად აქნევდა თავს, ან — უარის. ძაღლი არც ერთხელ არ შემცდარა.

მომაკვდავის მზერა და კლინიკური სიკვდილი სიკვდილის დადგომის ბოლო ეტაპია. „კლინიკური სიკვდილი სიკვდილი არ არის, მაგრამ არც სიცოცხლეა", — ასეთია მეცნიერების აზრი. ბიოლოგიური თვალსაზრისით, ეს მოვლენა ანაბიოზს მოგვაგონებს. კლინიკური სიკვდილი „შებრუნებული" მდგომარეობაა და სუნთქვის ან სისხლის მიმოქცევის შეწყვეტა სიკვდილის დადგომას არ ნიშნავს.

კლინიკური სიკვდილის ნიშნებია:

სუნთქვის და გულისცემის შეწყვეტა; გენერალიზებული სიფერმკრთალე ან ციანოზი; სინათლეზე გუგების რეაქციის არარსებობა. კლინიკური სიკვდილი გრძელდება მანამ, სანამ ტვინი სიცოცხლის უნარს ინარჩუნებს. ის შესაძლოა გაგრძელდეს 5-6 წუთი (ამ დროის გასვლის შემდეგ ადამიანს გაცოცხლება შეუძლია) ან რამდენიმე საათი. ასეთ შემთხვევაში, რეანიმაციული ღონისძიებები შესაძლოა, შედეგიანი აღმოჩნდეს.

რამდენიმე წლის წინ გავრცელდა ინფორმაცია ნორვეგიელი ბიჭუნას შესახებ, რომელიც გაყინული მდინარის ზედაპირზე სრიალისას ნაპრალში ჩავარდა. ყინულის ქვეშ მან 40 წუთი დაყო. ექიმებმა ორგანიზმის ყველა სასიცოცხლო ფუნქციის აღდგენა შეძლეს. თავის ტვინზე არავითარი ცვლილება არ შეინიშნებოდა. ჩვეულებრივ, დახრჩობის შედეგად, სიკვდილი 5-6 წუთის განმავლობაში დგება. ცივმა წყალმა ტვინს საშუალება მისცა, უჯრედების ცხოველქმედება შეენარჩუნებინა. თუ რეანიმაციული დახმარება შედეგს არ გამოიღებს, ბიოლოგიური სიკვდილი დადგება.

გთავაზობთ რამდენიმე ადამიანის მონათხრობს, რომელთაც კლინიკური სიკვდილი გადაიტანეს:

იგორ აზარიანი, *17 წლის.* ***დასმული ჰქონდა ლეიკემიის დიაგნოზი.***

„მე დავინახე, როგორ შემოვიდნენ პალატაში ექიმები. მათ ბებიაჩემი მოჰყვებოდა. თავიდან ძალიან გამიხარდა, რომ ბებიაჩემი ჩემს სანახავად მოვიდა, მაგრამ მერე გამახსენდა, რომ ის გარდაცვლილი იყო და ძალიან შემეშინდა. შემდეგ შემოვიდა შავებში ჩაცმული, უცნაური ადამიანი. მე ავტირდი. მერე ბებიამ მითხრა — ნუ ტირი, ჯერ დრო არ არისო, და გამეღვიძა".

ალექსანდრე პორბსკი, ***დასმული ჰქონდა თირკმლის მწვავე უკმარისობის დიაგნოზი.***

„თითქმის არაფერი მახსოვს მუსიკის გარდა. ის ძალიან ხმამაღლა იყო ჩართული და რომელიღაც ძველ ფილმში მოსმენილ მარშს მახსენებდა. საკმაოდ რთულ ოპერაციას მიკეთებდნენ და მიკვირდა კიდეც, მაგნიტოფონი ასე ხმამაღლა რომ ჰქონდათ ჩართული. შემდეგ მუსიკამ უცნაური ეღერადობა შეიძინა — თითქოს არამიწიერი ხმა მესმოდა".

მატიას უგუნტი, ***დასმული ჰქონდა ინფარქტის დიაგნოზი.***

„საკუთარ თავს ზევიდან და გვერდიდან ვხედავდი. თითქოს რაღაც ძალამ ზევით ამწია და ჭერს მიმაჭყლიტა. შორიდან ვუყურებდი, როგორ ცდილობდნენ ექიმები ჩემს გადარჩენას. მე კი მეცინებოდა და ვფიქრობდი: რა მოხერხებულად გავაცურე ყველა და დავიმალე-მეთქი! შემდეგ თითქოს წყალბორბალამ შემისრუტა და ისევ სხეულში ჩამტენა".

იმ ადამიანების მონათხრობი, ვინც კლინიკური სიკვდილი გადაიტანა, სხვადასხვა ქვეყნის ექიმების მიერაა შეგროვებული. მათგან რამდენიმე ათასი — გამოქვეყნებულია.

ახლა კი თქვენ მიერ დასმულ შეკითხვებზე გავცემ პასუხს.

? **— გამარჯობა, გრაფო, ძალიან მიჭირს ამ თემაზე ლაპარაკი, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს, უნდა გითხრათ. როცა მე და ჩემი ქმარი ვკამათობთ და ოდნავ ხმას ავუწევ, მაშინვე ცემაზე გადადის. თუ ყვირილს დავიწყებ და ვინმეს საშველად ვუხმობ, პირზე ხელისგულს მაფარებს, რომ ხმა ვერ ამოვიღო. როცა დაწყნარდება, შესაძლოა, იტიროს და სიყვარულიც კი ამიხსნას. რა ვქნა? იქნებ მითხრათ, რა გზას დავადგე?**

— ცხოვრებაში ყველაფერი პირველად ხდება. სწორედ ეს „პირველად" ზემოქმედებას ახდენს შემდგომ მოვლენებზე. თუ ქმარმა დაგარტყა და ამას შენი მხრიდან შესაბამისი, მწვავე რეაქცია არ მოჰყვა, ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალში იგივე აუცილებლად განმეორდება. და არა მარტო მას, არამედ სხვასაც შეუძლია, შეურაცხყოფა მოგაყენოს. ამიტომ, უნდა იცოდე, რომ მისი მხრიდან მსგავსი ქმედება აუცილებლად გაგრძელდება და ამაზე ორივე პასუხისმგებელი იქნებით, რადგან მხოლოდ ის არ არის დამნაშავე. თქვენ ხომ მას პირველად ამის უფლება მიეცით? რაც შეეხება იმას, რომ ის ბოდშს გიხდით და სიყვარულს გიხსნით, მინდა დავიჯერო, რომ ის ამას წრფელი გულით აკეთებს და მართლაც ინანიებს ჩადენილს. ქმარს გაშორდეთ თუ მასთან ცხოვრება ძველებურად გააგრძელოთ, ამასთან დაკავშირებით, მე რჩევას ვერ მოგცემთ. ეს თქვენი და მხოლოდ თქვენი გადასაწყვეტია.

? **— გამარჯობა. მე 19 წლის ვარ. ერთი ოცნება მქონდა, მინდოდა, რომ სტუდენტი გავმხდარიყავი და წელს ეს ოცნება ავისრულე. ახლა კი გათხოვებაზე ვოცნებობ, მაგრამ არაფერი გამომდის. რამდენი ბიჭიც გავიცანი, ყველას საყვარელი ჰყავს და მასთან ურთიერთობას მაშინვე ვწყვეტ ხოლმე. რა ვქნა? ინტერნეტით გავიცნო ვინმე? რას მირჩევთ?**

— ძალიან კარგია, როცა ადამიანს ოცნება აქვს, მაგრამ ხანდახან ისე ხდება, რომ მის ასრულებას თავად ვუშლით ხელს. თქვენ მიზნად გათხოვება დაისახეთ. მიზანი გაქვთ, ახლა საჭირო კანდიდატურა უნდა მოძებნოთ. გინდა თუ არა, ისინი ერთმანეთს უნდა შეადარო და საუკეთესო ვარიანტი ამოარჩიო. ამ დროს აღმოჩნდება, რომ მას მეგობარი ჰყავს და ამის გამო უკან იხევ. ნუ ფიქრობ იმაზე, რომ მას მეგობარი ჰყავს. თუ მამაკაცი შეგიყვარებს, ის სხვისკენ არ გაიხედავს და შენი ერთგული იქნება.

? **— გამარჯობა. მე მამაკაცი ვარ და ერთი პრობლემა მაწუხებს: აღმოვაჩინე, რომ დედას ვგავარ. არადა, რომ იცოდეთ, როგორ არ მიყვარდა მისი ჩვევები, ოხვრა, მანერები... მე კი მთლიანად მას დავემსგავსე. რა ვქნა?**

— საყოველთაოდ ცნობილია, რომ მშობლებს არ ირჩევენ! ჩვენ ყველანი მშობლებს ვგავართ. ეს ბუნებრივია, რადგან ჩვენ მათი აღზრდილები ვართ. ამიტომ, თუ დედას ჰგავხართ, ესეც ჩვეულებრივი მოვლენაა. არაბუნებრივია ის, რომ ეს ძალიან გაღიზიანებთ. თუ თქვენში დედის მსგავს თვისებებს ებრძვით, ეს იმას ნიშნავს, რომ ბრძოლა საკუთარ თავთან გაქვთ გამოცხადებული. როგორ ფიქრობთ, სადამდე მიგიყვანთ ეს ბრძოლა? გამოსავალი ბრძოლა არ გახლავთ. გამოსავალი ის არის, რომ საკუთარი თავი ისეთი უნდა მიიღოთ, როგორიც ხართ.

გრაფი თარხანი

ჩვენს საზოგადოებაში სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაცია ოფიციალურად არ არსებობს, მაგრამ... ბევრ სფეროში ხელმძღვანელ და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მხოლოდ მამაკაცებს ნიშნავენ. მამაკაცის წარმატება ნორმად მიიჩნევა, ხოლო თუ საქმიან ან მეცნიერულ კარიერას ქალი გაიკეთებს, მას „ცისფერ წინდას" ეძახიან ან კიდევ უფრო უარეს მეტსახელს უგონებენ.

თუ მოგისმენიათ ანეკდოტი, რომელშიც მამაკაცის თმის ფერზე ხუმრობენ? ქერა და სულელ ქალებზე გამოგონილ ანეკდოტებს კი თვლა არა აქვს. როგორ უნდა ვებრძოლოთ ამ მოვლენას?

ვისაუბროთ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცეს ქალი სხვადასხვა სიტუაციაში, როცა სექსუალური დისკრიმინაციის საშიშროება ემუქრება. ყველაზე გავცელებული სიტუაციაა, როცა შენი ქალური ლოგიკის გამო გამუნათებენ.

მშვიდად უპასუხე, რომ ქალის ტვინი, რაღა თქმა უნდა, მამაკაცის ტვინისგან განსხვავდება; ყველამ იცის, რომ მამაკაცი ლოგიკურად და რაციონალურად აზროვნებს, ხოლო ქალი — ემოციურად და ძირითადად ინტუიციას ენდობა. ეს ოდითგანვე ასე იყო და შენს პირად თვისებებთან არანაირი კავშირი არა აქვს. ურიგო არ იქნება, თუ წინასწარ ქალისა და მამაკაცის ფსიქოლოგიის შესახებ რამდენიმე წიგნს გადაიკითხავ. ამ შემთხვევაში საშუალება მოგეცემა, სპეციალური ტერმინებითაც მოიწონო თავი; მამაკაცს საფიქრალი გაუჩინო, რომ სხვა დროს, ვიდრე რამეს იტყოდეს, კარგად დაფიქრდეს.

თუ სამსახურში მიღების დროს მიგანიშნებენ, რომ უარს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ გეუბნებიან, რომ ქალი ხარ ან იმავე მიზეზის

P.S. იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი გრაფთან მოხვდეს, მობილურის „ესემეს"-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა grafi გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, აკრიბოთ ტექსტი და გამოგზავნოთ ნომერზე 8884.

იმიტომ, რომ ქალი ხარ!

1936 წელს ყანადელი ბიოლოგის, ჰანს სელიეს ნაშრომი გამოქვეყნდა, სახელწოდებით – „მიანის მომტანი აგენტების მიერ გამოწვეული სინდრომი". სწორედ ამის შემდეგ შეიტყო ყაცობრიობამ ინგლისური სიტყვა „სტრესის" შესახებ.



გამო არ გაწინაურებენ, მაშინ შეგიძლია შეფს შენი რაციონალური წინადადებების შესახებ მოუყვე. წარუდგინე მას ბიზნესგეგმა და დაარწმუნე, რომ მამაკაცზე ნაკლებად არ იმსახურებ წარმატებას.

ბევრი ქალის შეცდომა ის გახლავთ, რომ ისინი დარწმუნებულნი არიან — ყველაფერს აპატიებენ და „ფასდაკლებას" სქესობრივი ნიშნის გამო გაუკეთებენ. მაგალითად, როდესაც სამსახურის დასაწყებად გასაუბრებაზე მამაკაც დამსაქმებელთან მიდის, ქალი ცდილობს, სექსუალურად გამოიყურებოდეს, რადგან იმედოვნებს, რომ მომავალი ბოსი მის ქალურ ბრწყინვალებას წამოეგება. ნუ გაგიკვირდება, თუ ასეთ შემთხვევაში, სამსახურში მიღების ნაცვლად ინტიმურ ურთიერთობას შემოგთავაზებენ. ხელს არ გაძლევს? მაშინ ნუ იკეკლუცებ გასაუბრების დროს, ესაუბრე როგორც ტოლს, სერიოზულად და საქმიანად. ამ შემთხვევაში შენი შანსი გაიზრდება.

რაც შეეხება სექსუალურ ძალადობას, ამერიკაში ამ საკითხს ტაბუ აქვს დადებული. თუ მამაკაცი ქალს კარს გაუღებს ან პალტოს ჩაცმაში დაეხმარება, ეს შესაძლოა, სასამართლოში საქმის აღძვრისთვის საკმარისი მიზეზი იყოს. ჩვენ ჯერ ასე შორს არ შეგვიტოპავს, რადგან სექსუალურ ძალადობასა და უწყინარ ფლირტს შორის ზღვრის გავლება ძნელია. ხშირად ქალს სამსახურის დატოვება იმის გამო უწევს, რომ შექმნილი უხერხული სიტუაციიდან თავის დაღწევას ვერ ახერხებს.

დაიმახსოვრე, თუ მამაკაცის (ვთქვათ, ბოსის) გადაჭარბებული ყურადღება არ გსიამოვნებს, მოთმენა არ ღირს. ზოგჯერ საკმარისია, მიანიშნო, რომ ამ სიტუაციას ვერ შეეგუები. თუ ის ხელით გეხება, უხმოდ მოიშორე. რესტორანში გეპატიჟება? აუხსენი, რომ დაკავებული ხარ. თუ ის არაორაზროვნად მიგანიშნებს თავის მიზნებზე, პირდაპირ უთხარი, რომ მასთან რომანი შენს გეგმაში არ შედის.

რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში სამსახურიდან გათავისუფლების საშიშროების წინაშე დადგები, მაგრამ როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ასე იშვიათად ხდება. რა თქმა უნდა, არ ღირს, უარის მიზეზად მისი ასაკი ან გარეგნობა დაასახელო და გაანაწყენო, რადგან მამაკაცები ასეთ ფაქტებს მტკივნეულად აღიქვამენ. უბრალოდ, უთხარი: „რა თქმა უნდა, თქვენს ყურადღებას ძალიან ვაფასებ, მაგრამ მე ჩემი ოჯახის (ან პრინციპების) ერთგული ვარ". სავარაუდოა, ის შენს ნათქვამს სწორად გაიგებს და არ გაგინაწყენდება.

მოკლე ჩართვა

რა ღირს პატიოსნება?

- პატიოსნების ფასი თვითონ პატიოსნებაა. ჯუდი.
- პატიოსნებას ვერ იყიდი. ეს ადამიანის ფასდაუდებელი თვისებაა. სამწუხაროდ, ყველა ასე არ ფიქრობს. ბევრმა ისე დაკარგა ეს თვისება, სანთლითაც რომ ეძებოს, მაინც ვერ იპოვის. ღმერთმა უმრავლოს საქართველოს პატიოსანი და ალალი ადამიანები. ლელუჩია.
- პატიოსნება ჩემთვის შეუფასებელია! საიდუმლო აგენტი
- პატიოსნებას ფასი არა აქვს! მარიკუნა.

<<< 32

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

1. ვეხმაურები „გზა“ №44, 43-ე მესიჯის ავტორს. გთხოვთ, დაგვაკავშიროთ, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 28 წლის, 167 სმ სიმაღლის, ცისფერთვალება, ქერა. წინასწარ მადლობა.

2. ბერბიჭებო (35 წლიდან), თუკი შემორჩით რაინდის სულით, სიხარულით გიღებთ გულის კარს. ერთი მშვენიერი გოგო.

3. ვარ 28/168/58, გასათხოვარი, თბილისელი, განათლებული, სიმპათიური. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, სიმპათიურ მამაკაცს. სასურველია, ეკლესიურად ცხოვრობდეს.

4. ვარ 41 წლის, კარგი ქალი, ლამაზი თვალებით და ხვეული თმით. დაოჯახებული. სერიოზული ურთიერთობის მსურველ, 50 წლამდე მამაკაცების საყურადღებოდ! დანარჩენი — პირადად.

5. ვარ 30 წლის, სიმპათიური გოგო. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობდი 35 წლამდე ასაკის, სერიოზულ და დასაქმებულ მამაკაცს.

6. ვარ 24 წლის გოგო. გავიცნობ 30 წლამდე ასაკის ბიჭს, სერიოზულს და დასაქმებულს, რომელიც გამიგებს ცხოვრებაში.

7. ვარ საშუალო ასაკის, მაღალი, გამხდარი. გავიცნობ 60 წლამდე ასაკის, სერიოზულ, დასაქმებულ, ქვრივ ან გაცილებულ, სუფთა, ინტელიგენტ მამაკაცს. გარეთობის მსურველებმა თავი შეიკავეთ.

8. გამარჯობა, ვარ 22 წლის გოგო. სამეგობროდ გავიცნობ 21-25 წლის, ნორმალურ ბიჭებს. თავხედებმა და უზრდელებმა თავი შეიკავეთ.

9. ვარ 29 წლის, ლამაზი, მაღალი, თბილისელი გოგო. მსურს გავიცნო ნამდვილი მამაკაცი, სიმპათიური, მაღალი, საკუთარ თავში დარწმუნებული. ბაია.

10. ვარ 34 წლის, სუფთა წარსულის მქონე, სასიამოვნო გარეგნობის, გასათხოვარი მანდილოსანი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 35-40 წლამდე ასაკის მამაკაცს.

11. ვარ 46/176/54, უმუშევარი ქალბატონი. გავიცნობ ყურადღებიან, დასაქმებულ, სუფთა, ინტელიგენტ, 60 წლამდე ასაკის, ქვრივ ან ცოლს გაცილებულ მამაკაცს. გარეთობისგან თავი შეიკავეთ.

12. სერიოზული, მშვიდი, მაღალი, გამხდარი, შუახნის ქალი გავიცნობ ჰუმანურ, დასაქმებულ, ინტელიგენტ მამაკაცს, რომელიც დროებით უმუშევარს, დამეხმარება დასაქმებაში.

13. ვარ სასიამოვნო გარეგნობის, 32/174/62, სუფთა წარსულის მქონე, გასათხოვარი გოგო. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაუროს ანალოგიური მონაცემების მქონე მამაკაცი, 33-45 წლამდე.

14. 36 წელი ჭკვიანად ვიცხოვრე. მარი, გადავწყვიტე, ერთხელ მეც „გავგიჟდე“, მაგრამ არის დღეს ისეთი მამაკაცი, ვისთვისაც „სიგიჟე“ ღირს?

15. მინდა ნამდვილად, ზურას გაცნობა, სრული სერიოზულობით. ვარ 24 წლის თეონა. სამწუხაროდ, ვერ ხერხდება დაკავშირება. ვწუხვარ, იმედი გამიცრუვდა.

16. დაოჯახების მიზნით მინდა გავიცნო უცოლო, 27-32 წლის მამაკაცი. არ მინდა ნაცოლარი. მე 27 წლის სოფო ვარ, ქუთაისელი. გაუთხოვარი.

17. ვარ 28/179/67, შავგვრემანი. ვეძებ: 35/180/85, შავგვრემან, განათლებულ, იუმორის გრძნობის მქონე, თბილისელ, ქართველ მამაკაცს, ლამაზი ურთიერთობისთვის! ცოლიანები — სტოპ! ინფანტა.

18. ვარ 34 წლის მამაკაცი, მეზღვაური. ახლა გემზე ვიმყოფები. მალე დავბრუნდები. მინდა გამომეხმაუროს კარგი და ლამაზი მანდილოსანი. ველი პასუხს და გიძღვნით საჩუქარს.

19. ვეხმაურები „გზა“ №44, მე-6 მესიჯის ავტორს. ვთხოვ, დამიკავშირდეს. ლევანი.

20. გავიცნობ 27 წლამდე ასაკის, ბათუმელ გოგოს, ინტიმური ურთიერთობისათვის. ვარ 21 წლის, სიმპათიური მამაკაცი. მსურველებმა დამიმესიჯეთ.

21. ჩემი სახელია დათო. ვარ 30/176/80, თბილისელი, დასაქმებული, მიყვარს დახვწილი, ჭკვიანი, მკაცრი და გამომწვევი გოგონები, 20-30 წლის. გაგიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით.

22. ვეხმაურები „გზა“ №45, მე-8 მესიჯის ავტორს. გთხოვთ მიეცით ჩემი ნომერი. კობა.

23. გთხოვთ მომცეთ „გზა“ №45, მე-6 მესიჯის ავტორის, 37 წლის ქალბატონის ტელეფონის ნომერი.

24. ვეხმაურები „გზა“ №45, მე-3 მესიჯის ავტორს, ქეთის. მე ვარ მიშა, 19 წლის. გთხოვთ, მისცეთ ჩემი ნომერი. ქეთი, გელოდები, არ ინანებ ჩემს გაცნობას.

25. ძლიერი და მოსიყვარულე, გამგები და მოაზროვნე მეგობარი მამაკაცი ვისაც უნდა, დამიკავშირდეს. უნდა იყოს სუფთა წარსულის, მომხიბვლელი, 35 წლამდე ასაკის ქალბატონი.

26. ოცნებობთ, ძლიერი, მამაკაცური, ერთგული მეგობარი მამაკაცის გვერდით ყოფნას, მასთან მეგობრობასა და რომანტიკულ შეხვედრებზე? გელით!

27. გამარჯობა. ახალგაზრდა მამაკაცს, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მარტოობა ტანჯავს. იქნებ, გამომეხმაუროს ვინმე?

28. მინდა გავიცნო თბილისში მყოფი, 17-30 წლამდე ასაკის გოგო, სასიამოვნო და ჩუმი შეხვედრებისთვის. ვარ 30/178/80, დასაქმებული, მანქანიანი და გაგებული.

29. გთხოვთ დამაკავშიროთ „გზა“ №45, მე-3 მესიჯის ავტორთან, ქეთისთან. დათო.

30. მარი, გთხოვ დამაკავშირო და ვეხმაურები „გზის“ 46-ე ნომრის, მე-19 მესიჯის ავტორს, 24 წლის გოგონას.

31. გავიცნობ კარგ მანდილოსანს, ვისაც ცხოვრება აინტერესებს. დათკა.

32. „გზა“ №44, 14-ეს თელეფონის ნომერი მომეცით რა, თუ შეგიძლიათ.

33. ვარ 21/177/70, სპორტსმენი. გავიცნობ სპორტსმენ გოგოს, 25 წლამდე.

34. ვეხმაურები „გზა“ №46, მე-9 მესიჯის ავტორს. გთხოვთ, ნომერი გამომიგზავნეთ. დიდი მადლობა წინასწარ.

35. ვეხმაურები 11.10.2007 ჟურნალის, პირველი მესიჯის ავტორს. მარი, გთხოვ, მიეცი ჩემი ნომერი.

36. ვეხმაურები „გზა“ №46, 18-ე მესიჯის ავტორს. მარი, გთხოვ,

მომცე ნომერი ან დამიმესიჯოს. გმადლობთ.

37. გთხოვთ დამაკავშიროთ „გზა“ №46, მე-8 მესიჯის ავტორთან.

38. ვარ 24/175/75, დასაქმებული, თბილისელი, დედისერთა, გავიცნობ სერიოზული ურთიერთობისთვის თბილისელ, ლამაზ გოგოს. დათუნა.

39. 37 წლის, ერუდირებული, სიმპათიური მამაკაცი, თბილისში დასაქმებული, დაოჯახების მიზნით გავიცნობ თბილისელ მანდილოსანს.

40. ვარ 28 წლის. გავიცნობ 28 წლამდე ასაკის გოგონას, ოჯახის შექმნის მიზნით. გთხოვთ, გამომეხმაუროთ. ბესო შუკაკიძე.

41. მინდა გავიცნო იტალიაში მცხოვრები და მომუშავე ქალი, 40 წლამდე, სამეგობროდ და სამეჯნუროდ. გამომეხმაურეთ.

42. გავიცნობ თბილისელ მანდილოსანს, 35-45 წლამდე, ინტიმური ურთიერთობისთვის. შეგისრულებთ ყველანაირ სექსუალურ სურვილს.

43. გავიცნობ 20-30 წლის ლამაზ გოგოს, თბილისელს, თბილი ურთიერთობისთვის. ვარ 33 წლის.

44. ვარ 19/187/81. გავიცნობდი 16-20 წლამდე ასაკის გოგოს, sms მეგობრად. მარი, მაგარი ხარ, ძაან. მპუა.



45. არავის გინდათ, გაიცნოთ სიყვარულში იმედგაცრუებული და სიყვარულში ერთგული მორიელი?

46. ძალიან გთხოვთ, „გზა“ №44, 24-ე მესიჯის ავტორის ნომერი გამაგებინეთ.

47. ვეძებ რუსთაველ ზვიად გარსევანიშვილს, რომელიც სავარაუდოდ საზღვარგარეთაა. თუ ვინმემ რამე იცით მის შესახებ, გთხოვთ, გამაგებინოთ „გზის“ საშუალებით. ოცობა.

48. ვეძებ მაია მიღდისოვს, ჩემს დას, რომელიც არასოდეს მინახავს. გთხოვთ, თუ ვინმე იცნობთ, შეატყობინეთ. ეკა.

49. ვეძებ ზუგდიდში მცხოვრებ ლიანა გაბისონიას. თუ ვინმე იცნობს, დამაკავშირეთ.

• „გზავნილების“ წაკითხვის დროს ამ სამყაროს ვშორდები. სათითაო მესიჯით, ნაპას-ნაპას ვბოლდები. რეპერინოს რომ უყვარხართ, ნუთუ ეს თქვენ არ იციით? არ დამტოვოთ „გზაში“ მარტო, მით უმეტეს — კაიფში. როგორ ხართ, მგზავნელებო? მოკითხვა ოქრო კაცუნას, მეგრელ მგელოს, ყველას, ვინც მიცნობთ. გაიხარეთ, თქვენი რეპერინო.

• მე ხომ უცხო ვარ, შენ ხომ სხვისი ხარ და მაინც ასე რად მენატრები? ბაღდათელო ლევან, მიყვარხარ. ლისის ტბა.

• მოხევეებს გაუმარჯოს და ყველას, ვინც „გზაში“ ამესიჯებს! მახევე.

• ლეო91, ძალიან საყვარელი ხააარ! შენი გაცნობა მინდა. მეც ძალიან საყვარლობა გოგო ვარ.

• ლეო 91, შენ ხარ ყველა იმ თვისებით შემკული, რაც სულით სუპთა და ლამაზ ადამიანს უნდა ახასიათებდეს. ხარ უზომოდ საყვარელი. არ არსებობს, რომ შენი მესიჯის წაკითხვის შემდეგ ცუდ ხასიათზე ვიყო. ძალიან, ძალიან მიყვარხარ! ლიკ-ლიკა.

• ილინ, ძალიან ლამაზი გოგო ყოფილხარ. აბლახანუმი.

• ახლა ლეო91-ის მესიჯი წავიკითხე და მეწყინა. ყველა ბანძები არ ვართ, ძვირფასო და ვინც — არა, ნუ დავუთმობთ ასპარეზს ბანძებს. მაინც, რატომ უნდა ლანძღოთ ერთმანეთი? ბებერი.

• მოგესალმებით ათენიდან. სულ ერთი თვეა, რაც ჩამოვედი და მაგრად მომენატრეთ. აქ დავიზეპირე ერთი წლის „გზავნილები“. მარი, ძალიან გთხოვ, დამიბეჭდე.

• ბავშვებო, პრივეტები ყველას! ყველანი ძაან საყვარლები ხართ. „გზავნილებს“ სულ ვკითხულობ ხოლმე, მაგრამ დღეს პირველად დავამესიჯე. მგონი, მე გაკლდით. :) გაკოცეთ. ახლა ვმეცადინეობ და თან „გზისკენ“ მეპარება თვალი. რა ვქნა, რომ მეზარება? ხვალ გაკვეთილზე „გზავნილების“ მოყოლას დავიწყებ. ჟუკა15.

• ჟურნალში ლანძღვაა, კაცობა? როგორი პატარაც გარეგნულად ხარ, ისეთი პატარა სინდისი და კაცობა გქონია! არადა, მართლა დიდ პატივს გცემდი. გიოს მშობლებთან ძველებურად კარგი ურთიერთობა მაქვს, შენ კი ჩემს თვალში ნული გახდი! შენ კი, მეგრელო მგელო, ასე რამ გაგამწარა? რა ვქნა? შენნაირი ერთფეროვანი ხალხი არ მაინტერესებს! კანიბალკა.

• დათვებმა გაგვიწიეს დათვური სამსახური, მიგვყარ-მოგვყარეს და დაგვტოვეს, ლოცვა-გალობა არ გვაცალეს, ჭკუას არავინ სთხოვდა აშარებს, ქრისტეს სიყვარული ჩაგვიმწარეს, კი არ დაგვამარცხეს, დაგვშალეს, ფეხით გადათელეს ფეხმძიმე ქალი, ფრთები ჩამოსხიპეს პატარებს, ჰაერი მოგვიწამლეს შხამით, სული გაგვიმწარეს, დაგვცინეს, შუბლზე დაგვამტვრიეს შუბი და კეტი, ავად გაგვითენეს შავი დღე. თავი მოიწონეს ყმაწვილთა ჭყლეტით, წესრიგი დაამყარეს და განგვიდგნენ. ურცხვთაგან შეწყალებას ვინ მოითხოვს, რომელი მსჯული და რა ციხე... მორჩილებისკენაც მოგვიწოდეს, ჭკუაც დაგვარიგეს თავიდან, მერე ნამთვრალევზე ხაში მოინდომეს, ცეცხლი დალიეს და ჰაიდა! ერთწამს გაგვიასდა ცხრა იარა, მუხლი მოიკვეთა მთაწმინდამ, მოდგა აპრილი და თითებზე გაიარა, დარჩა თბილისი და ატირდა, ჩანგო, იბერიის პანაშვიდი, როგორ შეგეხები თითებით, მე შენ როდი უნდა დაგამშვიდო, ოდეს თავად ველარ ვმშვიდდები, ალბათ ღამე უნდა გავათენო, მჯერა, კვლავ ცხელ სანთლებს ავანთებთ, ისე არ მოკვდება საქართველო, დედა არ უტიროს ჯალათებს!

• ამაზეა ნათქვამი: „დედას გიტირებო“, დედებიც გვიტირეს და მამებიც. ოქრო კაცო, არც შენი მესიჯი იყო. შენც? ხევსური.

• ფურცლის ნაგლეჯზე უსიცოცხლო სევდას ეძინა, სულს უეცარი მარტოობა ძლიერ ეწყინა, გულის სიღრმეში მონატრების ისმოდა გლოვა, მოგონებები ჩურჩულებდნენ: ელოდე, მოვა! ხევსური.

• ილინი კი არა, საქართველოს დედოფალი უნდა გერქვას. ისე, კარგი იქნებოდა, ფინთიკოზაც თუ გამოგზავნის თავის სურათს. მაგრად მაინტერესებს, როგორია. გკოცნი, ილინ. ბოა.

• 9122, ჩემო კარგო, მაგ წიგნს „შავი სატანა“ ჰქვია და მეც მაგრად მომწონს. ხალხო, არ გინდათ, ჩემი გაცნობა? რათა ასეო? მაფიოზა.

• დღეს ჩემი დაბადების დღეა. აუ, როგორ არ მიყვარს ჩემი დაბადების დღე! როზი.

• მეძავი შემხვდა ერთი. სულ არ ჰქონდა იუმორის გრძნობა. მე გავეხუმრე, ის კი გაიბერა. ოლეგარიო.

• მეგრელო მგელო, არ გინდა, რა? არავინ იცის, ამ ფურცლების მილმა ვინ ვართ. ამიტომ... ზმიზმი, შენი დაბრუნება გამიხარდა. :) სხვებიც თუ დაბრუნდებიან, კარგი იქნება. დუჩი.

• „მილანი“ მაინც აჩვენებს კლასს! საერთოდ, ცუდად მოთამაშე „მილანი“ გაცილებით საშიშია. ასეთ დროს ლიგის მოგებით ამთავრებს ხოლმე. ნინო-მილანი.

• კანიბალკასთან ცუდად დამესიჯება მე დავიწყე და თავად ვამთავრებ. ამიტომ აღარავინ მისწეროთ არასასიამოვნო მესიჯი. გინდ თხოვნად ჩამითვალეთ, გინდ — მოთხოვნად. უბერებელი.

• მონასტრის ბიჭო, არ შემიძლია, უკომენტაროდ დაგტოვო. :-) წადი, რა, და კანიბალკასთან ერთად სოკო მოკრიფე. პაკი-პუკი. ჰუ, ჰუ, ჰუ! მეგრელი მგელო-30.

• როზი, I'm sorry, დაქალოჩკა. აწი აღარ დავუშვებ ასეთ უდიდეს შეცდომას. მპაჩ! მეგრელი მგელო-30.

• ყველა მგზავნელს გენაცვალეთ ჯიგარში, მაგრები ხართ, გაიხარეთ! დიდი ხანია, ამ ჟურნალს ვკითხულობ და ყველაზე მაგარია. შენც გაიხარე, მარი, ჯიგარი ხარ. ჩერქეზა.

• კანიბალკა, აი, მართლაც რომ სწორად ვთქვი ყველაფერი. რაც ხარ, ის ხარ! ტყლარჭია და ტინგიცა ხარ. აი, პავლიკა კი ფინიაა შენი! ااا, ჰუუუ! მეგრელი მგელო-30.

• მართალი ხარ, კანიბალკაზე რაც დაწერე, ყველაფერი მართალია. დაუნი სოკოა და შენც კი ამოიცანი შენიღბული კანიბალკა. გაიხარე, უსახელოოვ! მეგრელი მგელო-30.

• აუ, ხუთშაბათს მე და ოლეგარიომ მესიჯები ვერ გავგზავნეთ. კედლებს ვაწყდებოდით და მაგიტომაა, რომ ასე გვიან გწერთ და დამიბეჭდეთ, plz. მაარ, პა ბრატსკი... მეგრელი მგელო-30.

• ashley, ჰა, ჰااا! მეგრული არ გესმის, ტოო? გასწავლო, გინდა? მარი კი სვანურს მასწავლის. გაკოცეეე! მეგრელი მგელო-30.

• ნინჩო-მილანჩიიკ, სულ გახარებული ვარ. ის კვირა სულ დაგრუზული ვიყავი. ახლა კი მაგრად ვარ. ხომ ხვდები, რატომაც? ხომ ძااან ტექნიკურად? აქეთ შემირიგდა. მეგრელი მგელო-30.

• არ შემიძლია, კომენტარი არ გავაკეთო, მომხდართან დაკავშირებით. ჯერ ერთი, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, მიშა რომ იქნება პრეზიდენტი, ეგ იასნია, მაგრااამ, იცით, رااا? თქვენთვის დაიტოვეთ! მამაცო თოჯინავ, არ მოგწონს, გატყობ! ვინ, ნათელაშვილი და ხაინდრავა არიან პრეზიდენტობის ღირსნი? ნუ გამაცინე. მეგრელი მგელო-30.

• სხვები ტყუილად იყრიან კენჭს! მაგათ ვინ უნდა მისცეს ხმა? მხოლოდ ბრმა ადამიანმა. ასე რომ, შეეგუეთ მიშიკოს. მაგარი პრეზიდენტია. თქვენ? კომენტარები ყველამ გააკეთეთ. მეგრელი მგელო-30.

• მოტოროლა, გილოცავ დაბადების დღეს, 19 ნოემბერს. ჩემო დაქალოჩკა, ლიკუნია, მაშკااა, სო رიეექ წიეე? მეგრელი მგელო-30.

• იცით, ჩემს მშობლებს მე თვითონ ვუთხარი, 30 ნოემბერს ჩემი ბოლო დაბადების დღეა-მეთქი. 16 წლით ვასრულებ სიცოცხლესმეთქი, ჰოდა, სახლიდან ძლივს გავასწარი. მეგრელი მგელო-30.

• ხობელო სოსო ხარბედია, შე სამგზის საწყალობელო, რას ჰგავხარ, ნახევარქათამას? ჩაეტიე შენს ტყავში! რითი ხარ, ბიჭო, ჩუჩოზე უკეთესი, შე უბადრუკო? თავი ვინ გგონია, ჯეიმს ბონდი ხომ არა? ვაი, ვაი, შე უბედურო! თმაგაჩეჩილო, თმა შეიჭერი, ვალიასთან უფასოა, მაინც, შენთვის. კარენოი მათხოვარი ხარ! გველო, ჩაკვდი! მეგრელი მგელო-30.

• „გზა" ვიყიდე და ფიზკულტურის გაკვეთილზე კლასელებს „გზავნილებს" ვუკითხავდი. ამ დროს მოვიდა ჩემი ცალკბილა მასწავლებელი და „გზა" ფანჯრიდან არ აფრინა? ლამის მეც გადამაყოლა. ჭკუიდან ავიწიე: მასწავლებელო, ეს თავხედობაა-მეთქი და იცით, რა მიპასუხა? შენ მთელი ხმით რომ კითხულობ, ეგ გაკვეთილი სახლში გესწავლაო. სულელი! მეგრელი მგელო-30.

• ჰო, ხალხო, ჩემი შუთუ თქვენ არ შეგიყვარდეთ, თორემ აგჩეხაავთ! მეგრელი მგელო-30.

• სალამი ახლებს, დიდი სიყვარულით ვეხუტები. გენაცვალეთ თქვენა. ლეო91, მინდა გითხრა, რომ მაგარი უტაქტოდ გამოგივიდა, რაც დაწერე. ასევე, ბორდელი რომ უწოდა აქაურობას, იმას ვეტყვი: არავინ გაძალებთ, თუ სურვილი არა გაქვთ მესიჯობის, უთქვენოდაც გავალთ ფონს. ვინც სხვას შეურაცხყოფას აყენებს, საკუთარ თავზე არ ზრუნავს. (და ვინჩი) მაესტრო-21.

• მაკუშ, ჩემო სიცოცხლევ, უზომოდ მიყვარხარ და მენატრები, უკვე გპირდები, ერთად ვიქნებით მალე. ჩემი ოცნების ქალი ხარ! ე, წავედი, წავედი... ცელუიუ ვ შოჩკე. ზმიზმი.

• რომელი ხარ, ხომ ვერ მეტყვი? ვითომ მოკითხვა რომ დაგაბარე ლეო-91 და გიუპოეტასთან? რაში დაგჭირდა ასეთი ტყუილი? თუ შეგეშალა?

• სად არიან ნამდვილი მამაკაცები? ისეთები, რომლებმაც იციან, რა არის ნამდვილი გრძნობა. რატომ ავიწყდებათ, რომ ქალი მათი ნაწილია? მოკვდა გრძნობა.

• მეგრელო მგელო, შენი ხათრით ვკითხულობ „გზავნილებს". ძალიან მაგარი და საყვარელი ვინცხა ხარ. დაია, გეიხარე, კუსკუსელა ქალო! :) გკოცნი, ნათია.

• პრივეტ, იშვიათად გწერთ. გთხოვთ, მაპატიოთ, დღეს ძალიან უცნაური დღე მაქვს. მთელი დღე ტელეფონი ამიფეთქეს, თაყვანისმცემლებმა.

• უჰ, რა უბედურებაა! წინაზე მესიჯი არ იგზავნებოდა. :(ლეო, არა უშავს, მთავარია, ეგ მესიჯი შენ არ დაგინერია. შევრიგდეთ? :) მეკობრე, „ბარში" რა ნიკით ამესიჯებ? ashley pcd.

• ილინ, იცი, რომ ჩემს ვირტუალურ შვილს, „ბარელ" ირენს ჰგავხარ? :)) ashley pcd.

• ჰოდა, იმას ვამბობდი, ჩემო ძვირფასებო, რომ მიუხედავად იმისა, ამ კვირაში ჩემს ტელეფონზე უსიამოვნო ზარებმა იმატა, ყველაფერი გავარკვიეთ. ასე რომ, მე კვლავ აქ ვარ. ლეო91.

• „მობილი-ზაციიდან" დაკარგვის მიზეზი ის გახლავთ, რომ ჩემი გავიტანე და რუსულ სკოლაში გადავიბარგე ანუ უკვე აბიტურიენტი ვარ და „პრაშაი", თავისუფლებავ! ლეო91.

• აირია მონასტერი, მაგრამ არა უშავს. :) ეჰ, კანიბალკა, მართლა როგორ დამაბნიე იმ დღეს. 9191, შენც ნუ იკარგები. ლეო91.

• გაუმარჯოს, რაღაც, მგონი „მობილი-ზაცია" დაპატარავდა. რა ხდება, მარი? სულ რაღაც 2 ფურცელია, მეტი არა. ეს გვეყოფა ჩვენ? მოკითხვა რუსთაველ ჯიგრებს. სალუკა-პუპსიკ.

• „სიტუაციის" წაკითხვის შემდეგ მეც ასეთი კითხვა გამიჩნდა: გვეშველება რამე? :) ლეო91.

• lily19, თურქეთში რომ ვიყავი, მეც ასე მითხრეს. მთელი კოკა-კოლა დავისხი და ნახევარ სათში სასტუმროში წავედი. ფესტივალზე უნდა გავსულიყავი და ტუუ! მთელი სხეულის წვა ვიგრძენი. საცეკვაო ფორმა ვერ ჩავიცვი. ძااან ცუდია. თან გაწითლებული ვიყავი, გოჭივით. :) ეჰ, მანდ მინდა ვიყოო! მეგრელი მგელო-30.

• გინახავთ ამისთანა რამე? სუფთა გურული ვარ, დავიბადე და ვიზრდებოდი ქუთაისში, ახლა ზრდას და ჩამოყალიბებას ვაგრძელებ რუსთავში. ჰოდა, დასასრული სად მექნება, ეგ ჯერ არ ვიცი. :) მიყვარხართ ყველა, მაგრამ განსაკუთრებით: გურულები, ქუთაისელები და რუსთაველები. გაიხარეთ. სალუკა-პუპსიკ.

• ლეო91, შენი მჯერა და ის, ვინც შენი სახელით მესიჯი გამოგზავნა, თვითონაა ბანძი. სხვისი სახელით რომ შეინიღბა და შეეშინდა, ნაგავია, رااا! მეგრელი მგელო-30.

• ჰო, დამავიწყდა მეთქვა: თუ ვინმე ხართ ჩემისთანა „მრავალკუთხიანი", გამომეხმაურეთ. კიდო ჩემს ჯიგრებს, ნანა (გოჯი) და ნატოს მოვიკითხავ. მიყვარხართ. სალუკა-პუპსიკ.

• პრივეტები ყველას! აუფ, როგორ მომენატრა აქაურობა და ეს ხალხი, საერთოდ! :) არ გინდათ, ჩვენი სურათები დავბეჭდოთ „გზაში"? გკოცნით ყველას. მარიშა.

• ყველა ქალი თავისებურად აუტანელი და მომაბეზრებელია და ეს ყველა მამაკაცმა უნდა იცოდეს. სად არის შენი პირობა, ნიკა-ლიკა? შევცდი შენში!

• პაპუნ, სიხარულო, ჩამო თბილისში, რა? რა გინდა მაგ აფერისტებში? მეშინია, შენც არ გააფერისტდე. :) მაგარი სიმღერა იყო, გაკოცუნე, ბელი-ბელი. „გზაელებო", მიყვარხართ! :) დუჩი.

• პრივეტები, ბავშვებო, როგორ ხართ? მის სიო სად არის? აფრიკა, სხვებს რომ ეკითხები, ერთი შენს ნიკზე გვითხარი, რატომ დაირქვი? გენაცვალეთ გულუკებში ყველას. გაკოცეეეთ. დუჩი.

• ვფიქრობდი, ჩემი მესიჯები არ იქნება-მეთქი. წინა კვირას ვიფიქრე, „გზაც" ხომ არ დახურეს-მეთქი? არგელოდი.

• ჰო, წინა კვირას რას გწერდით: მუზკა, შენი გაბრაზება არც მიფიქრია. ვიფიქრე, ვიხალისებთ-მეთქი. არგელოდი.

• მაღლივში ამბები ხდება?! ამბის უნახავს გაგხდის. დღეს, მაგალითად, გოგოს აუდიტორიაში ტელეფონი დარჩა. დამლაგებელმა იპოვა და სიგარეტი ეგონა. იქ ამბები ატყდა? თქვენი მოწონებული.

• მე და ჩემი ქმარი სულ ვკამათობთ, „ფერარი" სჯობია თუ „პორშე" და თქვენ როგორ გგონიათ? ისე, როგორ ხართ? ხომ ხართ, მაგრად? lily19-ს მაგრად უყვარხართ, ანუ — მე. :)

• ვზივარ და ნაღრძობი თითებით ვამესიჯებ. ქალმა, რომელსაც ნიკოფსიიდან დარუბანდამდის ჰქონდა ცხვირი, „მარშრუტკის" კარი ისე მომიჯახუნა... ოოო... :(ლეო91.

• ხულიგანკა, ჩემს მეგობარსაც ასეთი პრობლემა ჰქონდა, სანამ შემდეგი შინაარსის ტრაფარეტი არ გააკრა: „ღორო, ნუ ყრი ნაგავს". დამიჯერე, ეფექტი აქვს, 100% :) ლეო91.

• პრივეტები, მე ახალი ვარ. მაგრად მომწონს „მობილი-ზაცია"! მარ, დამიბეჭდე, გთხოოოოვ! ყველას გაკოცეთ. მიყვარხართ. ფერია-17.

• სოფო ადანაია, ათენი, რა კარგი ხარ! :-) ჩემკენ წამო, იცი, რა მეზობელი მყაავს? 23 წლისაა, კბილის „ტეხნიკი"! ძმაა ჩემი იგივე. ლექსო, გეხუტე, ძმა! იფიქრე, ქალო! მეგრელი მგელო-30.

• lily-19, როზი, ნინო-მილან, ზაზუ, ლეო, კამელია, ილინ, მაფიოზ, მაზოხისტკა, ჯონი დეპ, ანარქია, ზმიზმი, მოხეევ, სოფო ადანაია, გეხუტეთ ყვლას. მპაჩიტო! მეგრელი მგელო-30.

• ლიკა, როზი და კიდევ არ ვიცი, ვისაც ოჯახი გყავთ, დამიმესიჯეთ. ჩვენ ჯუჯლუნა ქმრები გვაერთიანებს? :) lily19.

• ხალხო, ვინმეს სასაფლაოზე ღამე გაგითევიათ? მე გამითევია, თან მარტოს და იცით, რა მაგარია? კაიფში რომ ხარ და თავი მუზეუმში გგონია. ასე დამემართა და მე მოვიგე. მაფიოზა.

• გამარჯობა, მგზავნელებო, როგორ ხართ? რამდენი ხანია, არ დამიმესიჯებია და მაგრად მომენატრეთ. აუ, იცი, რა გულით მინდა თქვენი გაცნობა? მაგრამ რეგიონში ვცხოვრობ. ფისო.

• ნეტავ, რას უნდა ნიშნავდეს? თუ ხმადაბლა ვიგინები კარის გაღების დროს, ეს არ ნიშნავს, რომ ყელი მტკივა. უბრალოდ, არ მინდა, მეზობელმა გაიგოს. :) lily19.

• ეს რა იყო წინა კვირას? ლამის გავგიჟდი, ჩემი მესიჯი რომ არ იგზავნებოდა. მეთქი, რა ხდება? თურმე რაში ყოფილა საქმე... კარგია, რომ ყველაფერი კარგადაა. გაკოცეთ. როზი.

• „გზა", „გზა" და „გზა"! ამ ჟურნალმა ორი უსაყვარლესი და ჩემთვის უძვირფასესი ადამიანი მაპოვნინა. მგონი ბედნიერი ვაااااარ! ;-) ბაჭია.

• აუწყლიანდა თვალები ზეცას და გულამოსკვნილს ქვითინი წასკდა, იქნება მასაც შენ მოენატრე, ვერ დაგინახა და გული დასწყდა... ეძღვნება თელავში, გიოს, მარისგან.

• გიო, მართლა საყვარელი ადამიანი ხარ, ყველა წყენა მიპატიებია. წმინდა გიორგი გფარავდეს ყველგან და ყოველთვის! მემახსოვრები ყოველთვის! მარი.

• როგორ ხართ? არც არავინ მკითხულობს, ხომ? ეჰ, მაფიოზა... ჰო, აბა, სულ 45 კგ ვარ და სად წავიღო ეს ქონები, აღარ ვიცი და იქნებ, მირჩიო რამე? მპუა.

• კანიბალკას თავი დაანებეთ, ყველამ ჩვენ ჩვენსას მივხედოთ, არავის აქვს სხვისი განსჯის უფლება, რაც უნდა იყოს. მით უმეტეს, ჟურნალის ფურცლებზე. მაფიოზა.

• ვა, ზმიზმი დაბრუნებულა. ლუციფერ, სად ხარ დაკარგული? იმ დღეს შენი რჩევით ღამე ვათიე, ფილმის საყურებლად. :) ლეო91.

• მონაკო, დუჩი, ამალთეა, ბათუმსკი მარი, ილინ, როზი, lily-19, ლორელაი, ზაზუ, 9122, ძალიან კარგები ხართ. მიყვარხართ, გაიხარეთ. ოლეგარიო.

• მირჩიეთ რამე, გთხოვთ. მიყვარს ადამიანი, რომელიც არის დიდი კაცი. მე მისი ქონება არ მინდა. ის არის მთავარი ჩემთვის. ამდენი მესიჯის მიუხედავად, არ მეხმაურება.

• მარი ჯაფარიძე, შენ ხარ ჩემი მესიჯების მკვლელი! მართალია, დაცემა sms-ებს ვერ ვგზავნი სხვებივით, ძმაგრამ ამ საწყლებსაც ხომ აქვთ უფლება, ერთხელ მაინც გამოაქვეყნო.

• რა ძნელია, როცა შენი ერთადერთი და საუკეთესო მეგობარი გიღალატებს და ვის გამო? ბიჭისთვის! ეს ხომ საშინელებაა. შენც და ლაშაც შენ გამო დაგკარგეთ. ყოჩაღ, ეკა!

• რატომ არ არის ამ ქალაქში ადგილი წყნარი, სადაც სიჩუმეს დაარღვევდა ტირილი კაცის, მინდა ტირილი და გარშემო ხალხი, ზღვა ხალხი და ცრემლებს ვმალავ...

• „მარშრუტკაში" ერთმა ქალმა სულ სატანის მოციქული მეძახა, როცა „ჯეობარის" მელოდიამ გაიჟღერა. მეგობარი მირეკავდა, რომელიც „ჯეობარის" თავგადაკლული ფანია და მის ზარზე ეს მელოდია მაქვს დაყენებული. რომ აღარ გაჩერდა, მივუბრუნდი და ვუთხარი: როგორც ჩანს, თქვენც კარგად ადევნებთ „ჯეობარს" თვალყურს, მუსიკა ზეპირად იცით-მეთქი. ისე აიფოფრაااა. ლეო91.

• ეშმაკუნ, ჭკუით, მთლად სააშკარაოზე ნუ გამოიტან ჩვენი სკოლის ამბებს, თორემ მეჩხერას რისხვას და კბილების კრაჭუნს ვერ გადაურჩები (მაგიდაზე „გზა" უდევს. :) ლეო91.

• ძაან სამწუხაროა, რომ ბევრმა დაიჯერა, თითქოს ის sms ჩემ მიერ იყო გამოგზავნილი. კიდევ ერთხელ ვამბობ, ის მესიჯი ნამდვილად არ მეკუთვნის. მგზავნელებისთვის არ მიღალატია. აქ გაცნობილ ხალხს ხომ უახლოეს ადამიანებად მივიჩნევ, რა დამავიწყებს, ბათუმელების მიერ მოწყობილ შეხვედრას და ა.შ. ცოტა სენტიმენტალურად კი გამომივიდა, მაგრამ უბრალოდ, მინდა ჩემი სათქმელი ვთქვა. პრეტენზიებს რაც შეეხება, კიდევ ერთხელ ვამბობ: ყველას მოსაწონი ვერ იქნები. ასე რომ, ნამდვილად არ მწყინს. სულ ესაა. :) ლეო91.

• რეპეტიტორიდან მომავალი, დაღლილი ბავშვები კოწახურის ხეს შევესიეთ. როცა პატრონი და მისი უკმაყოფილო სახე დავლანდე, ვითომ ჩემთვის, თითქოს არ დამინახავს, ხმამაღლა ვთქვი: ამის დამრგავმა იცოცხლა 100 წელი-მეთქი. როგორც ჩანს, ისე ესიამოვნა ეს ამბავი, საწყევლად გამოსულ მეპატრონეს აღარაფერი უთქვამს. :) ლეო91.

• რაც მაგრები ვართ, მგზავნელები ვართ, არა? :) ლეო91.

• აუ, ბავშვებოოო, აქ რა ხდება? ერთი „გზაში" იყო კარგი სიტუაცია და თქვენც დაიწყეთ? ცოტაც და აქ მხოლოდ ორნაირი მესიჯები იქნება: „ვერ გიტან" ან „გაკოცე". კარგით, რა! ხალხი კი არ არის ბანძი, სიტუაციაა მაგარი დაძაბული. უბრალოდ, ნუ იჩხუბებთ, რა (ისე, ე.წ. ლეო91-ო, ვინმეს ნიკით დამესიჯებისას, მის სტილს მაინც მიამსგავსე, o.k?) აფრიკა.

• გამარჯობაااათ! თქვენი რჩევა მჭირდება. ვიღაცამ პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო ჩემი ნიკი და ხომ არ შევიცვალო? უზნეო ანგელოზი.

• ველურ ყვავილს მინდა პატიება ვთხოვო. მაპატიე, ჩემო საყვარელო, არ იფიქრო, უყურადღებო და მართლა უზნეო ვარ. ცოტა ხნის წინ შენ ჩემს გზავნილს გამოეხმაურე და და გამამხნევე, მაგრამ ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მადლობაც ვერ გითხარი. გმადლობთ, მაშინდელი თანაგრძნობისთვის. ყველანი მიყვარხართ. უზნეო ანგელოზი.

• გამარჯობაااათ... რა ხანია, თქვენთან ერთად მოვდივარ, მაგრამ იშვიათად ვამესიჯებ ხოლმე. უბრალოდ, ახლა მომინდა მეთქვა, რომ კარგები ხართ. (თაი) ქუთაისი.

• — ოლე, წუხელ გვიან მოხვედი, საათმა ორჯერ დარეკა. — მისაყვედურა ცოლმა. — ხუთჯერ უნდა დაერეკა, მაგრამ გავაჩერე. — გავიფიქრე მე. ოლეგარიო.

• ჩემი მეგობრის თამადობით ნოემბერში დაბადებულ ყველა ადამიანს ვულოცავ დაბადების დღეს, იხარეთ, იბედნიერეთ! :) ლეო91.

• ხელებში ჩაგაკვდები, ტუჩებზე დაგადნები, შენს სახეს ვეფერები, გრძნობას ვერ ვერევი. შენთან წამიყვანე, სადმე გადამმალე, არავინ მომიპაროს, შენ გულს შემაფარე. ბაჭია.

• ნინო-მილანს მინდა ვუთხრა, რომ კარგი გოგოა და კიდევ მაინტერესებს, სად ცხოვრობ? მეგრელო მგელო, შენც მომწერე, სად ცხოვრობ. გაკოცეთ. როზი.

• ყოველი დღე შენზე ფიქრით იწყება, ყოველღამე უფალს შენს თავს ვავედრებ, სიყვარული აბა, როგორ აგიხსნა, ვთქვა — მიყვარხარ? არა, მე შენ გაღმერთებ!

• აუ, ზმიზმი, გამეცანი, რაა! მარი, ქალებში ჩამწერე. :)) ნ.

• შენ გგონია, გამექცევი და მთვარეზე კიბით ახვალ? დაგიჭერ და ისე გიკბენ, რაც გინახავს, ველარ ნახავ! ყრუუუ! მენატრები. უგულო და ყინული ხარ.

• უჰ, რატომ ვეგონე ყველას ცუდი ადამიანი? ნუთუ ასე ვჩანვარ „გზაში“? მგზავნელებო, მაგარი იყო შეხვედრა. გენაცვალეთ. ენჯი, შენ მგონი კანიბალი იცი ვინაა, არა? კანიბალკა.

• მარი, მარი, რატომ არ მომილოცე გაბედნიერება? იცი, მეწყინა. მისს მგელო, ჩემო ერთგულო მეგობარო, მაგრად მიყვარხარ. ლეო91 და სესი, მადლობა მოლოცვისთვის.

• აუ, „გზა“ ამ კვირას მაგრად არ მევასუნასავით. :(რა უბედურებაააა, კაცო! ხოხ! :) კანიბალკა, ჯიგაროოო, ჩვენს შერიგებას გაუმარჯოს! მეგრელი მგელო-30.

• აუ, ამ კვირას მაგარ დაგრუზულობას ვგრძნობდი. ახლებიც მოსულაااან! ახალო ჯიგრებო, გილოცავთ, თქვენ მოხვდით „გზაში“! იხარეთ და იბედნიერეთ, მგელოსთან ერთად! მეგრელი მგელო-30.

• მარო, ეს რა უბედურებაა? ვიღაცამ დამირეკა, „გზაში“ შენი მესიჯი იყო, ლამაზი გოგო ვარ და გამეცანითო! ეგ მე არ გამიგზავნია და ჩემი ნომერი რატომ მიეცით, პროსტა კაშმარ! მგელო-30.

• „გოგრულ-მეკვლურზე“ გამახსენდა: ჯერ ხომ მაგ დღეს დასაჯდომად ვერ ვიცლი, დილიდან სხვის პარმალშია ჩემი მარჯვენა ფეხი. ზოგს გათხოვება უნდა, ზოგს გზააბნეული აბიტურიენტი ჰყავს მოსაწყობი, მეც გულს არავის ვწყვეტ. ერთხელ მეზობელმა მთხოვა, შემოსვლისას ბრინჯი შემოყარე (სიუხვის ნიშანი ყოფილა). მეც ბლომად მიმოვფანტე და რიხით დავიძახე: ხვავი და ბარაქა მეთქი. უმადურმა მეზობელმა მეორე დღეს დედაჩემს შესჩივლა: ლეომ ისე მიმოფანტა ბრინჯი, გავწყდი წელში მაგის ხვეტითო. p.s. ქენი ახლა სიკეთე. :(ლეო91.

• ჩვენ მაინც ხევსურები ორთ სიკვდილის ბეწვიანები, არაყი სასმელადა გვაქვს, ყანწები ვერცხლიანები. ხევსურებს მოკითხვა. პალმა.

• ზაზუ, ნახე, :(აი, ასე ვარ გაბაზული. ლატო მიკვილე? ცოდო ვალ, ლა, ალ გეჩოდები? იზვინი, ლა, კაქი? პლზ, ალ გამიბლაზდე, თოლე გავაფლეეენ! :(მეგრელი მგელო-30.

• ხალხო, არ გრცხვენიათ? მიულოცეთ მაზოხისტკას და ჯონი დეპს გაბედნიერება. რაო, არ გიხარიათ? უბედნიერესი წყვილია და ასეც იქნებიან ბოლომდე! მეგრელი მგელო-30.

• მგლის და, ზაზუ, ნინო-მილან, ashlei, გვანცა-მიკი, სესი, დუჩი, ილინ, ნელკა, ნიკოლ, ჩუქჩა, lily-19, როზი, ამაზონკა, მონასტრის ბიჭო, კანიბალკა, შეწირულო, გველი-16, ამაზონკა, მაფიოზ, აგენტი 8-07, მაესტრო-21, ლეო91, პარიჟანკა, კოხი-20, მის 13.07, ლელუჩია, ბათუმსკი მარი, ხალხო, ყველას მგლური სალამი, გაკოცეეეთ! მპა, მპა! მეგრელი მგელო-30.

• მაგარი ცუდად ვიყავი, დაქალს ვეუბნები: ია, აუ, თავი მაგრად მტკივა-მეთქი. არ მიპასუხა. მეორეჯერ გავუმეორე და — მე რა, კეტონალი ვარო? :) მეგრელი მგელო-30.

• აუ, დაქალი მოვიდა და უნდოდა ეთქვა: თეო, დამამესიჯებინეო და მითხრა: თეე, დამაბეხვიჯებინეო. :)ხა, ხა, ხა! მეგრელი მგელო-30.

• ბანდურა, როგორ ხარ? ჩემო მფარველო ანგელოზო, როგორ მინდა, შენი მოწყენილი ხმის მოსმენა. მიყვარხარ, ბარტყო. მივენდოთ მაღალ ღმერთს. შეგვინდობს ყველაფერს. შენი თი.

• ფურცლის ნაგლეჯზე უსიცოცხლო სიტყვას ეძინა, გულს უეცარი მარტოობა ძლიერ ეტკინა, გულის სიღრმეში მონატრების ისმოდა გლოვა, მოგონებები ჩურჩულებენ: ელოდე... მოვა! თეა.

• მაისის ვარდის ჰქონდა სინაზე, შენს ახალგაზრდა სხეულს, მარიამ, ყველა ლამაზი ქალის ჯინაზე, არაგვის ცისკარს ჰგავდი, მარიამ.

• ცისფერი თვალები დაგნისლავს,/ შავი თვალები დაგათროობს,/ თაფლისფერ თვალებს მიენდვე,/ იგი თაფლივით დაგატკბობს. ბაჯბაჯა-2.

• გული სპირტიან ქილაში! ის ამ ქილაში მოხვდა, როგორც პათოლოგიური ერთეული. არასდროს არავის არ სძულებია და ამიტომაც პატრონს მისას, სულელს ეძახდნენ. გულკეთილ სულელს! ისე, რომელი ჯობია, გულკეთილი სულელი იყო ადამიანი თუ ბოროტო ჭკვიანი? თქვენ რას იტყვით, „გზავნილომანებო?“ :) სინიორელა.

• მინდა ვუთხრა გიორგი ჯიყაშვილს, რომ ძალიან, ძალიან მიყვარს და მენატრება. გკოცნი. მარი.

• კობა, ნუ ხარ „ყინულის კაცი“. გაიგე, ამქვეყნად შენ მეტი არავინ მჭირდება. მიყვარხარ, „ყინულის კაცო“, მიყვარხარ!

• ქობულეთელო ნათია კიკვაძე, ძალიან, ძალიან მიყვარხარ, მაგრამ ვერ გეუბნები. გთხოვ, გამიგო. შენ ხარ ჩემთვის ერთადერთი სიყვარული. მიყვარხარ! ვინ ვარ? შენი ტყვე.

• მე შენგან შორს ვარ და მეწვის გული, სხეული ჩემი პატიმარია, მაგრამ მაქვს გული თავისუფალი და ის კი შენი საჩუქარია. ეძღვნება ანუკი მოდებაძეს.

• სიცოცხლის და სიყვარულის წამალო, ჩემო წვნიანო დრუნჩა, ელისაბედაანთ ნათია, მომყვები თუ არ მომყვები, ვერაფერი გამიგია. გაფრთხილებ: იცოდე, თავს ჩამოვიხრჩობ და მარტო დაგტოვებ.

• ნუგზარ გეორქოვო, ძალიან, ძალიან მიყვარხარ. უშენოდ ველარ ვძლებ, სიყვარულო. მიყვარხარ, ჩემო ღიპუცელა! მიყვარხარ!

• ჰო, ახლა ზვიკიკი რომანაძეს მინდა ვუთხრა, რომ სანამ მანდ, ქობულეთში ფეხით ჩამოვსულვარ თბილისიდან და მიმიბეგვიხარ, მანამდე მაკოცე. მიყვარხარ, ღიპო! ნათია.

• ჩემო სიხარულო, ყოველთვის გეშინოდა, რომ დამავიწყდებოდი. ხომ ხედავ, ასე არ არის. მიყვარხარ და მენატრები, აგნეს. შენი თამო.

• ჩემს სიცოცხლეს, ლევან ვარშალომიძეს ვეტყვი, რომ ძალიან მიყვარს. მე შენი არც ფული და არც ქონება არ მინდა. მხოლოდ შენ მიყვარხარ.

• გარიყულო, იცი, რა საყვარელი ხარ და როგორ მიყვარხარ? ისეთი ქალი მყავხარ, ყველაფერ საუკეთესოს იმსახურებ. არ იდარდო, მისთვის თუ არა, ჩემთვის ხომ ძვირფასი ხარ. ბაჭია.

• თამაზ ლიპარტია, მიყვარხარ, მაგრამ სიყვარულის ღირსი არ ხარ. ნათია.

• დღეს 16 ნოემბერია. დღეს წავიდა ჩემი სიხარული, ჩემი ირაკლი და თან წაიღო ჩემი გული. ირაკლი ახვლედიანო, მიყვარხარ და ტკივილამდე მომენატრები. შენი ნათუშკები.

• კობა, ცუდად ვარ, ისე მენატრები. შენ ჩემი სიცოცხლე ხარ. ორშაბათს საბუთებს გავაკეთებ და გნახავ. ძალიან, ძალიან მიყვარხარ. ბევრს გკოცნი, გენათალეო.

• კობა, ნეტავ გამაგებინა,

როგორ ხარ და სიცოცხლეს დავთმობ. ეს უკვე მონატრებაზე მეტია, ჩემო სიცოცხლევ. შენ მთელ ქვეყანაზე ყველაზე ძვირფასი და საყვარელი ხარ.

• კობა, ხვდები მაინც, რას აკეთებ? არაფერი გამოგივა! მიყვარხარ და ვსიო. მკიდია, ვინ რას ფიქრობთ. მაგრად ჟმოტე 6 თეთრი, იბარტყებს. ყრუუ! ჩემი სიცოცხლე ხარ.

• მიყვარხარ, მარიკა ნიკიელო. ირაკლი სეკლოფარა.

• სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ, მარიკა, უდიდესი მონატრებით, კახა, ზუგდიდი. გაიხარე მარიკა, აბა, შენ იცი! მიყვარხარ, ქუთაისელო.

• იმ მონატრებას ვერ ვერევი, რომელიც მტანჯავს, ის სიყვარული მენატრება, რომელიც არ სჩანს, მიყვარხარ უზომოდ, ინგა, ანუ ირმა. ინტრიგანისაგან.



• ილია, გილოცავ დაბადების დღეს, 29 ნოემბერს. გაიზარდე სასახელო ბიჭი. იყავი დღეგრძელი და ჯანმრთელი. გისურვებ წარმატებას. გკოცნის დარეჯან დეიდა, სალონიკიდან.

• ჩემს უსაყვარლეს დაიკოს, ფიქსს და მის პატარა შვილს, გიოს ვულოცავ დაბადების დღეს. ჩემო სიხარულებო, გისურვებთ ყოველივე კარგს. უზომოდ მიყვარხართ. მონაკო.

• ნიკოლს, მეგრელ მგელოს, ოლეგარიოს, გველი-16-17-ს და ყველას, ვინც ნოემბერშია დაბადებული, ვულოცავ დაბადების დღეს. იხარეთ და იბედნიერეთ! გფარავდეთ ღმერთი. გერასიმე.

• ჩემს მეგობარს, ათენში მყოფ მაია ბოკუჩავას ვულოცავ დაბადების დღეს, 24 ნოემბერს. ვუსურვებ ჯანმრთელობასა და ულევ სიხარულს. გფარავდეს ღმერთი. ირინი.

• ჩემს გიორგის და ყველა გიორგის ვულოცავ გიორგობას. გფარავდეთ, წმინდა გიორგი. გერასიმე.

• ნიაზი გედეშურს ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ულევ სიხარულს. ძალიან გვენატრებით. გკოცნით შორიდან, ინგა და ვაზა.

• 13 ნოემბერს ჩემი დაბადების დღეა, მე კი ცხვირი წითელი მაქვს, თვალი — გასივებული. იმიტომ, რომ მტვრის ალერგია მაქვს. ვისაც ცამეტში აქვს დაბადების დღე, ყველას გილოცავთ. სოფი, ნეტავ ახლა თუ მიხვდები, ვინ ვარ? მის კალაძე.

• მინდა, დაბადების დღე მივულოცო ჩემს სიხარულსა და სიკალულს. ვუსურვებ ყველაფერ კარგს ცხოვრებაში. თემო, მიკახარ. სალომე.

• გონგაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 24 ნოემბერს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს და ლამაზ სიყვარულს, მშობლებთან და დედმამიშვილებთან ერთად. გკოცნი მილიონჯერ. სახელს არ დავაკონკრეტებ. მიყვარხარ. გკოცნის და გეფერება სალონიკიდან, დარეჯან დეიდა.

• სენაკში ჩემს პატარა ძმისშვილს, ზუკა ადანაიას მინდა იუბილე მივულოცო, რომელიც 14 ნოემბერს, ხდება 1 წლის. გაზრდილიყოს სასახელო ბიჭი. სოფო ადანაია.

• დაბადების დღის იმ ლამაზ ღამეს, შენი აკვნისთვის ღმერთს უკოცნია, დიდხანს სიცოცხლე შენთვის ცოტაა, დიდი სიცოცხლე დამილოცნია. ზუკა ადანაიას, სოფო მამიდასაგან.

• ჩემს მეგობარს, თამუნა ქუძიევს! თამუნია, გილოცავ დაბადების დღეს, 15 ნოემბერს. გისურვებ, სიყვარული იყოს შენი ცხოვრების მეგზური და უფალი შენი მფარველი! :) სინიორელა.

• მაზოხისტკა, გილოცავ გაბედნიერებას. გველი-16-ს და ოლეგარიოს კი დაბადების დღეებს. გაიხარეთ, გამრავლდით და ა.შ. ხევსური.

• ნონა ბერუაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. დაიკო, ძალიან მენატრები. სოფო. ხონი.

• ქობულეთელ ნათია კიკვაძეს: ჩემო სიცოცხლის სიცოცხლეო, დიდო სიყვარულო და სიამაყეე, გილოცავ დაბადების დღეს. ძმის გულით გეფერები, შენი ძამიკო, დათა. გკოცნი.

• ქობულეთელ ნათია კიკვაძეს: ჩვენო სიყვარულის სიყვარულო, ჩვენო სუნთქვავ, გილოცავთ დაბადების დღეს. შენ უკვე 18 წლის ხარ, მაგრამ ჩვენთვის პატარა ხარ. დედა, მამა, ბებია.

• ჩემს სიცოცხლესა და სიყვარულს, ნათია სუბელიანს ვულოცავ დაბადების დღეს. 17 ნოემბერს 23 წლის ხდები და გისურვებ დიდ სიყვარულს და დიდ ბედნიერებას.

• ჩემს სიცოცხლეს, ზურას, ვულოცავ გიორგობას. გფარავდეს მისი მადლი, სიხარულო. უსაზღვროდ მიყვარხარ და მენატრები. მგზავნელებო, ყველას გილოცავთ გიორგობას. პატარა ლელა.

• დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს უსაყვარლეს მეუღლეს, შაქრო ვაშაყმაძეს. ღმერთმა დაგლოცოს და გაგახაროს! შენ ჩემი ღვთის საჩუქარი ხარ, მიყვარხარ უზომოდ, შენი ნინო.

• ჩემს პატარა ანგელოზს, გიორგი ედიშერაშვილს დედიკო ულოცავს დამდეგ გიორგობას. წმინდა გიორგის მფარველობა არ მოგკლებოდეს, შენს ოჯახთან და ახლობლებთან ერთად, სიხარულო.

• თბილისის „03"-ის ექიმს, ნიკა გოჭოშვილს! გილოცავ შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის დღეს, 1 დეკემბერს. მრავალს დაესწარი, ჯანმრთელი და ბედნიერი. მარი.

ყურადღება!

შეიცვალა „მობილიზაციაში" ნომრის გაგების წესი.

დღეიდან სასურველი ნომრის გასაგებად, ჩემს ნომერზე: 8.77.45.68.61 დარეკვა აღარ დაგჭირდებათ და ამის შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გექნებათ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის" ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა" №39-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: guli 39-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება.

ყვირილს ჰორიზონტიდან

ომსაკუთარი

შესაძლოა, ამ დღეს საქმიანი წინადადება მიილო ადამიანისგან, რომლის მიმართ უარყოფითად ხარ განწყობილი. ძნელი სათქმელია, თავმოყვარეობა გაიმარჯვებს თუ გამდიდრების წყურვილი, თუმცა, უნდა ითქვას, რომ შენი მომავალი ცხოვრება მთლიანად ახლანდელ გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული.

საქმესაკუთარი

სავარაუდოა, ამ დღეს ახლობელმა ადამიანმა მოგატყუოს. ეს სიცრუე, პირველ რიგში, შენს ჯიბეზე აისახება. შეეცადე, მიღებული ინფორმაცია შეძლებისდაგვარად გადაამოწმო. წინაალმდეგ შემთხვევაში, ამ დღეს დაშვებული შეცდომის გამოსწორება დიდი ხნის განმავლობაში, მარტოს მოგიწევს.

ოთხშაბათი

დღეს ყველა საქმეში მეგობრებისა და ახლობლების თანადგომის იმედი გქონდეს. ყველა მზადაა, მატერიალური და მორალური მხარდაჭერა გაგიწიოს. თუმცა, ნუ დაგავიწყდება, რომ ვალს გადახდა უნდა და მზად იყავი იმისთვის, რომ უახლოეს მომავალში შენც დაეხმარო მათ.

ხუთშაბათი

შესაძლოა, გარშემო მყოფი ადამიანების ქმედებამ შენი ემოციური აფეთქება და არაადეკვატური რეაქცია გამოიწვიოს. მაგრამ მიუხედავად ამისა, შეეცადე მოთმინებით აღიჭურვო და ყველაფერი გაუგებრობას მიაწერო. ამ შემთხვევაში, გაცილებით იოლად გამოხვალ მდგომარეობიდან.

პარასკევი

ამ დღეს ბევრი სასიხარულო მოვლენა, ამასთანავე, სიურპრიზიც გელის. ყველა მიილებს იმას, რაზეც ოცნებობს: უსახსროდ მყოფი — ფინანსურ მხარდაჭერას, მარტოხელა — ახალ სიყვარულს... „გაამრავლე" ბედნიერება და შენი სიხარული ახლობლებს გაუნაწილე.

შაბათი

ამ დღეს სამსახურში ნამდვილი საგიჟეთი დაგხვდება. თუმცა, კოლეგების კვალიფიციური დახმარების იმედი იქონიე და ყველაფერი კარგად იქნება. დღის ბოლოს, ქაოსი მიწყნარდება და შეგიძლია, საყვარელ ადამიანს შეხვედრაზე შეუთანხმდე. შორიდან სასიამოვნო ამბავს გაიგებ.

კვირა

შესაძლოა, მიამიტობისა და მიმნდობი ხასიათის გამო, ხარკის გადახდამ მოგიწიოს. სავარაუდოა, რომ შენი წესიერებითა და სამართლიანობით ვინმემ ცუდად ისარგებლოს. ამიტომ თავი ხელში აიყვანე და ეცადე, მტიკცედ თქვა — „არა", თუნდაც ამით, გარშემო მყოფების გულისწყრომა გამოიწვიო.

ღვინოს წაეთვალიერა?

არავინ ეწინააღმდეგება იმ მოსაზრებას, რომ ღვინო არის სასმელი, რომელიც ადამიანს ეიფორიულ მდგომარეობაში აგდებს, განგაშის გრძნობას უხშობს, ერთგვარი ანტიდეპრესანტი და ტკივილგამაყუჩებელია, მაგრამ არის თუ არა ღვინო სასარგებლო?



ნებისმიერ მცენარეში ბევრი სამკურნალო, რთული კომპლექსური შენაერთია, რომელსაც ორგანიზმი ძნელად ითვისებს. საჭმლის გადამამუშავებელ სისტემას მისი დაშლა არ შეუძლია. ამის გარეშე კი ნივთიერება ნაწლავის კედლიდან სისხლში ვერ გადავა. ხოლო სპირტული ექსტრაქციის დროს, რთული შენაერთები იოლად იშლება და ორგანიზმიც მშვენივრად ითვისებს.

სხვადასხვა დაავადების ღვინით მკურნალობას ენოთერაპია ჰქვია. კერძოდ, რა დაავადებებს კურნავენ ღვინის მცირე დოზით?

ასაკოვან ადამიანებს ხშირად უჩნდებათ კუჭისა და ნაწლავის ატონია (მოდუნება). ეს კი თავის მხრივ, საკვების ნელ მონელებასა და მუცლის შებერვას იწვევს. ასეთ შემთხვევაში მათ, ენოლოგები მცირე დოზით ღვინის მიღებას ურჩევენ, რომელიც ფოსფორით, მაგნიუმით, კალციუმითა და ტანინით მდიდარია. ღვინო კუჭის კუნთებზე მატონიზებელ ზემოქმედებას ახდენს, პერისტალტიკას აძლიერებს და ხელს უწყობს საჭმლის სწრაფ მონელებას. ფრანგი ექიმი, მორი, კოლიტით დაავადებულ ადამიანებს წითელ, მაგარ ღვინოს ურჩევს. მასში შემავალი ნივთიერებები დაავადების გამომწვევ მიკროორგანიზმებს თრგუნავს, წყლულოვანი ზედაპირის შეხორცებას აჩქარებს და დაქვეითებულ იმუნიტეტს აღადგენს.

სტრესული საუკუნის ყველაზე გავრცელებული დაავადება ათეროსკლეროზია, რომელსაც გულის იშემიურ დაავადებამდე მივყავართ, ხოლო დაავადების კულმინაცია მიოკარდიუმის ინფარქტია. გულ-სისხლძარღვთა დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდია ფიზიკური ვარჯიშების, სხვადასხვა დიეტისა და სტრესისგან თავის დაღწევის საშუალებით, ჭარბი წონის მოშორება. ამ ძალისხმევის შედეგი ის გახლავთ, რომ სისხლძარღვთა შიგნითა კედელზე ქოლესტერინის დაგროვება არ მოხდეს და სკლეროზირების საშუალება არ მიეცეს. ნატურალური ყურძნის ღვინო და კონიაკი ამ დაავადების პროფილაქტიკისათვის მშვენიერი საშუალებაა. ღვინის პოლიფენოლური შენაერთები ეფექტურად ბლოკავს ათეროსკლეროზის საწყის ეტაპებს და ხელს უშლის თრომბის წარმოქმნას. ეს კი თავიდან აგვარიდებს ძვირად ღირებული მედიკამენტების შეძენის აუცილებლობას. ფენოლური შენაერთები განსაკუთრებით დიდი ოდენობითაა წითელ ღვინოში.

შესქელებული სისხლი თრომბის წარმოქმნის საშიშროებას ქმნის, რომელსაც შეუძლია არტერია გაჭედოს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ — თრომბოზი განვითარდეს. ალკოჰოლს კი სისხლის გათხელება სამი გზით შეუძლია.

1. ამცირებს სისხლის პლასტიკების შეწებებას 55-60%-ით.

2. ფიბრონოგენის დონეს ამცირებს, რაც ხელს უშლის სისხლის შედედებას.

3. ხელს უწყობს ქსოვილის აქტივატორის, პლაზმოგენის დონის ამაღლებას, რომელიც უკვე წარმოქმნილ სისხლის კოლტებს შლის.

თეთრ ღვინოში პოლიფენოლის კონცენტრაცია 1,2 გ/ლ-ს, კონიაკში — 5 გ/ლ-ს, ხოლო წითელ ღვინოში — 3 გ/ლ-ს აღწევს. ღვინოში შემავალ პოლიფენოლს ანტირადიკალური მოქმედება აქვს — 50-ჯერ ძლიერი, ვიდრე E ვიტამინს, რომელსაც ჩვეულებისამებრ, ეტალონად მიიჩნევენ.

ღვინო ხსნად ბოჭკოებს შეიცავს: პექტინსა და კამედის. გარდა იმისა, რომ ისინი სისხლში პოლიფენოლის მოქმედებას აძლიერებს, ნაწლავის კედელში ცხიმის შეწოვას ხელს უშლის. აგრეთვე, დაბლა სწევს ჰიპერინსულინიზაციისა და ინსულინური წინააღმდეგობის დონეს. ეს 2 ფაქტორი სკლეროზის ძირითადი მაჩვენებელია.

●

მოკლე ჩართვა <<< 23

რა ღირს პატიოსნება?

• პატიოსნება პატიოსნებით ფასდება — ანუ რაც მეტია პატიოსნების კოეფიციენტი, მით მეტია პატიოსნება. ეჰ, ვბოდავ. მოკლედ, იყავით რა, პატიოსნები და ნუ გაყიდით ნამუსს! ეუკი.

• კაი რა, პატიოსნება ხომ ფასდაუდებელია? ყოველ შემთხვევაში, მე ასე მიმაჩნია. კოკა.

• პატიოსნება? კარგი კითხვაა. ჩემთვის პატიოსნება არ იყიდება.

• ვისთვის როგორ, რა! ჩემი ძმისთვის ქალწულობა და პატიოსნებაა მთავარი და მგონი, არც ცდება. მეგრელი მგელო-30.

• პატიოსნება ღირს „ლაროცი" :-) გიუჩი.

• რა ღირს პატიოსნება? ჰმ, ერთი ტკბილი სიტყვა, ერთი-ორი ცრემლი... მეტს ვერაფერს ვიხსენებ... ჰო, ეს არის და ეს. :) ლილ.

●

აფრიკულ ფორთოხალს სულ სხვა გემო აქვს

ანუ ქართველების საქიტჩინი მოგზაურობა ეგვიპტეში

ნათია ქინქიძე

მთელ მსოფლიოში, ტურისტებისთვის უამრავი საინტერესო ქვეყანა მოიძებნება, მაგრამ რატომღაც, ბავშვობიდანვე ეგვიპტეში მოგზაურობაზე ვოცნებობდი და დარწმუნებული ვიყავი, რომ ოდესმე, ამ ძველ, ისტორიულ მხარეში მოვხვდებოდი. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ჩემი მეუღლის ოჯახმა, საქორწინო საჩუქრად ეგვიპტის ორკვირიანი საგზურები მოგვიტანა. მაშინვე ტურისტულ კომპანიაში წავედით და გავარკვიეთ, რომ თურმე, ოქტომბერი და ნოემბერი, აფრიკის ამ მხარეში, საკურორტო სეზონად მიიჩნევა და მაშინ, როცა საქართველოში უკვე ძალიან ცივა, ეგვიპტეში ტემპერატურა 30-34 გრადუსია...

ქორწილის ღამესვე, ჯერ სტამბოლში ჩავფრინდით, იქიდან კი კაიროში გადავფრინდით. ქართულმა ტურისტულმა კომპანიამ, ვიზების ნაცვლად, კაიროს საბაჟოს პოლიციასთან წერილი გაგვატანა. წესით, იქ კომპანიის წარმომადგენელი უნდა დაგვხვედროდა, რომელიც ამ პრობლემას მოგვიგვარებდა, მაგრამ არც არავინ დაგვხვდა და ეს ამბავიც ვერ მოვაგვარეთ. ჩვენი საქორწინო მოგზაურობა არაბი პოლიციელების გარემოცვით დაიწყო, რომლებიც დამცინავად გვიყურებდნენ და გვეკითხებოდნენ: აქ რომ არ ჩამოსულიყავით, სამოგზაუროდ უკეთესი ქვეყანა ვერ აირჩიეთო?.. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ, საბაჟოზე ულვაშიანი კაცი გამოჩნდა, რომელიც ჩვენკენ კოჭლობით მორბოდა. მან გამარჯობის თქმისთანავე მოგვახსენა: თქვენი „ტრანსფერი" ვარ, რეისი შეიცვალა და სხვა აეროპორტში გელოდებოდითო. მერე, პოლიციას მოელაპარაკა და ჩვენთვის ვიზები შეიძინა. ჯიხურს გარკვევით ეწერა, რომ თითო ვიზა 16 დოლარი ღირდა, მაგრამ ჩვენმა „ტრანსფერმა" გამოგვიცხადა, თქვენ ორივეში 40 დოლარი უნდა გადაიხადოთო. ოღონდ იქიდან გავეშვით და აღნიშნული თანხა ხმის ამოუღებლად მივეცით. არც მაშინ გამოგვიხატავს პრეტენზია, როცა ჩვენმა მეგზურმა, ხურდაში დაბრუნებული 8 დოლარი ჯიბეში ჩაიტენა. აეროპორტიდან გამოსვლისთანავე, საშინელი სუნი გვეცა, მაგრამ იმდენად დაღლილები ვიყავით, ამისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიგვიქცევია. გარეთ მანქანა გველოდა, რომელსაც სასტუმრომდე უნდა მივეყვანეთ. მძღოლი საკმაოდ მხიარული არაბი აღმოჩნდა, რომელმაც არც რუსული იცოდა და არც — ინგლისური, მაგრამ მთელი გზა მაინც გაუჩერებლად გველაპარაკებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ვერ ვხვდებოდი, რას ამბობდა, მაინც „დიდი გულმოდგინებით" ვუსმენდი და როცა თვითონ გაიცინებდა, მეც გულიანად ვიცინოდი. დაღლილობის გამო, იმ ღამით, კაიროს ქუჩებში მხოლოდ ის შევამჩნიეთ, რომ იქ ბევრი რუსული მანქანა მოძრაობს და ნებისმიერ ქუჩაზე დიდი საცობია... იმ ღამეს, მუსლიმანები ბაირამობის დღესასწაულს აღნიშნავდნენ და მეჩეთები სავსე იყო მლოცველი მამაკაცებით. ერთი საათის შემდეგ, როგორც იქნა, სასტუმრომდე მივაღწიეთ. „ტრანსფერმა" დაგვაბინავა და გვითხრა, რომ მეორე დღეს მოგვაკითხავდა და ისევ აეროპორტში წაგვიყვანდა, რათა შარმ-ელ-შეიხში გავფრენილიყავით. ასეც მოიქცა...

ზუსტად ერთი საათის გასვლისთანავე, ჩვენი თვითმფრინავი შარმ-ელ-შეიხის აეროპორტში დაეშვა. ტრასაზე გავედით თუ არა, მაშინვე უდაბნოს სულის შემხუთველი სიცხე შევიგრძენით. გარეთ ამჯერად, სხვა „ტრანსფერი" გველოდა და მანქანაში ჩავსხედით თუ არა, გიდობაც შეითავსა. ეს ნახევარკუნძული საკმაოდ დიდია. შარმ-ელ-შეიხი სამ ნაწილად იყოფა და ოქტომბერსა და ნოემბერში, იქ დამსვენებლები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან ჩადიან. აღნიშნული კურორტი წითელი ზღვის სანაპიროზეა გაშენებული. ზღვის პირას ოთხ და ხუთვარსკვლავიანი, მოპირდაპირე მხარეს კი — სამ და ორვარსკვლავიანი სასტუმროებია გაშენებული.

აღმოჩნდა, რომ იქ ე.წ. „დიკი პლაჟიც" ყოფილა

ამ ნახევარკუნძულზე, მოსამსახურე პერსონალის გარდა, სხვა ადგილობრივი მცხოვრებლები არ არიან. ყველა შენობა ორსართულიანი და თანაც, თეთრი ფერისაა. ამის გამო, ამ ადგილს თეთრი კუნძულიც კი შევარქვი. სხვათა შორის, შარმში ამჟამადაც მრავალი სასტუმრო შენდება... დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ, ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „ალოჰასთან" შეჩერდით. ვიდრე რეგისტრაციას გავივლიდით, მოსამსახურე არაბული ლიმონათით გაგვიმასპინძლდა, რომელიც ისეთი გემრიელი იყო, რომ მთელი იქ ყოფნის პერიოდში, ამ ლიმონათს ვითხოვდი, მაგრამ უარს ზრდილობიანად მეუბნებოდნენ: ამით ჩამოსულ სტუმრებს, მხოლოდ ერთჯერადად ვუმასპინძლდებითო. მოგვიანებით, ჩვენი „ტრანსფერი" გამოგვემშვიდობა და გვითხრა, ხვალიდან თქვენთან საშა მოვა, რომელსაც „შოკოლადნი ზაეცი" ჰქვია და თუკი რაიმე დაგჭირდებათ, მას მიმართეთო. მოსამსახურემ ჩვენი ბარგი აიღო და ოთახისკენ გაგვიძღვა. „ალოჰა" ძალზე დიდ ტერიტორიაზე გახლავთ გაშენებული. იქ არის ორსართულიანი კოტეჯები და თითო კოტეჯში 12 ნომერია. ჩვენ ერთ-ერთი ასეთი კოტეჯის მეორე სართულზე დავბინავდით. მოსამსახურემ გვთხოვა, მოწესრიგდით და მთავარ რესტორანში ამობრძანდით, უკვე სადილობის დროაო. რა თქმა უნდა, ასეც მოვიქეცით, მაგრამ ჭამაზე მეტად, დამსვენებლებით ვიყავით დაინტერესებულნი. ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ დამსვენებლების 70% იტალიელი იყო, 20% რუსები და უკრაინელები, დანარჩენი 10% კი ინგლისელები, გერმანელები, თურქები და არაბები. მთელ სასტუმროში ჩვენ გარდა, არც ერთი ქართველი არ იყო და ამის გამო, გული დამწყდა... სადილობის შემდეგ სასტუმროს დათვალიერებას შევუდექით: ჯერ აუზზე ჩავედით, იქვე მდებარე ბარში ჩაი მივირთვით, მოგვიანებით კი ზღვის სანაპიროს გავუყევით. ეს სანაპირო სასტუმროს კუთვნილება იყო და „ალოჰას" დამსვენებლების გარდა, იქ ჩასვლის უფლება სხვას არავის ჰქონდა. ჩემი ყურადღება შეზლონგზე მწოლიარე შიშველმა ქალებმა მიიპყრეს. აღმოჩნდა, რომ იქ ე.წ. „დიკი პლაჟიც" ყოფილა — ნებისმიერ დამსვენებელს შეეძლო გაეხადა და მკერდი მზისთვის მიეფიცხებინა. საქართველოში „ზედმეტად მოხდილი"

საცურაო კოსტიუმი რომ გეცვას, მაშინვე ყურადღების ცენტრში მოექცევი, იქ კი დედიშობილა გოგონებს ყურადღებას არავინ აქცევდა. ჩემს მეუღლეს ვთხოვე, რამდენიმე შიშველ გოგოს ფოტო გადაუღე, მასალისთვის გამომადგება-მეთქი. მან თხოვნა სიამოვნებით შემისრულა და მთელი იქ ყოფნის პერიოდში, ჩვენს ციფრულ კამერაში 50-მდე შიშველი ქალის „პაპარაცულად" გადაღებული ფოტო დაგროვდა. ის იყო, „ბიჩი ბარში" მოვკალათდით, რომ სასტუმროს ზანგი ადმინისტრატორი ღიმილით მოგვიახლოვდა და გვკითხა — როგორ მოგწონთ ჩვენი სასტუმროო? მე და ჩემი მეუღლე, ერთმანეთს პასუხის გაცემას არ ვაცლიდით, რადგან ამ ადგილით ორივე აღფრთოვანებული გახლდით... 5-დან 7 სთ-მდე „ალოჰაში" ჩაისა და ყავის სმის საათები იყო ანუ შეგვეძლო, აუზთან მდებარე ბარში, ეს ცხელი სასმელები ნამცხვართან ერთად მიგვერთვა. მთელი ამ დროის განმავლობაში, საკმაოდ სიმპათიური იტალიელი ქალბატონი ჩვენს გართობაზე ზრუნავდა და სხვადასხვა ცნობილ ინგლისურ და იტალიურ სიმღერებს ცოცხლად ასრულებდა. სხვათა შორის, მსურველებს ცეკვაც შეეძლოთ და სიმღერაც. რატომღაც, ყველაზე მეტად, იტალიელები აქტიურობდნენ. რვის ნახევარზე ვახშმის დრო გახლდათ. რესტორანში ასულებს, გარეთ უცნაურ ფორმებში გამოწყობილი გოგო და ბიჭი დაგვხვდნენ, რომლებიც 10 საათზე, აუზთან მდებარე თეატრში, რაღაც სპექტაკლზე გვეპატიჟებოდნენ. ვახშმობისას კვლავ ზანგი ადმინისტრატორი გვეახლა და გვკითხა, საიდან ხართო? მე და ჩემმა მეუღლემ ერთხმად მივუგეთ — „ჯორჯიიდან". ზანგი ჩაფიქრდა, მერე კი გვკითხა, „იუვენტუსში" „ჯორჯიიდან" ვინ თამაშობსო? უარის ნიშნად თავი გავაქნიეთ.

— აააა, გამახსენდა, — მთელი ხმით იყვირა ადმინისტრატორმა. — თქვენი ქვეყნიდან ხომ კახი კალაძეა! მართალი ვარ, არა? ვგიჟდები კალაძეზე, მისი დიდი გულშემატკივარი ვარ, — გვითხრა გახარებულმა და ჩემს მეუღლეს მხარზე ხელი დაჰკრა. — გამოდის, რომ ქართველები ნიჭიერი ხალხი ხართ. კალაძე, კალაძე... — ჩაილაპარაკა და ბედნიერი ღიმილით გაგვშორდა. მას შემდეგ, ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას გვაქცევდა. მომსახურე პერსონალის ნაცვლად, თვითონ გვემსახურებოდა და მიუხედავად იმისა, რომ ნომერში ხილის ატანა აკრძალული გახლდათ, მისი ბრძანებით, გამონაკლისი დაუშვეს და აფრიკული ბანანი თუ ფორთოხალი, ჩვენს ოთახში ყოველთვის იყო. ამ ფაქტის შემდეგ, მას „კალაძე" შევარქვით და ეს ისე მოეწონა, რომ ფოტოს გადაღებაზეც კი არ გვითხრა უარი. მერე, ჩემი მეუღლე ამბობდა: ასეთი კაცის ხელიდან გაშვება არ შეიძლებაო და საქართველოში ჩამოვედით თუ არა, ყველა ჩვენს ახლობელ გოგონას მისი ფოტო უჩვენა. სამწუხაროდ, ზანგ კაცზე გაითხოვების სურვილი არც ერთ ქართველ ქალს არ აღმოაჩნდა. თუმცა, არც „კალაძე" იყო თანახმა, ქართველი ქალის გამო, ეგვიპტე მიეტოვებინა...

მეორე დილით, აუზზე ჩასვლისთანავე მეუღლემ ორი ჩინელი გოგონა დამანახვა, რომლებიც შეზლონგზე ნებივრობდნენ და ყოველ გამვლელ ბიჭს ინგლისურად მიმართავდნენ. ვერავის ყურადღება რომ ვერ მიიპყრეს, სიგარეტი მოიმარჯვეს და გვერდით მჯდომ ინგლისელ ცოლ-ქმარს გაუბეს ლაპარაკი. ინგლისელებმა მათ ცოტა ხანი უსმინეს, მერე კი აუზში თავით გადაეშვნენ — ეტყობა, მათთან მომაბეზრებელ საუბარს დააღწიეს თავი. იქვე, ერთი იტალიელი გოგონა მსურველებს წყლის ვარჯიშს უტარებდა... მალე, იქაურობა მივატოვეთ და „ბიჩი ბარში", პიცის საჭმელად ჩავედით. ვარჯიშის მასწავლებელი გოგონა იქაც ჩამოვიდა და მსურველები ცეკვის გაკვეთილებზე მიიწვია. აღნიშნული ცეკვა, როგორც მოცეკვავეებისთვის, ასევე მაყურებლისთვისაც საკმაოდ ხალისიანი აღმოჩნდა. სწორედ მაშინ დავადგინეთ, რომ იტალიური ტურისტული კომპანია — „მარი ქლაბი" „ალჰას" პარტნიორი იყო. მათ დაახლოებით 20-კაციანი ჯგუფი ჰყავდათ, სასტუმროში დაბინავებული. ზოგი მათგანი ბავშვების გართობაზე ზრუნავდა, ზოგი ვარჯიშებს ატარებდა, ცეკვას ასწავლიდა, მღეროდნენ კიდეც და სხვადასხვა სახის თამაშსაც იგონებდნენ. ორი ბიჭი, რომელიც სხვადასხვა მსახიობისა თუ გმირების კოსტიუმებში იყო გამოწყობილი, ხალხს უფასო სასმელს სთავაზობდა. მაგალითად, ისინი ერთ დღეს მერილინ მონროსა და მისი საყვარლის სახით მოგვევლინნენ. საღამოობით, ეს იტალიელები დამსვენებლებს სხვადასხვა შოუსა და სპექტაკლს სთავაზობდნენ. სხვათა შორის, მათ მე და ჩემი მეუღლეც იტალიელები ვეგონეთ და ყოველ დილით, „ბონჯორნოთი" გვესალმებოდნენ. ერთ მშვენიერ დღეს, როცა აუზთან შეზლოგნზე ვნებივრობდით, ქალის სასოწარკვეთილმა კივილმა ფეხზე წამოგვყარა. ის ქალი ვიღაც ჯუზეპეს დასტიროდა და მალე, სამგლოვიარო პროცესიაც გამოჩნდა — მიცვალებულს ოთხი ბიჭი მოასვენებდა. ვიფიქრეთ, რომელიღაც დამსვენებელმა შიშველი ქალების ყურებას ვერ გაუძლო და გარდაიცვალა-თქო, მაგრამ გადაცმულ ბიჭებში „მარი ქლაბის" თანამშრომლები ამოვიცანით. „მიცვალებული" მათი ერთ-ერთი აქტიური მსახიობი, ლუკა იყო, რომელიც თავს ვერ იკავებდა და იღიმოდა. ამ ცერემონიას წინ პადრე მიუძღოდა და შეზლონგებზე მწოლიარე გაოცებულ დამსვენებლებს „ნაკურთხ წყალს" ასხამდა. ჭირისუფალი ქალი კი „სასოწარკვეთილებისგან" ხან ერთი დამსვენებელი მამაკაცის მუხლებზე მოკალათდებოდა, ხან — თავის დახრჩობას აუზში აპირებდა. ამ ამბავმა ძალიან გაგვამხიარულა...

რაც შეეხება სახელებს, როცა ერთ-ერთმა არაბმა მომსახურე პერსონალმა შეიტყო, რომ ნათია მერქვა, მითხრა, ჩემს დასაც ნათია ჰქვიაო. ჯერ გამიკვირდა, როგორ შეიძლება, არაბ ქალს ნათია ერქვას-მეთქი, მერე კი მივხვდი, რომ ეს ჩვეულებრივი, არაბული ტყუილი იყო.

რატომღაც, სასტუმროში ყველამ იცოდა, რომ ჩვენ ახალდაქორწინებულები ვიყავით. სწორედ ამიტომ, ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც ჩვენს ოთახს ყოველ დილით ალაგებდა, სიურპრიზებს გვიწყობდა: ნომერში შესულებს საწოლზე ხან პირსახო-

მას „კალაძე" შევარქვით და ეს ისე მოეწონა, რომ ფოტოს გადაღებაზეც კი არ გვითხრა უარი

ჩვენს ციფრულ კამერაში 50-მდე შიშველი ქალის „პაპარაცულად" გადაღებული ფოტო დაგროვდა

ისინი ერთ დღეს მერილინ მონროსა და მისი საყვარლის სახით მოგვევლინნენ

შვედური მაგიდები გემოვნებით გახლდათ გაწყობილი და გაფორმებული

ცებით და ყვავილებით გაკეთებული გული გვხვდებოდა, ხან — გედი, გემი, ყვავილი და ა.შ. ეს ყველაფერი ისე ლამაზად იყო გაკეთებული, მიკვირდა, ამ ხელოვან კაცს დამლაგებლად რატომ ამუშავებენ-მეთქი?.. ბოლო დღეს, როგორც ჩანს, მას ფანტაზია „აღარ ეყო" და საწოლზე თეთრი ნიანგი დაგვხვდა, რომელსაც პირში ჩვენი ტელევიზორის პულტი ედო...

მინდა, ორიოდე სიტყვით ეგვიპტურ კერძებზეც მოგითხროთ. დილით, შუადღეს და საღამოს, შვედური მაგიდა სასტუმროს მთავარ რესტორანში იშლებოდა. დილის საუზმეს ბოსტნეული, მოხარშული ან შემწვარი კვერცხი, სოსისი, ძეხვი და ნაირ-ნაირი ტკბილეული შეადგენდა. შვედური მაგიდები გემოვნებით გახლდათ განწყობილი და გაფორმებული. იტალიელების პატივსაცემად, ყოველდღე მაკარონისა და პიცის დიდი არჩევანი იყო. არაბები ზღვის პროდუქტების მოყვარულნი არიან. შესაბამისად, ყოველდღიურად თევზის და კიბორჩხალის დიდ ასორტიმენტს გვთავაზობდნენ. მათ არც ლოკოკინას კერძის მომზადება ავიწყდებოდათ; ქათმის, საქონლისა და ცხვრის ხორცს ბევრ კერძში იყენებდნენ, ღორის ხორცი კი, როგორც მოგეხსენებათ, მუხლიმანთა რაციონიდან ამოღებულია. მიუხედავად ასეთი ფართო არჩევანისა, არც ერთი კერძი გემრიელი არ გახლდათ და მხოლოდ იმიტომ, რომ შიმშილს არ შევეწუხებინეთ, დღეში ერთხელ ვჭამდით. ბოლოს, მათი უგემური კერძები იმდენად მოგვბეზრდა, რომ რესტორანში აღარც ავდიოდით — მხოლოდ შოკოლადს, ნამცხვარს (რომლებიც მართლა გემრიელი იყო) და ხილს მივირთმევდით (უნდა აღვნიშნო, რომ აფრიკულ ფორთოხალს სულ სხვა გემო აქვს). მოკლედ, დავდიოდით და კარგ ქართულ ხინკალსა და ჩახოხბილზე ვფიქრობდით.

წამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე, ქალაქის დათვალიერება გადავწყვიტეთ. სასტუმროდან გასვლისთანავე მივხვდით, რომ შეცდომა დავუშვით: ჯერ ერთი, ზღვის სანაპიროს მოვშორდით თუ არა, უდაბნოს სიცხემ სული შეგვიხუთა, მეორეც — ყოველი ფეხის ნაბიჯზე „ტაქსისტები" მანქანას გვიჩერებდნენ და გვეხვეწებოდნენ, ოღონდ ჩასხედით და ბევრს არ გამოგართმევთო. სუვენირების მაღაზიებს მივუახლოვდით თუ არა, ყველა მაღაზიის გამყიდველი თავს დაგვხვია და ათას რამეს გვთავაზობდა. როგორც მოგვიანებით აღმოვაჩინეთ, როცა მიხვდნენ, რომ მათ ფულში კარგად ვერ ვერკვეოდით, ანგარიშში მოვუტყუებივართ. სხვათა შორის, იგივე ნივთები ჩვენი სასტუმროს მაღაზიებში ორჯერ ძვირი ღირდა...

შარმში ბოლო დღეები ტანჯვად გადაგვექცა, რადგან ქართველები ასეთ წყნარ და ერთფეროვან დასვენებას მიჩვეულნი არა ვართ. როცა კაიროს თვითმფრინავში ჩავსხედით, შვებით ამოვისუნთქეთ, მაგრამ წინ კიდევ კაიროს სამდღიანი თავგადასავალი გველოდა, რომელსაც „გზის" მომდევნო ნომერში გიამბობთ...

■

აქსესუარი თამამი ქალპატრონეპისთვის

თამუნა ლეჟავა პროფესიით ფიზიკოსია, მაგრამ ამ განხრით არასოდეს უმუშავია. ის ხელოვნებითაა გატაცებული — ბავშვობიდანვე ხატავს. რამდენიმე დღის წინ, მან გალერეა „ბაიაში" გამოფენა მოაწყო, სადაც საკუთარი ხელით შექმნილი აქსესუარები წარადგინა.

„სწორად და გემოვნებით შერჩეული სამკაული ქალს ხიბლს მატებს..."

მარეხ ჭონიშვილი

— რამდენიმე წლის წინ, ტანსაცმლის კოლექცია შევქმენი, რომელიც ბისერებითა და „სვაროვსკის" ქვებით იყო განწყობილი. ჩვენების მოწყობაც მინდოდა, მაგრამ ვერ მოვახერხე, ამის საშუალება არ მქონდა. შემდეგ, ყელსაბამების გაკეთება დავიწყე — თავიდან, გართობის მიზნით, მაგრამ ამ საქმემ გამიტაცა და უკვე 3 წელია, რაც აქსესუარების შექმნაზე სერიოზულად ვმუშაობ.

— ყელსაბამების გარდა, სხვა აქსესუარებსაც ამზადებთ?

— როგორ არა?! ჩემს კოლექციაში არის რამდენიმე წყვილი საყურე და ქამარი, მაგრამ უფრო მეტად, ყელსაბამზე მუშაობა მიტაცებს. მიმაჩნია, რომ ის ქალური სამკაულია. სწორად და გემოვნებით შერჩეული სამკაული ქალს ხიბლს მატებს.

— ყელსაბამებს რა მასალისგან ამზადებთ?

— ვიყენებ „სვაროვსკის" ქვებს, ბისერებს, ხელოვნურ მარგალიტებს... დღეს თბილისის მაღაზიებში ბევრი ლამაზი მასალაა, რომელიც იმის საშუალებას მაძლევს, რომ ჩემი შემოქმედება ძალზე მრავალფეროვანი იყოს.

— თქვენი ყელსაბამები ძირითადად, განიერი და დიდი ზომისაა. ზოგიერთ ქალბატონს, ასეთი აქსესუარის ტარება დისკომფორტს უქმნის...

— ამ ყელსაბამებით, თამამი ქალბატონები ინტერესდებიან.

— სითამამეში რას გულისხმობთ?

— ასეთი სამკაული, გინდა თუ არა, ყურადღებას იქცევს და ძალაუნებურად, ქალი, რომელიც მას ატარებს, ყურადღების ცენტრში ექცევა. ამიტომაც, ცხადია, რომ მსგავსი აქსესუარი კომპლექსიან ადამიანს დისკომფორტს შეუქმნის.

— რამდენ დროს ანდომებთ ერთი ყელსაბამის აწყობას?

— გააჩნია ყელსაბამს — ზოგი სწრაფად კეთდება, ზოგიერთის აწყობას კი ძალიან დიდი დრო სჭირდება. ბევრს მოსწონს, როცა ყელსაბამს ბევრი ნათელი ფერი ამშვენებს, რადგან მის პატრონს კარგ განწყობილებას უქმნის. სხვათა შორის, ასეთი აქსესუარით ყელის მოღერება როგორც წვეულებაზე, ასევე ყოველდღიურ ცხოვრებაშიც შეგიძლიათ. დღეს ბევრს არა აქვს იმის საშუალება, რომ ორიგინალური და არამასობრივი ტანისამოსი ჩაიცვას. ამიტომ, ჩემი რჩევა იქნება, რომ პატარა ზომის აქსესუარები მაინც ატარონ, რაც მათ ინდივიდუალობას და განსაკუთრებულობას გაუსვამს ხაზს.

— ყელსაბამის აწყობისას, მოდის ტენდენციებს თუ ითვალისწინებთ და საერთოდ, როგორი ყელსაბამებია წელს მოდაში?

— მსოფლიო ბრენდებს თუ გადავხედავთ, ისინი უპირატესობას ხელნაკეთ სამკაულს ანიჭებენ. როცა ყელსაბამებზე ვმუშაობ, მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობ — ქალი, რომელიც ამ აქსესუარს გაიკეთებს, ორიგინალური და განსხვავებული უნდა იყოს.

■

ამ ყელსაბამებით, თამამი ქალბატონები ინტერესდებიან

მსოფლიო ბრენდებს თუ გადავხედავთ, ისინი უპირატესობას ხელნაკეთ სამკაულს ანიჭებენ

მგზავრობა

დასაწყისი იხ. „გზა" №40-46

ზაზა ვაჩნაძე

როგორც კი ჩილინგაროვი თავიდან მოიცილა, მაშინვე რაღაც საკუჭნაო და ტუალეტიც მოათვალიერა. სეიფი არსად ჩანდა. „მართლა თუ გაქცეულები არიან?.." — დაარტყა თავში. კედელზე დაკიდებულ ნახატებზე გაუჩერდა თვალი. რაღაცით ყველა ნახატი ერთმანეთს ჰგავდა. „ქალი თუთიყუშით" — ქალის მოშიშვლებული ზურგი, რომელსაც თავი ჰქონდა მიბრუნებული და გალიაში ჩასმულ თუთიყუშს უყურებდა.

„არ დაუმუღამებია?!" — გაიფიქრა კოტიკომ და იატაკის თვალიერებას მოჰყვა. ყველგან ლინოლეუმი იყო დაგებული. „ალბათ უნდა გადავხადო", — გაიფიქრა და განზრახვა მაშინვე სისრულეში მოიყვანა. „ევრიკა!" — გაუელვა, როგორც კი კუთხეში კვადრატული ხუფი შენიშნა. ხუფისთვის პატარა ხელის ჩასავლებიც კი ამოეჭრათ. ადვილად აიხადა. აიხადა, მაგრამ კოტიკოს გულს შემოეყარა, რადგან ჭერიდან ქვედა სართულზე ჩასასვლელად, კიბე არ დაეტანებინათ. ვერც გასაშლელი და ვერც მისაყუდებელი ან სხვა კიბე შენიშნა, რომლითაც ჩადიოდნენ, ან ამოდიოდნენ. „ამოსასვლელი კი დაუყოლებიათ, მაგრამ ალბათ, არასოდეს გამოუყენებიათ", — დაასკვნა კოტიკომ. ის, რაც მაღლიდან მოჩანდა, სამკუთხედ სივრცეს წარმოადგენდა. ისიც ნახატებით იყო სავსე. რაღაც სათავსს ჰგავდა, საშრობებს რომ ეძახიან. საშრობს ერთფრთიანი ვიწრო კარიც ჰქონდა დატანებული, რომლის იქითაც, ვინ იცის, კოტიკოს სეიფიც იდგა სადმე, ან — ფულით, ან — უფულოდ... რამენაირად უნდა ჩასულიყო. ერთ-ერთ კედელზე ზურგით მიყუდებული დიდი ტილო შენიშნა, სიგრძეში ორი მეტრი მაინც იქნებოდა. ჩარჩო გადმოაბრუნა და ზედ, მეწამულ ფერებში შესრულებული, რაღაც ძველებური, იტალიური აღორძინების მსგავსი მხატვრობა აღმოჩნდა. ვიღაც, ებრაული სახის ბატონს, რომელიც ოქროსფერ ტახტზე იჯდა, ლამაზი ქალი ვერცხლის თასს აწვდიდა, ხოლო ქალის ზურგს უკან მისი ამალა თუ დიდგვაროვანნი იდგნენ და ამ რიტუალს კისერწაწვდილნი აკვირდებოდნენ. „ალბათ ასლია, — გაიფიქრა კოტიკომ, — აბა, საიდან, ამ მათხოვრებს, ორიგინალი?!" — და იქვე მიაფხრიწა. მერე ჩარჩოს ერთი მხარე მოაძრო და თოკად განასკვული ტილო ზედ მიამაგრა, ამოჭრილ იატაკზე ხარიხად გადო და თოკს დაეკიდა. უეცრად თოკი გასხლტა, ხარიხად გამოყენებული ჩარჩოს ნაჭერი ამოტრიალდა და თოკიანად, ქვევით წავიდა. კოტიკომ მოასწრო — ცალი ხელით ჭერში დაეკიდა, მაგრამ იმ მკლავზე აწევა კი არა, მეორის მიშველებაც ვეღარ მოახერხა, ხელი გაუსხლტა და იატაკზე მოადინა ზღართანი. შეშინებულმა, ნატკენ ფეხზე მოიკიდა ხელი. გადარჩენილიყო. ალბათ იმან თუ გადაარჩინა, ჩამოვარდნისას, ხელის გაქნევა და კედელზე დასახმარებლად, იდაყვის მირტყმა რომ შეძლო...

წამოდგა, კოჭლობით მივიდა კართან, გამოაღო და საცხოვრებელ ბინაში შევიდა. თუმცა კოჭლობდა, მაინც სწრაფად შემოურბინა, ძველებური ავეჯით, გემოვნებით მოწყობილ ბინას, მაგრამ თავის სეიფს ვერსად მიაგნო. მერე თავიდან შემოუარა. სულ ძირისძირამდე გადაჩხრიკა. არავითარი ვერცხლი, ოქრო, ბრილიანტი — ვერსად ვერაფერს წააწყდა. „გაიქცნენ, გაიქცნენ ეს ვირიშვილები!.." — ეს აზრი აეკვიატა და ეს ფრაზა ვეღარაფრით ამოიგდო თავიდან. გვიანღა მოვიდა აზრზე, რომ უკან, ჭერში ასაძრომი იყო. და შეეშინდა. „ვინ იცის, თბილისშიც არიან და დამადგნენ თავზე?!. რა უნდა თქვას, აქ საიდან გავჩნდიო?!." აჩქარდა. მელა რომ ყურძენს შესცქეროდა და ვერ სწვდებოდა, ასე უმზერდა ჭერში ამოჭრილ ადგილს და არ იცოდა, რა ეღონა. მთელ სახლში ერთი მაგიდა იდგა, უზარმაზარი, ცალფეხიანი, ანტიკვარული მაგიდა. ძვრაც ვერ უყო, მიხვდა — ვერც კარში შევაო და თავი მიანება. სამზარეულოში კი, დაბალი მოჩუქურთმებული, სამფეხა ტაბლა იდგა, პატარა სამფეხავე ჯორკოებით. „ეს მხატვრებიც, რა!.." ჭერს რომ შესწვდენოდა, ოთხი სკამი მაინც უნდა დაედგა ერთმანეთზე. სცადა, მაგრამ მაღალი, „მეფურზურგიანი" სკამები ერთმანეთზე არ იდგმებოდა. — ან რომელი კლოუნი მე ვარო?!. — გაიფიქრა. ფანჯრებს გახედა და ყველგან რკინის გისოსები დახვდა. გამომწყვდეული იყო ხაფანგში, ტურასავით. ამ ტვინის ბურღვაში იყო, რომ უეცრად გაახსენდა: ჩხრეკისას, კომოდის ზედა უჯრაში რაღაც გასაღები შეხვდა. მივარდა, ერთ ასხმულაზე ოთხი გასაღები იყო. გაახსენდა, რომ კარს გარედან სამი სხვადასხვა საკეტი ჰქონდა, შიგნიდან კი, მხოლოდ ერთი დახვდა. ერთ-ერთი მათგანი მოერგო. „ხომ შეიძლება, ერთზე იყოს დაკეტილი?" ფრთხილად დასწია სახელური... არა, არ გამოუვიდა, როგორც ჩანს, ორ სხვა საკეტზეც იყო დაკეტილი. სხვა გზა არ ჰქონდა, ვინმესთვის უნდა დაერეკა. „მაგრამ ვის გინდა ენდო, ამ გაძაღლებულ დროში?! ზაზას? მისმა ცოლმა ისეთი „პენალტი" დაურტყა, იმას რა დაავიწყებდა?!. თუმცა, ისევ ზაზა სჯობდა ყველას. ზაზა... ზაზა..." — და ფანჯრის რაფაზე შემოდგმული ტელეფონის ყურმილს დასწვდა.

— ალო, — მაინცდამაინც მაკამ აიღო ყურმილი. კოტიკომ იმწამს დაუკიდა და თავიდან დარეკა.

— დიახ, გისმენთ... — ეს უკვე ზაზა იყო.

— ზაზა, გცალია? — პირდაპირ აჯახა.

— ვა, კოტიკ?! საიდან რეკავ, ტო, ციხიდან?

— ჰო, შინაპატიმრობაში ვარ.

— შინაპატიმრობაში?!

— მომისმინე. ბევრს ნუ გაატრაკებ, ხომ იცი, არა, ისმინება, ეს დედამიწერილი!.. სანაპიროზე, კინოსტუდიის სახლი იცი?

— თოთხმეტსართულიანი?

— ჰო. მაგ სახლში, მეთხუთმეტეზე ამოხვალ, ერთი კარია მარტო. ღიაა, შემოხვალ და დანარჩენს აქ გეტყვი, — და გაუთიშა. „ზაზა მოტვინავს", — გაიფიქრა და ყურმილი დაკიდა. და იმ წუთიდანვე სმენად გადაიქცა: ზაზას შემოსვლა არ უნდა გამოჰპარვოდა. „უცებ პატრული რომ

დამაყენოს თავზე?! არაა! ასეც არ იდამპლებს... მაშინ, აღარც ღირს სიცოცხლე... რა აღარ ღირს?! თუკი მილიონერი ხარ, ისე ღირს, რომ..."

ის ნახევარი საათი თუ ორმოცი წუთი, სანამ კარის ჭრიალს გაიგონებდა, ისე გაიჭიმა, საუკუნედ მოეჩვენა. იმ სამკუთხედის მსგავს ოთახში იატაკზე იჯდა, ზურგით კედელს მიყრდნობოდა და თავი მაღლა აეწია. ზაზა რომ შემოვიდოდა, მაშინვე არ უნდა ეპასუხა. ჯერ უნდა ყური დაეგდო, ვინმე სხვაც ხომ არ შემოჰყვებოდა ან ხომ არ დაიჩურჩულებდა... თვითონაც ვერ აეხსნა, ასე როგორ გაუმძაფრდა სიფრთხილის გრძნობა. კარის ჭრიალი კი, არა და არ ისმოდა, რაც კიდევ უფრო აეჭვიანებდა და აშინებდა. „გამყიდის... არა, არ გამყიდის..." — და ასე, მძიმედ მიიზლაზნებოდა წამები.

პირველი, რაც გოჩუნამ გაიფიქრა და რაზეც საშინლად დასწყდა გული, ის იყო, რომ ეგონა, ანუკიმ მიატოვა და მშობლებს დაუბრუნდა. არა, ნამდვილად შეეშალა, ხევში არ უნდა წამოეყვანა. სად ხევი და სად — ფუფუნებაში გაზრდილი, თექვსმეტი წლის მოსწავლე გოგონა, რომელსაც ჩვეულებრივი, რკინის დანა-ჩანგალი არც კი სჭერია ხელთ. არა, ნამდვილად მაგრად შეეშალა. ყველაფერი ჩაიშალა, მორჩა, გათავდა!.. იქნებ ვერც ციხეს გადაურჩეს. სად წავიდეს, როგორ იპოვოს, რანაირად ნახოს ანუკი?! ან რა არის ის გრძნობა, სიყვარული რომ ჰქვია, მაგრამ სინამდვილეში — სულ სხვა რამ რომაა?! სიყვარულზე ბევრად მეტი, რაღაც ზე, მეგასიყვარული?.. ყველაფერზე თანახმა იყო. დახვრეტაზეც, ელექტროსკამზეც, კოცონზე დაწვაზეც და იესოსავით, ჯვარზე გაკვრაზეც, ოღონდაც ერთი წამით კიდევ მოეკრა თვალი ანუკისთვის და „თუნდაც მთელი მსოფლიო წყალს წაულეკავს, თავის ერებიანად, ომებიანად და კატასტროფებიანად!.." — თანახმა იყო ყველაფერზე, სულ ყველაფერზე...

ბიჭები მეორე დღესვე ჩასხდნენ მანქანაში და თბილისში დაბრუნდნენ, — თუ რამეს დავადგენთ, გაგაგებინებთ, — დაჰპირდნენ გოჩუნას.

ერთადერთი, ვალიკო იყო იმედიანად. მუდამ მოძრავი, ცოცხალი კაცი იყო და გულ-ხელის დაკრეფა არ სჩვეოდა. დრო იყო, ოსეთიდან იარაღი გადმოჰქონდა და გზააბნეულ ქართულ ჯარს ამარაგებდა. დღემდე არავინ იცის, მის გარდა, ეს ამბავი, რადგან პირდაპირ პრეზიდენტის დაცვას აბარებდა იმ იარაღს და იმანაც ეს ამბავი საფლავში ჩაიტანა. ხშირად ყაზბეგში, თუ რაიმე „მოშავო" ხდებოდა, სწორედ ოსეთ-საქართველოს საზღვართან იყო დაკავშირებული.

— მასე რაი გითხრ, ვალავ, ასე, დღეჩი ოცზე მეტ მანქანაი გადგვიდის, კოსტა გვიბრძანის და ისე გავატართ, არც ვსინჯავთ... — უპასუხა ვალიკოს მისმა დისშვილმა ბადრიმ, როცა ის იმის გასაგებად მიადგა, ვინმეს ასეთი და ასეთი ქალი ხომ არ გაუყვანია ხევიდან ოსეთშიო?

— ლამაზ ქალაი იყვის ძლიერ, ხშირ შავ თმა ჰქონდის...

— არ მამიკრავ თვალ და რაი გითხრა კიდევა? — თითქოს ეწყინაო ბადრის. — თუ მაცლიდე, გავიკითხვიდე და გაგიგებ რაიმესა.

ბადრი მეორე დღესვე დაადგა თავზე ვალიკოს სახლში.

— ჰო, რუსებს ჰყოლებავ ჯარჩია. ფულს თხოულობდიან დიდძალსა.

— მაინცა? — გაუხარდა ვალიკოს, რომ დისშვილი ახლა მაინც გამოადგა. იმას როგორ წარმოიდგენდა, რომ ბადრიც იყო ამ საქმეში გარეული და გამტაცებელთა დავალებას ასრულებდა?!.



— ას ათასს დოლარს თეთრი არ დააკლდებისო.

— სად ჰყავთ? — იკითხა ვალიკომ, თუმცა იცოდა, რომ ბადრი ამაზე პასუხს ვერ გასცემდა.

— მე რაი ვიც, შენ ლენცოფა ხომ არ გაჭმიეს ამ დილასა?! ეს რო გავიგ, არ გიკვირსა?

როცა ვალიკომ ამის შესახებ გოჩუნას უთხრა, ჯერ კი საშინლად გაუხარდა გოჩუნას, რომ ანუკის მასთან არც უთვალთმაქცია და არც მოხევეების ყოფას გარიდებია. მერე კი, საშინლად მოიღრუბლა და გამწარდა.

— ავაფეთქებ, გადავწვავ!.. — წამოსცდა მასაც, როგორც ამ დროს ყველა გამოუცდელს ემართება.

— რუსის ჯარსა?!. — გაიცინა ვალიკომ. — მაგათ მთელი მსოფლიო ემუქრების და ვერ აუსრულის... ასეული დგანა მხოლოდ საზღვარსა, ჯარი ბესლანს ჰყავს რუსებსა, პოლკი... გიუბნო, რაიგ უნდ მავიქცათ? გამამყვები?

— გამოგყვები?!. აბა, მაშ, საიდან მოვთხარო ასი ათასი?!

— აკი, მამა ჰყოლავ ბიზნესჩიაო?.. — შეეკითხა ვალიკო და გოჩუნაც იმწამს დაეჭვდა.

— რას მიქარავ შენა?! ანუკი ჩემია! ან თვითონ რას იფიქრებს, ან მაგის მამა?! არ იფიქრებენ, რომ მე დავაწერე ეგ ფული?! ვინ შემარჩენს მაგას?!

— მე არ მამკლა და... — გაეცინა ვალიკოს. — იყუჩე, კარგად ვიცნობ მაგათ. გამავსტაცებთ შენს ნესტანს ქაჯებსა, ნუ გეშინის, შამამხედავდე თვალებჩია, მე, ვალიკო, ვუბნობ ამასა. წამაი, რა გაჩვენავ...

წაიყვანა და ტუალეტის იქით, გამოთხრილი სამალავი უჩვენა. ხის გასანთლულ ყუთში ხუთი „ტაოტიანი" „კალაშნიკოვი" იდო, თავისი მჭიდებითა და ტყვიებით. იქვე რამდენიმე „ხე-ბეც" შეენახა ვალიკოს, თავისი რუსული ჩექმებიანად.

— მე და შენ წავალთ მარტონი.

— შენ რა, ომს აპირებ რუსებთან? — ცოტა დაფრთხა გოჩუნა.

— ომს რაით ვაპირებ?.. გამავსტაცავთ ქალას და წამავალთ.

— შენ რა იცი, მერე, სად ჰყავთ?

— სად ეყოლებისთ? კარცერჩი, სხვაგან სად?!

— მერე, იმ კარცერს დაცვა არ ჰყავს? უნდა ვესროლოთ?

— აბა, დაცვა რაიგ არ ეყოლებისთ... მავისყიდოთ უნდა.

— როგორ?

— ეგ მე ვიცი. გადვიცვამთ სალდათურადა და ღამით გადავალთ ამ მთებსა...

— ესენი უნდა ჩავიცვათ? რატომ?

— ვერტალიოტითგან თუ დაგვინახვენ, რუსები ვეგონვებით.

მოსაღამოვდა თუ არა, ვალიკო და გოჩუნა „ხე-ბეებში" გამოეწყვნენ, თავზე მწვანე პანამის ქუდები დაიკოსეს და ავტომატებით შეიარაღებული მოტიტვლებულ ალპურ ზონას შეუყვნენ. ვალიკოს ზურგჩანთით, ხუთლიტრიანი ჟიპიტაურით სავსე ბოცა მოჰქონდა. სწორედ ამ ჟიპიტაურის იმედი ჰქონდა კიდეც, ამით აპირებდა დაცვის მოსყიდვას.

ანუკიმ ის პირველი ღამე თეთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად გაათია. დილას მაღლიდან ნაბიჯების თქარათქური და რაღაც რუსული ბრძანებების მაგვარი ხმები შემოესმა. ცოტა ხანში კი, ვიღაც რუსმა „სალდათმა“ ნახევარი „ბუხანკა“ პური, „ტოლჩით“ ცხელი ჩაი და „მისკით“ რაღაც ყვითელი სალაფავი ჩამოუტანა. ანუკიმ ის პურიც, ჩაიც და ის სალაფავიც ისე გემრიელად შესანსლა, თავადაც მაგრად გაუკვირდა, — რა მემართებაო?.. მერე ეს ამბავი, თავის გადარჩენის ინსტინქტს დააბრალა. იმას კი ვერ მიხვდა, რომ მთებში იყო, სუფთა, ჟანგბადით გაჯერებულ ჰაერს ყლაპავდა და ის აშივებდა, ქალაქის მტვრიან და დახუთულ ჰაერს შეჩვეულ ორგანიზმს. ნაბიჯების თქარათქური და რაღაც ბრძანებების ხმები დროდადრო მეორდებოდა. ისევ ჩამოუტანეს საჭმელი, ისევ — რაღაც სალაფავი, უფრო მკრთალი ფერის, პური, პატარა კოჟრიანი ვაშლი და „ტოლჩით“ წყალი. როგორც კი საჭმელი დაინახა, მიხვდა, რომ მაგრად მოშივებოდა. ისევ ყველაფერი ჩანთქა. მერე თავისი საქციელი გააანალიზა და, — ცუდი არაფერი მელის, როგორც ჩანს, თორემ გული ხომ ოდნავ მაინც უნდა მიგრძნობდესო!.. რატომ ფიქრობდა ასე, თავს ინუგეშებდა და იმხნევებდა?.. შესაძლოა.

როგორც კი სოფელს გასცდნენ და ძაღლების ყეფა და ღავღავი მიწყდა, გოჩუნამ მთების სიჩუმეს მიაყურადა. ვალიკო სწრაფად არბოდა, თავისი „ბათინკებით“, ხან ბალახიან და ხანაც — ცარიელ, კლდოვან ფერდობზე, როგორც ჯიხვი თუ საიგაკი. გოჩუნას კი, რომელსაც „ბოტასები“ ეცვა და ასფალტიან გზას იყო შეჩვეული, მართალია მუხლი უჭრიდა, მაინც მთელი ძალისხმევა უნევდა, რომ ვალიკოს არ ჩამორჩენოდა.

— ჩქარ იარ, ბალღო, არ დაგვათენდის, არვინ შაგვნიშნას... — აჩქარებდა ვალიკო გოჩუნას და გოჩუნაც პასუხობდა.

— მოვდივარ, ხომ მოგდევ!

ვარსკვლავებით მოჭექილ ზეცას უეცრად თითქოს შავი ნაბადი წააფარესო, ჩამოიქუფრა და ჩამობნელდა.

— ფუჰ, დაგვიჭირ ამ ტიალ ცამა... ვენდევი და — აჰა! ფუჰ! აზრი აღარ აქვის სიარულსა! აქ უნდ მავიცადოთ, ბატარა ხანსა...

ამის თქმა კი მოასწრო ვალიკომ და, თითქოს კაშხლის ჯებირი გაანგრიაო, ისე უეცრად მოსწყდა ციდან ღვართქაფი და ქარმა, ალაყმალაყითა და წივილ-კივილით, სტვენითა და მუქარით გაიწუილა. ცა კი ისეთმა დამაბრმავებელმა და დაკლაკნილმა ელვამ გაკვეთა, ისეთ მჭახე, ისეთ მგრგვინავ ხმაზე იჭექა, გოჩუნას ეგონა, რომ ზეცა ჩამოიქცა, მიწას დაეცა და დედაბუდიანად, ყველაფერი ქვესკნელში ჩაიტანა.

— აიტ, დადადა! ტორ დაჰკრის, ტორ მიწასა!

ისევ დაარტყა, ახლა — მეორე მხრიდან. და გასიპული, მსხვილ-მსხვილი, კაკალივით სეტყვა წამოაყარა.

— თავ არ აიღო მაღლა, თვალჩი არ მაგხვდას, თორ ამოგიგდავს კაკალს. მოდ, შავეფაროთ ერთად, მოდ აქ!

თავზე ზურგჩანთადადებული ორი კაცი იმ ყიაბნელში, ქარის ხარხარსა და ხორხოცში, ერთმანეთს ეკვროდა და ფეხდასხლეტილი, სიცილითა და გინებით ელოდა ავდრის გავლას.

ცა იმუქრებოდა, ელავდა, გრუხუნებდა, ყინულივით ცივ-ცივი წვიმისა და სეტყვის შოლტებს ყველა მხრიდან უტყლაშუნებდა და აშინებდა კაცებს.

— დაუშვ, დაუშვ კიდევა, ბგონია, შაგვაშინავ?! შეგეშინდა, განა?

— დედაც ვატირე! ასე მგონია, მთლად ტიტველი ვარ და არაფერი მაცვია.

— ჰო, ასე იცის, წარამარ გაავდრდის, გაგიჟდ-გადირევის, გაფუჭდების ამინდი მთაჩი. გადივლის, ნუ გეშინის... ასეთ, ბარჩი ვერასდროს ნახვიდე, ხო? ბარჩი ჟუჟუნა წვიმა იცის, მარტო, ხო?

— ჟუჟუნა არა, ბიჭო, მაყვალა!.. ჟუჟუნა წვიმა... — გაიცინა გოჩუნამ. — არა, ეს არ აპირებს გადავლას.

ისევ დაიქუხა, დაიგრგვინა, ციდან ჭექა წამოვიდა და მათ ახლოს მეხი გასკდა. განათდა, თითქოს ცა გაიხსნაო, ელვამ კაცებს თვალი მოსჭრა და კიდევ უფრო მძლავრად იჭექა. ექო კი, ხან ერთ მხარეს ჩაიკარგებოდა და ხან — მეორე მხარეს.

— კაი, გეყოფის, გეყოფის! — წყენით ეუბნებოდა ვალიკო ავდარს. — რაი ოხრობა არ, არ გადიღოს, მგონია!..

გადაიღო. უეცრად, გორგოლაჭებზე შემდგარი გოგონა რომ ჩაიქროლებს და თვალს მიეფარება, — ერთიც გაიშრიალა და დადუმდა. ახლა კუნაპეტი და წყვდიადი ჩამოწვა.

— რაი ოხრობაა, არაფერი სჩანის!.. ცუდ ფეხზე თუ წამავსულვართ... — არ იძვროდა ადგილიდან ვალიკო.

— რა ცუდ ფეხზე?! თუ წამოვედით, უნდა გავიდეთ კიდეც, არა, ბოლოში?! — აღელდა გოჩუნა.

— ამ სიბნელეჩი?!. ორთავ გადვიჩეხთ თავს და ბოლოში გავალისთ, მართლაც, საიქიოს... — გაიცინა ვალიკომ.

— შენ გეცინება და მე გავრეკო, ლამის... ისედაც ძლივს მოგყვებოდი ამ „ბოტასებში“ და ახლა როგორ უნდა ვიარო?!

— დაიც, ჯერ გავიხდოდეთ ტანსა, დავწურვიდეთ სამოსსა. დამიჯერებდე, ჰო, ჰო!

და ვალიკომ მაშინვე გაიძრო ჯერ ზედა სამოსი და მერე, საერთოდ, ყველაფერი. გოჩუნამაც მიჰბაძა და ორივე, დედიშობილა, წურავდა სამოსს.

— ქალას ბრალ არ, ქალასი, რაც ამ დედამიწას რამ ხთების!.. ჰო, რო დაგვინახას, ახლა, რა დღეჩი ვართ, მინდორჩი, შიშველ-ტიტველნი... რაიდ, სად მოზდიხოდი, ჩემო მუტრუკო თაო, რაი გინდ, გოჩუნას დიაც შაჰყვარებია და შენ რაი გრჯის, დაეტეოდე შინ თბილ ლოგინჩია, არ გერჩივნას?..

— აუ, ახლა ტირილი გვიშველის, ვალა?! ნუ გაახურე, რა! წამოდი, გამოადგი ფეხი! — გაბრაზდა გოჩუნა. უკვე თვითონ კისრულობდა მეგზურობას.

— კაი, შენ მასწავლიდე გზას და მეც წამავალ, რაიზ არ წამავალ, საით უნდ წახვიდ, იცი?

— გადმოადგი, რა, ფეხი! ვიცი!

გოჩუნამ ავტომატი ჩამოიღო, ხელი ლულაში მოჰკიდა, ტარით — ქვევით, ზედ დაეყრდნო და აღმართს აუყვა.

— ვერ თქვი, თუ გზაი გცოდნიყო?! — აგრძელებდა ხუმრობას ვალიკო და მიჰყვებოდა. — გრძელ გზით თუ წავალისთ, თორ, ადიდდებოდის ხევხუვები.

გრძელ გზას დაადგნენ. მალე ცა

გადაიწმინდა, გაკრიალდა. ვარსკვლავებიც ბლომად დასხდნენ ცაზე და ულამაზეს, უტურფეს ხეობას მაღლიდან დახაროდნენ. მთებში მარგალიტებივით გაბნეული, დანამულ-დაცვარული მინდვრები მწვანედ ახასხასდნენ. გათენებულზე, თავქვე დაეშვნენ, ერთი-ორი პატარა, უკვე დაწმენდილი ღელე და ხევის ტოტი გატოპეს და რუსების ასკაციან გარნიზონს მთის წვერიდან დახედეს.

ყაზარმაც, სასადილოც და ტუალეტიც მოვარდისფრო ტუფის ქვით იყო ნაშენი. გარშემო კი, ტუფის ქვისავე გალავანი ერტყა. ერთადერთი სათვალთვალო კოშკი იმ უტყეო მინდორში, ცალფეხა წეროსავით იყურებოდა.

— „ავ ძაღლუკაი არც თავისათვის იყვის და არც სხვათ ასვენებდის...“ — რუსზე თუ თქმულა! ერთ დიდ ბომბა სუ მოფხეკდის ამათა... — ჩაიჩურჩულა ვალიკომ. — აგეი, გახედევი, ხედავდე ამათ ციხესა? ის ხო ფეხსალაგ არ, ის კიდევა, მაგათი „გაუფთვახტი“, „კარჩერი“. ის მავთულის ღობეი, მაგიტომც არტყავის...,

— როგორ უნდა მივუდგეთ, მერე? ჩვენ კი არა, თაგვსაც დაინახავენ, საიდანმე თუ შეძვრა.

— შენ აქ დარჩი. მე წავალის, მიცნობდიან. მომე აქ ჩემი ბოცაი. აიმ მთით ჩავალის.

— მაშ, ეს ავტომატები რისთვის წამოვიღეთ?

— მგელ თუ დაგვეცემოდის ან დათვ გადგვეყრებოდის...

— მგელი და დათვი — არა!..

— რაით არ გჯერა? ორ-სამ კაც ყოველ წლივ გლეჯს დათვი და მგელუკაი.

ვალიკომ მარტო ბოცა აიღო და დამრეცზე მოკლე ნაბიჯებით დაიწყო ჩასვლა.

ასი ათასის ნაცვლად, ჟიპიტაურის ხუთლიტრიანით რანაირად უნდა გამოეხსნა ანუკი, გოჩუნასთვის ნამდვილი გამოცანა იყო...

მალე გამოჩნდა, ორ მთას შუა პატარა ბილიკით ყაზარმისკენ მიდიოდა და ქუდს იქნევდა.

ცოტა ხანში საყარაულო ჯიხურში გაუჩინარდა. მერე ეზო გადაჭრა და ყაზარმაში შევიდა...

ალბათ ორი საათიც გავიდა და მეტიც, სანამ ვალიკო ისევ გამოჩნდებოდა. მთელი ეს დრო გოჩუნა გულის ფანცქალით ელოდა, რა მოხდებოდა. ყაზარმის კარს, რომელიც შორიდან შავად მოჩანდა, თვალს ვერ აცილებდა. ბოლოს ვალიკოც გამოჩნდა, რომელსაც აქეთ-იქიდან ორი ჯარისკაცი მიჰყვებოდა. სამივენი გამობრუჟულიყვნენ და ფეხს გვარიანად ურევდნენ. სამივე კარცერისკენ მიდიოდა და მალე ჰაუფტვახტის კარში გაუჩინარდა.

ხუთი წუთიც არ იყო გასული, რომ სამივენი ისევ გარეთ გამოვიდნენ. მათ ავტომატიანი მორიგეც გამოჰყვა, რომელიც კართან გაჩერდა. ვალიკომ და იმ ორმა ერთმანეთი დიდის ამბით გადალოშნეს, დაემშვიდობნენ და ვალიკო ბანცალ-ბანცალით გარნიზონის კარისკენ წავიდა.

„რა ხდება, რატომ გამოვიდა ანუკის გარეშე? ან რატომ გამოთვრა ასე? აკი, დანამდვილებით იცოდა, სად უნდა ყოფილიყო ანუკი!“ — გოჩუნას გული ეკუმშებოდა, ვერ გაეგო, რა ხდებოდა. ვალიკოზე ეჭვის მიტანა როგორ შეიძლებოდა?! მაგრამ ეჭვი რის ეჭვია, რომ ხშირად სწორედ იქ არ გაჩნდეს, სადაც არაფერი ესაქმება?!. სადაც მისი გაჩენით, ყველაფერი ინგრევა, ჩინეთის დიდი კედელივით, ასწლეულობითაც რომ იყოს ნაშენ-ნადუღაბები...

მალე ბილიკზე ვალიკოც გამოჩნდა. ქვემოდან ხელი დაუქნია და გოჩუნამაც ისეთი სისწრაფით ჩაიქროლა ის ფერდობი, თითქოს მთელი ცხოვრება აქ, ამ მთებში გაუტარებია.

— რა გითხრ, რო არ ვიც... — ეს იყო ვალიკოს პირველი წინადადება, როგორც კი გულამოვარდნილი გოჩუნა მიუახლოვდა.

გოჩუნა გათეთრდა. მუხლი მოეკვეთა და ალბათ დაეცემოდა კიდეც, შეშინებულ ვალიკოს ხელი რომ არ მიეშველებინა.

— ცოცხალ არ, ცოცხალ!..

— აუ, რა პირუტყვი ხარ! — ბალახზე ჩაჯდა გულგახეთქილი გოჩუნა. — რას ნიშნავს, ცოცხალ არ, გამაგებინე!

— ბესლანს არ, ბესლანს ჩამოუსვამთ მანქნიდან.

— ასი ათასი?.. რა, დააწერეს მაგისებს, მიატანინეს?

— საად ჰქონებავ, რო?! მამა ჩაუსვამთ ციხეჩია, ანუკისა. თუკი რაიმე ჰქონიყო, ყადაღა დაუდვია პოლიციასა. აზრ არ ჰქონებავ მოტაცებასა.

— რა-ა?! ანუკის მამა დაუჭერიათ?!

— ჰო, ჰო!

— ანუკი — ბესლანში?! მარტო, უფულოდ?! უპატრონოდ?!! საიდანაც მოიტაცეს, იქვე რატომ არ მიიყვანეს?

— კაი, ნუ ნაღვლიანობ, უნდა გავსწიოთ ბესლანჩია.

— და ქუჩა-ქუჩა ვეძებოთ?.. „სალდათების“ ტანსაცმლით?!.

— ნუ გენაღვლების მაგაზედა. ბიძაშვილი მყავ იქ, ილიაი, ის მოგვცემს რამესა.

— და მანამდე?..

— გავყვებით მანქნებსა, ავტობუსიც დადის. შენ თავი საქართველოჩი ხომ არ გგონავ? ოსეთს ხარ, ჩვენებურებჩია!..

ეს კი ვერაფრით ვეღარ გაიგო გოჩუნამ — რატომ იყვნენ ოსები „ჩვენებურები“?.. ან, რა საჭირო იყო ამის გაგება?! ახლა მთავარი, ანუკის მოძებნა და გადარჩენა იყო. და მართლაც — განა, თავისიანებში არ იყო?! იქ, სადაც არავინ ეძებდა, არც პოლიცია და არც უშიშროება...

პირველი კოცნა გაახსენდა. პირველი გაბრუება და „მარადისობაში გადასვლა“. პირველი ღამე... მეტი არც ყოფილა, საერთოდ. ის ერთი იყო, პირველიც და უკანასკნელიც...

ვალიკომ დაშლილი ავტომატები თავის, „ხე-ბეს“ ხალათში გაახვია, თვითონ უმკლავებო შავ მაისურში დარჩა, გახვეული ავტომატები იღლიაში ამოიჩარა, ზურგჩანთა გოჩუნას დაჰკიდა ზურგზე და გზას დაადგნენ.

ტრასაზე მალე გავიდნენ, ავტობუსმაც გამოიარა და შუადღისას, უკვე ბესლანში იყვნენ, ორივენი — ლურჯ, თეთრ და წითელზოლებიან სპორტულ „პიჟამოებში“ გამოწყობილნი, რომლებითაც ილიამ შემოსა, თან დააპურა და მათაც ილიასგან პირდაპირ ბესლანის უშველებელ ბაზრობას მიაშურეს, იქ, სადაც რუსეთის მთელ „ინტერნაციონალს“ მოეყარა თავი და „იმპორტ-ექსპორტით“ გაქანებული ვაჭრობდა.

— აქ უნდ იყვის, მაშ, სად წავიდოდის?! — წარამარა ამბობდა ვალიკო და ხან ლეოპარდის ქურქს დაადებდა ხელს და დააფასებინებდა, ხან — ყველაზე ძვირად ღირებულ იაპონურ ტექნიკას. — დიდძალ ფულ იშოვა რუსმა, დიდძალ! აქ რო ფულ არ, არსადა...

„არა, ანუკი ამ მილეთის ხალხში ვერ გაძლებდა, არა, ანუკი აქ არ იქნება...“ — ფიქრობდა გოჩუნა და ვალიკოს ხელისკვრით მიაქანებდა: „წინ, წინ, წინ!“... სახეები, სახეები, სახეები... სომხური, თათრული, ებრაული, ჩინური, ოსური, მონღოლური, თურქული, კაზაკური... დაკრეჭილი კბილები: ჭიანი, ოქროსი, ვერცხლის, ფაიფურის... შორტებში გამოწკეპილი, მზეზე გარუჯული, შხვართი ფეხები, თავსაბურავიდან მომზირალი, შავი მაყვალივით თვალები და მოშვილდული შავი წარბები... „ანუკი არც ერთი მათგანი არ არის, ანუკი აქ არ არის... სად იქნება? სად შეიძლება იყოს?..“

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჟურნალის საპასუხოდ

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი.

1. სატირულ-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“ 1923 წლის 3 ივნისს დაარსდა. რა სახელწოდებით გამოდიოდა იგი 1924-1930 წლებში?
2. ვის ეკუთვნის გამოთქმა „გამარჯვებულებს არ ასამართლებენ“?
3. რა არის ცელიბატი?
4. ყველაზე ხშირად, რას ასწავლიან მოლაპარაკე თუთიყუშებს?
5. ჯამილა, ხაფიზა, ზულფია, ზუხრა, ლეილა, ზარინა, სარიდა, გიუზელ... ვინ აკლია ამ ჩამონათვალს?
6. მეორე მსოფლიო ომის დროს, ინგლისელი ტელეგრაფისტები ხშირად ერთვებოდნენ გერმანულ ბომბდამშენთა რადიოსიხშირეზე. რა მიზნით?
7. სადაური სიმღერებია „ბუბა ქაქუჩელა“ და „მირანგულა“?
8. რა ნათესაური კავშირი ჰქონდა სერგეი ესენინს ლევ ტოლსტოისთან?
9. ამ თანამედროვე პოეტზე უამრავ კურიოზს ჰყვებიან. ერთხელ, პატარაობისას, თბილისის უნივერმაღის წინ, ბებიასთან ერთად მოსეირნეს, გასაყიდად გამოტანილი ველოსიპედებისთვის მოუკრავს თვალი და მიყიდეო, — ახირებია ბებიამისს, რომელსაც უარი უთქვამს, მაგრამ შვილიშვილი ადგილიდან ვეღარ დაუძრავს. როცა ვერც ხვეწნამ გაჭრა და ვერც — ძუძარამ, ბოლოს ხელი სტაცა და შინისკენ ძალით წაათრია. ამის პასუხად, ბავშვმა ყვირილი მორთო: ამ ქალს არ ვიცნობ, მიტაცებს და სადღაც მივყავარო. ატყდა ერთი ამბავი. ხალხმა თავი მოიყარა და ხანდაზმულ ქალბატონს ლამის დაკითხვა მოუწყვეს. ბედად, ამ ამბავს მათი მეზობელი შეესწრო, რომელიც კარგა ხანს უხსნიდა ყველას, ამ ქალბატონს ვიცნობ და ეს ბავშვი ნამდვილად მისი შვილიშვილიაო. დაასახელეთ იგი.
10. კორეის ომში ტყვედ ჩაბარებულ კომუნისტებს, უპირველეს ყოვლისა, ტანსაცმელს ხდიდნენ. რატომ?
11. როგორ ძროხას, ცხვარსა და თხას ეძახიან დოლას?
12. კიბორჩხალა 4000 სახეობისა არსებობს. მათგან რომელია საჭმელად ვარგისი?
13. რატომ გახდა მსოფლიო ომის დროს ამერიკაში აბრეშუმი სანთლით საძებარი და ვინ დაზარალდა ამ დეფიციტით ყველაზე მეტად?
14. ერთხელ, ჟირინოვსკის პირდაპირ ჰკითხეს: „რა ეროვნების არის მამათქვენი?“ რა უპასუხა მან?
15. რომელ ქალაქში დაიბადა ნატო ვაჩნაძე?

ანეკდოტები

***

— დედიკო, დღეს ცუდი ნიშანი მივიღე.

— რაში? სუფთა წერაში?

— არა, სუფთა მათემატიკაში.

***

ქმარმა დაინახა, როგორ მოათრია ცოლმა ბაზრიდან დიდი და მძიმე ჩანთები. გაბრაზებულმა მუშტი დაჰკრა მაგიდას და თქვა:

— კმარა, ძვირფასო, ამას ბოლო უნდა მოეღოს. ჩემი ცოლი ასეთ მძიმე ჩანთებს არ უნდა ეზიდებოდეს.

— რას მირჩევ, საყვარელო?

— დღეიდან, ორ-ორჯერ წახვალ ბაზარში.

***

— ექიმო, მითხარით, ჩემნაირი გარეგნობის ქალს აქვს თუ არა შანსი, რომ ცოლად გაჰყვეს ახალგაზრდა, ლამაზ და მდიდარ მამაკაცს?

— ქალბატონო, ეს პოლიკლინიკაა, ფსიქიატრიული საავადმყოფო კი პარალელურ ქუჩაზე მდებარეობს.

***

— შვილო, სკლეროზი მაქვს და ბელინსკის ქუჩას ვერ ვაგნებ. ხომ ვერ მიმასწავლი?

— როგორ არა, ბებო, ამ შენობას რომ გასცდები, მარჯვნივ შეუხვიე და ბელინსკის ქუჩაზე მოხვდები.

— ღმერთი გაგახარებს... ბარემ, ნომერიც მითხარი, რა...

***

მთვრალი ტროტუარზე წევს. თავზე პოლიციელი დაადგა.

— მოქალაქევ, ადექით.

— სადა ვარ?

— ჭიშკართან.

— აუ, დახურე, რა, მიბერავს!..

***

— მოდი, შევთანხმდეთ, — ეუბნება ცოლი ქმარს, — რამდენჯერაც ქალთან გაივლი, იმდენ ასდოლარიანს ჩამიდებ ჯიბეში, ოღონდ ისე, რომ ვერაფერს მივხვდე. კარგი?!

— შენ მე მილიარდერი ხომ არ გგონივარ?! — აყვირდა ქმარი.

***

— ხახვს რომ ჭამ, რატომ ტირი, ვალოდა? — ეკითხებიან ოსს.

— მეტი აღარ მაქვს და იმიტომ.

***

— ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები შემოგწირე! — ეჩხუბება ცოლი ქმარს.

— ღმერთო ჩემო! ესე იგი, ამაზე უარესი წლებიც მელის?..

***

რატომ ატარებენ მამაკაცები გრძელ კოსტიუმებს?

— იმიტომ, რომ მოკლე კაბით გამოწვეული აღფრთოვანება დაფარონ.

***

მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება:

— აბა, დამისახელე ორი რომელიმე ნაცვალსახელი.

— ვინ, მე?

— ყოჩაღ, სწორია!

***

შეიხი თავის ერთ-ერთ ცოლს ეფერება:

— შენი თვალები ცისკრის ვარსკვლავივით ანათებენ, შენი ტუჩები ლალის თვლებივით ელავენ... და რაც გითხარი, სხვებსაც გადაეცი.

***

— ქალიშვილო, მე ვიცი, რომ თქვენ დიდი ხანია, თეთრ რაშზე ამხედრებულ პრინცს ელოდებით...

— დიახ...

— და აი, მეც აქა ვარ!

— რა მაგარიააა! და პრინცი სად არის?!..

***

ექიმი პაციენტის ავადმყოფობის ისტორიას კითხულობს და ეკითხება:



— რამდენი წლისა ხარ?

— სამ თვეში ორმოცის გავხდები.

ექიმმა ანალიზების პასუხებს ჩახედა:

— ვერაფერსაც ვერ გახდები, ძმაო!

***

ჭიჭიკიას სტუმრები ეწვივნენ. დაფაცურდა ჭიჭიკია; რითიც შეეძლო, ყველაფრით გაუმასპინძლდა ადამიანებს, რომლებმაც სვეს, ჭამეს, მოილხინეს და ბოლოს, წასასვლელად მოემზადნენ. გაცილებისას, ჭიჭიკიამ მათ ბოდიში მოუხადა: ცოლი სახლში არა მყავს, თორემ უფრო მეტ პატივს გცემდითო.

— აჰ, მაგაზე არ იდარდო, ჭიჭიკია, ახლა სწორედ ნაშებიდან მოვდივართ, — დაამშვიდეს სტუმრებმა.

***

— რა აზრისა ხართ ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობაზე?

— გენიალური რამეა! აბა, აწი მცემოს, ცოლმა!

***

— შენს ქმარს უცხო კაცთან უნახავხარ, ლოგინში?

— არა, რას ამბობ?! მარტო ჩვენს ანზორიასთან მნახა, რამდენჯერმე...

***

კაცი მეგობარს შესჩივის:

— ამ ჩემი ცოლის ვერაფერი გამიგია, ბიჭს ველოდებოდი, გოგო გამიჩინა, გოგოს ველოდებოდი — ბიჭი, არაფერს ველოდებოდი — ტყუპი.

***

ძუკუ კროსვორდს ხსნის და ძმას ეკითხება:

— 15 სმ სიგრძისაა და ქალებს მაგრად ევასებათ. რა უნდა იყოს, ნეტა?

— ასდოლარიანი, შე უტვინო.

***

სვანს ასაფლავებენ. ჭირისუფალი ხალხს ეუბნება:

— ყველანი ერთად შეგროვდით. ახლა თაიგულს ვისვრი და ვინც დაიჭერს, შემდეგი ის იქნება.

***

მაღაზიაში გამყიდველმა მყიდველს ხურდა არ დაუბრუნა:

— მაპატიეთ, მაგრამ ხურდა არ დაგიბრუნებიათ.

— მიპატიებია!

ჭორნაკების სავარჯიშო

„გზის" ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ამ წლებში, ეს უურნალი გაზეთ „მუშის" დამატება იყო და „ტარტაროზის" სახელწოდებით გამოდიოდა.
2. ეკატერინე მეორეს. ეს ფრაზა რუსეთის იმპერატრიცამ მიხეილ სუვოროვის მისამართით წარმოთქვა, რომელმაც ერთ-ერთ ციხესიმაგრეზე თვითნებური შეტევა განახორციელა.
3. სასულიერო პირის დაუქორწინებლობის აღთქმა, კათოლიციზმში.
4. საკუთარი ბინის მისამართს.
5. გიულჩატაი.
6. რათა მფრინავებისთვის დასაბომბი ობიექტების ყალბი კოორდინატები მიეწოდებინათ გერმანულ ენაზე.
7. სვანური.
8. პოეტს დიდი რუსი მწერლის შვილიშვილი, სოფია ჰყავდა ცოლად. ესენინს იგი არ უყვარდა.
9. კოტე ყუბანეიშვილი.
10. იმის შიშით, რომ ტყვეებს წელზე ხელყუმბარები არ ჰქონოდათ შებმული.
11. ურქოს.
12. სულყველა.
13. ეს ქსოვილი პარაშუტების დამზადებას ხმარდებოდა. ამით გამოწვეულმა დეფიციტმა კი ყველაზე მეტად, ამერიკელი ქალბატონები დააზარალა, რომლებიც აბრეშუმის წინდებს ველარ შოულობდნენ, ნეილონი კი ჯერ კიდევ არ იყო გამოგონილი.
14. „მამაჩემი იურისტია!" — წარბი არ შეუხრია ვლადიმირ ვოლფოვიჩს.
15. ვარშავაში.

ადამიანები ქუჩაში

თუკი შენს ცხოვრებაში მორიგი ეტაპი დამთავრდა...

ის შენი ცხოვრებიდან წავიდა, მიგატოვა; თქვენ შორის ყველაფერი დამთავრდა – ეს რეალობაა და ამას ვერსად გაექცევი... თუმცა ჯერ ჯიდევ ცრემლები გახრჩობს, როცა იმ ადგილებში მარტოს გინევს გავლა, სადაც ხშირად ერთად დადიოდით; მიუხედავად იმისა, რომ ტელეფონის ნომერი შეიცვალე და მასთან დამაკავშირებელი ყველა ძაფი გაწყვიტე, სადღაც, გულის სიღრმეში მაინც ელი მის წარს...

გაერკვიე საკუთარ თავში

დასაწყისისთვის შეეცადე კარგად გაარკვიო — რის გამო გრძნობ თავს ცუდად? ადამიანების ნდობა რომ დაკარგე, იმიტომ თუ ქალური თავმოყვარეობა რომ შეგელახა, იმის გამო? აი, სხვების წინაშე კი სულაც არ ხარ ვალდებული, დეტალები გამომამზეურო. ირგვლივ მყოფთა თავის მომაბეზრებელ შეკითხვებს მოკლედ და ლაკონიურად, იდუმალი ღიმილით უპასუხე: „დავშორდით, რადგან საამისო მიზეზი გვქონდა“.

სიტუაცია აბსურდამდე დაიყვანე!

უარს ამბობ მეგობრებთან ერთად გასართობად წასვლაზე, ცოცხალი თავით არ იხედები იმ კაფესკენ, სადაც მასთან ერთად დადიოდი; ხოლო თუკი იქ შემთხვევით მაინც მოხვდი, ცხელ ყავას ცხელი ცრემლებითვე „აზავებ“. გძულს ჩოგბურთის კორტები, რადგან იქ მის გარეშე არასდროს ყოფილხარ... სულ ტყუილად! საკითხისადმი ამგვარი მიდგომა კარგს არაფერს მოგიტანს.

შეეცადე წარმოიდგინო, რას დაემსგავსება შენი ცხოვრება, თუკი ასე გააგრძელებ: ფეხს სამუდამოდ ამოიკვეთ იმ თავშეყრის ადგილებიდან (თუმცაღა, არც ახალ ადგილებთან „დამეგობრება“ გაწყენდა) თუ მეგობარ-ახლობელთა სახლებიდან, სადაც ოდესმე ერთად ყოფილხართ (ასეთნაირად შესაძლებელია, ბევრი მეგობარი დაკარგო კიდეც — რადგან შესაბამისად, მათაც გაუქრებათ შენთან სტუმრობის სურვილი); გულს აიცრუებ სწავლასა თუ მუშაობაზე (საბოლოო ჯამში, სამსახურის დაკარგვა ან ინსტიტუტიდან გარიცხვა არ აგცდება); და ბოლოს, იმ ქუჩებში გავლაზეც კატეგორიულ უარს იტყვი, სადაც ერთად დახეტიალებდით (შენ რა, საკუთარი ვერტმფრენის მფლობელი ხარ? — თუ ასეა, მაშინ ნამდვილად არ გაგიჭირდება ქუჩების გავლის გარეშე გადაადგილება)... ხუმრობა იქით იყოს და, მოგწონს მოვლენების ამგვარად განვითარების პერსპექტივა?.. ასე რომ, კეთილგონიერება გამოიჩინე და სიტუაცია რეალურად შეაფასე.

მისი აჩრდილი მინაყ არ გასვენებს

მართალია, ის გაგექცა და შინ ნამდვილად აღარ გელოდება, მაგრამ მისგან განსხვავებით, მისი ნივთები არსად აპირებენ გაქცევას. აღარაფერს ვამბობ ერთად გადაღებულ ფოტოსურათებსა თუ მის მიერ მოძღვნილ საჩუქრებზე. ნუ მოგეძალება ნოსტალგია, მისი ტანისამოსი შენს ცრემლმორეულ ამბორს ნამდვილად არ „იმსახურებს“. უმჯობესია, თუ მთელ ამ უსარგებლო ხარახურას ერთ ყუთში ჩაყრი და დაუყოვნებლივ მოიშორებ თავიდან. იგივე განაჩენი გამოუტანე ფოტოსურათებსაც — ხომ გაგიგონია, თვალი თვალს რომ მოშორდება, გულიც გადასხვაფერდებაო... ამის შემდეგ კი ახალი — ანუ მის გარეშე ცხოვრება ისწავლე. ნახავ, ცოტა ხანში ეს ყველაფერი მოგეწონება კიდეც.

კვლავ ერთად გძინავთ...

ალბათ, გულის სიღრმეში ფიქრობ, რომ ამ გზით მას ისევ ძველებური სტატუსით დაიბრუნებ, თანაც გულს იფხან, რომ მას რაღაცაში მაინც „იყენებ“. ის კი უბრალოდ, ბედნიერად გრძნობს თავს: ჯერ ერთი, ტყუილის თქმა აღარაფერში სჭირდება: ყველაფერი გარკვეულია — თქვენ მხოლოდ სექსი გაკავშირებთ; მეორეც, თავისუფალი და გალაღებულია — ნებისმიერ მომენტში, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე, ნებისმიერი ქალის „შებმა“ შეუძლია — თქვენ ხომ ერთმანეთს ოფიციალურად უკვე დაშორდით; და მესამე: კარგად დაფიქრდი, ვინ ვის იყენებს ამ სიტუაციაში.

„ეს ჩემი ცხოვრების დაისია...“

ნუ იჩქარებ დასკვნების გამოტანას, ნუ ეცდები დაარწმუნო საკუთარი თავი, რომ შენს ცხოვრებაში ყველაფერი დამთავრდა. ეს ასე არ არის — უბრალოდ, დამთავრდა მორიგი ეტაპი. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ახალი ეტაპი იწყება. თანაც, აქედანვე ნუ გააუფერულებ შენს ნათელ მომავალს სულელური ქცევებით: არ ღირს მისის მარპლის ან ერკიულ პუაროს როლი მოირგო და მის ყველა ნაბიჯს უთვალთვალო; დაფიქრდი — განა რაიმეში გჭირდება მისი ტელეფონის ნომერი ან ახალი ბინის მისამართი? ნურც მისი მისი ახლანდელი რჩეულის ადგილას ყოფნას ინატრებ — არავინ იცის, მომავალში როგორ განვითარდება მათი ურთიერთობა.

უმჯობესია, მიეცი თავს დრო — ერთი კვირა, ერთი თვე — საიმისოდ, რომ აზრები დაალაგო და წარსული ერთხელ და სამუდამოდ გამოიგლოვო. ამ განსაზღვრულ პერიოდში „იტანჯე“, როგორც საჭიროა — გეგმის მიხედვით: გაიხსენე, როგორი კარგია ის, მაგრამ ამ „სასიამოვნო მოგონებებს“ ყოველდღიურად მხოლოდ თითო საათი დაუთმე; კიდევ ნახევარი საათი გამოყავი იმისთვის, რომ გაიხსენო, თუ როგორ გაიცანით ერთმანეთი; ამის შემდეგ 15 წუთი იტირე ბალიშში თავჩარგულმა (მეტხანს ცრემლების ღვარღვარი არ ღირს, თორემ ქუთუთოები დაგისივდება, თვალის ჭრილი დაგიწვრილდება, შენი ყოფილი გულის სწორისთვის კი ამხელა მსხვერპლის გაღება მეტისმეტია); და კიდევ 5 წუთი — საკუთარი თავის შესაცოდებლად გაიმეტე.

ჩამოწერე გეგმა? — მკაცრად დაიცავი, არ გადაუხვიო და შემდეგ, წინ — მომავლისაკენ!

ნაოჭები — ქალის სილამაზის მტერი

ადრეული ნაოჭები

ადრეული ნაოჭების განვითარებას გენეტიკური თავისებურებები, ორგანიზის საერთო მდგომარეობა და გარემოს მავნე ფაქტორთა ზეგავლენა განაპირობებს.

ქალთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ნაოჭების თავიდან ასაცილებლად, საკმარისია მკვებავი კრემის გამოყენება. მაგრამ ეს ასე არ გახლავთ. ამ მიზნით უნდა მიმართოთ სხვადასხვა სამკურნალო საშუალებას, ფიზიოთერაპიულ პროცედურებს, ნიღბებს. გარდა ამისა, უნდა ერიდოთ მოკლე დროში გახდომას, ასევე ზედმეტად გასუქებას, გადაღლას, უძილობას; შეძლებისდაგვარად აარიდოთ თავი სტრესულ მდგომარეობას. ალკოჰოლის ჭარბი მიღება და თამბაქოს მოწევა ასევე აჩქარებს ნაოჭების გაჩენას.

ახალგაზრდა ასაკში ნაოჭების გაჩენის მიზეზი შეიძლება გახდეს კოსმეტიკური საშუალებების არასწორი გამოყენება. ამ დროს, განსაკუთრებული მოფრთხილება სჭირდება კანს თვალის ირგვლივ. ზოგიერთმა კოსმეტიკურმა საშუალებამ შესაძლოა კანის აქერცვლა და გამოშრობა გამოიწვიოს. ამის შედეგად კანი კარგავს ელასტიკურობას და ჩნდება ნაოჭების გაჩენის საშიშროება.

ადრეული ნაოჭები მით უფრო სწრაფად ჩნდება, რაც უფრო მოდუნებულია სახის კუნთები.

ამრიგად, ნაოჭებთან ეფექტური ბრძოლისთვის უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი რეკომენდაციები:

- გამოიყენეთ მკვებავი კრემები. ამ დროს თავისთავად ხდება კანის მასაჟი.
- იზრუნეთ კანის მუდმივ სისუფთავეზე, რადგან კანსაც სჭირდება სუნთქვა და ჟანგბადი.
- ეცადეთ, კარგად გამოიძინოთ.
- ზომიერად გაანაწილეთ ფიზიკური და გონებრივი დატვირთვა.
- სასურველია, გამაჯანსაღებელი ვარჯიშების შესრულება.
- სახის კანზე ზრუნვა 19-20 წლის ასაკიდან დაიწყეთ.

ასაკობრივი ნაოჭები

ხანდაზმულ ასაკში ნაოჭების გაჩენა სავსებით ბუნებრივი მოვლენაა, თუმცა სწორი და სისტემატური მოვლა საშუალებას მოგცემთ, რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნოთ ახალგაზრდული კანი.

საერთოდ, ნაოჭების გაჩენას ყველაზე მეტად სახის კანის გამოშრობა უწყობს ხელს. ამიტომ უნდა ეცადოთ, ტენიანი კანი გქონდეთ. ზოგიერთი ქალი გახდომის მიზნით ნაკლებ წყალს სვამს, რაც დაუშვებელია — კანი შრება და ელასტიკურობას კარგავს.

ასაკთან ერთად იცვლება კანქვეშა ცხიმის გადანაწილებაც, რაც ნაწილობრივ დამოკიდებულია კვების რეჟიმზე, ამიტომ საკვები გონივრულად მიიღეთ — ცოტ-ცოტა და ხშირ-ხშირად.

ასაკობრივი ნაოჭების საწინააღმდეგოდ ეფექტური საშუალებაა ვიტამინიზებული კრემები, წყალი (სითხე) და მიმიკური კუნთების ვარჯიში.

სპეციალური საშუალებები კანის კვებისთვის

ნუშის ნატრალური რძე

25 გ გარჩეული, ტკბილი ნუში დანაყეთ ან დაფქვით. დაასხით 1/2 ჩ/ჭ თბილი, ანადუღარი წყალი. კარგად შეანჯღრიეთ. დაუმატეთ ცოტა მარილი, გაწურეთ დოლბანდში. შეინახეთ ცივ ადგილას. გამოყენებამდე — დილას და საღამოს კვლავ შეანჯღრიეთ. დაისხით ხელისგულზე 1-2 ჩ/კ სითხე და კარგად შეიზილეთ სახესა და ყელზე. თუ გაფართოებული კაპილარები გაქვთ, გირჩევთ, მარილის ნაცვლად დაუმატოთ ტანინი, რომელიც წინასწარ იქნება გახსნილი 1 ჩ/კ თბილ წყალში.

მცენარეული ნაყენის კომპრესები

თუ მშრალი კანი გაქვთ ან — რაიმე გამონაყარი, სასურველია დღეგამოშვებით თბილი კომორესების დადება ან სახის გაწმენდა შემდეგი შემადგენლობის ნაყენით: 1 ს/კ ცაცხვის ყვავილები მოხარშეთ 1/2 ჩ/ჭ რძეში და მიღებული ნაყენი 20-25 წუთი მოათავსეთ ცხელი წყლით სავსე თასში.

თუ კანი მგრძნობიარე, ნაზი და ფორებიანია, მაშინ ცაცხვის ყვავილის მაგივრად აიღეთ ვარდის ან სალბის მშრალი ფურცლები. 1 ს/კ მცენარე მოხარშეთ 1/2 ჩ/ჭ წყალში და დაუმატეთ იმავე რაოდენობის რძე.

სახე უნდა გაიწმინდოთ ნაყენში დასველებული ბამბის ტამპონით.

მარილიანი აბაზანები

მარილიანი წყლით დაბანა კარგად მოქმედებს სახის კუნთებზე. დილით, კრემის წასმიდან 20-25 წთ-ის შემდეგ, სახე დაიბანეთ გრილი, მარილიანი ხსნარით (1 ჩ/ჭ წყალზე 1 ჩ/კ მარილი). პროცედურა შეასრულეთ 15-20 დღის განმავლობაში, ყოველდღე. 2-3 კვირის შემდეგ, კურსი გაიმეორეთ. ■

რუბრიკა მოამზადა
ეკა გუნთაიშვილმა

ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ
ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. რეიტინგი	1.00	26.0
2. გზა	0.80	20.8
3. Женский журнал	11.65	69.7
4. Женское здоровье	7.00	41.8
5. Сандра	4.00	24.0
6. Все для женщины	0.80	19.9
7. Гламур	7.20	43.2

ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲮᲕᲐ
ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ

ᲞᲠᲔᲡᲘᲡ
ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ
ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ
ᲒᲐᲛ „ᲔᲚᲕᲐᲔᲥᲡᲠᲔᲡᲘ"

Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲫᲘᲡ Ქ. № 49
ᲢᲔᲚ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ᲤᲐᲥᲡᲘ: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

დასაწყისი იხ. „გზა“ №27-46

ვოვას განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია პოპოვის გაფრთხილებისთვის. მისთვის გასაგები იყო პოლიციელის პოზიცია — პოპოვი გადაიღალა „ვერშინასთან“ დაკავშირებული დაძაბულობით და ასე ცდილობდა, ოლქის არასასურველი პიროვნებებისგან გაწმენდას. მაგრამ ხარკოვიდან გამგზავრებამ მაინც მოუწია. ეს თავდასხმისას დაღუპული ოთხეულის პროზექტურიდან გასვენებას მოჰყვა.

დაღუპულების ჭირისუფლები ფრთხილობდნენ, მაგრამ სკლიარის ხალხს მაინც არ გამოჰპარვია პროზექტურასთან გამოჩენილი ორი უცნობი. მათ მხოლოდ ერთი საათი გაატარეს პროზექტურაში. შემდეგ კი სწრაფად გაეცალნენ იქაურობას. თავიდან, სკლიარის ხალხს, განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია უცნობებისთვის. შეტაკებისას დაღუპულთა გვამების გადასვენება, ოლქის პოლიციის მონაწილეობის გარეშე, შეუძლებელი იყო. პროზექტურაში კი პოპოვის ხალხი საერთოდ არ გამოჩენილა. მაგრამ ამის მიუხედავად, სკლიარმა უცნობებს მაინც დაუწესა მეთვალყურეობა. ვიდრე მისი ხალხი მანქანით უცნობებს მიაცილებდა, პროზექტურიდან ინფორმაცია მოვიდა — უცნობები მამონტოვს გვამების გადასვენებაზე შეუთანხმდნენ. თანაც, მათ უკვე მიღებული ჰქონდათ პოპოვის ნებართვა. სკლიარმა მაშინვე გაზარდა მეთვალყურეების რაოდენობა, მაგრამ ამას რაიმე შედეგი არ მოჰყოლია. უცნობები ქალაქ ხარკოვში აღარ გაჩერებულან. პროზექტურიდან პირდაპირ აეროპორტს მიაშურეს და მოსკოვში გადაფრინდნენ. თუმცა სკლიარის ხალხი ხელცარიელი მაინც არ დარჩენილა. აეროპორტში უცნობების ვინაობისა და მისამართების დადგენა დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. ისინი მოსკოვში მცხოვრები კავკასიელები აღმოჩნდნენ. ერთი ჩეჩენი იყო, მეორე — აფხაზი. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ ირაკლი ორივეს იცნობდა. ისინი ზენერ ჩაჩბას დაჯგუფების წევრები იყვნენ. ამ ცნობით, ვოვა და ირაკლი ლუკასთან გაემგზავრნენ.

— ჩაჩბას ხალხი?! — გაუკვირდა ლუკას, როდესაც ვოვამ ყველაფერი უამბო.

— ჰო... ისინი იყვნენ.

— მაგრამ მაგის „სასტავში“ ჩეჩნები არ არიან, — შენიშნა ლუკამ.

— გამზათის ხალხია, — ჩაურთო ირაკლიმ, რომელიც უკეთ იცნობდა მოსკოვურ „ბრიგადებს“.

— მაშინ ყველაფერი თავ-თავის ადგილზე დგება. ჩაჩბა ვერ გადავიდოდა ჩერმენთან ნათქვამ სიტყვას. იცოდა, რომ ამისთვის უეჭველად დაიბრიდებოდა, მაგრამ გამზათს ასეთი სიტყვა არ უთქვამს... — განაგრძო ლუკამ.

— რა გამოდის? — შუბლი მოისრისა ვოვამ. — ჩვენ აქ ჩაჩბას ვეჩალიჩებით, მისი და გამზათის ხალხი კი ხარკოვში გვიყომარებს საქმეს?!

— იქნებ ჩაჩბა არაფერ შუაშია. უბრალოდ, მისი გაფარჩაკების ამბავი გაბაზრდა და მისი „სასტავი“ გამზათს მიეკედლა? — ივარაუდა ირაკლიმ.

— არა, — თავი გაიქნია ლუკამ, — თქვენ ყველაფერი არ იცით. ორი დღის წინ ტარბა ჩამოვიდა და სოხუმიდან ცუდი ცნობები ჩამოიტანა.

— რა ცნობები? — უმალ დაინტერესდა ირაკლი.

— ტატეოსიანის ბაზარი დამთავრდა. ჩაჩბამ თავი აიშვა და არმენი დაბრიდა!

— დაბრიდა?! — გაიკვირვა ვოვამ. — ჩაჩბა ასეთი სულელი არ არის!

— ვიცი.. ჩვენც გაგვიკვირდა. მერე ყველაფერი გადავამოწმეთ. ტატეოსიანი ნაღდად მკვდარია. უკვე გადაასვენეს კრასნოდარში.

— ასე „ნაგლად“ დაბრიდეს?! — გაოცებით განაგრძო ვოვამ.

— მარტო ნაგლობაშიც არ არის საქმე. გონიერი ადამიანი ასე არ მოიქცეოდა. საერთოდ გააქრობდა ტატეოსიანს ან სხვანაირად მოუყომარებდა. რა გვექნებოდა სათქმელი, ტატეოსიანი ავარიაში რომ დაღუპულიყო ან ზღვაში დამხრჩვალიყო?.. მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. პირიქით, შუბლში დაახალეს ტყვია, მერე კი „ტრუპი“ კრასნოდარში გაგზავნეს.

— ეს „პროსტო“ მკვლელობა არ არის... გამოწვევაა! — ჩაილაპარაკა ირაკლიმ.

— მართალი ხარ, — ჩაურთო ვოვამ. — ისე, არა მგონია, რომ ჩაჩბა ამდენზე წასულიყო.

— ჩაჩბა ასეთ საქმეზე არ წავიდოდა. აი, გამზათზე კი ვერაფერს ვიტყვი. „ნაგლი“ ჩეჩენია. ეგ, ნაბიჭვარი, ყველაფერზე მოაწერს ხელს, — უპასუხა ლუკამ. — ისე, მე მაინც მგონია, რომ მათ უკან კიდევ ვიღაც დგას!

— მაშინ რაღას ველით? — ვოვამ მუხლზე დაიკრა მუშტი. — „აბაროტი“ მივცეთ. მოსკოვი მაგათია, მაგრამ უკრაინაში არავის ვაბლატავებთ. ვერც ვერავინ გაგვამტყუნებს. ჩვენ არ ჩავსულვართ მათთან. პირიქით, ეგ ნაბიჭვრები მოგვიხტნენ ხარკოვში!

— ნატო! — მხოლოდ ერთი სიტყვით მიანიშნა ჯაბამ.

— ჰოო... — ვოვამ პაუზის შემდეგ იკითხა, — თბილისიდან აღარ შეგხმიანებიან?

— არა... თანაც გამორიცხულია, რომ ტატეოსიანის შესახებ არაფერი იცოდნენ. მაინც ჩუმად არიან და მეც ვერ ვუკავშირდები. ზარს არავინ პასუხობს.

— რამეს ხომ არ ელიან? — იკითხა ირაკლიმ.

— რას? — გახედა ლუკამ.

— აზრზე არ ვარ, მაგრამ ერთი ნაღდად ვიცი: ამდენი დავიდარაბის შემდეგ, აღარ მოგვეშვებიან.

— არ მოგვეშვებიან, მაგრამ მაინც ვერ ვხვდები, ახლა რომელი მხრიდან უნდა ველოდოთ დარტყმას, — ჩაილაპარაკა ლუკამ და სიგარეტს მოუკიდა.

ვასილიჩი ყველასთვის მოულოდნელად ჩამოვიდა კრასნოდარში. თანაც სახლშიც არ მისულა, ქალაქგარეთ მოითხოვა შეხვედრა. რატომ ფრთხილობდა ასე ძალიან ადვოკატი, ლუკასთვის უცნობი დარჩა. ვასილიჩმა მხოლოდ ის თქვა, რომ საქმეზე ტელეფონით ვერ ისაუბრებდა.

გვიანი ღამე იყო, როდესაც ლუკა და მისი ხალხი შეხვედრის ადგილზე მივიდნენ. იქ უკვე ვასილიჩი და სტასი იმყოფებოდნენ.

— ცუდი ამბებია, ლუკა, — მაშინვე საქმეზე გადავიდა ვასილიჩი. — კოტე დაბრიდეს!..

— არც ისე ცუდი ცნობაა, — ჩაილაპარაკა ლუკამ და სტასს მიუბრუნდა:

— ვინ მოუყომარა?

— ჩვენ — არა.

— არა?! — გაუკვირდა ლუკას. — მაშ — ვინ?

— აზრზე არ ვართ და მთელი უბედურება ისაა, რომ პოპოვი მაგ საქმეს ჩვენ გვტენის, — უპასუხა ვასილიჩმა.

— მაგას შიგ ხო არა აქვს?! — ბრაზი მოერია ლუკას. — არ ებაზრე?!

— ვებაზრე, მაგრამ... — ვასილიჩმა უღონოდ გაშალა ხელები.

— დაწვრილებით ამიხსენი, რა მოხდა?

— მოკლედ, იმ ახვრის „ტრუპი" თავში მორტყმული ხუთი ტყვიით, ჰიდროპარკში იპოვეს. იმავე საღამოს პოპოვმა ნამდვილი „ნაეზდი" მოგვიწყო. ჩვენი ოფისები გაჩხრიკა, რამდენიმე ბიჭი აიყვანა. ვოვას სახლიც „დაშმონეს" და ოჯახის წევრები აიყვანეს!..

— ვინ?! — მოიღრუბლა ვოვა.

— შენი ძმა და ცოლი, — გახედა ვასილიჩმა.

— ცოლი?! — გაუკვირდა ლუკას. — ქალს რაღას ერჩოდა?

— ბანალური საქმეა... სამართალდამცველებისთვის წინააღმდეგობის გაწევა. ღამე იყო და ძაღლებს სახლში არ უშვებდა. ეს წვრილმანია, ლუკა. პოპოვმა წაიმარიაჟა. მეორე დღეს ყველა გამოვიყვანეთ. მაგრამ „ტრუპს" ვერაფერს ვუხერხებთ. პოპოვი და პროკურატურა ვოვაზე ჩალიჩობს. უკვე გამოაცხადეს ძებნა.

— ასე „ნაგლად" გვტენიან?! რა ბუზმა უკბინა პოპოვს?!

— ეს პოპოვის საქმე არ არის. კოტე ძალიან ბუნდოვან ვითარებაში დაიბრიდა. ოპერატიული მასალები ვნახე. ნაღდია, რომ სხვაგან მოკლეს. რამდენიმე დღე, „ტრუპი" დამალული ჰქონდათ. მერე ჰიდროპარკში დააგდეს. თანაც ისეთ ადგილას, სადაც მალე იპოვიდნენ. „ტრუპი" ძველი რომ იყო, ერთი შეხედვით მივხვდი. მაგრამ პოპოვმა ექსპერტიზის უფროსს, მამონტოვს ტრუხა დასკვნა მოსთხოვა... ექსპერტს უნდა დაეწერა, რომ კოტე ერთი დღეღამის დაბრედილი იყო...

— რისთვის? — ჩაეძია ლუკა.

— პოპოვი ვადაში ვერ ჯდებოდა. მე ზუსტად გადავთვალე. ის ახვარი, ვოვაზე თავდასხმამდე დაბრიდეს. პოპოვს ამის გაბაზრება არ უნდოდა. რა გამოდიოდა ასეთ შემთხვევაში?.. ვოვას მაგის მოსაკლავი მიზეზი აღარ ექნებოდა!.. ექსპერტის დასკვნა კი ვოვას პირდაპირ სვამს ამ საქმეში. თანაც პოპოვთან შეხვედრის მერე. ახლა პოპოვს „სტოპერიოდი" უჭირავს. პირდაპირ მითხრა: ხომ გავაფრთხილე, აქედან წადიო. ახლა კი ნურაფერი გეწყინებათო!..

— ვერ მიაწექი? — ჰკითხა ლუკამ.

— ერთ შანსი მქონდა, მაგრამ პოპოვმა დამასწრო... მამონტოვთან შეხვედრის მერე, დამოუკიდებელ ექსპერტს დავუკავშირდი. ექსპერტი რამდენიმე საათში მოვიდა, მაგრამ იმ დროისთვის „ტრუპი" აღარ არსებობდა.

— რას ნიშნავს: აღარ არსებობდა? — გაუკვირდა ლუკას.

— კრემაცია ჩაუტარეს. უბრალოდ, რომ ვთქვა, დაწვეს. ამის შემდეგ კი პოპოვმა მამონტოვის დასკვნა საქმეში ჩადო. ამ დასკვნით კოტე ერთი დღეღამის მოკლული იყო!

— ცუდია, მაგრამ უსაშველო მაინც არ არის, — ჩაილაპარაკა ლუკამ. — პოპოვს მოევლება!

— არა, ლუკა, — თავი გაიქნია ვასილიჩმა. — პოპოვი ვერაფერს შეცვლის. ის უბრალოდ, იარაღია და ვინც არ უნდა იყოს მის ადგილას, მაინც იმავეს გააკეთებს!.. შენ ყველაფერი არ იცი. ვოვა მარტო „პრიჩინაა". რეალურად კი ეს ყველაფერი შენს წინააღმდეგ დაიგეგმა!

— არც ესაა ახალი ამბავი. ასეთი რამ ადრეც მომხდარა.

— მომხდარა, — დაეთანხმა ვასილიჩი. — მაგრამ ახლა ძველი მოკავშირეები აღარ გვყავს. კიევი ჩვენს წინააღმდეგ იბრძვის და თანაც საქართველოსა და რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროებთან ერთად.

— მოკლედ, იმ ახვრის „ტრუპი" თავში მორტყმული ხუთი ტყვიით, ჰიდროპარკში იპოვეს. იმავე საღამოს პოპოვმა ნამდვილი „ნაეზდი" მოგვიწყო.

— ოო... ეს მართლაც საინტერესოა. რა იცი ამის შესახებ?

— არაფერს დაგიმალავ. საქმე ძალიან ცუდადაა. ყველაფერს გავაკეთებ, მაგრამ არა მგონია, ამდენი გავქაჩო!.. ძველთან ერთად, ახალი საქმე წამოგიწიეს!..

— რა საქმე?

— საქართველოს საქმეა... თუ არ ვცდები, ტაბახმელაში ჯგუფურ მკვლელობას გაბრალებენ!

— რას?! — გაუკვირდა ლუკას.

— ჯგუფურ მკვლელობას... ეს საქმე თბილისელი სომხის, გურგენ პეტროსიანის აგარაკზე მოხდა. დაიღუპა დაცვის სამსახურის ოთხი წევრი...

— მოიცა... მოიცა... როდის მოხდა ეს? — შეაწყვეტინა ლუკამ.

ვასილიჩმა უბის წიგნაკს ჩახედა და მერე უპასუხა;

— სამი დღის წინ.

— მერე საიდან დამიკავშირეს მე ეს ამბავი?! — გაუკვირდა ლუკას.

— აზრზე არ ვარ, — მხრები აიჩეჩა ვასილიჩმა. — ისე მაინც ამტკიცებენ, რომ შენ საქართველოში იყავი და ის ხალხი დახოცე! მე პირადად არ შევხვედრივარ იმ ხალხს, მაგრამ სამმართველოდან ჩვენმა ხალხმა მაცნობა, რომ შექმნილია ქართულ-რუსულ-უკრაინული ჯგუფი. ეს ჯგუფი პირადად შენს საკითხზე მუშაობს და პოპოვი მათ უშუალო დაქვემდებარებაშია.

— რა იცი ჯგუფის შემადგენლობის შესახებ?

— ჯგუფში რუსეთს წარმოადგენს ვინმე რიბკინი, საქართველოს — ლაბაძე, უკრაინას — სეროვი, — უპასუხა ვასილიჩმა.

— მაგ უკრაინელთან თუ გქონია საქმე?

— არა... ახალია. მგონი, ამ საქმისთვის სპეციალურად შეარჩიეს. ძველები კარგად გვიცნობენ და ნებისმიერს დავკერავდით.

— შეეცადე, რამე კავშირი გამონახო. ხარჯს არ მოერიდო. ეს საქმე ყველა დასაშვებ ზღვარს გასცდა. საქმე ჩემი აღარაა. ვიღაც „ვერშინას" უმიზნებს.

— ვხვდები, — თავი დაუქნია ვასილიჩმა. — მაგაზე უკვე ვჩალიჩობ. კიევშიც ავამოძრავე ჩვენი ხალხი. მაგრამ ვეჭვობ, რომ ვერ მოვასწრებთ.

— რას ვერ მოვასწრებთ?

— მოვლენები ძალიან სწრაფად ვითარდება. იმდენად სწრაფად, რომ დევნა გვიწევს. ეს კი ყველაზე წამგებიანი პოზიციაა, — ამოიოხრა ვასილიჩმა.

— შენ ის გააკეთე, რასაც გეუბნები, დანარჩენს — ჩვენ მივხედავთ.

— გასაგებია.

— კეთილი... თბილისის საქმეს დავუბრუნდეთ. კიდევ რა იცი იმ პეტროსიანის შესახებ?

— ბევრი არაფერი. ბუნდოვანი წარსული აქვს. კონკრეტულად რას საქმიანობს, არ ვიცი. ჩვენმა თბილისელმა ახლობლებმა მაცნობეს, რომ რაღაც კავშირი აქვს აფხაზეთში მცხ-

ოვრებ სომხებთან და დროდადრო ხელისუფლების დავალებებს ასრულებს.

— გასაგებია... თვით საქმის შესახებ რა იცი?.. მკვლელობა ნაღდად მოხდა თუ „რიჟა" ბაზარია?

— არა... ნაღდად მოხდა. ეს ამბავი ტელევიზიითაც კი გადაიცა.

— იქ ჩემი სახელიც ახსენეს?

— არა. უბრალოდ თქვეს, რომ მკვლელობა საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველი კრიმინალების მიერაა ორგანიზებულიო.

— მაგაზეც იმუშავე.

— ეგ იგივეა, რაც სეროვზე მუშაობა. თუ დავკერეთ, ყველა კარტს გაგვიხსნის.

— ამიტომაც მომწონს შენი სტილი, — ჩაიცინა ლუკამ. — იმუშავე.

— პოპოვს რა მოვუხერხო?

— რას აპირებ?

— მაგრად კი მოგვაწვა, მაგრამ საქმეში რამდენიმე შეცდომაც დაუშვა. მინდა, ყველა ამოვყარო და მივაწვე.

— რას მოიგებ ამით?

— საქმეს ვერ შევაწყვეტინებ, მაგრამ ინფორმაციის მოწოდებაზე მაინც დავითანხმებ.

— არა... — მცირე პაუზის შემდეგ თქვა ლუკამ. — სერიოზულად მუშაობენ და პოპოვიც მეთვალყურეობის ქვეშ ეყოლებათ. რამე რომ იეჭვონ და საერთოდ ჩამოაშორონ საქმეს?

— მაგით არაფერი დაგვაკლდება. მაგ კაცთან მაინც ვერ გამოვნახე საერთო ენა! — ჩაილაპარაკა ვასილიჩმა.

— ეგ, შენ ვერ გამონახე საერთო ენა, — მშვიდად შენიშნა ლუკამ.

— თუ ასეა, რაღას უცდი? — გაიკვირვა ვასილიჩმა. — დაებაზრე.

— ჯერ ადრეა. პოპოვი ატრაკებს, მაგრამ ზღვარს არ გასცდება. ვოვაზე ძებნის გამოცხადება, ბევრ არაფერს ნიშნავს. მოსთხოვეს და გამოაცხადა. ვერ ხვდები, რომ ეგ ვოვას ამყვანი არ არის?!

— ღმერთმა ქნას, — ჩაილაპარაკა ვასილიჩმა.

— არ შეეხო, მაგრამ გულხელდაკრეფილიც ნუ დაჯდები. რასაც შეძლებ, ყველაფერი მოაგროვე, თანაც ისე, რომ ამის შესახებ პოპოვმაც იცოდეს. ხვდები, რა მინდა?.. პოპოვი მუდმივ დაძაბულობაში უნდა ამყოფო. უნდა იგრძნოს, რომ სამიზნეში გყავს, მაგრამ რაღაცას ელი მის მიწასთან გასასწორებლად.

— გასაგებია, — თავი დაუქნია ვასილიჩმა, — პირობას გაძლევ, რომ პოპოვი ძალიან დიდხანს ვეღარ შეძლებს მშვიდად დაძინებას.

— კეთილი... იმუშავე, — დაასრულა ლუკამ და გზატკეცილის სიახლოვეს მდგარ მანქანას მიუბრუნდა.

ჩაჩბა გრძნობდა, რაოდენ სახიფათო თამაშში ჩაითრიეს გამზათმა და ნეჯეთმა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა. ჩეჩენმა და აფხაზმა უსიტყვოდ აგრძნობინეს, რომ არჩევანის საშუალებას არ აძლევდნენ და მათი მხარდაჭერის იმედი, მხოლოდ მათი ბრძანებების შესრულების შემთხვევაში უნდა ჰქონოდა. ის, რომ ვითარებას თავად ვეღარ აკონტროლებდა, მოსკოვში დაბრუნებისთანავე იგრძნო. სწორედ მაშინ შეიტყო, რომ მისი არყოფნისას გამზათს უკვე დაეწყო მისი ხალხის გამოყენება.

— ჩვენი ხალხი ხარკოვში დაიღუპა?! — გაოცებით იკითხა ჩაჩბამ, როდესაც მისი მარჯვენა ხელი, ასლან თორია ბოლო დღეების აღწერას შეუდგა, — როგორ მოხვდნენ ხარკოვში?!

— გამზათმა გაგზავნა.

— რას ნიშნავს: გამზათმა გაგზავნა?! ვის „სასტავში" ხარ, ჩემი თუ გამზათის?!

— არა... იმ ნაბიჭვრებს თავს არ გადავაყოლებ, — თავისლა უნებურად წამოსცდა ფიქრებში ჩაძირულ ჩაჩბას.

— შენ თვითონ არ დაგვიბარე — ჩემს არყოფნაში, გამზათს დაემორჩილეთო?! — გაიკვირვა ასლანმა.

— ჰო... — დაიბნა ჩაჩბა, მაგრამ მაშინვე აღიდგინა წონასწორობა და ბრაზით განაგრძო: — მაგრამ ეგ, არ ნიშნავდა ხარკოვში რაღაც „რაზბორკების" მოწყობას!.. რისთვის გაგიშვათ გამზათმა ხარკოვში?!

— ვიღაც ნაბოზრების დასაბრედად. ბოლომდე არ გაუხსნია კარტი. ასე თქვა: „დიშოვკები" არიან, მოსკოვში რაღაც მიქარეს და მერე დასამალავად ხარკოვში მოხიესო!

— დაბრიდეთ?

— ერთი დავბრიდეთ, მეორე — ვერა.

— დაწვრილებით მომიყევი.

— ეგ საქმე მეც არ მომეწონა. სად — ჩვენ, სად — ხარკოვი? მაგრამ გამზათმა გასაქანი არ მომცა: საერთო საქმეს სჭირდებაო!.. მერე ჩვენი ხალხიდან ოთხი კაცის შერჩევა მიბრძანა. ორიც თავისი „სასტავიდან" დაამატა. მეც მათ უნდა გავყოლოდი. ასე ჩავედით ხარკოვში. იქ კიდევ ერთი კაცი დაგვემატა. ვიტალი ერქვა. სადაური იყო, არ ვიცი, მაგრამ ხარკოვს კარგად იცნობდა. იმ ვიტალიმ მოგვაძებნინა პირველი ნაბოზარი. ქართველი გამოდგა. რაღაც „მუტნი" საქმე იყო, ზენერ. ვიტალი ქალაქგარეთ შეხვდა იმ ქართველს. ორივეს უცნაურად ეჭირა თავი. გამზათმა თქვა: ნაბოზარია და იმალებაო. ის კი ღამით, თავისი ფეხით მოვიდა. კაცი, რომელსაც რაღაცის ეშინია, ასე არ იქცევა. თანაც ვიტალის მაგრად უტრაკებდა. ყვირილით ელაპარაკებოდა და იქით ემუქრებოდა. ჩვენ წინასწარ ვიყავით მოლაპარაკებული. ის ქართველი აზრზე არ იყო, ჩვენ იქ რომ ვიყავით. თუ ბაზარის შემდეგ ისინი ერთად ჩასხდებოდნენ მანქანაში, არაფერი არ უნდა გვექნა, ბაითში უნდა დავბრუნებულიყავით და ვიტალის დავლოდებოდით. იმ შემთხვევაში, თუ ვიტალი მარტო წავიდოდა მანქანისკენ, ის ტიპი უნდა დაგვებრიდა... ბაზარი დაახლოებით ნახევარ საათს გაგრძელდა. ბოლოს ვიტალიმ ხელი ჩაიქნია და მარტო წავიდა. ის ქართველი კი თავისი მანქანისკენ გავარდა. ჩვენ იქვე ვიმალებოდით და როგორც კი მოგვიახლოვდა, დავითრიეთ. მაშინვე მიხვდა, რომ მოვკლავდით... რამდენი ადამიანის სიკვდილს შევსწრებივარ, მაგრამ არასოდეს მინახავს კაცის ასე გაფუჭება. იმ ნაბიჭვარს იარაღი ჰქონდა, მაგრამ ისეთი შეშინებული იყო, რომ ამოღებაც არ დაუპირებია. მაშინვე მუხლებში ჩაგვივარდა და ქართულად დაგვიწყო ხვეწნა. მერე მიხვდა, რომ არაფერი გვესმოდა და რუსულზე გადავიდა. ამანაც ვერ უშველა. გამზათის ჩეჩენმა ზედიზედ თავში ხუთჯერ ესროლა. ამ დროს, ვიტალი უკან დაბრუნდა. ჩვენ „ტრუპის" იქ დატოვება გვინდოდა, მაგრამ ვიტალიმ გაატრაკა: — თან უნდა წავიღოთო. ეგეც ჩეჩნებმა გააკეთეს და „ტრუპი" თავისსავე მანქანის „ბაგაჟნიკში" ჩადეს. ამის შემდეგ, ოთხი დღე ბაითიდან არ გავსულვართ. ვიტალი

რაღაცას ელოდა. მეხუთე დღეს გვითხრა: მეორე ნაბოზარი გაიჩითა და საქმეზე მივდივართო. მაშინაც ქალაქგარეთ გავედით. ორი მანქანით ვიყავით. თითოში ოთხ-ოთხი გავნაწილდით. ასე ერთი საათი ველოდეთ იმ ტიპს. თავიდან ვიტალიმ გვითხრა, რომ ის მარტო იქნებოდა, მაგრამ ორნი გაიჩითნენ და არ იცი, ვინ იყო, ერთი მათგანი?!

— საიდან უნდა ვიცოდე?! — გაუკვირდა ჩაჩბას.

— ხომ გითხარი, თავიდანვე არ მომეწონა ეს საქმე... მაშინ კი მივხვდი, რომ გამზათმა შეცდომაში შეგვიყვანა და რაღაც შარში გაგვხვია. სხვა რა უნდა მეფიქრა, როდესაც ჩვენი ძველი ნაცნობი დავინახე.

— ვინ?

— სვანი!..

— ირაკლი ნარსანიძე?! — მოიღრუბლა ჩაჩბა.

— ჰო... ის იყო.

— მაგის დაბრედვა უნდოდა გამზათს?

— არა... სვანის დანახვაზე, ვიტალის გავუტრაკე: რა ხდება-მეთქი?! ასე მითხრა: ეგ კაცი არ გვაინტერესებს, მეორე უნდა დაიბრიდოსო!.. აბა, რა სირობას ბაზრობ, მაგ კაცს კარგად ვიცნობთ: არც „ზადნის" მიმცემია და არც ცხვარივით მოეკვლევინება ვინმეს; აქ მაგარი „ბოი" აიწევა-მეთქი!.. დამიჯერე, ზენერ. ნაღდად აღარ მინდოდა იქ დარჩენა, მაგრამ ვიტალიმ და ჩეჩნებმა გასაქანი არ მომცეს. აქეთიქიდან მომაჭირეს იარაღი და პირდაპირ მითხრეს: ან ჩვენთან ხარ, ან კიდევ აქვე დაგბრიდავთო!.. ნაღდად გამკეთებლები იყვნენ და რა უნდა მექნა. ჩვენს ხალხს „დაბრო" მივეცი...

— მეორე... ვინ იყო მეორე?! — სწრაფად ჰკითხა ჩაჩბამ.

— როგორ გითხრა. მეცნო... დარწმუნებული ვარ, რომ ადრეც შევხვედრივარ. მაგრამ ვერ ვიხსენებ, სად და რა ვითარებაში, — შუბლი მოისრისა ასლანმა, — ვიტალიმ მხოლოდ ერთხელ თქვა მისი „კლიჩკა". თუ არ მეშლება — ჩუმა..

— რამე ხომ არ გეშლება?

— არა... კარგად მახსოვს. ვიღაცას დაუკავშირდა ტელეფონით და უთხრა: ჩუმა ადგილზეაო!..

— შენი დედაც, გამზათ!.. — კბილები გაახრჭიალა ჩაჩბამ.

— იცნობ?.. ვინაა?! — მაშინვე ჩაეძია ასლანი.

— გახსოვს ის „სტრელკა", რომელზეც დაიღუპა გუმბა?

— რა თქმა უნდა.

— ეგეც იქ იყო.

— ესე იგი, ვოლინასა და გეგეშიძის „სასტავიდანაა"! — დაასკვნა ასლანმა.

— ახლა ხვდები, რა საქმეში შეგვტენა, ნაბიჭვარმა ჩეჩენმა?!

— ვხვდები, — თავი დაუქნია ასლანმა.

— როგორ დაიღუპა ჩვენი ხალხი? — გამოკითხვა განაგრძო ჩაჩბამ.

— სვანს და ჩუმას უკან გავყევით. როგორც კი ტრასაზე გავედით, წამოვეწიეთ და სროლა დავიწყეთ. იმათ „რესკად" მოუმატეს სიჩქარეს. გვეგონა, რომ მოხევა უნდოდათ და ჩვენც მივყევით. მერე, უეცრად, დაამუხრუჭეს. წინა მანქანამ აცილება ვეღარ მოასწრო და იმათ „მერსედესს" უკნიდან გლიჯა. მაგარი დარტყმა იყო. მანქანა ჰაერში აფრინდა და ბოძს შეასკდა. მერე გავიგეთ, რომ ავარიისას ყველა დაიბრიდა. მაშინ გვეგონა, რომ ჩუმა და სვანიც ვერ გადარჩებოდნენ. გაჩერება გვინდოდა. ხომ უნდა გაგვეგო, რა დაემართა ჩვენს ხალხს და საქმეც ბოლომდე იყო მისაყვანი. მაგრამ სიჩქარეს მოვუკელით თუ არა, სვანი და ჩუმა მანქანიდან გადმოცვივდნენ და ტყვიები დაგვაყარეს. საქმის ბოლომდე მიყვანაზე ვინღა ფიქრობდა. ძლივს გავასწარით იქიდან... ეს ბოლო წვეთი იყო. იმ დღესვე დავუკავშირდი გამზათს და ვუთხარი, რომ მოსკოვში ვბრუნდებოდი. წინააღმდეგობა არ გაუწევია. მარტო ერთი რამ გვთხოვა...

— რა? — დაინტერესდა ჩაჩბა.

— მთელი ეს დრო, იმ ქართველის „ტრუპი" ქალაქგარეთ გვქონდა დამალული. გამზათმა გვთხოვა: „ტრუპი" იქ მიიტანეთ, სადაც ვიტალი გეტყვით და მერე დაბრუნდითო. მაგრად გვიტყდებოდა, მაგრამ უარი მაინც არ ვუთხარით. ღამით „ტრუპი" რომელიღაც ტბაზე მივიტანეთ, წყალში გადავაგდეთ და მოსკოვში წამოვედით.

მეორე დღეს კი გამზათმა ჩვენი ხალხი ბიჭების გადმოსასვენებლად გაგზავნა ხარკოვში. აზრზე არ ვარ, რა და როგორ იჩალიჩა. მაგრამ ყველაფერი სუფთად გაკეთდა. ძაღლებს რაიმე პრობლემა არ შეუქმნიათ. ყველაფერი ავარიად გაფორმდა.

— ვინ ჭამს მაგას, ასლან?! — ბრაზი მოერია ჩაჩბას. — ძაღლები მაგრად მკიდია. ახლა მთავარი გეგეშიძის ხალხია!

— ისინი ახლოს არ გაპკარებიან ჩვენებს. ვერც მოასწრებდნენ. ბიჭებმა ორი თუ სამი საათი გაატარეს ხარკოვში. ძაღლებთან მოაგვარეს საქმე. მერე მორგში მივიდნენ და ეგრევე მოსკოვში წამოვიდნენ.

— არიფივით ბაზრობ! — ჩაჩბამ პაუზის შემდეგ ჰკითხა: მე რატომ არ დამიკავშირდი?!

— არ დაგიკავშირდი?! სამი დღე ზედიზედ გირეკავდი, მაგრამ ერთხელაც არ მიპასუხე! — იწყინა ასლანმა.

— ჰო, მახსოვს... ის სამი დღე მთაში გავატარე, — ჩავარდნილი ხმით ჩაილაპარაკა ჩაჩბამ. ეს ტყუილი იყო. მაგრამ ასლანს ვერაფერს ეტყოდა იმ სამ დღეზე, რომელიც ნეჯეთის ხალხის მეთვალყურეობის ქვეშ გაატარა. ამ დროის განმავლობაში, თავს ტუსაღად გრძნობდა. ნეჯეთის ხალხმა მობილური ტელეფონიც წაართვა და სახლიდან გასვლის საშუალებაც არ მისცა. მაშინ ვერ ხვდებოდა, თუ რატომ მოექცნენ ასე. ახლა კი ყველაფერი თავთავის ადგილზე დგებოდა. ნეჯეთმა და გამზათმა სამი დღით მოსწყვიტეს გარე სამყაროს და ლუკასთან ომი მისი სახელით წამოიწყეს. გამზათი პირობის მიღების შემდეგაც არ ენდო. მიხვდა, რომ მარტო მისი და ნეჯეთის

ყურადღება!

გოჩა მანველიძის

ახალი, თავგრუდამხვევი

დეტექტივი

„თეთრი სიკვდილი"

კუბოში დამალული ნარკოტიკები, გაგაცებული მიცვალებული და მკვლელობათა კასკადი

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში ან შეგიკვეთეთ და მიიღეთ შინ ფასანმატის გარეშე.
ტელ.: 38-26-73; 38-26-74.

სიახლოვე აშინებდა და როგორც კი მათგან შორს დაიგულებდა თავს, პირობასაც დაივიწყებდა და საერთოდ გადაიკარგებოდა. სწორედ ეს ჰქონდა ჩაფიქრებული ზენერს, როდესაც ლუკასთან დაჯახებაზე საუბრობდნენ. კარგად ხვდებოდა, რომ ასეთ ჭიდილში გადარჩენის შანსი არ ჰქონდა. ადრე თუ გვიან, ან ლუკას ხალხი მოუღებდა ბოლოს, ან ნეჯეთი და გამზათი მოიშორებდნენ თავიდან. შეთანხმებისას მარტო დროის მოგებასა და გამზათის ნდობის მოპოვებას ცდილობდა. ამ თამაშს იქამდე გააგრძელებდა, ვიდრე აფხაზეთიდან წასვლის საშუალება არ მიეცემოდა. მერე კი საერთოდ გაეცლებოდა რუსეთს და გამზათსა და ლუკას ერთმანეთს შეატოვებდა. მაგრამ გამზათი არ ენდო — ვერ დაიჯერა, რომ ზენერი ბოლომდე გაჰყვებოდა და უეჭველი გარანტიის მისაღებად, დარტყმის ქვეშ დააყენა. სხვას არაფერს ემსახურებოდა ხარკოვში მოწყობილი „ნაეზდი". ჩერმენი არავის შეარჩენდა მისთვის მიცემული პირობის დარღვევას და არც ლუკა აპატიებდა მაყურებელზე თავდასხმას. თანაც გამზათის გათვლა, შანსს არ უტოვებდა. რით დაამტკიცებდა, რომ არაფერი აკავშირებდა ამ საქმესთან, როდესაც თავდასხმაში მისი ხალხი მონაწილეობდა?.. ამის შემდეგ ზენერს მხოლოდ ერთი გზა რჩებოდა — ბოლომდე უნდა გაჰყოლოდა გამზათს და ბოლო „შნირივით", მისი ყველა ხუშტური უნდა შეესრულებინა, ებრძოლა იქამდე, ვიდრე გეგეშიძე მიწაში არ ჩაწვებოდა, ან მას არ გაუხვრეტდნენ შუბლს. თუმცა რჩებოდა კიდევ ერთი გზა — ნაკლებად რეალური, მაგრამ გამართლების შემთხვევაში, ნაღდად მიეცემოდა გადარჩენის შანსი...

— არა... იმ ნაბიჭვრებს თავს არ გადავაყოლებ, — თავისდა უნებურად წამოსცდა ფიქრებში ჩაძირულ ჩაჩბას.

— რა თქვი? — გამოცოცხლდა ასლანი.

— ბოლო დროს, სვანები ხომ არ დაგკავშირებიან?

— არა, — თავი გაიქნია ასლანმა. — ჩერმენთან ბაზარის შემდეგ, სვანები ახლოს არ გვეკარებიან, და ჩვენი ხალხიც არ აწუხებთ.

— დღესვე დაუკავშირდი...

— საშიშია, ზენერ! — არ დაამთავრებინა ასლანმა. — მაგათ მარტო ჩერმენის სიტყვა აკავებთ, თორემ აქამდეც გადაგვივლიდნენ!..

— ისე, ჯერ კიდევ საკითხავია, ვინ — ვის გადაუვლის! — ბრაზით წამოისროლა ჩაჩბამ. — შენ ის გააკეთე, რასაც გეუბნები. სვანებს დაუკავშირდი და შეხვედრაზე შეუთანხმდი!..

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მეთ დეიმონი 2007 წლის ყველაზე სექსუალური მამაკაცია

ჟურნალმა People „ცოცხალთა შორის" ყველაზე სექსუალურ მამაკაცად 37 წლის მეთ დეიმონი დაასახელა. პოპულარულმა გამოცემამ ამგვარი რეიტინგი ოცდამესამედ შეადგინა. ფილმის „ბორნის ულტიმატუმი" ვარსკვლავმა ამ ტიტულისგან თავის დაღწევა სცადა და საკუთარი კანდიდატურის ნაცვლად ამერიკული ფეხბურთის ვარსკვლავი, New England Patriots-ის მოთამაშე ტომ ბრეიდი დაასახელა. ინტერნეტგამოცემამ Showbiz Spy მეთ დეიმონის ჟურნალის მისამართით გაგზავნილი წერილიდან მცირე ნაწყვეტი გამოაქვეყნა, სადაც წლის ყველაზე სექსუალური მამაკაცის ტიტულთან დაკავშირებით ნათქვამია: „ეს გარეუბანში მცხოვრები ჭარმაგი მამაკაცის თვალში საკუთარი ღირსების ამაღლების ყველაზე ქმედითი საშუალებაა".

ჟურნალი People მეთ დეიმონს 2007 წლის გმირად მიიჩნევს, რადგან მსახიობი „გულის ამაჩუყებლად მოკრძალებული", „ოჯახის ერთგული" მამაკაცია, რომელსაც „არაჩვეულებრივი იუმორის გრძნობა" აქვს.

რეიტინგში მეორე ადგილი დაიკავა სერიალის „გრეის ანატომია" ვარსკვლავმა პატრიკ დემპსიმ. მესამე ადგილი რაიან რეინოლდსს (ფილმი „უბრალოდ — მეგობრები") ერგო, მეოთხე ადგილზე — ბრედ პიტი გავიდა, მეხუთეზე — ჯეიმს მაკვოი, მეექვსე ადგილი კი ჯონი დეპმა დაისაკუთრა.

P.S. ჟურნალის People ვერსიით, 2006 წლის ყველაზე სექსუალურ მამაკაცად ჯორჯ კლუნი იყო დასახელებული.

ევა მენდესი სახლში დედიშობილა დადის

ევა მენდესს ეროტიკულ სცენებში თამაში არ უყვარს, მაგრამ საკუთარ სახლში დედიშობილა დადის და სულაც არ აღელვებს, რომ მას მეზობლები ხედავენ. ისინი ყოველთვის ფანჯრებს აწყდებიან, როდესაც სრულიად შიშველი მსახიობი ოთახის მცენარეების მოვლა-პატრონობას იწყებს. ევა არ მალავს, რომ სახლში შიშველად სიარული უყვარს, რადგან ამ მდგომარეობაში თავს უფრო თავისუფლად გრძნობს. მიუხედავად ამისა, ევა მენდესს ეროტიკულ სცენებში თამაში არ უყვარს. მისი ბოლო ფილმის We own the night გადაღებების დროს, მსახიობი იძულებული იყო, ეროტიკული სცენის გადაღების წინ, სიმორცხვის დასაძლევად, ფორთოხლის წვენით გაზავებული არაყი ეყლია და კამერის წინ ისე გასულიყო. მსახიობს არ სურს, რომ მისი ბოლო ნამუშევარი, რომელშიც ევამ ეროტიკულ ეპიზოდში პირველად ითამაშა, მამამ იხილოს. ცნობილია, რომ მენდესი მკაცრი კათოლიკური ტრადიციების მიმდევარ ოჯახში აღიზარდა და ბავშვობაში მონაზვნად აღკვეცა სურდა. „ამ სცენის გადაღების დროს ერთიანად ვთრთოდი. ახლაც კი მეშინია. ეს კადრები მამამ არ უნდა ნახოს, თორემ ძალიან გაბრაზდება! გადაღებები ძალზე მძიმე იყო. ვტიროდი. ვფიქრობ, ჩემში ჯერ კიდევ ცოცხლობს პატარა ღვთისმოსავი გოგონა. სხვაგვარად ამ სცენის გადაღების გამო პრობლემები არ შემექნებოდა", — დასძენს მსახიობი.

კლაუდია შიფერი მტუნდომა!

კლაუდია შიფერი მსოფლიოში ყველაზე პოპულარული სუპერმოდელი მას შემდეგ გახდა, როდესაც კარლ ლაგერფელდმა Chanel-ის სამოდელო სახლის სახედ მიიწვია. ახლა, 20 წლის შემდეგ, კლაუდია სამოდელო საქმიანობას უბრუნდება და მისი დაბრუნება კვლავ „კარლოს დიდის" სახელს უკავშირდება.

Chanel-ის საგაზაფხულო კოლექციის ready-to-wear ფოტოსესიის გადაღებებს, რომელიც 3 დღის განმავლობაში სან-ტროპეში მიმდინარეობდა, ლაგერფელდი პირადად აკონტროლებდა. ქალბატონი შიფერი ნაირ-ნაირ სამოსში პოზირებდა: ხან გამჭვირვალე კაბა ეცვა, ხან — ვარსკვლავებით მოქარგული შავი კომბინეზონი. 37 წლის ლამაზმანმა ერთხელ პალიტრას წამოავლო ხელი და მანეკენს მოშიშვლებულ ზურგზე წითელი საღებავით სიტყვა Chanel დააწერა!

კლაუდია შიფერი Chanel-ის სახედ 5 წლის განმავლობაში იყო, მაგრამ შემდეგ იგი „ჰეროინის გოგონების" სტილის მოდელებმა შეცვალეს. „ვფიქრობ, მათ არ უნდა დავემსგავსო. ტენდენცია იცვლება, მაგრამ მე მხოლოდ მათთან ვმუშაობ, ვისაც სურს, რომ ლამაზი და ჯანმრთელი მიხილოს," — განაცხადა მაშინ სუპერმოდელმა. იმ დროს კარლ ლაგერფელდი ვარაუდობდა, რომ კლაუდია შიფერზე მოთხოვნა აღარასდროს იქნებოდა. „კლაუდია — სხვა სამყაროს, სხვა მოდისა და ეპოქის ნაწილია. მისთვის გარდაქმნა ძნელი იქნება და სულაც არ არის აუცილებელი, რომ სამოდელო კარიერა გააგრძელოს," — ამბობდა მოდის სამყაროს დიდი მაესტრო, მაგრამ მისი ვარაუდი არ გამართლდა. კლაუდია Citroen-ის სარეკლამო კამპანიაში მიიწვიეს და როგორც ამბობენ, 6 მლნ დოლარი გადაუხადეს!

U2-ს „დაკარგული" სიმღერა

ჯგუფის U2 ალბომის All That You Can`t Leave Behind (2000) დასახელება ერთგვარად წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. ირლანდიელი როკერები დროდადრო ისევ იმას უბრუნდებიან, რისი თავიდან ამოგდებაც ვერაფრით მოახერხეს. კოლექტივის საიტზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, მუსიკოსებმა ხელახლა აღადგინეს სიმღერა Wave of Sorrow, რომელიც ალბომის The Joshua Tree (1987) სტუდიური სესიის დროს ჩაწერეს, მაგრამ შემდგომში დისკზე არ გადაწერეს. „დაკარგული" კომპოზიციის ახალი ვერსია The Joshua Tree-ს საიუბილეო გამოცემაში შევა, რომელიც წლის ბოლოს გამოვა.

ბონომ და მისმა მეგობრებმა თავის დროზე სიმღერის დასრულება ვერ შეძლეს, მასზე მუშაობა მომავლისთვის გადადეს და ამისთვის მხოლოდ 20 წლის შემდეგ მოიცალეს... სიმღერა Wave of Sorrow ჯგუფის ფრონტმენისთვის განსაკუთრებით ძვირფასია, რადგან ეს სიმღერა 80-იან წლებში ევროპიაში პირველი მოგზაურობით მიღებული შთაბეჭდილებების ზეგავლენით შექმნა. მაშინ სამოქალაქო ომის ქარცეცხლმა და გვალვამ ქვეყანაში 1 მლნ ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ბონო და მისი მეუღლე ლტოლვილთა ბანაკებში მოხალისეებად მუშაობდნენ და ავადმყოფებს უვლიდნენ.

The Joshua Tree-ს ახალი გამოცემა 3 დისკს მოიცავს. მასში შევა ძირითადი და დამატებითი CD (რემიქსები და რარიტეტები) და საკონცერტო ჩანაწერების DVD.

ჯგუფის თაყვანისმცემლები კიდევ ერთ საჩუქარს მიიღებენ. ჯგუფი სულ მალე დაასრულებს ახალი ალბომის How To Dismantle An Atomic Bomb ჩანერას, რომლის რელიზი 2008 წელს შედგება. 2 ბროდვეული მიუზიკლისათვის Spidermen შექმნილი საუნდტრეკის ცალკე გამოცემასაც გეგმავს, რომელშიც ჯგუფის ოცამდე სიმღერა შევა.

მაიკლ ჯექსონის ახალი პროექტი

მაიკლ ჯექსონი ამერიკის ტელევიზიაში ახალი პროგრამის განხორციელებას აპირებს, რომლის მიზანი ახალი ტალანტების მოძიებაა. წარსულში სუპერპოპულარულმა მომღერალმა პროექტში საკუთარი ოჯახის წევრები: 52 წლის ძმა ჯერმენი, 78 წლის მამა ჯოზეფი და ცნობილი მსახიობი ჯეიმი ფოქსი ჩართო. ჯექსონს ახალი პროექტის იდეა ბრიტანულმა ანალოგმა American Idol შთააგონა, რომელშიც სწორედ ჯეიმი ფოქსი მონაწილეობს. „მაიკლი ხედავს, რომ ბრიტანეთში American Idol უდიდესი პოპულარობით სარგებლობს და დარწმუნებულია, რომ მისი პროექტი ბევრად უკეთესი იქნება, მით უმეტეს თუ მასში ოჯახის წევრები და მაიკლის სახელგანთქმული მეგობრები მიიღებენ მონაწილეობას!" — ამბობს ჯექსონის ერთ-ერთი მეგობარი.

დეკემბერში ჯექსონი ერთგვარ „დაზვერვით სამუშაოს" ჩაატარებს და კიდევ ერთი პოპულარული შოუს — The X Factor ჟიურის მუშაობაში ჩაერთვება. „ჯექსონის წარმომადგენლები დამიკავშირდნენ და განაცხადეს, რომ მაიკლს ჩვენი შოუ ძალიან მოსწონს და მასში მონაწილეობა სურს. რა თქმა უნდა, მაშინვე ჟიურიში მივიწვიეთ," — ამბობს შოუს პროდიუსერი საიმონ კოუელი.

აღსანიშნავია, რომ მომავალი ვიზიტის დროს მაიკლ ჯექსონი პირველად გამოჩნდება ბრიტანეთის ტელევიზიით მას შემდეგ, რაც 2003 წელს ეთერში გავიდა მარტინ ბაშირის სკანდალური დოკუმენტური ფილმი Living with Michael Jackson: A Tonight Special.

რას უწინასწარმეტყველებენ რობი უილიამსს

რობი უილიამსს სამართლიანად შეუძლია იამაყოს იმით, რომ ჩინებულად აწყობილი, შემოსავლიანი ბიზნესი აქვს. გასულ წელს მუსიკოსმა საკუთარი ანგარიში ყოველგვარი სირთულეების გარეშე, 32 მლნ გირვანქა სტერლინგით გაზარდა და ეს თანხა მხოლოდ კონცერტებით მიღებული შემოსავალია!

ყველაზე საოცარი კი ის არის, რომ გასულ წელს მომღერალმა მხოლოდ 44 კონცერტი ჩაატარა. გამოდის, რომ თითოეული კონცერტის შემოსავალმა თითქმის 1 მლნ გირვანქა სტერლინგი (!) შეადგინა. ამ შედეგით უილიამსი კოლეგებს შორის აშკარა ლიდერია. ესოდენ წარმატებულ ბიზნესს მუსიკოსი 2002 წელს დაარსებულ საკუთარ კომპანია The In Cood Company Co Limited-ს უმადლის, რომლის წყალობით რობი უილიამსის კაპიტალი 70 მლნ გირვანქა სტერლინგით გაიზარდა.

„ჩარტებში მისი ალბომის Rudebox მოხვედრის გამო, რობის მატერიალურ კრახს უწინასწარმეტყველებდნენ. ახლა ცხადია, რომ კრიტიკას შეუძლია მისი ალბომები დაიწუნოს, პუბლიკამ კი რამდენიც სურს, იმდენი უსტვინოს. სანამ რობი იულიამსი სცენაზე დგას, სუპერშემოსავლები გარანტირებული ექნება“, — დასძენს მუსიკოსის ერთ-ერთი მეგობარი. ■

კაილი მინოუგი კვლავ შვილის გაჩენაზე ოცნებობს

ავადმყოფობის შემდეგ პირველი ალბომის გამოშვებასთან დაკავშირებული გადატვირთული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად, კაილი მინოუგი იმედს არ კარგავს, რომ დედა გახდება! ამჟამად, მომღერალი ქალაქგარეთ მდებარე სახლს დაეძებს, სადაც საბოლოოდ დამკვიდრდება და ოჯახს შექმნის. შოუბიზნესის ვარსკვლავი სანუკვარი ოცნების შესახებ თითქმის ყველა ინტერვიუში საუბრობს. „ოჯახი — აი, ის, რაზეც ვოცნებობ,“ — ამბობს მომღერალი, რომელსაც მალე 40 წელი შეუსრულდება. ეს ის ასაკია, როდესაც ახალი ცხოვრების დაწყება შეიძლება. მაგრამ ოჯახური იდილიის შესაქმნელად კაილის ბოიფრენდი აკლია. თებერვალში მომღერალი ოლივიე მარტინესს დაშორდა. როგორც თავად აღნიშნა, ყოფილ შეყვარებულთან უბრალო მეგობრობაც აღარ ძალუძს, ცხოვრების ახალი თანამგზავრი კი ჯერ არსად ჩანს...

კაილის ვერაგ სენთან დაკავშირებული შიშიც ტანჯავს. მკითხველს შევახსენებთ, რომ 2005 წელს მინოუგს მკერდის ავთვისებიანი სიმსივნე აღმოაჩნდა. ქირურგიული ოპერაციისა და შემდგომი მკურნალობის წყალობით მომღერალმა დაავადება დაამარცხა, მაგრამ კაილი აღიარებს, რომ ავადმყოფობამ მის ცხოვრებას მძიმე კვალი დააჩნია. ყოველთვის, როდესაც თავს შეუძლოდ გრძნობს, შიში ეუფლება და ფიქრობს, რომ ეს დაავადების რეციდივია. განკურნების შემდგომ, პირველ ხანებში ექიმებმა კაილის დაორსულება აუკრძალეს, მაგრამ ახლა, როდესაც მომღერალმა სასტიკი დაავადება საბოლოოდ დაამარცხა, იმედია, მისი სანუკვარი ოცნება ასრულდება! შესაძლოა, კაილი მინოუგმა მადონას მიჰბაძოს და ბავშვი იშვილოს. ჯერჯერობით კი საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია და რჩევა-დარიგებას ახლობლებისგან ელის. ■

ესპანეთის სამეფო ოჯახში განქორწინების სკანდალური პროცესი იწყება

სამყაროში ძალზე გახშირდა ბუნებრივი კატასტროფები, ტერაქტები და პოლიტიკური პროვოკაციები, მაგრამ ეს კატაკლიზმები ადამიანებს ხელს არ უშლის ურთიერთობების დამყარებასა და განხეთქილებებში, ადამიანები ძველებურად არიან გატაცებულნი უჩვეულო ჰობითა თუ მაღალი საზოგადოების წამომადგენელთა სკანდალებით...

ბოლო ხანებში აშკარად გამოიკვეთა ტენდენცია, რომ „ცისფერსისხლიანი“ არისტოკრატები სახელმწიფო საქმეებს ჩინებულად ართმევენ თავს, მაგრამ პირად ცხოვრებაში წარმოქმნილი პრობლემების წინაშე უსუსურნი არიან. გახმაურებული განქორწინების პროცესის მორიგი „მსხვერპლი“ ესპანეთის მეფის ხუან კარლოსისა და დედოფალ სოფიას უფროსი ქალიშვილი, პრინცესა ელენა აღმოჩნდა. სამეფო კარის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ პრინცესა ქმარს ჟემი დე მარიალარს ეყრება. 43 წლის ჰერცოგინიას და მის 44 წლის რჩეულს არცთუ ისე უღრუბლო ქორწინების დარღვევა სურთ, მაგრამ ოჯახში ორი მცირეწლოვანი ბავშვი იზრდება და მშობლები შიშობენ, რომ შექნილი სიტუაცია პატარების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება. განქორწინება განსაკუთრებით მტკივნეული იქნება პრინცესასთვის, რომლის პირად ცხოვრებას ჩრდილი მიადგება. ის ესპანეთის ტახტის შესაძლო პრეტენდენტთა შორის მეოთხე ადგილზეა. პრინცესას ტახტისაკენ მიმავალ გზაზე უმცროსი ძმა ფილიპი და მისი ორი ქალიშვილი ეღობება. ■

რუბრიკა მოამზადა
ნატო მანჯავიძემ

„ბარის“
COOL
სპეცნომერი
13 ჰიტით

ჟურნალი +
CD დისკი
სულ რაღაც

4 ლარი ღირს

19 ნოემბრის „ბარში“ დისკია
ყველა მკითხველისათვის!

დასაწყისი იხ. „გზა" №44-46

მსოფლიოთმთავარი სტალინი

იმ პოზიციის შეფასებისას, რომელიც სტალინს გერმანიის თავდასხმამდე ეკავა, აუცილებელია ერთი გარემოების გათვალისწინება: გადაწყვეტილებების მიღებისას ბელადს არ შეეძლო ეფიქრა მხოლოდ საკითხის სამხედრო ფაქტორებზე. ომის დაწყებამდე, წინასწარ შეიარაღებული ძალების გაშლა, რასაკვირველია, სასარგებლოა სამხედრო თვალსაზრისით, მაგრამ პოლიტიკური მოსაზრებების გამო, ამის განხორციელება ყოველთვის როდი ხერხდება. მობილიზაცია და მით უმეტეს, შეიარაღებული ძალების სტრატეგიული გაშლის მიზნით, ღონისძიებათა მთელი კომპლექსის ჩატარება ყოველთვის უტოლდებოდა ომის მდგომარეობის დასაწყებად მზადებას და ამის შემდგომ, სამშვიდობო მდგომარეობისკენ დაბრუნება ძალზე ძნელია. სწორედ ამას ადასტურებდა პირველი მსოფლიო ომის გამოცდილება, რომელიც ყველას კარგად ახსოვდა.

ამას მთელი სისრულით აცნობიერებდა სტალინი, რომელიც ცდილობდა, არ დაეშვა შეცდომა და გერმანიასთან ომის დაწყების გადავადების იმედით, ყველა ღონეს ხმარობდა (სამწუხაროდ, ეს მაინც საკმარისი არ აღმოჩნდა), რათა ზღვრისთვის არ გადაებიჯებინა. ამას ემატებოდა გაურკვევლობა, რომელიც ინგლისში ჰესის ჩაფრენას ახლდა თან. შესაძლოა, სტალინს, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ერთიანი — გერმანული და ანგლო-ამერიკული ბლოკის შექმნის ეშინოდა. მოვლენათა ასეთი განვითარება იმ დროს, სრულიადაც არ იყო გამორიცხული.

რაც შეეხება ოფიციალურ საინფორმაციო სააგენტოს — საკდესის ცნობილ განცხადებას, რომელიც 1941 წლის 14 ივნისს გამოქვეყნდა და იტყობინებოდა, რომ საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის ომის მოახლოების შესახებ საზღვარგარეთ გავრცელებული ცნობები საფუძველს მოკლებულია, — ამ დოკუმენტში მხოლოდ უარყოფითი მხარის დანახვა მართებული არ გახლავთ. ეს ნაბიჯი არა მარტო გერმანიის შეკავებას ისახავდა მიზნად, არამედ იმასაც, რომ მისთვის მოლაპარაკებები მოეხვია თავს და როგორმე, რაც შეიძლება დიდი ხნით გადაეწია ომის დაწყება, ამასთანავე, ეჩვენებინა მსოფლიო საზოგადოებრიობისთვის, თუ ომის დაწყების შემთხვევაში, ვინ იქნებოდა აგრესორი. საკდესის განცხადების ამ მიზანს მესამე რაიხშიც კარგად ჩასწვდნენ და დიდი უკმაყოფილებითაც აღიქვეს. მაგალითად, გებელსის დღიურში, 1941 წლის 15 ივნისს შემდეგი ჩანაწერი გაჩნდა: *„სტალინ-ესის ინფორმაციის ზემოქმედება გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ამის წარმოდგენა პირველი ინფორმაციების მიღებისას შეგვეძლო. აშკარაა, რომ სტალინს სურს, ზედმიწევნით მეგობრული ტონითა და იმის ხაზგასმით, რომ ჩვენ შორის ცუდი არაფერი ხდება, დაარწმუნოს ყველა, — ომის გაჩაღების არანაირ საბაბს არ ვიძლევიო".*

სტალინის მოწინააღმდეგენი შეგნებულად უვლიან გვერდს იმას, თუ რაოდენ რთული და ჩახლართული სიტუაცია იყო შექმნილი ომამდელი პერიოდში და რაოდენ ვერაგულად იქცეოდნენ საერთაშორისო არენაზე მოქმედი რეაქციული წრეები, გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის შესაძლო ომის საკითხთან დაკავშირებით. არაფერს ამბობენ იმაზე, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, ომის გაჩაღების პირველსავე ხანებში, არა მარტო სამხედრო, არამედ პოლიტიკურ მდგომარეობასაც, რომელიც იმ მომენტისთვის შეიქმნებოდა. სტალინი ვალდებული იყო, გაეთვალისწინებინა ყველა ეს ფაქტორი, თუმცა მათი შეფასებისას, შეცდომების დაშვება ძალზე ბუნებრივი გახლდათ. საჭირო იყო, უდიდესი სიფრთხილე გამოეჩინა, რათა იმპერიალისტური სახელმწიფოების მმართველი წრეების შესაძლებელ პროვოკაციებს არ წამოჰგებოდა და ამავე დროს, არ მიეცა მათთვის შანსი, რომ ჩვენი ქვეყანა სისუსტეში გამოეჭირათ.

გერმანიის მმართველმა წრეებმა წინასწარ შეიმუშავეს და თანამიმდევრულად ახორციელებდნენ პოლიტიკური, დიპლომატიური და სამხედრო-სტრატეგიული ღონისძიებების მთელ სისტემას, რომელიც საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შენიღბვას ემსახურებოდა, რათა ომის დაწყება რაც შეიძლება მოულოდნელი ყოფილიყო ჩვენთვის.

ეს მთელი რიგი ფაქტორებით იყო განპირობებული. სამხედრო თვალსაზრისით, ისინი მიზნად ისახავდნენ, განეხორციელებინათ წინასწარ მომზადებული, მოულოდნელი დარტყმები, რომლებსაც თავდაპირველად, სატანკო და მოტორიზებული შენაერთები მოგვაყენებდნენ, შემდგომ კი — ავიაციის მასირებული იერიშები განამტკიცებდა. ასეთი ტაქტიკა საშუალებას იძლეოდა, ომის დაწყებისთანავე ხელთ ეგდოთ სტრატეგიული ინიციატივა, მაქსიმალური ზიანი მიეყენებინათ მოწინააღმდეგის მთავარი სამხედრო დაჯგუფებებისთვის, ჩაეშალათ მობილიზაცია და ჯარების სტრატეგიული გაშლისთვის საჭირო ღონისძიებები, მოეხდინათ სამხედრო და სახელმწიფო ინსტანციების მუშაობის დეზორგანიზაცია, — ერთი სიტყვით, მიეღწიათ ისეთი შედეგებისთვის, რომლებიც არსებითად, საომარი მოქმედებების შემდგომი განვითარებისა და შესაძლოა, მთელი ომისთვისაც კი გადამწყვეტი ყოფილიყო.

საბჭოთა კავშირის დეზინფორმაციისთვის გამიზნულ ქმედებებში განსაკუთრებით შედეგიანი აღმოჩნდა სამი ცრუვერსია, რომელიც გეგმაზომიერად და დაბეჯითებით ვრცელდებოდა ომის დაწყებამდე რამდენიმე თვის განმავლობაში. ეს ვერსიები იყო:

— აღმოსავლეთისკენ ჯარების გადაადგილება წარმოადგენს მანევრს, რომელიც ინგლისზე თავდასხმის შესანიღბავად ხორციელდება;

— საბჭოთა კავშირ-გერმანიის საზღვარზე ჯარების კონცენტრაცია იმ მიზნით ხორციელდება, რათა საბჭოთა კავშირზე ზეწოლის გზით, დათმობებს მივაღწიოთ: იგულისხმებოდა, რომ ომი საბჭოთა კავშირთან მანამდე არ დაიწყებოდა, სანამ ინგლისს არ გაუსწორდებოდნენ და მთლიანად არ მოიხსნებოდა ორ ფრონტზე მოქმედების საფრთხე; მანამდე კი, საბჭოთა კავშირს ულტიმატუმს წაუყენებდნენ. აქედან გამომდინარე, გერმანული მხარის გათვლებში არ შედიოდა თავდასხმის მოულოდნელობის მიღწევის ამოცანა;

გერმანიის მმართველმა წრეებმა წინასწარ შეიმუშავეს და თანამიმდევრულად ახორციელებდნენ პოლიტიკური, დიპლომატიური და სამხედრო-სტრატეგიული ღონისძიებების მთელ სისტემას

საბჭოთა მზვერავებმა გერმანელი სარდლობის სადეზინფორმაციო დირექტივების შესახებ არაფერი უწყოდნენ

— აღმოსავლეთში ვერმახტის ჯარების გაძლიერება ეშსახურება მხოლოდ და მხოლოდ საომედო ზურგის უზრუნველყოფას ინგლისთან ომის დროს, რათა საბჭოთა არმიის შესაძლო დარტყმისაგან თავი დაიცვათ.

აი, როგორი იყო დეზინფორმაციის გასავრცელებლად გამიზნული ზოგიერთი ღონისძიება გერმანელთა გეგმებში, რომლებიც ლამის თითოეული დღის მიხედვით იყო გაწერილი. 1941 წლის 15 თებერვლის და 12 მარტის დირექტივებში ვერმახტის უმაღლესი სარდლობა აღნიშნავდა, რომ მოწინააღმდეგის შეცდომაში შესაყვანად, საჭირო იყო, 15 თებერვლიდან 14 მარტამდე გაევრცელებინათ ვერსია, რომლის თანახმადაც, გერმანიას ჯერ არ ჰქონდა გადაწყვეტილი, თუ რა მიმართულებით განეხორციელებინა ახალი იერიში. დაახლოებით აპრილის შუა რიცხვებიდან, როცა გერმანული ჯარების აღმოსავლეთით გადაადგილების დაფარვა უკვე შეუძლებელი იყო, გაიცა ბრძანება, წარმოედგინათ ძალების ეს კონცენტრაცია, როგორც დეზინფორმაციის ისტორიაში უდიდესი მანევრი, რომელიც ინგლისში შესაჭრელად მზადების შენიღბვას ისახავდა მიზნად...

საბჭოთა მზვერავებმა გერმანელი სარდლობის სადეზინფორმაციო დირექტივების შესახებ არაფერი უწყოდნენ, რადგან ეს მხოლოდ გერმანიის უმაღლესი ხელმძღვანელობის ვიწრო წრისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია გახლდათ.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანელებმა შენიღბვის უმკაცრეს ზომებს მიმართეს, საბჭოთა დაზვერვამ მაინც დროულად შეიტყო ჩვენს დასავლეთ საზღვრებთან ვერმახტის ჯარების თავმოყრის შესახებ. უფრო რთული აღმოჩნდა ამ ღონისძიებების რეალური მიზნების დადგენა და იმ ნაბიჯების განჭვრეტა, რომლებსაც გერმანია უახლოეს პერიოდში გადადგამდა. უნდა ვაღიაროთ — გერმანელთა დეზინფორმაციულმა აქციებმა მიზანს მიაღწია და გარკვეული გავლენაც იქონია ანალიზზე, რომელიც იმდროინდელი სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობისა და უახლოესი პერსპექტივის თაობაზე საბჭოთა ხელმძღვანელობამ გააკეთა.

გერმანიის მმართველ წრეებს ამ საკითხში წარმატება სდევდათ თან. გებელსს მართლაც, ჰქონდა საფუძველი იმის სათქმელად, რაც მან თავის დღიურში ჩაწერა: *„1941 წლის 25 მაისი. ჩვენ რუსეთთან მიმართებაში საუცხოო დეზინფორმაციის ორგანიზება მოვახერხეთ. უწყვეტი „სატყუარების“ წყალობით, საზღვარგარეთ უკვე აღარ იციან, რა არის ტყუილი და რა — სიმართლე...“*

საინტერესოა აგრეთვე, გებელსის დღიურში გაკეთებული ის ჩანაწერები, რომლებიც საბჭოთა კავშირზე თავდასხმის წინა დღეებში გაკეთდა. აი, რამდენიმე მათგანი: *„1941 წლის 31 მაისი. „ბარბაროსას“ გეგმის განხორციელება იწყება. მისი შენიღბვის პირველი დიდი ტალღა წამოვა. აუცილებელია მთელი სახელმწიფო და სამხედრო აპარატის მობილიზება. საქმის ჭეშმარიტი ვითარება ძალზე ცოტა ვინმესთვისაა ცნობილი. 6 ივნისი. მთელ მსოფლიოში ლაპარაკობენ, უახლოეს მომავალში ბერლინსა და მოსკოვს შორის სამხედრო პაქტის დადებაზე. 14 ივნისი. ინგლისის რადიომ უკვე გამოაცხადა, რომ რუსეთის წინააღმდეგ ჩვენი გალაშქრება — ტყუილია, რომლის ბიღმაც, მასზე თავდასასხმელად ჩვენი მზადება იმალება. 18 ივნისი. რუსეთის წინააღმდეგ ჩვენი გეგმების შენიღბვამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. ჩვენ ისე გავხვიეთ მსოფლიო ჭორების საბურველში, რომ თვითონაც ვეღარ ვერკვევით მათში. უახლესი ტრიუკი ასეთია: დაგეგმილი გვაქვს, მშვიდობის პრობლემების განსახილველად დიდი კონფერენციის მოწვევა, რუსეთის მონაწილეობით“.*

ამ შემთხვევაში, ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ გებელსის მოტანილი ჩანაწერებიც დეზინფორმაციის მიზნით იყო გაკეთებული. ინგლისური დაზვერვის ახლახან გამომზეურებული დოკუმენტების შესწავლამ დაადასტურა, რომ ისინი საქმის რეალურ ვითარებას გადმოგვცემს. დოკუმენტები მოწმობს, რომ 1941 წლის მაისის ბოლომდე მაინც, ინგლისის დაზვერვას „მტკიცედ სჯეროდა, რომ გერმანიის ჯარების აღმოსავლეთში განლაგება, საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებების პრელუდია იყო“. დაზვერვის გაერთიანებულმა კომიტეტმა ომის გარდაუვალობის საკითხი პირველად მხოლოდ 23 მაისს განიხილა. მაგრამ მაშინაც იგივე დასკვნა გამოიტანა: *„ყველაზე მართებული კურსი — თანამშრომლობაა... თუ რამდენიმე კვირის წინ, მთელ ევროპაში ყველაზე გავრცელებული ჭორის თანახმად, გერმანია მალე დაესხმებოდა თავს საბჭოთა კავშირს, ახლა საქმე სრულიად საპირისპიროდაა. ზოგიერთი ნიშნის თანახმად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ორ ქვეყანას შორის ახალი ხელშეკრულება შესაძლოა, უკვე მზად იყოს“...*

თუ ზოგიერთი ისტორიკოსი და მწერალი იმაში ადანაშაულებს სტალინს, რომ მან ყური არ უგდო გაფრთხილებებს თავდასხმის ვადებთან დაკავშირებით, ისტორიკოსებისა და მწერლების მეორე ნაწილი, რეზუნის (სუვოროვის) მსგავსად (ის გახლავთ ავტორი პროვოკაციული წიგნებისა — „ყინულმჭრელი“ და „დღე“), ბელადს გერმანიაზე პრევენციული თავდასხმის გეგმის მომზადებაში სდებს ბრალს. თან, ეს ადამიანები ირწმუნებიან, რომ გერმანიაზე თავდასხმა 1941 წლის 12 ივნისს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ინგლისში ჰესის ჩასვლის შემდეგ, ეს თარიღი 1941 წლის 15 ივლისისთვის გადაიტანეს. მათი თქმით, არსებული 303 დივიზიიდან, გერმანიასთან საომრად, 247 გამოიყო და ამ გეგმის თანახმად, წითელ არმიას უკვე 1942 წელს უნდა აეღო ბერლინი. მსგავსი ინსინუაციები სინამდვილეს არ შეეფერება.

სინამდვილე კი, აი, როგორია. საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავების გამო, 1941 წლის მაისის ბოლოს გაიმართა პოლიტბიუროს გაფართოებული სხდომა, რომლის გახსნის დროსაც სტალინმა თქვა: *„...შესაძლოა, ჩვენ ფაშისტური გერმანიის მოულოდნელი თავდასხმის მსხვერპლი აღმოვჩნდეთ... ისეთი ავანტიურისტებისგან, როგორიც ჰიტლერული ხროვაა, ყველაფერს შეიძლება მოველოდეთ, მით უმეტეს, რომ ჩვენთვის ცნობილია — საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმა ამერიკელი და ინგლისელი მონოპოლისტების პირდაპირი მხარდაჭერით მზადდება. გერმანიაში მოქმედი ინგლისურ-ამერიკული აგენტურა ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ რაც შეიძლება მალე დაგეშოს გერმანია საბჭოთა კავშირზე. ინგლისელი და ამერიკელი იმპერიალისტები ფაშისტურ გერმანიას განიხილავენ, როგორც მთავარ დამრტყმელ ძალას საბჭოთა კავშირისა და მთელ მსოფლიოში მოქმედი, დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამაში ჯერ კიდევ მაშინ დავრწმუნდით, როცა ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეების პოლიტიკას განვიხილავდით. ეს პოლიტიკა გამოაშკარავდა, როცა ერთა ლიგაში შევიტანეთ წინადადებები განიარაღების შესახებ და მათ ამ წინადადებათა განხილვა ჩააგდეს. ამით დაგვანახვეს, რომ არ სურდათ, უარი ეთქვათ ე.წ. ჩაურევლობის საზიზღარ, პროვოკაციულ პოლიტიკაზე, რომელმაც ხელი შეუწყო გერმანულ აგრესიას. საკმარისია იმის გახსენება, რომ საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადების წინადღეს, ბრიტანეთის ყოფილი პრემიერი ჩემბერლენი, ინგლისის მმართველი წრეებისთვის დამახასიათებელი ფარისევლობით, მის ხელთ არსებულ ყველა ხერხს მიმართავდა, რათა ჩვენი ქვეყანა ფაშისტური გერმანიის დარტყმის ქვეშ დაეყენებინა“.*

რუსეთის წინააღმდეგ ჩვენი გეგმების შენიღბვამ უმაღლეს წერტილს მიაღწია

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჩით დაეხმარა პანჩო მარტოსულს

„გზის“ №45-ში დაიბეჭდა 18 წლის მარტოსულის (ლიკას) მესიჯი, რომელიც ამბობდა, რომ სწავლის გაგრძელება სურს, მაგრამ ამის საშუალება არა აქვს და რომ მას მშობლებიც კი არ აქცევენ ყურადღებას. შინ გამოკეტილი მარტოსული წერს ლექსებს, ჩანახატებს, სიმღერებს, მაგრამ საკუთარი თავის რეალიზაციას ვერ ახდენს და ამბობს, რომ ამ მიზეზით მეგობრებსაც კარგავს... მის წერილს მომღერალი პანჩო გამოეხმაურა, რომელმაც აღნიშნა, რომ ამ გოგონას „ესემესი“ გულზე მოხვდა და უნდოდა, მას რაღაცით მაინც დახმარებოდა. რა თქმა უნდა, ინიციატივა გამოვიჩინეთ და მომღერალი მარტოსულს შევახვედრეთ.

ანუ „ჩემს ცხოვრებას სიმღერად ვაქცევ“...

ლიკა ქაჯაია

ლიკას პანჩოს სახლთან ახლოს შევხვდი. გოგონა აღფრთოვანებული იყო იმით, რომ მის მესიჯს ცნობილი მომღერალი გამოეხმაურა. მან მითხრა: ლიკა, დიდი მადლობა ყურადღებისთვის. უკვე ძალიან შემიყვარდი და აღარ გადაგიყვარებ. ვეცდები, ჩემი ცხოვრება უკეთესობისკენ შევცვალო... პანჩოს სიმღერები ძალიან მომწონს. არ მეგონა, ჩემით რომელიმე ცნობილი ადამიანი თუ დაინტერესდებოდა. ახლა, როცა ამ ადამიანს უნდა შევხვდე, ძალიან ვნერვიულობ, მაგრამ ეგ არაფერი, გამივლისო. მას ვკითხე, თინეიჯერების რჩევები რაიმეში დაგეხმარა თუ არა-მეთქი? მიპასუხა: „როცა ჩემი მესიჯი გამოაქვეყნეთ, დედამ ის წაიკითხა, მაგრამ ვერ მიხვდა, მისი ავტორი თუ ვიყავი. მერე, როცა ვუთხარი, „გზის“ ჟურნალისტს ჩემი ლექსი უნდა გავუგზავნო-მეთქი, შემომხედა და გაკვირვებულმა მკითხა: ე.ი. ის მარტოსული შენ ხარო?.. მგონი, დედას ჩემი ესმის და მეც მესმის მისი, მაგრამ რატომღაც, ერთმანეთს ამაში არ ვუტყდებით. ჩემს თანატოლებს კი ჩემგან ძალიან დიდი მადლობა გადაეცი, მათი რჩევები გადაწყვეტილების მიღებაში ნამდვილად დამეხმარა“.

ამასობაში, პანჩოს ბინას მივადექით და მომღერალმა შინ შეგვიპატიჟა. მარტოსული აღფრთოვანებით ათვალიერებდა მის ოთახს, რომლის კედლებსაც ფოტოები, პლაკატები, წარწერები (რომლებიც სავარაუდოდ, პანჩოს ფანებს ეკუთვნის) ამშვენებს. ბოლოს, როცა ცოტათი მოვშინაურდით, პანჩომ მარტოსულს ჰკითხა:

— აბა, შეგიძლია რაიმე გვიმღერო? გიტარა მოგცე?

— არა, გიტარა არ მინდა, ისე ვიმღერებ.

— ისე როგორ, ყოველგვარი ინსტრუმენტის გარეშე?

— კი, ასე ვღერი ხოლმე.

— ვაააა (იცინის). აბა, მიდი. ისე, სანამ მოიფიქრებ, რომელ სიმღერას შეგვისრულებ, მითხარი, სიმღერას როგორ წერ?

— როცა ლექსებს ვწერ, მელოდიაც თავისთავად მოდის...

— მოდი, მაშინ ჯერ ლექსი წაგვიკითხე და მერე გვიმღერე.

— სიამოვნებით. წაგიკითხავთ ლექსს, რომელსაც „ვილოცებ შენთვის“ დავარქვი: ვილოცებ შენთვის, და ვილოცებ მათთვის,/ ვისაც არა აქვს სახლი და კარი,/ ვისაც არა აქვს თავშესაფარი,/ ვილოცებ მათთვის, ვისაც სამყარო არაფრად არ თვლის/ და ვინც სამყაროს არაფრად არ თვლის./ ვილოცებ მათთვის, ვილოცებ მისთვის,/ ვისთვისაც ბედი ვერასდროს იცლის,/ ვილოცებ თქვენთვის, მეტი რა მეთქმის/ დიდი ძალა მაქვს, წყალობა ღმერთის,/ და სიტყვა წმინდა, თუკი რამ ითქვა,/ მათთვის, ვისაც ცხოვრება არაფრად არ თვლის/ და ვინც ცხოვრებას არაფრად არ თვლის./ ვილოცებ მათთვის, ვისაც არა აქვს ჭკუა და ძალა სამყაროს მართვის./ ვილოცებ ჩუმად, ლოცვას თქმა არ ჭირს/ თუმცა მე თქვენთვის, ლოცვა კი მიჭირს,/ მაგრამ მე მაინც, ვილოცებ მათთვის,/ ვისაც არა აქვს სევდა და დარდი,/ რომ სამშობლოში აყვავდეს ვარდი,/ ვილოცებ შენთვის, ვილოცებ მათთვის,/ ვისაც არა აქვს ნება და ძალა გრძნობების მართვის./ ვილოცებ მათთვის!..

ლექსის წაკითხვის შემდეგ, მარტოსულმა სიმღერაც შეგვისრულა. პანჩომ გოგონა ტაშით დააჯილდოვა, შემდეგ კი ჰკითხა:

— მშვენივრად წერ და მღერი. მაინტერესებს, არც ერთ ინსტრუმენტზე არ უკარავ?

— არა. რომ შემეძლოს, სიამოვნებით ვისწავლიდი დაკვრას...

— რას ნიშნავს, რომ შემეძლოს?

— აბა, ვინ მასწავლის გიტარაზე ან პიანინოზე დაკვრას?

— რა ვიცი, ხომ არსებობს მუსიკალური სასწავლებლები...

— არსებობს, მაგრამ მშობლები სწავლის ფულს ვერ გადამიხდიან... თქვენ რატომ გაგიჩნდათ გამოხმაურების სურვილი?

— როცა წავიკითხე შენი მესიჯი, სადაც ამბობ: ვწერ სიმღერებს, ჩანახატებს და ლექსებს, მაგრამ მარტოსული ვარო, გულზე მომხვდა. უამრავი რამ შეგძლებია და ვერ ვხვდები, რატომ ფიქრობ, რომ არავის სჭირდები?

— მართალი ხართ, მთლად ასეც არაა, მაგრამ მე მეტი ყურადღება მჭირდება...

— მითხარი, რით შემიძლია დაგეხმარო?

— ჩემთვის ისიც დახმარებაა, აქ რომ მოვედი, შეგხვდით და თქვენგან რჩევებს ველი... პანჩო, როცა მღერით, რას გრძნობთ?

— როცა რაღაცას ვიგრძნობ, ვწერ სიმღერას და მერე ვმღერი იმას, რაც გრძნობამ მომიტანა. თუ კარგი გამოდის, სიამოვნებას მანიჭებს. შენ რას გრძნობ?

— მგონია, რომ როცა ვმღერი, მაშინ ყველას სიმართლეს ვეუბნები. სანამ პოპულარული გახდებოდით და თქვენი სიმღერები გაჰიტდებოდა, საკუთარი შემოქმედებით კმაყოფილი იყავით?

— არასდროს მიფიქრია, რომ ჩემი სიმღერები გაჰიტდებოდა. უბრალოდ, ვწერდი ჩემთვის, მეგობრები-

სთვის და როცა ჩემი შემოქმედება მათ მოწონებას იმსახურებდა, მეც ბედნიერი ვიყავი.

— ჩემს მეგობრებსაც მოსწონთ ჩემი ნამღერი.

— ეს ძალიან კარგია, მაგრამ მაინც, მიმაჩნია, რომ აუცილებელია, რომელიმე ინსტრუმენტზე დაკვრა ისწავლო.

— გიტარაზე დაკვრა ძნელია?

— თუ რაიმეს მოინდომებ, ძნელი არაფერია. შეიძლება, კარგი სმენა არ გქონდეს, მაგრამ დაკვრა მაინც ისწავლო. შენ კი ისეთი მონაცემები გაქვს, რომ დაკვრას ადვილად ისწავლი. ამიტომ გეუბნები, მითხარი, რით დაგეხმარო?.. მოდი, იყიდე გიტარა, მერე მე დაგიწერ აკორდებს, შენ კი დაჯდები და ისწავლი, რა.

— თქვენს რჩევას აუცილებლად გავითვალისწინებ.

— გიტარა რომ მქონდეს, აუცილებლად გაჩუქებდი, მაგრამ სამწუხაროდ, ამის შესაძლებლობა არ მაქვს. ვერ გეტყვი, რომ დაკვრას პროფესიონალურ დონეზე გასწავლი, მაგრამ ერთად იმდენს კი შევძლებთ, რომ ინსტრუმენტზე შენი სიმღერების აწყობა შეძლო. დამიჯერე, როცა უკრავ და თან მღერი, ამას სულ სხვა „მულამი" აქვს, მაგრად ისიამოვნებ... როცა არაფრის არ გჯერა, ეს ავადმყოფობაა, ნევროზია. ადამიანმა იმედი არასდროს უნდა დაკარგო. სხვა თვალით შეხედე ცხოვრებას და აუცილებლად მიაღწევ იმას, რაც გინდა. შენ „ვარსკვლავობა" გინდა?

— რა ვიცი, ამაზე არასდროს მიფიქრია, მაგრამ ის კი ნამდვილად მინდა, რომ ხალხმა ჩემი სიმღერა მოისმინოს და ჩემი სამყარო დაინახოს.

— შენ მთლიანად ვიღაცის რჩევებს ნუ დაეყრდნობი და მიზნად მხოლოდ „ვარსკვლავობას" ნუ დაისახავ. შენ დაკვრა ამისთვის კი არა, იმიტომ უნდა ისწავლო, რომ საკუთარმა სიმღერამ თავადვე მოგანიჭოს ჯიამოვნება. აი, მერე კი შეიძლება, შენი შემოქმედება ვინმეს მოვასმენინოთ და... ყველაფერს ნელ-ნელა მიაღწევ.

— ისე, არც მე მეჩქარება.

— რამდენი წლის ხარ?

— 18-ის.

— ჰოდა, ყველაფერი წინ გაქვს. ისე, მე 19-ის ვარ ანუ თითქმის ტოლები ვართ (იცინიან). გული არასდროს გაიტეხო.

— მაინტერესებს, ჩემზე როგორი წარმოდგენა შეგექმნათ?

— ყოველ შემთხვევაში, ცუდი ნაღდად არა.

— მაგრამ გამოუცდელი ვარ და ბევრი რამ მაქვს სასწავლი, არა?

— 18 წლის ადამიანი გამოცდილი როგორ უნდა იყოს? რაც მეტს ისწავლი, ცხოვრებაში მეტს მიაღწევ. ლიკა, სულ რამდენი ლექსი გაქვს დაწერილი?

— 100-ზე მეტი. 13 წლის ვიყავი, პირველი ლექსი რომ დავწერე, მაგრამ სამწუხაროდ, დავკარგე.

— ძალიან კარგია, წერა რომ გიტაცებს. აბა, წარმატებებს გისურვებ და როცა გიტარას იყიდი, დამიკავშირდი. მე პირობას შევასრულებ ანუ აკორდების აღებას გასწავლი, მერე კი ვნახოთ...

პანჩოს დავემშვიდობეთ. მარტოხულმა ბიჭუნამ ღიმილი დასთამაშებდა. ვკითხე:

— ახლა რაზე ფიქრობ?

— ლიკა, ამ შეხვედრამ მიმახვედრა, რომ რაღაცის ლოდინს აზრი არა აქვს, სასწრაფოდ უნდა ვიმოქმედო და მჯერა, წარმატებასაც მივაღწევ. მადლობელი ვარ პანჩოსი და მის რჩევას აუცილებლად გავითვალისწინებ. დამიჯერე, მიზნის მისაღწევად ყველაფერს გავაკეთებ, ბოლომდე ვიბრძოლებ. და კიდევ, მერწმუნე, ჩემს ცხოვრებას სიმღერად ვაქცევ...

„ეს მესიჯი თითქოს, მე დავწერე, 6 წლის წინ..."

„გზის" წინა ნომერში დაიბეჭდა 18 წლის მარიამის მესიჯი, რომელიც თანატოლებს სთხოვდა, რაიმე მირჩიეთო. შეგახსენებთ, გოგონას მამა, რომელიც თურმე, ციხეში უდანაშაულოდ ზის, მას ქართველი ბიჭის შეყვარებას უკრძალავს და ეუბნება, რომ საქართველოდან აუცილებლად წაიყვანს, რადგან არ სურს, მის შვილს ამ ქვეყანასთან რაიმე აკავშირებდეს. ამავე მოსაზრებისაა მარიამის ძმაც. ამ ყველაფრის გამო, გოგონას ნევროზი დაემართა და ამიტომაც, დამამშვიდებელ აბებს სვამს.

„მშობლების სიყვარულსა და სითბოს შეყვარებული ვერ შეგიცვლის"

მაკუნა:

„მოგესალმებით. სიყვარულისთვის მეც გაეწირავდი თავს და შესაძლოა, ყველასა და ყველაფერზე მეთქვა უარი, მაგრამ... ჩვენთვის, ქალებისთვის სიყვარული მთელი სამყაროა, მამაკაცებისთვის კი ცხოვრების ერთი ეპიზოდია, მხოლოდ. იმაშიც ნუ იქნები დარწმუნებული, რომ თუ ოჯახს მოშორდები და შეყვარებულს მიენდობი, ყველაფერი კარგად გექნება, რადგან არავინ იცის, ცხოვრება რას გვიმზადებს. დამიჯერე, მშობლების სიყვარულსა და სითბოს შეყვარებული ვერ შეგიცვლის. მამაშენსაც გაუგე, მან იცის, რომ დღეს ბევრი გოგო ცდება და არ უნდა, რაიმე დაგიშავდეს... მეც მყავდა შეყვარებული, 4 წელი ერთად ვიყავით. მეგონა, არავის და არაფრის გამო შემელეოდა, მაგრამ მიმატოვა. ასე რომ, სანამ გადაწყვეტილებას მიიღებ, კარგად დაფიქრდი".

ლევანი, *20 წლის:*

„პრივეტ", მარი. თქვენი გაცნობა მინდა და მაინტერესებს, ეს როგორ მოვახერხო?"

ფერია, *17 წლის:*

„მინდა, მარიამს ვუთხრა, რომ გამაგრდეს! მარი, პირველ რიგში, ღმერთის იმედი გქონდეს, ის ყველაფერში დაგეხმარება. შენი სიყვარულის გადასარჩენად იბრძოლე! ალბათ, შენს მამიკოს ციხიდან მალე გამოუშვებენ (ის ხომ უდანაშაულოა). გთხოვ, თუ ის ბიჭი ასე ძალიან გიყვარს, ამ დამპლური ცხოვრების გამო, არ დათმო. წარმატებებს გისურვებ! უფალი გფარავდეს".

NON STOP:

„პრივეტ", ლიკ. მარიამ, ცუდია, როცა მამას და ძმას არ უნდათ, ქართველი ბიჭი გიყვარდეს. ისე, მე რომ შენს ადგილას ვიყო, საზღვარგარეთ სწავლის შანსს ხელიდან არ გავუშვებდი. დაელაპარაკე შეყვარებულს, იქნებ, მან გაგიგოს და დაგელოდოს, სანამ სწავლას მორჩები. იმედი მაქვს, სწორ გადაწყვეტილებას მიიღებ და ბედნიერი იქნები. უფალი გფარავდეს. ლიკ, დამიბეჭდე, რა".

ლეო91:

„გამარჯობა, ლიკა. მინდა, მარიამს მივმართო: მარი, მე მაინც ვფიქრობ, რომ აუცილებლად უნდა დაელაპარაკო მშობლებს. მამას რაიმის თქმას თუ ვერ გაუბედავ, დედას აუხსენი, რომ ის ბიჭი ძალიან გიყვარს. დამიჯერე, დედაშენი ყველაზე მეტად გაგიგებს და ამავდროულად, „შუამავლის" ფუნქციას იკისრებს შენსა და მამაშენს შორის. ამბობ, 18 წლის ვარო, რაც იმას ნიშნავს, რომ უკვე საკმაოდ

დიდი ხარ იმისთვის, რომ გაგიგონ და შენს გადაწყვეტილებას პატივი სცენ. ამ თემაზე ძმასთან დალაპარაკება სცადე? თუ — არა და გირჩევ, მასაც აუხსნა ყველაფერი. იმედია, გაგიგებს. წარმატებებს გისურვებ!"

სევდია:

„ჩემო კარგო, სიყვარული ყველაზე წმინდა გრძნობაა და მხოლოდ იმიტომ, რომ შენი შეყვარებული ქართველია, ვფიქრობ, ასეთი სიყვარულის დანგრევა და მამის აზრის გათვალისწინება არ ღირს. შენ არ გითქვამს, წარმოშობით საიდან ხარ და ასე მკაცრად რატომ გიკრძალავენ ქართველის შეყვარებას, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, შენი სიყვარულისთვის იბრძოლე".

სოფი:

„მარიამ, მესიჯი, რომელიც შენ ლიკას გაუგზავნე, თითქოს, მე დავწერე, 6 წლის წინ. გინდა, მისი გაგრძელება გითხრა? — აქ დავრჩი და გავთხოვდი. საშინლად ვნანობ, რომ ჯერ ჩემს თავს და კარიერას არ მივხედე. ჯობია, შენებს დაუჯერო და საზღვარგარეთ წახვიდე".

ტლიკინა:

„გამარჯობათ. მარი, შენმა ამბავმა ძალიან დამაფიქრა. თუ სიყვარულში დარწმუნებული ხარ, მისთვის იბრძოლე და აუცილებლად გაიმარჯვებ! უფალი გფარავდეს".

EMO GIRL, *15 წლის:*

„ლიკ, „პრივეტ", როგორ ხარ? მინდა, მარიამის მესიჯს გამოვეხმაურო: ჩემო კარგო, ნუ დაკარგავ სიყვარულს, *იბრძოლე! ჩემი აზრით, ოჯახის* წევრებს გულახდილად უნდა დაელაპარაკო და შეყვარებულსაც უნდა სთხოვო რჩევა. მართალია, შენზე პატარა ვარ, მაგრამ ის გითხარი, რასაც მე გავაკეთებდი ასეთ სიტუაციაში".

უცნობი:

„მარი, მინდა გითხრა, რომ სრულიად უდანაშაულოდ არავის იჭერენ, რადგან მიმაჩნია, რომ საქართველოში უსამართლობა ნაღდად არ არის. მამაშენს მგონი, დახმარება სჭირდება. რატომ? — რას ნიშნავს, ქართველს არ გაჰყვე ცოლადო, რომ გეუბნება?! აბა, რუსს უნდა გაჰყვე?.. მას აუხსენი, რომ მწარედ ცდება. კარგი იქნება, თუ მეგობრებთან იკონტაქტებ. და კიდევ, დამამშვიდებელ აბებს ნუ სვამ, თორემ ცუდად იქნება შენი საქმე. აბა, შენ იცი".

უცნობი:

„ჩემო კარგო, მიმაჩნია, რომ მშობლებს უნდა დაუჯერო. რა იცი, იქნებ, ოდესმე გადაგიყვარდეს ის ბიჭი და მერე, სულ მარტო დარჩები. სანამ რაიმეს გადაწყვეტ, კარგად დაფიქრდი".

უცნობი:

„მინდა, მარიამს გამოვეხმაურო და ვურჩიო, თავადვე გადაწყვიტოს, თუ როგორ წარმართავს საკუთარ ცხოვრებას. ვფიქრობ, მხოლოდ სიყვარულით ცხოვრებას მოაქვს ბედნიერება და არა საზღვარგარეთ წასვლას და იქ ვიღაც უცხოელზე გათხოვებას. მამამისი თუ ვიღაცაზეა გაბრაზებული, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისმა ქალიშვილმა საკუთარ სიყვარულზე უნდა თქვას უარი. რა თქმა უნდა, მშობლები უნდა გიყვარდეს, მაგარამ მათ არა აქვთ უფლება, ცხოვრება გაგიმწარონ".

.G:

„ლიკა, „პრივეტ". მინდა, იმ ადამიანს გამოვეხმაურო, რომელსაც ვერ გადაუწყვეტია, ვის მიენდოს — საკუთარ გულს თუ ძმას და მამას. მარი, იცი, რას გეტყვი? — ადამიანი საკუთარ ცხოვრებას თავადვე ქმნის და ვიღაცის სულელურ ახირებას არ უნდა აჰყვე. მოკლედ, თუ დარწმუნებული ხარ, რომ შენი შეყვარებული შენს გაბედნიერებას შეძლებს, ის არავის გამო დათმო. იმედია, ეს რჩევა რაიმეში მაინც დაგეხმარება".

ფაცო — მეტიჩარა:

„მარი, ძალიან კარგი გოგო ხარ. გთხოვ, თავს ნუ იტანჯავ. საკუთარი ბედნიერებით დატკბი, შეყვარებული არ მიატოვო და ბოლოს, ყველა გაგიგებს. ლიკა, გთხოვ, მიეცი მარის ჩემი ნომერი".

„თუ მხოლოდ ორიენტაციის გამო „დამბლოკავ", არ მეწყინება, მაპრამ..."

„არ ვიცი, როგორ უნდა ვიცხოვრო..."

სანდრო:

„პირველ რიგში, ჩემს თანატოლებს მივესალმები და ამ მესიჯისთვის ბოდიშს მოვუხდი. მაგრამ რომ არ მომეწერა, არ შემეძლო, რადგან მათგან დახმარება ნამდვილად მჭირდება. ვარ არატრადიციული ორიენტაციის ადამიანი. ალბათ ამიტომაც, კონტაქტში ვერავისთან შევდივარ. მგონია, რომ ყველა ყველაფერს ხვდება. მეგობრებო, გთხოვთ, მითხარით, რა გავაკეთო?.. თქვენ გარდა, ამ თემაზე სხვას ვერავის დაველაპარაკები. ძალიან ვიტანჯები! იმედი მაქვს, თქვენი მესიჯები ცოტათი მაინც დამეხმარება გადაწყვეტილების მიღებაში. არ ვიცი, როგორ უნდა ვიცხოვრო... ბიჭებო და გოგონებო, მაპატიეთ, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ მითხრათ, რა უნდა მოიმოქმედოს ჩემნაირმა ადამიანმა იმისათვის, რომ თავი საზოგადოების ისეთსავე წევრად იგრძნოს, როგორიც თქვენ ხართ. რჩევებისთვის წინასწარ გიხდით მადლობას. უფალი გფარავდეთ. თქვენც დიდი მადლობა, „გზის" რედაქციავ და განსაკუთრებით შენ, ლიკა, იმისთვის, რომ თინეიჯერებს საშუალებას გვაძლევ, გულისტკივილი გაგიზიაროთ და მერე, სწორი გადაწყვეტილების მიღებაშიც გვეხმარებით. და კიდევ, შეცდომებისთვის ბოდიშს გიხდით. ლიკ, თუ არ დამიბეჭდავ და მხოლოდ ორიენტაციის გამო „დამბლოკავ", პრობლემა არ არის, არ მეწყინება, მაგრამ... იქნებ, დამეხმარო?! აბა, შენი იმედი მაქვს! გკოცნით. მე „გზის" ფანი ვარ, გენაცვალეთ".

P.S. იმედია, სანდროს მიმართ, მისი ორიენტაციის გამო, ზედმეტ აგრესიას არ გამოიჩენთ და მას რაიმე ღირებულს ურჩევთ. ამ ადამიანს თქვენი დახმარება ნამდვილად სჭირდება. ვფიქრობ, კეთილგონიერებას გამოიჩენთ და ხელს არ ჰკრავთ. თუ გაგიჩნდებათ სურვილი, სანდროს გამოეხმაუროთ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27... და კიდევ, თქვენ მიერ გამოგზავნილი „ესემესები" ჩვენამდე არასრულად აღწევს (ანუ სადღაც წყდება და შესაბამისად, მის შინაარსს ვერ ვიგებთ) და მათ დაბეჭდვას სწორედ ამ მიზეზის გამო ვერ ვახერხებთ. გაითვალისწინეთ, თუ ვრცელი „ესემესის" გამოგზავნა გსურთ (ერთი მესიჯი 160 სიმბოლოს იტევს), ის რამდენიმე მესიჯად უნდა გამოგზავნოთ. ■

დაბოლოს, შეგახსენებთ: შეგიძლიათ მოგვწეროთ — ვის ნახვას ისურვებდით მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვებს დაუსვამდით მას? ან სულაც, თუ თქვენც გაქვთ რაიმე მოსაყოლი და გსურთ, ჩვენი ჟურნალის მეშვეობით რჩევები მიიღოთ ან უბრალოდ, საკუთარი გულისტკივილის თანატოლებისთვის გაზიარებას მოისურვებთ, დაგვიმესიჯეთ.

მასა ნოემბრის მინურულს იქორწინებს

„ფორმულა-1"-ის ბრაზილიელი მრბოლელი, ფელიპე მასა დაქორწინებას აპირებს. მასას ამის შესახებ არავითარი კომენტარი არ გაუკეთებია, მაგრამ პრესაში უკვე გამოაქვეყნეს საქორწინო ცერემონიის თარიღი — 30 ნოემბერი. პილოტის რჩეული მისი ძველი მეგობარი, რაფაელა ბასია, რომელიც თავის მომავალ ქმარზე ერთი წლით უფროსია. ფელიპეს მეგობრის რანგში, რაფაელას „ფორმულა-1"-ის არაერთ ოფიციალურ ცერემონიაში მიუღია მონაწილეობა. მაგალითად, ცოტა ხნის წინ ის სხვა პილოტების ცოლებთან და მეგობარ გოგონებთან ერთად, Raymond Weil-ის ელიტური საათების პრეზენტაციას დაესწრო. როგორც F1 News იუწყება, წყვილი Dolce&Gabbana-ს ერთ-ერთ მილანურ სალონში შეუნიშნავთ, რომელიც ახალდაქორწინებულებს ემსახურება. მასა და ბასი საქორწინო კაბას არჩევდნენ, რის შემდეგაც, მრბოლელი Ferrari-ს მიერ მოწყობილ საღამოზე გაემგზავრა. ■

კრაუჩის საცოლე ქალის თეთრეულის რეკლამირებას იწყებს

„ლივერპულის" ფორვარდის, პიტერ კრაუჩის მეგობარი და, როგორც ხშირად მოიხსენიებენ — საცოლე, ები კლენსი მალე ახალ ფოტოსესიაში მიიღებს მონაწილეობას. მოსალოდნელია, რომ ის Ultimo-ს ქალის თეთრეულის ერთ-ერთი სახე გახდება. კომპანიის ახალი ხაზის რეკლამირებაში ბრიტანეთში კარგად ცნობილი რამდენიმე მოდელია ჩაბმული. ბრენდის საცვლებსა და ბიუსტჰალტერებს ისეთი ვარსკვლავები გაუწევენ რეკლამას, როგორებიც არიან: სარა ჰარდინგი, ელენ კრისტიანსენი, რეიჩელ ჰანტერი და ჯემა ატკინსონი. უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი, საფეხბურთო სამყაროში საკმაოდ ცნობილია. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ, ჯემას „მანჩესტერის" ნახევარმცველის, კრიშტიანუ რონალდუს გელფრენდად მოიხსენიებდნენ. ■

თავისუფლების აღკვეთა მოსწავლესთან ინტიმისთვის

ჩოგბურთის მწვრთნელს, კლერ ლაიტს 13 წლის მოსწავლესთან სქესობრივი კავშირისთვის ორი წლითა და ცხრა თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. გარდა ამისა, მომავალში მას ბავშვებთან მუშაობის უფლება აღარ ექნება. ლივერპულის სასამართლოში გამართული პროცესის შედეგად, ლაიტი დამნაშავედ ოქტომბერში ცნეს. მწვრთნელისა და მისი მოსწავლე გოგონას სექსუალური ურთიერთობის შესახებ, პირველად ბავშვის დედამ შეიტყო. თავდაპირველად, მას ამის თაობაზე სამართალდამცავი სტრუქტურებისთვის არაფერი უცნობებია და არც შვილისთვის აუკრძალავს საჩოგბურთო აკადემიაში სიარული. მაგრამ როდესაც დედა დარწმუნდა, რომ 29 წლის ლაიტსა და მის ქალიშვილს შორის ინტიმურ ურთიერთობას დასასრული არ უჩანდა, პოლიციაში იჩივლა. ■

ჰემილტონს თანაქალაქელები ალმერთებენ

„მაკლარენის" ბრიტანელმა პილოტმა, ლუის ჰემილტონმა ამ სეზონში ნამდვილი ფურორი მოახდინა. იგი მთელი ჩემპიონატის განმავლობაში, რომელიც სხვათა შორის, მისთვის „ფორმულა-1"-ში სადებიუტო იყო, სატურნირო ცხრილს ლიდერობდა. თუმცა ბოლო რბოლაში ჰემილტონმა რიგით მეშვიდემ გადაკვეთა ფინიშის ხაზი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მან ჩემპიონის ტიტული დათმო. მიუხედავად ამისა, 22 წლის სპორტსმენისთვის ტურნირში მეორე ადგილის დაკავებაც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. პილოტის მშობლიურ ქალაქ სტივენეიჯში, ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი უწოდეს. „ლუისის წარმატებამ სტივენეიჯის მცხოვრებლები ძალზე გაახარა. თითოეული მათგანი ამაყობს იმით, რომ ლუისის თანაქალაქელია. მან ჩვენს ქალაქს სახელი გაუთქვა", — ამბობს BBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში სტივენეიჯის საბჭოს თავკაცი, შერონ ტეილორი. მიუხედავად ამისა, მრბოლელი არა მარტო ამ ქალაქში, არამედ საერთოდ, დიდი ბრიტანეთში ცხოვრებას არ აპირებს. ამ ცოტა ხნის წინ მან განაცხადა, რომ მისი პერსონისადმი პრესის მხრიდან გამოჩენილი გადამეტებული ინტერესის გამო, საცხოვრებლად შვეიცარიაში გადადის, რის შესახებაც ადრეც უთქვამს. „იქ ხალხი არ გაწუხებს და მშვიდად ცხოვრებაა შესაძლებელი", — ასეთი კომენტარი გაუკეთა პილოტმა თავის გადაწყვეტილებას. ■

როგორც ბაკურიანის საქალაქო ბიბლიოთეკის გამგე, დარეჯან ბარათელი გვიამბობს, ადგილობრივებისთვის ერთადერთ კულტურის კერას, სადაც 30 ათასი წიგნი ინახება, კერძო მეწარმე ყიდულობს და მის ადგილზე პურის საცხობის, ე.წ. თონის აშენებას გეგმავს. როგორც ამ ქალბატონისაგან შევიტყვეთ, ბაკურიანელებს მძიმე, გაუსაძლის პირობებში ცხოვრება უწევთ. ზამთრის საკურორტო ქალაქში ცხოვრებამ მათ მხოლოდ გაზრდილი გადასახადები და უცხოელ ინვესტორებთან არათანაბარ პირობებში ბრძოლა მოუტანა. რაოდენ გასაოცრადაც უნდა მოგეჩვენოთ, ბაკურიანელები, მძიმე სოციალური ფონის მიუხედავად, ყველაზე მეტად კულტურული ცენტრების მოშლასა და ჟურნალ-გაზეთების უქონლობას განიცდიან.

„სასმელ წყალს ბაყაყები და მატლები მოჰყვება..."

ბაკურიანში ერთადერთ მოქმედ ბიბლიოთეკას აუქმებენ

ხათუნა ბახტურიძე

— ქალბატონო დარეჯან, კონკრეტულად, ვისი ინიციატივით იყიდება ბიბლიოთეკა?

— ვინ არის დაინტერესებული ამ საკითხით, არ ვიცი, მაგრამ წლების განმავლობაში, ბიბლიოთეკის წიგნებისაგან დაცლას კომუნალური სამსახურის დირექტორი პირადად მოითხოვდა. ამ საკითხის გამო, ადგილობრივ მმართველობასთანაც არაერთხელ მომიხდა დაპირისპირება. გული მიკვდება, როდესაც წარმოვიდგენ, რომ ეს 60 წლის ისტორიის მქონე ბიბლიოთეკა რიკულებიან თონედ უნდა გადაკეთდეს. ბაკურიანი, რომელიც სპორტისა და ტურიზმის ცენტრია, ნუთუ, ერთი ბიბლიოთეკის ღირსი არ არის?

— დამხარებისათვის შესაბამის ორგანოებს თუ მიმართეთ?

— არაერთხელ მივმართე, მაგრამ უშედეგოდ. ამ წიგნებზე კრუხივით ვიყავი გადაფოფრილი. რა არ გავაკეთე, რომ ბიბლიოთეკა დღემდე შემომენახა: შეშასაც ვყიდულობდი, ელექტროენერგიის ფულსაც ვიხდიდი და წიგნებსაც პირადად ვუვლიდი. როდესაც ბაკურიანში არეულობა დაიწყო და ყაჩაღები მთელ დაბას ძარცვავდნენ, მე და ჩემს მეუღლეს ღამე ბიბლიოთეკაში გვეძინა და გაძარცვისაგან ასე დავიცავით. ერთი წიგნიც კი არ დაკარგულა. ამ ყველაფრისთვის მადლობა იმით გადამიხადეს, რომ ხელფასი, რომელიც 130 ლარს შეადგენდა, 58 ლარამდე შემიმცირეს. როდესაც ამის მიზეზი ვიკითხე, მითხრეს: თქვენ წიგნების შემნახველად მიიჩნევით და სხვა ფუნქცია არ გაგაჩნიათო. რაიონის ადგილობრივმა მმართველობამ, იმის მაგივრად, რომ ბიბლიოთეკაში კომპიუტერის ან ახალი წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების შემოტანაში დამხმარებოდა, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ შენობა ავარიულად გამოეცხადებინა და გასაყიდად გაემზადებინა.

— ბიბლიოთეკაში თანამშრომლებიც გყავთ თუ მარტო თქვენ მუშაობთ?

— ჩემთან ერთად გოგონა მუშაობს. თანამშრომელი კიდევ რომ გვყავდეს, კარგი იქნებოდა, მაგრამ ჩვენც არ გვაფინანსებენ ნორმალურად და სხვას რა შევთავაზოთ?!.

— ადგილობრივი მოსახლეობა თუ დადის ბიბლიოთეკაში?

— რა თქმა უნდა, დადის. წიგნებისთვის ძირითადად, სტუდენტები და სკოლის მოსწავლეები მოდიან, შუახნის ასაკის ხალხი კი ჟურნალ-გაზეთების წასაკითხად გვაკითხავს.

— ჟურნალ-გაზეთები ჯიხურებში არ იყიდება?

— იყიდება, მაგრამ ძვირია. უფრო სწორად, ადგილობრივებისთვის არის ძვირი. ხალხს იმის ფული არა აქვს, რომ ოჯახი გამოკვებოს და ჟურნალ-გაზეთებს რითი იყიდის?!

— ბიბლიოთეკაში არსებულ წიგნებს რას უპირებენ?

— ადგილობრივმა გამგებელმა მითხრა, სკოლაში სამი ბიბლიოთეკაა და იქ დაეტევაო. ეს სულელური გადაწყვეტილებაა... ჩვენთან ისეთ ლიტერატურას შეხვდებით, რომელიც არც ერთ სხვა ბიბლიოთეკაში არ არის.

— წიგნების შესანახად, სკოლაში თუ არის შესაბამისი პირობები?

— არანაირი. იქ ჩვეულებრივი საკლასო ოთახებია. როგორ შეიძლება, უნიკალური ფონდისადმი ასეთი დაუდევარი დამოკიდებულება?! საშინელ დღეში ვართ, მთელ ბაკურიანს ყიდიან.

— ბიბლიოთეკის გარდა, კიდევ რას ყიდიან?

— მიწას... ადგილობრივ მოსახლეობას აღარაფერი დაგვიტოვეს. რაც გვაქვს, იმასაც არ გვიფორმებენ.

— რა მიზეზით არ გიფორმებენ?

— ამბობენ, ამ მიწებით ადგილობრივი მუნიციპალიტეტია დაინტერესებულიო...

— ბაკურიანში საკმაოდ ბევრი ახალი სასტუმრო შენდება. მათ მფლობელებს შორის, ადგილობრივებიც თუ არიან?

— ადგილობრივებს იშვიათად აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ სასტუმროები ააშენონ. ძირითადად, ამ საქმით უცხოელი ინვესტორები არიან დაკავებულნი.

— და ისინი ადგილობრივ მოსახლეობას არ ასაქმებენ?

— კი, მაგრამ ძალიან ცოტას. თანაც, ამ ადამიანების ხელფასი არც ისე დიდია, რომ მათი სოციალური მდგომარეობა გაუმჯობესდეს.

— თქვენს სოციალურ მდგომარეობას არც ზამთარში, გაქირავებული ბინებიდან შემოსული თანხა აუმჯობესებს?

— პირადად მე, სამსახური მაქვს და ჯერჯერობით, ბინის გაქირავება არ მიწევს, მაგრამ სხვები, 10 დღით მაინც თუ გააქირავებენ ერთ ან ორ ოთახს, თავზე მაშინვე საგადასახადო სამსახური დაეცემათ და საწყლებს, ყველაფერს წაართმევენ.

— რას ნიშნავს, ყველაფერს წაართმევენ?

— როგორც უკვე მოგახსენეთ, მდიდრები ჩვენს სახლებს დასასვენებლად არ კადრულობენ, მაგრამ გათბობა, ელექტროენერგია და ელემენტარული პირობები საშუალო ფენის წარმომადგენლებსაც სჭირდებათ. მათი მოცემული თანხიდან, გამქირავებელი მხოლოდ გაზის, შეშისა და ელექტროენერგიის გადასახადის დაფარვას ახერხებს, დანარჩენი თანხა კი საგადასახადოს მიაქვს. ერთი სიტყვით, ადგილობრივებს ტურიზმი-

დან არანაირი შემოსავალი არა აქვთ. ჩვენს მდგომარეობას კომუნალური გამრიცხველიანებაც ართულებს: თვის განმავლობაში, ელექტროენერგიის მოხმარებისთვის, სასტუმროს მეპატრონეც 25 ლარს იხდის და მეც, როცა მხოლოდ ერთი ნათურა მინთია, ისიც — საღამოობით.

— როგორც ვიცი, სასმელ წყალთან დაკავშირებითაც სერიოზული პრობლემები გაქვთ.

— მართალია. ონკანიდან წყალი კი მოდის, მაგრამ სასმელად უვარგისია — ბაყაყებით დაწყებული, მატლებით დამთავრებული, ყველა სახის ქვეწარმავალი მოჰყვება. ამ პრობლემის მოსაგვარებლად, ბიძინა ივანიშვილმა რამდენჯერმე ჩარიცხა ფული, მაგრამ ეს თანხები ადგილობრივმა ხელისუფლებამ საკუთარ ჯიბეში ჩაიდო. ჩვენს ბავშვებს, ამ უვარგისი წყლის წყალობით, გამუდმებით კუჭი აქვთ აშლილი. მდიდარი დამსვენებლებისთვის ეს პრობლემაც მოგვარებულია: სასტუმროებში სპეციალური ფილტრები აქვთ დაყენებული... ჩვენ როგორი წყალი შევთავაზოთ, ჩვენსავით გაჭირვებულ დამსვენებელს?..

— დამსვენებლები მხოლოდ ზამთარში ჩამოდიან?

— ზაფხულშიც არიან, მაგრამ წელს მათმა რიცხვმა საგრძნობლად იკლო.

— რატომ?

— ალბათ იმიტომ, რომ ხალხს ფული არა აქვს...

— დამსვენებლები ბიბლიოთეკაში თუ მოდიან ხოლმე?

— კი, ინტელექტუალური დამსვენებლებიც გვყავს, რომლებიც ხშირად, ჩვენს ბიბლიოთეკაში მათთვის ძალზე საინტერესო წიგნებს პოულობენ.

— ბაკურიანში კულტურული ღონისძიებები თუ ტარდება?

— არანაირი. როდესაც ბიბლიოთეკა მუშაობდა, ლიტერატურული წრე მქონდა ჩამოყალიბებული და საკმაოდ საინტერესო ღონისძიებებს ვაწყობდით. ბაკურიანში ძალიან ბევრნი ვართ ისეთები, ვინც ლექსებსა და ჩანახატებს ვწერთ. თუ ნებას მომცემთ, ერთ ლექსს წაგიკითხავთ.

— ბრძანეთ.

— „თითქოს შეაწყდა ცას საკინძე და მის უბიდან,/ ბღუჯებად ცვივა მარგალიტის თეთრი მძივები,/ სიმშვიდე სუფევს და კაეშანს იხსნი გულიდან,/ სულში ციმციმებს სიხარულის ცელქი სხივები,/ ტანკენარ ნავებს თეთრი თოვლის ქულაჯა ბურავს,/ მზეზე ლივლივებს დაჩიტული რთვლის მაქანი,/ კოხტა გორაკი აღმართულა, ვით ბამბის ქულა,/ მასზე დაირწა ზამთრის სპორტის ყველა აკვანი./ ბროლის ჩურჩხელებს აქანდაკებს ყინვა ფიქალი,/ მომინანქრულა ნაზი ფიფქით ძველი მთა-ბარი,/ მზისა და თოვლის საუფლოში მეფობს ზამთარი,/ გინახავთ, განა, სილამაზე სხვაგან ამგვარი?!.“ ბოლო ღონისძიება ერთი წლის წინ ჩავატარეთ. მთელი ბაკურიანის მოსახლეობის თხოვნის მიუხედავად, წელს ვეღარაფერს ვახერხებ.

ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს მომავლის წინასწარმეტყველების ნიჭი ბებიისგან მემკვიდრეობით გადაეცა. მას უამრავი ადამიანი ემადლიერება. თუ რაიმე პრობლემა აქვთ გადასაწყვეტი, მათ შორის, ცნობილ პიროვნებებსა და ბიზნესმენებს, ჯერ ნელისთან მიდიან რჩევის მისაღებად. ნათელხილვის უნიკალური ნიჭის წყალობითა და გამოლოცვებით, მან უამრავი ოჯახი გადაარჩინა დანგრევასა და მოსალოდნელ უბედურებას. ქალბატონი ნელი ხსნის თვალს, ანეიტრალებს ჯადოს ზემოქმედებას. მასთან ხალხი რაიონებიდანაც ჩამოდის.

ნელი ბიჩიკაშვილი: მაგიურმა ზემოქმედებამ შესაძლოა, ფსიქიკური აშლილობაც გამოიწვიოს

— ქალბატონო ნელი, თქვენ შეგიძლიათ დანამდვილებით თქვათ, იმყოფება თუ არა ადამიანი მაგიური ზემოქმედების ქვეშ?

— რა თქმა უნდა!.. დახმარების სათხოვნელად მოსულ ადამიანს იმ პიროვნების ვინაობასაც კი ვეუბნები, ვინც ჯადო გაუკეთა. სამწუხაროდ, სიყვარულსა და პირად ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად, ერცთუ იშვიათად მიმართავენ მჩხიბავებს, რომელთა წყალობითაც, ქმარს ცოლის დანახვა აღარ სურს და პირიქით, ცოლს — ქმრის.

— მაგიური ზემოქმედებით წარმატების მიღწევა შესაძლებელია?

— დიახ, მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ ეს წარმატება დროებითია. ამიტომ გირჩევთ, ცოდვას ნუ დაიდებთ — საყვარელი ადამიანის კეთილგანწყობის მოპოვება მაგიური ზემოქმედების წყალობით, ხშირად, სავალალო შედეგებით მთავრდება.

— რას გულისხმობთ?

— რამდენიმე ხნის წინ, ჩემთან დახმარების სათხოვნელად მოვიდა ერთი ახალგაზრდა ქალბატონი, რომელსაც ქმარი გაუხდა ავად.

— რატომ მოვიდა თქვენთან, ექიმთან ვერ წაიყვანა?

— მიხვდა, რომ მედიცინა უძლური იქნებოდა, რადგანაც მეუღლე სასიყვარულო ჯადოებით თავად გამოათაყვანა და მთხოვა, დამეხმარეთო. სამწუხაროდ, ბევრი ვერ აცნობიერებს, რომ სასიყვარულო ჯადოც ისეთივე ბოროტებაა, როგორიც სხვა დანარჩენი.

— მისი ქმარი ცოლიანი იყო და ოჯახი დაუნგრია?

— არა, კაცი სხვა ქალისთვის არ წაურთმევია. მისი შეყვარებული უცოლო იყო და ჯადო იმიტომ გაუკეთა, რომ გათხოვილიყო. იგი ქმარს საჭმელში სისტემატურად უყრიდა მაგიურ ნივთიერებას, რამაც საბრალო კაცი ფსიქიკურ აშლილობამდე მიიყვანა — ქორწინებიდან სამი წლისთავზე, ჯანმრთელი ახალგაზრდა პრაქტიკულად, დაინვალიდდა და ფსიქიატრების პაციენტად იქცა.

— თქვენ ვერაფრით დაეხმარეთ?

— მაგიური ზემოქმედება თუ დროულად არ განეიტრალდა, ნეგატიური პროგრამა, რომელიც მჩხიბავს ხელოვნურად შეაქვს ადამიანის აურაში, ასტრალური სხეულიდან ფიზიკურზე გადადის და ორგანოებს აზიანებს. ნივთიერებამ, რომელსაც ცოლი სამი წლის განმავლობაში, სისტემატურად უყრიდა ქმარს საჭმელში, ახალგაზრდა კაცი სერიოზულად დაასნეულა — ცენტრალური ნერვული სისტემა დაუზიანა. მას უკვე ფსიქიატრების დახმარება სჭირდება, მე უძლური ვარ.

— ამბობენ, რომ ბევრი ოჯახი გადაარჩინეთ დანგრევას. მართალია?

— თუ ადამიანი დახმარების სათხოვნელად დროულად მოვიდა, ჯადოს განეიტრალება სიძნელეს არ წარმოადგენს. ქალები ძირითადად, მდიდარ, წარმატებულ მამაკაცებზე ნადირობენ და ცდილობენ, მათი ოჯახები დაანგრიონ. მსგავს შემთხვევებში, გამოლოცვა სასურველ შედეგს იძლევა. მოჯადოებულ მამაკაცს, მაგიური ზემოქმედების განეიტრალება საღი აზროვნების უნარს უბრუნებს და რამდენიმე თვეში, ის თავისი ფეხით მიდის სახლში, ცოლ-შვილთან.

— სასიყვარულო ჯადოებს მარტო ქალები უკეთებენ მჩხიბავებს თუ მამაკაცებიც სარგებლობენ მათი მომსახურებით?

— თქვენ წარმოიდგინეთ, მდიდარ ქალიშვილებსა და ქალბატონებს ძლიერი სქესის წარმომადგენლებიც უკეთებენ ჯადოს, რათა მათი გულები მოინადირონ.

P.S. ქალბატონ ნელისთან მოხვედრის მსურველებს გირჩევთ, წინასწარ ჩაწეროთ, რადგანაც მასთან მუდამ ცოცხალი რიგია. ჩასაწერად დარეკეთ შემდეგ ნომრებზე: 35.29.72; 893.30.65.51. 899.20.37.64. ქალბატონი ნელის მისამართია: წერეთლის გამზირი №12, II სადარბაზო, II სართული, ბინა №24.

„ᩮᲩᲔᲛᲘ ᲐᲚᲘᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᩮᲕᲔᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲓ ᲐᲠ ᩮᲐᲘᲙᲘᲗᲮᲝᲗ", — ᩮᲔᲠᲘᲡ ᲝᲥᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᩮᲐᲥᲡᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ

ᲥᲠᲗᲐᲛᲘᲡ ᲐᲚᲔᲑᲐ, ᲤᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲣᲠᲔᲑᲐ, ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛᲝᲡᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲝᲠᲝᲢᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ, ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲣᲚᲒᲠᲘᲚᲝᲑᲐ — ᲔᲡ ᲘᲡ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲔᲑᲘᲐ, ᲠᲐᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲐᲛᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲡ — ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲝᲥᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲐᲣᲧᲔᲜᲐ. ᲐᲛ ᲩᲐᲛᲝᲜᲐᲗᲕᲚᲘᲓᲐᲜ, ᲝᲠᲘ ᲛᲣᲰᲚᲗᲐᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲨᲘ, ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲓᲐᲛᲪᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲯᲝᲗ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲘᲚᲕᲔᲚᲐᲓ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲔᲓᲐ. ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ ᲘᲡᲘᲪ, ᲠᲝᲛ ᲝᲥᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲥᲢᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ — �გᲘᲝᲠ�გᲘ ᲨᲐᲒᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲓᲐ.

„ᲘᲜᲡᲞᲘᲖᲘᲢᲝᲠᲘ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔ"... „ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲢᲝᲠᲘ ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲘ"...

მუხლები, რომელთან მიმართებაშიც სასამართლო პროცესი მიმდინარეობს, ქრთამის აღებასა და სამსახურებრივ გულგრილობას ეხება. რაც შეეხება დანარჩენ ბრალდებებს, ამ მხრივ, გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარეობს. ადვოკატმა ეკა ბესელიამ პროცესზე კონკრეტულ მოწმეთა დაკითხვა მოითხოვა. მისი თქმით, მოწმეთა რანგში, სასამართლოს წინაშე პარლამენტის 4 წევრი უნდა წარდგეს. ესენი არიან: გივი თარგამაძე, დავით კირკიტაძე, ბესო ჯუღელი და ნიკა რურუა.

ადვოკატის განმარტებით, ეს ის პარლამენტარები არიან, რომლებიც დეტალურად უნდა ფლობდნენ ინფორმაციას სწორედ იმ დარღვევებთან დაკავშირებით, რაშიც პროკურატურა ოქრუაშვილს ადანაშაულებს (საქმე ეხება თავდაცვის სამინისტროს მიერ სამხედრო აღჭურვილობისა და იარაღის შესყიდვის საკითხებს). ბესელიას თქმით, 2006 წელს, ზემოთ ხსენებული პირები ნდობის ჯგუფის წევრები იყვნენ და უშუალოდ მათ ევალებოდათ შესყიდვების პროცესის შესწავლა, გაკონტროლება, სამხედრო-ტექნიკური საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების თაობაზე დასკვნების დაწერა და ა.შ.

„ისიც ცნობილია, რომ იმ პერიოდში, როდესაც თავდაცვის სამინისტროში ეს პროცესი მიმდინარეობდა, ნდობის ჯგუფის წევრებმა თავიანთი პოზიციები საჯაროდ, ტელევიზიითაც დააფიქსირეს. ასე რომ, ისინი საქმის კურსში იყვნენ (უნდა ყოფილიყვნენ კიდეც) და იცოდნენ, თუ რა ხდებოდა მაშინ თავდაცვის სამინისტროში, რა სახის და რაოდენობის უვარგის თუ ვარგისიან იარაღს, ტყვია-წამალს იძენდნენ და რა მიზნებს ემსახურებოდა ეს ყოველივე. შესაბამისად, არსებობს ამ პირთა მიერ ხელმოწერილი, ოფიციალური დასკვნა, რომელიც ამ სასამართლო პროცესისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. დასკვნა უნდა გამოვითხოვოთ და ის აუცილებლად უნდა ჩაიდოს საქმის მასალებში. ასევე მნიშვნელოვანია ამ პირების დაკითხვა იმისათვის, რათა მათგან დეტალური ინფორმაციის მიღება და ზოგადად, შესაბამისი დასკვნის გაკეთება შევძლოთ. საინტერესოა, რატომ არ განაცხადეს მათ ამ საშინელ დარღვევებზე თავის დროზე, თუკი ისინი რეალურად არსებობდა? მთელი რიგი პროცედურებია გასავლელი იმისთვის, რომ იარაღის შესყიდვა მოხდეს — იქმნება სპეციალური კომისია, ექსპერტთა ჯგუფი, იწერება რეკომენდაციები. შემდეგ, სწორედ ეს დასკვნები და რეკომენდაციები უნდა გადასცემდა იუსტიციის სამინისტროს, რათა იარაღი რეალურად შემოსულიყო ქვეყანაში. ამ კონტროლის გარეშე, შესყიდვა არ ხორციელდება. აქედან გამომდინარე, ჩნდება უამრავი, საფუძვლიანი კითხვა: სად არიან ის ადამიანები, რომლებიც ჩართული იყვნენ ამ პროცესში და წესით, მეთვალყურეობდნენ ამას? საინტერესოა ისიც, რამდენად იყო უშუალოდ ოქრუაშვილი უფლებამოსილი, რომ მას გაეკონტროლებინა აღნიშნული პროცესი და რამდენად იყო ის პასუხისმგებელი ამ ქმედებების განხორციელებაზე? — ამ კითხვებს პასუხი უნდა გაეცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მუხლით, რომელიც სამსახურებრივ გულგრილობას ითვალისწინებს, ოქრუაშვილის გასამართლება შეუძლებელი და გამორიცხულია", — აცხადებს **ეკა ბესელია**.

პროკურორმა ადვოკატის მოთხოვნას „საპროცესო ნორმებიდან ამოვარდნილი" უწოდა. მისი თქმით, კოდექსის თანახმად, დაცვის მხარემ დასაკითხ მოწმეთა სია სასამართლო სხდომის დაწყებამდე 5 დღით ადრე უნდა წარმოადგინოს, ეს ვადა კი აშკარად დარღვეულია.

ოქრუაშვილის ადვოკატი აღნიშნავს, რომ გენპროკურატურის ხელმძღვანელ პირებს მაინცდამაინც არ სურდათ, საქმის სასამართლოში გადაგზავნის ამბავი დაცვის მხარისთვის შეეტყობინებინათ. *„ეს აშკარაა, რადგან ამის თაობაზე დროულად არ შეგვატყობინეს. ისიც ფაქტია, რომ საქმე რეალურად, სასამართლოში ყოფილა, მე კი ისევ გამოძიებაში მეგონა. როცა პროკურორს დავურეკე, მან ამის შესახებ არაფერი მითხრა. საქმის მასალები გასაცნობად 12 ნოემბერს გადმოგვცეს, 16-ში კი უკვე სხდომა იყო დანიშნული. ამ ვადაში 3 ტომი დეტალურად უნდა შეგვესწავლა. ყველამ იცის, რომ ეს „თხა და გიგო" არ არის, ძალზე სერიოზული საქმეა და ბუნებრივია, ადვოკატებს მოსამზადებლად გონივრული დრო და ნორმალურ რეჟიმში მუშაობა გვჭირდება"*, — აღნიშნავს **ბესელია**. მისი თქმით, პროკურატურა დაცვის უფლებებს ყველა გზით, ხერხითა და მეთოდით ზღუდავს.

პროკურორის პოზიციას არა მარტო დაცვის მხარისგან, არამედ დარბაზში მსხდომ ოქრუაშვილის მხარდამჭერთაგანაც მწვავე რეპლიკები მოჰყვა. პროცესს პარტია „ერთიანი საქართველოსთვის" წევრებიც ესწრებოდნენ. მათ შორის მყოფმა გია თორთლაძემ აღნიშნა, რომ სასამართლო პროცესი იყო მორიგი დადგმა, თანაც, „ისეთივე სამარცხვინო, როგორიც ახლო წარსულში ბევრი გვინახავს"...

ეკა ბესელიამ სხდომაზე ირაკლი ოქრუაშვილის ხელით დაწერილი განცხადებაც წარმოადგინა, რომელიც, როგორც გაირკვა, უკვე ძებნაში მყოფმა განსასჯელმა ადვოკატს რამდენიმე დღის წინ, ფაქსით გამოუგზავნა. განცხადებაში ყოფილი თავდაცვის მინისტრი წერს:

„წინააღმდეგი ვარ სასამართლოს სხდომაზე საჯაროდ წაიკითხოთ წინასწარი გამოძიების დროს, ჩემ მიერ მიცემული აღიარებითი ჩვენება. ასევე, საჯაროდ არ გამოაქვეყნოთ ჩემი ჩვენების ვიდეო ანდა აუდიოჩანაწერი, რადგან ეს აღიარებითი ჩვენებები მიღებულია კანონის უხეში დარღვევით, უკანონო მეთოდებით, ზეწოლის შედეგად და არ შეესაბამება სინამდვილეს... ვითხოვ, არ იქნეს გამოყენებული ეს აღიარებითიჩვენებები ჩემს წინააღმდეგ. თავს არ ვცნობ დამნაშავედ არც ერთ წარდგენილ ბრალდებაში".

ოქრუაშვილი, ყოველივე ამას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 477-ე მუხლის თანახმად მოითხოვს. *„აღნიშნული მუხლი იმპერატიულია და ბრალდებულს ან განსასჯელს უფლებას აძლევს, მოითხოვოს მისი ამა თუ იმ ჩვენების არგამოქვეყნება. ასეთ შემთხვევაში, ანუ ბრალდებულის ან განსასჯელის თანხმობის გარეშე, სასამართლოს უფლება არ აქვს, მისი ნების საწინააღმდეგოდ მოიქცეს და ჩვენება მაინც გამოაქვეყნოს, ან ის ბრალდების მტკიცებულებად გამოიყენოს"*, — განმარტავს ადვოკატი **ბესელია**. ამ კანონის იმპერატიულობაში ადვოკატს არც პროკურორი შესწინააღმდეგება, მაგრამ მან თავად ოქრუაშვილის განცხადების სანდოობა დააყენა ეჭვქვეშ.

ᲫᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲩᲘᲮᲐᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘ, სახელმწიფო ბრალმდებელი:

„ძალიან გამაკვირვა ადვოკატის პოზიციამ. მართლაც უცნაურია, რომ მან ეს განცხადება წარმოადგინა... ფაქტია, რომ განსასჯელი პროცესს არ ესწრება, ის დარბაზში რეალურად არ იმყოფება და შესაბამისად, მოსამართლეც და ბრალდების მხარეც მოკლებულია შესაძლებლობას, შეეკითხოს მას, თანახმაა თუ არა, რომ მის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება გამოქვეყნდეს. არადა, ამ თანხმობის გარეშე,

კანონის თანახმად, ბრალდების მხარე ვერ მოვითხოვდით მის საჯაროდ წაკითხვას და ვერც სასამართლო გამოაქვეყნებდა მას. არ ვეთანხმები თავად განცხადების შინაარსს... თუ კარგად დავაკვირდებით, განცხადება 15 ნოემბრითაა დათარიღებული, ფაქსის გამოგზავნის თარიღი კი 11 ნოემბერია. ეს არ არის განცხადების დედანი, ფაქსია და თანაც, სრულიად დაუმონწმებელი. ამდენად, მისი კანონიერება ეჭვქვეშ დგება...“

ადვოკატ ბესელიას თქმით, პროკურორი, რეალური არგუმენტაციის უქონლობის გამო, უმნიშვნელო დეტალებზე ცდილობს ყურადღების გამახვილებას და დაცვისთვის წინააღმდეგობის გასაწევად, სწორედ მათ ეჭიდება. *„სამწუხაროა, რომ პროკურორი ასეთ ინტერპრეტაციას აძლევს კანონს. როცა არგუმენტი მოჭყავს, ის ვალდებულია, მიუთითოს შესაბამისი მუხლი, რომლსაც მისი პოზიცია ეყრდნობა. ასეთი მუხლი ვერ მოჰყავს და ვერც მოიყვანს, რადგან არსად, კანონის არც ერთ მუხლში არ წერია, რომ განცხადება და ფაქსი უნდა იყოს დამონწმებული. პროკურორი შესანიშნავად იცნობს ირაკლი ოქრუაშვილის ხელწერას, რადგან მისი დაკითხვის პროცედურებს უშუალოდ ესწრებოდა. ასევე, იცის მისი ხელმოწერაც და კარგად ხედება, რომ განცხადება ნამდვილად ოქრუაშვილის მიერაა დაწერილი და ხელმოწერილიც“*, — აღნიშნავს **ბესელია**.

კიდევ ერთი შუამდგომლობა, რომლითაც ადვოკატმა სასამართლოს მიმართა, ოქრუაშვილის გირაოს ეხება. დაცვის მხარემ გირაოს გადახდის დოკუმენტაციისა და შემდგომ, გარკვეულ პირთა მიერ გირაოზე უარის თქმის განცხადებების სასამართლოსთვის წარდგენა და მათი საქმეში ჩართვა მოითხოვა.

ეკა ბესელია:

„ეს დოკუმენტები, რეალურად, ოქრუაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლების საფუძველი გახდა და ბუნებრივია, საქმის მასალებში უნდა იდოს. პირველ რიგში, სასამართლომ სწორედ აღკვეთის ღონისძიების საკითხი უნდა გადაამოწმოს, მაგრამ როგორ შეძლებს ამას, როცა საქმეში შესაბამისი დოკუმენტები არ დევს? ალბათ, ეს გამოძიებას „გამორჩა“. მაგრამ დღეს ყველასთვის ნათელია, რომ გამოძიებას, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, არაფერი „გამორჩება“ და ყოველი მისი ქმედება მიზანმიმართულია... ცხადია, ძიება მხოლოდ ერთი მიმართულებით წარიმართა (და სხვა ბრალდებებთან მიმართებაშიც ასე მიმდინარეობს). მთელი ამ ხნის განმავლობაში, პროკურატურა, ფაქტობრივად, მხოლოდ ბრალდების დამამტკიცებელი საბუთების მოპოვებით იყო დაკავებული და არც ერთი საბუთი, რომელიც მის ბრალს გააქარწყლებას, საქმისთვის არ დაურთავს. ამიტომაც მოვითხოვთ ყველა ამ დოკუმენტაციის წარმოდგენას. საქმე ეხება თავდაცვის სამინისტროში, მინისტრისა და მისი მოადგილეების ფუნქციონალური უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელ დოკუმენტებს (დებულებებს, ბრძანებებს). ასევე, მნიშვნელოვანია იმის გაგებაც, რეალურად გაფორმდა თუ არა კონტრაქტი ფირმა „მელვალე კორპორეიშენთან“ — ტყვია-წამლის შესყიდვასთან დაკავშირებით. გამოთხოვილი უნდა იქნას ამ კონტრაქტის ასლი, თუკი არსებობს. გვაქვს ინფორმაცია, რომ სწორედ ამ ფირმასთან, 2007 წელსაც გაფორმდა კონტრაქტი იმავე პარამეტრების ტყვია-წამლის შესყიდვაზე. კონკრეტულად, ლაპარაკია 21 მილიონ ტყვიაზე. თითოეული ერთეულის ფასი, ამ შემთხვევაში, დაფიქსირებულია 0,160 დოლარი — ორჯერ მეტი, ვიდრე ეს ოქრუაშვილის წინააღმდეგ შედგენილ საბრალდებო დასკვნაში მითითებულ კონტრაქტშია...“

ეს შუამდგომლობა ბრალდების მხარემ დაუსაბუთებლად მიიჩნია. პროკურორის თქმით, ადვოკატმა ზუსტად არ ჩამოაყალიბა და კონკრეტულად ვერ დაასაბუთა ის, რომ აღნიშნული დოკუმენტაციით, ირაკლი ოქრუაშვილის უდანაშაულობის დამტკიცებას შეძლებს. *„გარდა ამისა, გამოძიების ეტაპზე, დაცვის მხარეს ჰქონდა საშუალება, თავად მიემართა შესაბამისი უწყებებისთვის და მოეთხოვა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საბუთი, მაგრამ რატომღაც, ეს არ გააკეთა. ისიც ფაქტია, რომ ირაკლი ოქრუაშვილი მთელი ძიების მანძილზე, არც ერთი დღე დაცვის გარეშე არ ყოფილა“*, — აცხადებს **ძეთი ჩოგოსაშვილი**. ის დაცვის მხარის უფლებების შეზღუდვას კატეგორიულად უარყოფს და ადვოკატს კვლავ პროვოკატორობასა და საზოგადოების შეცდომის შეყვანის მცდელობაში ადანაშაულებს.

რაც შეეხება გირაოს დოკუმენტაციას, პროკურორის თქმით, ამ საბუთების წარმოდგენა მას ნებისმიერ დროს შეუძლია. *„თუ ადვოკატი ბესელია მოისურვებს, შემიძლია, საბუთები პირადად მას გადავცე“*, — აღნიშნა მან.

მოსამართლე გიორგი შავლიაშვილმა ბესელიას მხოლოდ ერთი შუამდგომლობა დააკმაყოფილა და ეს ზემოთ აღნიშნული განცხადების საქმეში დართვის მოთხოვნა გახლავთ. თუმცა, ისიც განმარტა, რომ თუკი დაცვის მხარე თავად გამოითხოვს და წარმოადგენს ამა თუ იმ დოკუმენტს, მას საქმეს აუცილებლად დაურთავს. მოწმეების დაკითხვასთან დაკავშირებით კი, მოსამართლემ ბრალდების მხარის პოზიცია გაიზიარა და აღნიშნა, რომ ადვოკატი საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ვადებში ვერ ჩაეტია და პარლამენტარების დაკითხვის მოთხოვნა დაადგიანდა...

ადვოკატმა ეკა ბესელიამ სასამართლოს თავმჯდომარეს — გიორგი შავლიაშვილს ინკვიზიტორობაში დასდო ბრალი. მისი თქმით, მოსამართლე აშკარად მიკერძოებული და ტენდენციურია, მის მიმართ წარმართული სასამართლო პროცესი კი ინკვიზიციურ ხასიათს ატარებს. ამ განცხადების საფუძველი კიდევ ერთი შუამდგომლობა და მის განხილვაზე უარის თქმა გახდა. ეკა ბესელია, საბრალდებო დასკვნის გამოცხადების შემდეგ, ირაკლი ოქრუაშვილისადმი სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის მოთხოვნას აპირებდა.

ეკა ბესელია:

„საბრალდებო დასკვნაში აღნიშნულია, რომ თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის მაშინდელი უფროსის — იასონ ჩიხლაძის კანონსაწინააღმდეგო ქმედებებისა და მის მიერ გაფორმებული უკანონო კონტრაქტების გამო, სამსახურებრივი გულგრილობა გამოიჩინა ირაკლი ოქრუაშვილმაც ანუ მან, როგორც თავდაცვის მინისტრმა, არ გააკონტროლა ჩიხლაძის დანაშაულებრივი ქმედება. ამ საქმეში ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ ჯერ კიდევ არ არის ჩიხლაძის ბრალეულობა დადასტურებული და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება გრძელდება. დადგენილი არ არის, ნამდვილად მოხდა თუ არა დანაშაულებრივი ფაქტი და მაგრამ ირაკლი ოქრუაშვილს უკვე ასამართლებენ, ეს კანონის უხეში დარღვევა და სრული უსამართლობაა. მინდოდა, ყოველივე ეს მოსამართლისთვის მომეხსენებინა, მაგრამ ფაქტია, მას ჩემი შუამდგომლობების მოსმენა არ სურს. ფაქტობრივად, დაცვის განხორციელებას მიკრძალავს. ირაკლი ოქრუაშვილი პროცესს არ ესწრება, მაგრამ საქმეს მის გარეშე მაინც განიხილავენ, რაც თავისთავად, უკანონობა გახლავთ. იმის ნაცვლად, რომ ასეთ შემთხვევაში მოსამართლე განსაკუთრებული ყურადღებით და გულისხმიერებით მოეკიდოს დაცვის მხარის უფლებებს, პირიქით, მას ხელ-ფეხს უკრავს. აქამდე, ჩემთვის არც ერთ მოსამართლეს არ აუკრძალავს შუამდგომლობის დაყენება და ასეთ უსამართლობას პირველად, თავად სასამართლოს თავმჯდომარისგან წავაწყდი“.

ადვოკატი სატელევიზიო არხებით ნაჩვენებ ფილმებსაც გამოეხმაურა. *„ის, რაც ბოლო დღეებში სატელევიზიო არხებზე ხდება, ნამდვილი უსამართლობა და დემაგოგიაა. არხები, ერთმანეთის მიყოლებით, ატრიალებენ ფილმებს, სადაც ოქრუაშვილი გამოყვანილია ისე, როგორც ქვეყნისა და საზოგადოებისთვის საშიში კრიმინალი, სპეცსამსახურებთან პირშეკრული მოღალატე... ეს ადამიანის უდანაშაულობის პრეზუმფციის აშკარა დარღვევაა... მაშინ, როცა ოქრუაშვილის მიმართ საქმის სასამართლო განხილვა მიმდინარეობს, სახელმწიფო კი ტელეარხების მეშვეობით განსასჯელის საწინააღმდეგო, ჯერ დაუდგენელ და სასამართლოს მიერ დაუდასტურებელ რაღაც მასალებს ატრიალებს, ეს სასამართლოზე ზეწოლაა და სხვა არაფერი. განაჩენი რომ უკვე გამოტანილია, ეს რეალობაა. ისიც ცხადია, რომ ამ პროცესზე ჩემს, როგორც ადვოკატის მონაწილებას აზრი აღარ აქვს“.*

ბესელია თქმით, დაცვის განხორციელება მას ფორმალურად უწევს, მაგრამ აქვს ყველა სათანადო მასალა, რომელსაც ევროსასამართლოში წარადგენს...

რაც შეეხება დიმიტრი ქიტოშვილს, წინა სასამართლო სხდომაზე, სახელმწიფო ბრალმდებელმა ბრალის ფორმულირება მასაც წაუკითხა. ქიტოშვილს ადამიანთა ჯგუფთან წინასწარი შეთანხმებით, დიდი ოდენობით თანხის გამოძალვაში დასდეს ბრალი. დაზარალებული შპს „ჯეოსელის“ მაშინდელი მეწილე — ჯემალ სვანიძე გახლავთ, რომელსაც ბრალდების თანახმად, ქიტოშვილმა და ოქრუაშვილმა 10-მილიონიანი ქონებრივი უფლება მინიმალურ თანხად დაათმობინეს. საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი ქი-

ტოშვილის მიერ გამოძიებისთვის მიცემული აღიარებითი ჩვენება, სადაც ის ყოფილ თავდაცვის მინისტრსაც ადებს ხელს. მან სასამართლო პროცესზე ეს ჩვენება დაადასტურა.

„თავს დამნაშავედ ვცნობ და გამოძიებისთვის მიერ მიცემულ აღიარებით ჩვენებაში რაც ვთქვი, ახლაც ვადასტურებ. რაც შეეხება მუხლის კვალიფიკაციას, ეს ჩემი საქმე არ არის“, — აი, ასეთია **ციტოშვილის** პასუხი, რომელიც კვალიფიკაციის ნიუანსების გარკვევას თავის ადვოკატს — მიხეილ სარჯველაძეს ანდობს. ბრალდების მიერ ქიტოშვილისადმი წაყენებული მუხლი 11-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ოქრუაშვილის მხარდამჭერები ქიტოშვილის აღიარებას არ იზიარებენ. მათი თქმით, განსასჯელი დღემდე ძლიერი ზემოქმედების ქვეშ იმყოფება...

2 წლის შვილის მკვლელობაში ბრალდებულმა დედამ აღიარებაში ჩვენება შეცვალა

25 წლის ქალი, რომელსაც მცირეწლოვანი შვილის განზრახ მკვლელობისთვის ასამართლებენ, სასამართლო პროცესზე ატირდა. ნადეჟდა საბომ განაცხადა, რომ თავს დამნაშავედ არ ცნობს. ეს განცხადება, პროცესის მონაწილეებისთვის ისევე, როგორც დაზარალებულისა და ნათესავებისთვის, მოულოდნელი აღმოჩნდა. პროცესის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე, თავად განსასჯელის ადვოკატმაც დაადასტურა, რომ საბომ წინასწარი გამოძიების პროცესში ბრალი აღიარა და არც ამ ეტაპზე შეუცვლია პოზიცია.

სასამართლო პროცესი, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს, რამდენჯერმე სწორედ განსასჯელის დაცვის საკითხის მოუგვარებლობის მოტივით გადაიდო. ნადეჟდა საბოს დამცველი სახაზინო წესით დაუნიშნეს და სხდომა მხოლოდ მათი პოზიციების შეჯერების შემდეგ განახლდა. ჯერჯერობით, განსასჯელს სასამართლოსთვის ჩვენება არ მიუცია, რადგან პროცესზე მოწმეები იკითხებიან. მიუხედავად ამისა, რამდენიმე ახალი დეტალი უკვე გამოიკვეთა, რაც დედის შემზარავ და საბედისწერო საქციელს ხსნის.

ბრალდების თანახმად, შემზარავი ფაქტი 2007 წლის 11 ივნისს მოხდა. მუშკორის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელ სახლში, 2 წლის შვილთან ერთად მარტო მყოფმა დედამ საზარელი გადაწყვეტილება მიიღო: იმისათვის, რომ შვილის გაუთავებელი ტირილი შეწყვიტა და ბავშვის გამო შექმნილი პრობლემებისგან თავი დაეღწია, მისი მოკვლა განიზრახა. ამ მიზნით, მან შვილს 2 აბი ფსიქოტროპული, ძლიერმოქმედი პრეპარატი დაალევინა. ბავშვი წამლის მიღებიდან ერთ საათში გარდაიცვალა. პროკურატურამ ნადეჟდა საბოს 109-ე მუხლი წაუყენა, რომელიც 13-დან 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

განსასჯელის ადვოკატი ყურადღებას იმაზე ამახვილებს, რომ ახალგაზრდა დედა იმ დროს, როცა ბრალდების თანახმად, ეს საშინელი ქმედება ჩაიდინა, უკიდურეს მატერიალურ გაჭირვებასა და სრულიად უმწეო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ნადეჟდა საბო ამბობს, რომ მას არავინ ეხმარებოდა. იმ სახლის პატრონი კი, სადაც ბოლო დროს მცირეწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობდა, იქაურობის დატოვებას სთხოვდა. საქმის მასალების მიხედვით, საბო, 2 წლის ვაჟიშვილთან — მიხეილ გელაშვილთან ერთად მულის ბინაში ცხოვრობდა.

გიული გელაშვილი, განსასჯელის მული:

„იმ ბინაში ბავშვთან ერთად, მარტო ცხოვრობდა. კარჩაკეტილი იყო, არც მეზობლებთან კონტაქტობდა... ასე კატეგორიულად — ბინა დატოვე და წადი-მეთქი, არ მითქვამს, მაგრამ ერთხელ კი ვუთხარი — იქნებ, ეს ბინა გაყიდო და სადმე, სხვაგან ვიყიდო ან დავიგირავო-მეთქი. ჩემი მდგომარეობაც გაითვალისწინეთ: რამდენიმე წელია, ქირით ვცხოვრობ. ეს ერთადერთი ბინა მებადა, მაგრამ იქ ცხოვრება აღარ შეიძლებოდა (რადგან ის ავარიულია) და ქირით სხვაგან გადავედი. როცა ბავშვის გარდაცვალების შესახებ შევიტყვე, ისიც კი ვიფიქრე, ალბათ, ჭერი ჩამოინგრა და მიშიკო შიგნით მოყვა-მეთქი... ნადეჟდამ იცოდა, იქ რა პირობებიც იყო, მაგრამ მითხრა — სხვაგან წასასვლელი არა მაქვს და შემიშვიო. მისი იქ შეშვება რომ არ მნდომოდა, გასაღებს არ მივცემდი. პირიქით, ყოველთვის ყურადღებას ვაქცევდი მასაც და მის შვილსაც. შეძლებისდაგვარად, ხან ფულით, ხან საჭმლით ვეხმარებოდი კიდეც“.

დაზარალებულის უფლებამონაცვლე — გიული გელაშვილი და ბავშვის ბებია — როზა გელაშვილი მომხდარში დედას ადანაშაულებენ. *„მეზობლების თქმით, ბავშვს ხშირად სცემდა, მაგრამ პირადად მე, მსგავს ფაქტს არ შესწრებივარ. პირიქით, სულ იმას აღვნიშნავდი, ბავშვს კარგად უვლის, მასზე ნერვიულობს-მეთქი. ექსპერტებმა უკვე გარდაცვლილ ბავშვს რომ დახედეს, თქვეს: სხეული სულ დალურჯებული აქვსო. ნადეჟდას ვკითხე, რატომ იყო ბავშვი დალურჯებული-მეთქი? მიპასუხა — კიბეზე დამიგორდაო... არ ვიცი, მართალი თქვა თუ ტყუილი“*, — აცხადებს **გიული გელაშვილი.**

წინა სასამართლო სხდომაზე ისიც გაირკვა, რომ ნადეჟდა საბოს ქმართან უსიამოვნებები ჰქონდა. *„ჩემი ძმა შვიდჯერაა ნასამართლევი. მთელი ოჯახი გაგვამწარა. ძალიან მძიმე ხასიათი აქვს, ნერვიულია, აგრესიული და პათოლოგიური სიმთვრალე ახასიათებს. როცა დაკავებული არ იყო, ციხიდან ახალგამოსულს შინ ათასი ქალი მოჰყავდა და ყველაზე ამბობდა — ჩემი ცოლიაო. თუმცა, მან არც დედის, არც დის, არც ცოლის გამორჩევა იცოდა და თავაზიანად არავის ექცეოდა. როცა დათვრებოდა, შინ ყველაფერს ამსხვრევდა და ლეწავდა. როცა დაიჭირეს, ბავშვი 3 თვის იყო. ციხიდან საყვედურებს მითვლიდა — ნადეჟდას რას ჰპატრონობ, გაუშვი, გააგდე, მე მაგასთან დამბრუნებელი არ ვარ, მასთან მაინც აღარ ვიცხოვრებო. კონკრეტული მიზეზი, თუ რატომ არ სურდა ნადეჟდასთან ცხოვრება, არ ვიცი, მაგრამ მისი ხასიათიდან გამომდინარე, ეს არ მიკვირს, ვერავის ეგუებოდა. მიუხედავად ამისა, ნადეჟდას ხელი მაინც არ ჯარი, ბავშვიანი იყო და შემეცოდა. რას ვიფიქრებდი, თუ ასეთ რამეს ჩაიდენდა. ამის დაჯერება ახლაც მიჭირს“,*— ამბობს განსასჯელის **მული.**

როგორც ის ამბობს, ნადეჟდას ბაზრობაზე მუშაობაც იმ მიზნით დააწყებინა, რომ დახმარებოდა. *„საქონელს ვაყიდვინებდი და დღეში 7 ლარს ვუხდიდი. როცა სამსახურში იყო, ბავშვს ძიძას უტოვებდა. თავიდან მას 2 თუ 3 ლარს უხდიდა, შემდეგ მითხრა: ძიძამ მომსახურება გამიძვირა, 6 ლარი მომთხოვა და რა აზრი აქვს ჩემს მუშაობას? ამდენი თუ გადავუხადე, მე ერთი ლარით როგორღა ვიცხოვროო და სამსახურს თავი დაანება. ამის შემდეგ, თავს რითი ირჩენდა ან ბავშვს რას აჭმევდა, არ ვიცი...“* — ამბობს **გიული გელაშვილი.**

როზა გელაშვილი, ბავშვის ბებია:

„ნადეჟდას ათასჯერ ვთხოვეთ, შვილი ბაგა-ბაღში ან თუნდაც, რომელიმე ბავშვთა სახლში მიეყვანა. იქ ბავშვი ელემენტარული პირობებით უზრუნველყოფილი იქნებოდა და ყურადღებას მაინც მიაქცევდნენ“.

მოსამართლის შეკითხვას — რამდენად ხშირად ნახულობდნენ ბავშვს ან რა სახის დახმარებას უწევდნენ დედა-შვილს? — ბავშვის ბებიამ და მამიდამ უპასუხეს, რომ შეძლებისდაგვარად, ყველაფრით ეხმარებოდნენ.

პროცესზე ისიც გაირკვა, რომ ბავშვი, შემზარავ შემთხვევამდე 2 თვით ადრე, ლეიშმანიოზის დიაგნოზით საავადმყოფოში იწვა. *„თავად ნადეჟდამ მითხრა, მიშიკოს მაღალი სიცხეები აქვს, სულ უხასიათოდაა და ტირისო. მე თვითონ წავაყვანინე ბავშვი საავადმყოფოში. ექიმებმა ლეიშმანიოზის დიაგნოზი დაუსვეს... საავადმყოფოში 21 დღე იწვა. მეც ყურადღებას ვაქცევდი“*, — ამბობს დაზარალებულის უფლებამონაცვლე. კითხვას — თუ ვინ გაიღო მკურნალობის ხარჯები, უპასუხა, რომ ნადეჟდას ფული ბაზრობაზე მომუშავე თანამშრომლებმა შეუგროვეს. *„150 ლარი მოაგროვეს და მისცეს. მან კი ამ თანხით, ბავშვს ტანსაცმელი უყიდა. როცა ვკითხე, საავადმყოფოში ფული რატომ არ გადაიხადა? მიპასუხა: რა მექნა, ბავშვს ჩასაცმელი არ ჰქონდა და ვუყიდეო“*, — აღნიშნა **დაზარალებულმა.**

მომდევნო სასამართლო პროცესზე მეზობლები და თავად განსასჯელის ნათესავები უნდა დაიკითხონ. დასაკითხია ნადეჟდა საბოს ბიძაშვილიც, რომელთანაც ის, ბრალდების თანახმად, შვილის მკვლელობის შემდეგ მივიდა. პროკურორის თქმით, მონმე აივაზოვას უწყება რამდენჯერმე გაუგზავნეს, მაგრამ ამის მიუხედავად, პროცესზე არ გამოცხადდა. *„ფაქტია, რომ ის სასამართლოს თავს არიდებს. ორჯერ უკვე მივეცით გაფრთხილება და თუ მომდევნო სხდომაზეც არ გამოცხადდება, მაშინ მისი იძულებითი წარმოდგენის შესახებ ვიშუამდგომლებთ“*, — აღნიშნა **პროკურორმა.**

უტიფარი მძარცველები

Honda Civic SI-ს ერთ-ერთი ექსკლუზიური მოდელი, რომელიც ტიუნინგ-კომპანიამ — Mugen Motorsports — შეიმუშავა, ქურდებმა პირდაპირ ოფიციალური დილერის სადგომზე გაძარცვეს. მათ მანქანისთვის ბორბლები დაუძვრიათ, მინა ჩაუმსხვრევიათ, სავარძლები, ემბლემები, სიჩქარის ცვლის კოლოფის სახელური

და ზოგიერთი სხვა მონყობილობა ამოუღიათ, რის შემდეგაც, ცხადია, დანაშაულის ადგილი სწრაფად დაუტოვებიათ. Honda Civic Mugen SI შეზღუდული სერიით გამოდის და აშშ-ში, სადაც ინციდენტი მოხდა, მხოლოდ ათასი ცალი იყო შეტანილი. ეს ავტომობილი ჩვეულებრივი „ჰონდასგან" დადაბლებული კლირენსით, 18-დუიმიანი ალუმინის დისკებით და გამონაბოლქვის სპორტული სისტემით გამოირჩევა, რომელიც მოტორის სიმძლავრეს 3 ცხ.ძ-ით ზრდის. ■

„ოპელის" განახლებული მინივენი

კომპანია „ოპელმა" მინივენის — Zafira — განახლებული ვერსიის ზოგიერთი მონაცემი გამოაქვეყნა, რომლის დებიუტიც დეკემბრის დასაწყისში, ბოლონიის საავტომობილო გამოფენაზე შედგება. ფოტოების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ მანქანა შედარებით მოდერნიზებული გარეგნობით გამოირჩევა — მას რადიატორის სხვა ცხაური, ახალი წინა და უკანა ბამპერი, აგრეთვე, წინაც და უკანაც განათების შეცვლილი ტექნიკა უყენია. Opel Zafira-ს ინტერიერი კი მხოლოდ დეტალებში შეიცვალა. ამასთან, მის სანავიგაციო სისტემას გარე mp3-პლეიერის ჩასართველად დამატებითი კონექტორი დაუყენეს. ამ ეტაპზე, მინივენის ტექნიკური ცვლილებების შესახებ მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ Zafira-ს სამი ახალი მოტორი (ერთი 1,6 ლ-იანი ბენზინის და ორი 1,7 ლ-იანი ტურბოდიზელის) ექნება. ამ მოდელისთვის, ევროპაში, აგრეგატის სულ რვა ვარიანტი იქნება გამოყენებული. ■

„ჰონდას" სიახლე

ლოს-ანჯელესის მოტორ-შოუზე კომპანია „ჰონდამ" მოდელი — FCX Clarity წარადგინა. ეს მისი პირველი სერიული ავტომობილია, რომელიც წყალბადზე მომუშავე 134 ცხ.ძ. სიმძლავრის აგრეგატითაა აღჭურვილი. ეს დანადგარი ჟანგბადსა და წყალბადს შორის მიმდინარე ქიმიური რეაქციის პროცესში ელექტრომოტორებისათვის საჭირო ენერგიას გამოიმუშავებს, რასაც ავტომობილი მოძრაობაში მოჰყავს. აღსანიშნავია ისიც, რომ სიახლე მთლიანად „ეკოლოგიურად სუფთა" მანქანაა, რადგან მის გამონაბოლქვს ჩვეულებრივი წყალი წარმოადგენს. წყალბადზე მომუშავე Honda FCX Clarity 92 კმ/სთ სიჩქარეს 10 წამში ავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 160 კმ/სთ-ია. იაპონური კომპანიის წარმომადგენელთა განცხადებით, 171 ლ-იანი წყალბადის ავზი 430 კმ მანძილის გასავლელად სრულიად საკმარისი იქნება. FCX-ის წარმოება უახლოეს მომავალში დაიწყება, ხოლო ამ ავტომობილის პირველი ეგზემპლარი, აშშ-ის დილერთა სალონებში, მხოლოდ მომავალი წლის შუა პერიოდიდან გამოჩნდება. მაგრამ თავდაპირველად, წყალბადზე მომუშავე მანქანის შეძენა შეუძლებელი იქნება. სიახლე მომხმარებელს მხოლოდ იჯარით მიეცემა — 600 დოლარის ოდენობის ყოველთვიური გადასახადით, რაშიც დაზღვევა და ტექნიკური მომსახურებაც შეა. ■

რუბრიკა მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად

ინტერნეტ მაღაზია

www.elva.ge

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. МК-МОБИЛЬ	1.70	20.3
2. АВТОМОБИЛИ	8.40	50.4
3. АВТОСЕРВИС	73.85	443.1
4. АВТОМАГАЗИН	3.75	22.3
5. АВТОШКОЛА ПРОФИ	63.70	191.0
6. АВТО - ОБОЗРЕНИЕ	82.80	496.6
7. АВТОПАНОРАМА	8.55	51.2

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის გავრცელების სააგენტო „ელვასერვისი"

ქ. თბილისი
იოსებიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

კუჭის ბანდაჟირება მაღალეფექტური საშუალება!

მაია ღულუნიშვილი

„ბანდაჟირების შემდეგ ადამიანი წონაში 40-დან 60 კგ-მდე იკლებს"



სიმსუქნე ერთ-ერთი ყველაზე რთულად განკურნებადი და პრობლემატური დაავადებაა. მასთან საბრძოლველად ადამიანები სხვადასხვა მეთოდს მიმართავენ: დიეტა, ფიზიკური დატვირთვა, ქირურგიული ჩარევა და ა.შ. თუმცა, ყველა ეს მეთოდი ხშირად, ნაკლებად ეფექტურია. დიეტოლოგები ჯანმრთელობისა და ნორმალური წონის შესანარჩუნებლად სწორ კვებას გვირჩევენ, რაც არცთუ ისე ადვილად მოსახერხებელია. დილიდან საღამომდე სამუშაოდ გასულები, ხშირად, შინ დაბრუნების შემდეგ თავს კონტროლს ველარ ვუწევთ და იმდენ საკვებს მივირთმევთ, რომ მერე, სუფრიდან ადგომის თავიც კი აღარ გვაქვს. ჭარბი წონის დასაძლევად, მედიცინაში უახლესი, ძალზე ეფექტური საშუალება — კუჭის ბანდაჟი გამოიგონეს, რაც კუჭის სატყუარას ფუნქციას ასრულებს ანუ კუჭის თავზე მიმაგრებული ბანდაჟი ზედმეტი საკვების მიღების საშუალებას არ იძლევა. ამ მეთოდით, ზედმეტი წონის პრობლემაც გადაჭრილია და მისგან გამოწვეული დაავადებების რისკიც ძალზე მცირეა. ამ მეთოდის დანერგვაში, ქართველ მედიკოსებს კომპანია „ჯონსონი და ჯონსონი" დაეხმარა. სწორედ მის მიერ იქნა შემოტანილი ის სამედიცინო ინსტრუმენტები, რომელიც ამ ოპერაციის განსახორციელებლადაა საჭირო. კუჭის ბანდაჟირება ორგანიზმში ქირურგიული ჩარევით ხდება და ის თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. თუ როგორ ხდება მისი ორგანიზმში მოხვედრა და რა დადებითი მხარეები გააჩნია ამ მეთოდს, ყოველივე ამის შესახებ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ქირურგი **ნიკოლოზ გვახარია** *გვესაუბრება.*



FIGURE 15
NON-ADJUSTING
GASTRIC BANDING

— ბატონო ნიკოლოზ, რამდენი ხანია, რაც საქართველოში ამ ოპერაციას აკეთებთ და როგორი შედეგი აქვს მას?

— მსოფლიოში, უკვე 5-7 წელია, რაც ასეთი სახის ოპერაცია კეთდება. მისი ავტორი უცნობია. საქართველოში პირველი ოპერაცია წელს, მე და ჩემმა კოლეგებმა, კუზნოვის კლინიკაში გავაკეთეთ. იგი უსისხლო ანუ ლაპარასკოპიული მეთოდით კეთდება. ბანდაჟირების შემდეგ, პაციენტი წონაში 40-დან 60 კგ-მდე იკლებს, ხოლო ოპერაციის გაკეთებიდან 3-4 დღეში, კლინიკიდან ეწერება. ამასთანავე, მას სხეულზე რჩება მხოლოდ მცირე ნაწიბური — ლაპარასკოპიული ინსტრუმენტის შეყვანის შედეგად, დაახლოებით ერთი სანტიმეტრის დიამეტრზე.

— როგორ ხდება კუჭის ბანდაჟირება?

— კუჭის გაყოფა ხდება ორ: პატარა და დიდ ნაწილებად, საკვები მიეწოდება მხოლოდ კუჭის პატარა ნაწილს. კუჭი გადაივსება მცირე რაოდენობის საკვებით, რის შედეგადაც, ადამიანი გრძნობს, რომ დაიყრდა, ხოლო შემდეგ, ეს საკვები გადადის კუჭის მეორე, ანუ დიდ ნაწილში, სადაც იწყება მისი გადამუშავება. ეს კი წონაში მკვეთრ დაკლებას იწვევს.

— ამ მეთოდის შესახებ, საზოგადოებას თუ აქვს საკმარისი ინფორმაცია და რამდენად ხშირად გიწევთ ამ ოპერაციის გაკეთება?

— დღემდე, ჩვენ სულ 8 ოპერაცია გვაქვს გაკეთებული. რაც უფრო რთული პროცესია ჩასატარებელი, მით მეტს იკლებს ადამიანი წონაში, ამიტომ ბანდაჟირებასთან ერთად, სხვა ოპერაციების გაკეთებაც გვიწევს, რის შემდეგაც, პაციენტს გაცილებით ეფექტური შედეგი აქვს. აღნიშნული რვა ოპერაციიდან, ბოლო ოთხი ამ შემოდგომაზე გაკეთდა და მათ სრულ შედეგზე ლაპარაკი ნაადრევია. ეს პროცესი ეტაპობრივად ხდება. პაციენტმა პირველ თვეში შეიძლება, 7 კგ დაიკლოს, მეორეში 4 და ასე შემდეგ. ჩვენი პაციენტებიდან ერთმა 22 კგ დაიკლო, მეორემ — 32, მესამემ — 38. ჯერ-ჯერობით, ამ მოკლე ხნის მანძილზე ასეთი შედეგი გვაქვს და რა თქმა უნდა, პაციენტები წონაში კიდევ უფრო დაიკლებენ.

— აქვს თუ არა მნიშვნელობა პაციენტის ასაკს, თუ ოპერაციის გაკეთება ყველა ზრდასრულ ადამიანს შეუძლია?

— ყურადღება ექცევა არა პაციენტის ასაკს, არამედ მის ჯანმრთელობას. მოგეხსენებათ, ჭარბწონიანი ადამიანები ჯანმრთელნი არ არიან. მათში ხშირია შაქრიანი დიაბეტი, აწუხებთ წნევა და ასე შემდეგ. არსებობს ორი ტიპის შაქრიანი დიაბეტი: ერთი, რომელიც ადამიანს დაბადებიდან აქვს, მეორე — შეძენილი. ბანდაჟირების შემდეგ, გარდა იმისა, რომ ადამიანები წონაში იკლებენ, მათი უმრავლესობა შეძენილი შაქრიანი დიაბეტისგანაც იკურნება, ურეგულირდება წნევა და თავს საოცრად გრძნობს.

— ეს ბანდაჟი მუდმივად უნდა ჰქონდეს ადამიანს?

— ის რეგულირებადია. შეიძლება მისი გაბერვა ან შეკუმშვა, იმის მიხედვით, თუ როგორ შეითვისებს მას პაციენტის ორგანიზმი. ეს ხდება ოპერაციიდან ერთი თვის შემდეგ, რენტგენ-კონტროლის შედეგად. ბანდაჟირება მუდმივია. ადამიანი თავად თუ არ მოისურვებს მის მოშორებას, სიცოცხლის ბოლომდე ექნება. ბანდაჟის მოშორება, იგივე უსისხლო ოპერაციით ანუ ლაპარასკოპიითაა შესაძლებელი, მაგრამ ამის შემდეგ, პაციენტი წონაში მატებას დაიწყებს.

— რამდენად ხელმისაწვდომია ეს ოპერაცია? ალბათ, მისი ჩატარება საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული...

— ბანდაჟი საკმაოდ ძვირია, მაგრამ კომპანია „ჯონსონი და ჯონსონი" პაციენტებს საშუალებას აძლევს, ეს ოპერაცია გაიკეთონ და თანხა ეტაპობრივად დაფარონ. TBC ბანკი მათთვის კრედიტს გასცემს. ეს რასაკვირველია, მნიშვნელოვანი შეღავათია.

— როგორც ვიცი, კომპანია „ჯონსონ და ჯონსონთან" აქტიურად თანამშრომლობთ. მათი სამედიცინო ინსტრუმენტებით სარგებლობთ?

— ჩვენ ძირითადად, მათი სამედიცინო ინსტრუმენტებით ვსარგებლობთ. საქართველოში სწორედ ეს კომპანია აწარმოებს საუკეთესო ხარისხის სამედიცინო ინსტრუმენტების დისტრიბუციას (და არა მარტო ინსტრუმენტების). თანამედროვე ტექნოლოგიებით ოპერაციების გაკეთება სწორედ მათი მეშვეობით ხდება. ადრე, ნასკვების დადება გვიხდებოდა თუნდაც ნაწლავების ერთმანეთთან გადასაკერად, მაგრამ ახლა არსებობს „ჯონსონი და ჯონსონის" საკერავი აპარატები, რომლებიც ხელის ერთი მოძრაობით ასრულებენ იმ საქმეს, რასაც ნახევარ საათს ვანდომებდით. მათი ახალი ინსტრუმენტების საშუალებით, ჩვენი ოპერაციები მინიმუმ ნახევარი საათით ადრე სრულდება. ლაპარასკოპიული მეთოდით გაკეთებული ოპერაციებით, თავიდან ვიცილებთ ისეთ არასასიამოვნო პროცესებს, როგორიცაა: ჭრილობის დაჩირქება, ნაოპერაციებ ადგილთან თიაქრის გაჩენა.

თუ ჭარბი წონა გაწუხებთ, ვფიქრობ, ზემოთ ხსენებული მეთოდი, ერთ-ერთი უტყუარი და რეალური გზაა იმისა, რომ ერთხელ და სამუდამოდ მიაღწიოთ სასურველ შედეგს. ამაში თქვენ კლინიკა „ალსი" დაგეხმარებათ. მისამართი: ქავთარაძის 16. ლეჩკომბინატის შენობა. ქირურგი გია გვახარია მუდამ თქვენს სამსახურშია. ტელ: 30.34.00 და 29.42.00.



კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(22 - 28 ნოემბერი)

ᲕᲔᲠᲫᲘ 23.07-23.08

ამ დღეებში ეწვიეთ მუზეუმებს, თეატრებს და საგამოფენო დარბაზებს. ამასთანავე შეეცადეთ, ძალზე სერიოზულად მიუდგეთ სამსახურში წარმოქმნილ პრობლემებს, რადგან ნებისმიერი წვრილმანი შეიძლება, უზარმაზარ სკანდალში გადაიზარდოს.

ᲙᲣᲠᲝ 24.08-23.09

მართალია, ამჯერად განმარტოების სურვილი გაგიჩნდებათ, მაგრამ პროფესიულ საქმიანობაში შექმნილი უსიამოვნებები ამის საშუალებას არ მოგცემთ. ფარული ინტრიგები და შენიღბული ბრძოლა მეტოქეებთან გაიძულებთ, მეტი ყურადღებით მოეკიდოთ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას.

ᲢᲧᲣᲐᲜᲘ 24.09-23.10

კარგი იქნება, თუ ნებისმიერ საქმეში ინიციატივას გამოიჩენთ. არ მოთოკოთ საკუთარი ემოციები და კომპრომისისთვის მზად იყავით. ასეთ შემთხვევაში, დაბრკოლებებს ადვილად დაძლევთ. უქმე დღეები მეგობრებთან ერთად გაატარეთ.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ 23.07-23.08

კარგი იქნება, თუ ყოველდღიურ ვალდებულებებს შემოქმედებითად მიუდგებით. დაიმახსოვრეთ, მონდომებული და გეგმაზომიერი შრომა მომავალი წარმატებების საწინდარია. შეეცადეთ, თამამად გამოთქვათ საკუთარი მოსაზრებები და ავტორიტეტს აუცილებლად მოიპოვებთ.

ᲚᲝᲛᲘ 24.08-23.09

ამ დღეებში მოგეძალებათ სურვილი, შეიძინოთ ფუფუნების საგნები. ამასთან, მონაწილეობას მიიღებთ საზოგადოებრივ თუ კულტურულ ღონისძიებებში და შეეცდებით, იმიჯი რადიკალურად შეიცვალოთ.

ᲫᲐᲚᲬᲣᲚᲘ 24.09-23.10

თქვენ სრულიად სამართლიანად იამაყებთ საკუთარი ოჯახით და სახლის კეთილმოწყობას შეუდგებით. შეეცადეთ, თავი აარიდოთ კონფლიქტს უფროსებთან. კარგი იქნება, თუ უქმე დღეებს მოგზაურობას დაუთმობთ.

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ 24.10-22.11

ამ კვირაში თქვენი წარმატება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად სწრაფად აითვისებთ ახალ ინფორმაციას. ეს დღეები ხელსაყრელია სარეკლამო საქმიანობისთვის. ისარგებლეთ შექმნილი ვითარებით და იზრუნეთ საკუთარი გავლენისა და ავტორიტეტის განსამტკიცებლად.

ᲛᲝᲠᲘᲔᲚᲘ 23.11-21.12

თქვენი ყურადღება მატერიალური პრობლემების მოგვარებისკენ იქნება მიპყრობილი. შეეცადეთ, ვალები გაისტუმროთ. უქმე დღეები ოჯახის წევრებს დაუთმეთ და მათ პატარ-პატარა სიურპრიზები მოუწყვეთ.

ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ 22.12-20.01

ამ კვირაში იძულებული იქნებით, გაისტუმროთ ვალები და გადაიხადოთ გადასახადები. დაზღვევასთან, მემკვიდრეობასა და ფულთან დაკავშირებული საქმეები უამრავ დროს, წაგართმევთ. კვირის ბოლოს მოგზაურობა გელით.

ᲗᲮᲘᲡ ᲠᲫᲐ 21.01-19.02

ძალზე დათრგუნვილად იგრძნობთ თავს, შესუსტდება თქვენი იმუნიტეტი და დაგიქვეითდება შრომისუნარიანობა. ამასთან, გაგიჩნდებათ ახალი ვალდებულებები, რომელთა შესრულება დიდ წინდახედულობას მოითხოვს თქვენგანი.

ᲛᲔᲠᲬᲧᲣᲚᲘ 20.02-20.03

მოულოდნელი გარემოებების გამო, თქვენი ჩვეული დღის განაწესი დაირღვევა. ამჯერად, დაბრკოლებების დაძლევა და მიმდინარე მოვლენების გაკონტროლება გაგიჭირდებათ. ეცადეთ, შეეგუოთ ამ უჩვეულო მდგომარეობას..

ᲗᲔᲗᲠᲖᲔᲑᲘ 20.02-20.03

დიდი მოთმინება გმართებთ როგორც სამსახურში, ისე სახლში. დაგეუფლებათ სურვილი, სადმე გაემგზავროთ ან რაიმე შეცვალოთ თქვენს ცხოვრებაში. კარგი იქნება, თუ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე იფიქრებთ და ფულს არ გაფლანგავთ.



1 ზღაპრული სიმდიდრის ქვეყანა
2 დროის ათდღიანი მონაკვეთი
3 რუსი მეიგავე
4 ბაბუა
5 ჰოლანდიის დედაქალაქი
6 არგენტინული ცეკვა
7 კაზინო
8 გულითადი ამხანაგი
9 სომალის დედაქალაქი
10 ნიკარაგუას დედაქალაქი
11 ისრაელის პარლამენტი
12 კამთი, ჰაექრობა
13 ქვეყანა აფრიკაში
14 მასობრივი მსვლელობა ქუჩაში
15 ჰგვინური დაწესებულება
16 სახალხო ჯრება ძველ საბერძნეთში
17 „ოპელის" მოდელი
18 იტალიის ფეხბურთის გუნდი
19 მწარე საწებელი
20 უკრაინის დედაქალაქი
21 ხანმოკლე პრესკონფერენცია
22 უბანი თბილისში
23 მტაცებელი ცხოველი
24 ბუნებრივი წყალსაცავი
25 დიდი ფრიალო კლდე
26 თიხის ჭურჭელი
27 ფრანგი ფერმწერი
28 ზღვის დიდი კიბო
29 ძვირფასი ლითონი
30 თმის მოცილება
31 ქიმ. ელემენტი
32 ფეხბურთელ ლოლობერიძის მეტსახელი
33 ნაპოლეონის პირადი მსატვარი
34 ფულის ერთეული თურქეთში
35 ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია
36 სამხრ. ამერიკის უმაღლესი მწვერვალი
37 ჩინური სამგიდო თამაში
38 ძველი ქუთაისი
39 მოხარშული ზეთი
40 კუთხური დიალექტი
41 მარჯნის კუნძული
42 ჩუქურთმიანი ქვა ან ნიფარა
43 ქვეყანა აფრიკაში
44 რისამე შესწორება, გასწორება

ღია ციმრის სკანვორდის პასუხები

1. პასპორტი; 2. ისტორია; 3. პორტერი; 4. სეინერი; 5. ვალსი; 6. ტანგო; 7. ჭადრაკი; 8. დოლარი; 9. ვოლვო; 10. ფედერერი; 11. ღელე; 12. არა; 13. ფელეტონი; 14. კორა; 15. ჰავაი; 16. ებონიტი; 17. ოკეი; 18. ფიატი; 19. შტორი; 20. ლელო; 21. ძნა; 22. ურიკა; 23. საკე; 24. საბო; 25. მერიმე; 26. ირისი; 27. სინუსი; 28. გავიალი; 29. სარაევო; 30. მორიკონე; 31. ბატკანი; 32. რაკეტა; 33. კარაკასი; 34. უმი; 35. ბრასი; 36. დეპეშა; 37. კაკაბი; 38. მედრესე; 39. კენია; 40. იასამანი; 41. ვისკი; 42. ლევი; 43. ემი; 44. ქოშინი.

სურათზე: რეი ლიოტა; ჟულიეტ ბინოში.

გიყვართ თუ არა სიცილი?

1) გიყვართ თუ არა სიცილი?
ა) დიახ — 1;
ბ) არა — 0.

2) შეგიძლიათ თუ არა შექმნილი უხერხული სიტუაციიდან იუმორის მეშვეობით გამოსვლა?
ა) დიახ — 1;
ბ) არა — 0.

3) იზიარებთ თუ არა გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ ამ ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე სასაცილო რამ, სწორედ ქორწინებაა?
ა) დიახ — 1;
ბ) არა — 0.

4) იცინით თუ არა მარტო ყოფნისას, როცა მხიარულ რამეს კითხულობთ ან ტელევიზიით რაიმე სასაცილო გადაცემას ადევნებთ თვალს?
ა) დიახ — 1;
ბ) არა — 0.

5) შეგიძლიათ თუ არა, არაფერი შეიმჩნიოთ ისეთ სიტუაციაში, როცა გრძნობთ, რომ გატყუებენ?
ა) დიახ — 1;
ბ) არა — 0.

6) თქვენი ოჯახის წევრები, მეგობრები და ახლობლები თუ ჰყვებიან ანეკდოტებსა და სასაცილო ამბებს?
ა) დიახ — 1;
ბ) არა — 0.

7) წვეულებაზე ყოფნისას ცდილობთ თუ არა ყურადღების ცენტრში მოქცევას და ირგვლივ მყოფებზე ყველაზე მახვილგონიერი ადამიანის შთაბეჭდილების მოხდენას?
ა) დიახ — 1;
ბ) არა — 0.

8) გაღიზიანებთ თუ არა ირგვლივ მყოფთა სიცილი, მაშინ, როცა თქვენ თავად ცუდ ხასიათზე ხართ?
ა) დიახ — 1;
ბ) არა — 0.

9) ამქვეყნად არსებულ უამრავ ყანრს შორის უპირატესობას კომედიას ხომ არ ანიჭებთ?
ა) დიახ — 1;
ბ) არა — 0.

10) მიაკუთვნებთ თუ არა საკუთარ თავს კარგი იუმორის გრძნობის მქონე ადამიანთა რიგს?
ა) დიახ — 1;
ბ) არა — 0.

ტესტის შედეგები

6-10 ქულა: ძალზე მხიარული ადამიანი ხართ. თავადაც გიყვართ სიცილი და სხვა ადამიანების გამხიარულებასაც გამუდმებით ცდილობთ. საკმაოდ კარგი იუმორის გრძნობითაც გამოირჩევით, ამის მეშვეობით კი, ცხოვრების უმძიმეს მომენტებს არა მარტო საკუთარ თავს უმსუბუქებთ, არამედ ირგვლივ მყოფებსაც.

5-0 ქულა: იუმორის გრძნობით დიდად არ გამოირჩევით. გირჩევთ გაითვალისწინოთ, რომ ღიმილი და სიცილი ადამიანის ჯანმრთელობაზე, სტაბილურობასა და ცხოვრებაში მოპოვებულ წარმატებაზე მეტყველებს. იუმორის, ღიმილისა და სიცილის მეშვეობით ხომ ბევრად იოლია ყოველგვარი უსიამოვნების დაძლევა. თქვენ კი, ყველაფერს ძალზე სერიოზულად აღიქვამთ. ჩვენი კეთილი რჩევაა, შედარებით მსუბუქად შეხედოთ მოვლენებს, მაშინ აუცილებლად აღმოაჩენთ, რომ ამ ცხოვრებაში ყველაფრის სერიოზულად აღქმა არ გამოგადგებათ. შეეცადეთ, უფრო მხიარული კუთხიდან მიუდგეთ ცხოვრებას და მასში უამრავ სასაცილო რამეს აღმოაჩენთ.

იაპონური სენსაციის სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

1	3	4	8	2	5	7	6	9
9	6	2	3	7	4	8	5	1
7	5	8	6	9	1	4	2	3
8	7	9	5	1	6	3	4	2
6	2	5	4	3	9	1	8	7
3	4	1	7	8	2	5	9	6
5	9	6	1	4	7	2	3	8
4	1	3	2	6	8	9	7	5
2	8	7	9	5	3	6	1	4

5	4	7	6	9	3	2	1	8
8	9	2	4	7	1	6	3	5
3	1	6	2	5	8	9	7	4
7	3	4	9	8	6	5	2	1
9	8	5	1	2	4	7	6	3
2	6	1	5	3	7	8	4	9
6	2	8	3	4	5	1	9	7
4	7	9	8	1	2	3	5	6
1	5	3	7	6	9	4	8	2

1	2	9	8	5	7	6	3	4
4	6	5	1	3	2	9	8	7
8	7	3	6	9	4	1	2	5
2	4	6	9	8	5	7	1	3
5	9	1	2	7	3	4	6	8
3	8	7	4	1	6	2	5	9
9	1	4	3	6	8	5	7	2
6	5	8	7	2	9	3	4	1
7	3	2	5	4	1	8	9	6

* მარტივი

	2	1	6					4
	3		5		9			8
		8			3	6		9
	8			5		9		
6		5		1		8		2
		3	9	6			1	
8		9	4			2		
7			8		1		9	
3					6	7	8	

** საშუალო

	1		4					8
7			2					3
				1			2	
		7	8					6
		8	9			3		
4			3		5	9		
	5			4				
3					9			1
8					2		9	

*** რთული

	7				5	9		
		5						
		2			8		6	
	9							8
5			1					6
4				6			2	
	5		9			7		
						8		
		7	4				1	

ᲕᲘᲠᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐ

ᲭᲙᲕᲘᲐᲜᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲘᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲜᲐᲪᲜᲝᲑᲝᲑᲐᲡ ᲡᲘᲙᲔᲗᲔ ᲐᲠ ᲛᲝᲐᲥᲕᲡ. ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲮᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲕᲘᲠᲢᲣᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲗᲕᲐᲚᲔᲑᲐ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ, ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲛᲔᲚᲝᲢᲘ ᲡᲐᲜᲢᲔᲥᲜᲘᲙᲝᲡᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ. ᲖᲝ�გᲐᲓᲐᲓ, ᲡᲐᲥᲛᲔ ᲣᲑᲠᲐᲚᲠᲗ ᲘᲛᲔᲓᲒᲐᲪᲠᲣᲔᲑᲘᲗ ᲛᲗᲐᲕᲠᲓᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲔᲠᲑᲔᲗᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲖᲔᲜᲘᲪᲐᲡ ᲛᲙᲕᲘᲓᲠ ᲪᲝᲚ-ᲥᲛᲐᲠᲡ, ᲕᲘᲠᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲚᲘᲠᲢᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲓᲐᲜᲒᲠᲔᲕᲘᲡ ᲤᲐᲡᲐᲓ ᲓᲐᲣᲯᲓᲐ. ᲣᲘᲚᲑᲚᲝ ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲛᲐ ᲥᲐᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲪᲝᲚᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐ, ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗ, ᲡᲐᲘᲢᲘᲡ ᲛᲔᲣᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲘᲪᲜᲔᲡ. ᲛᲐᲗ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲨᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲘᲡ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲦᲛᲝᲐᲩᲜᲔᲡ, ᲠᲐᲪ ᲗᲘᲗᲘᲥᲝᲡᲓᲐ, ᲛᲐᲗ ᲛᲔᲣᲦᲚᲔᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲐᲩᲜᲓᲐᲗ. ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲗᲐᲕᲑᲠᲣᲓᲐᲛᲮᲕᲔᲕᲘᲗ ᲢᲔᲛᲞᲘᲗ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲓᲐ. ᲖᲠᲓᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚ ᲨᲔᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲝ ᲬᲘᲠᲘᲚᲔᲑᲡ ᲣᲒᲖᲐᲕᲜᲘᲓᲔᲜ, ᲔᲠᲗᲣᲠᲗᲡ ᲡᲐᲐᲚᲔᲠᲡᲝ ᲛᲔᲢᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲗ — „ᲩᲔᲛᲝ ᲢᲙᲑᲘᲚᲝ“, „ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲝ“ ᲓᲐ Ა.Შ. ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲓᲜᲔᲑ.

ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ, ᲕᲘᲠᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲛ ᲘᲛ ᲤᲐᲖᲐᲡ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲐᲗ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲔᲡ. ᲓᲘᲓᲘ ᲮᲜᲘᲡ ᲜᲐᲜᲐᲢᲠᲘ ᲞᲐᲔᲛᲐᲜᲘ ᲙᲐᲤᲔᲨᲘ ᲓᲐᲘᲜᲘᲨᲜᲐ. ᲓᲐᲗᲥᲛᲣᲚ ᲓᲠᲝᲡ, ᲕᲘᲠᲢᲣᲐᲚᲣᲠ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲖᲔ ᲨᲔᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲙᲐᲤᲔᲨᲘ, ᲡᲐᲒᲣᲚᲓᲐᲒᲣᲚᲝᲓ ᲨᲔᲙᲕᲔᲗᲘᲚ ᲡᲣᲤᲠᲐᲡ ᲛᲘᲣᲯᲓᲐ ᲓᲐ... ᲘᲥ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲫᲣᲚᲕᲔᲚᲘ ᲥᲛᲐᲠᲘ ᲓᲐᲮᲕᲓᲐ. ᲗᲣᲠᲛᲔ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲐᲛ ᲮᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲪᲝᲚ-ᲥᲛᲐᲠᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲔᲣᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲔᲑᲝᲓᲐ! ᲛᲐᲗᲘ ᲡᲘᲜᲐᲖᲘᲗ ᲐᲦᲡᲐᲕᲡᲔ ᲕᲘᲠᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲛᲐ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐᲛ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲪᲝᲚ-ᲥᲛᲐᲠᲛᲐ ᲒᲐᲜᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲮᲛᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ. ᲒᲐᲜᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲐᲓ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲔᲚᲐᲢᲡ ᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲡ!!!

ᲪᲝᲓᲕᲐᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲒᲖᲐ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲨᲘ

15 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ, 33 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲜᲓᲝᲔᲚᲛᲐ ᲡᲔᲚᲕᲐᲙᲣᲛᲐᲠᲛᲐ ᲝᲠᲘ ᲫᲐᲦᲚᲘ ᲥᲕᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲥᲝᲚᲐ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲮᲔᲖᲔ ᲩᲐᲛᲝᲙᲘᲓᲐ. ᲛᲐᲚᲔ, ᲘᲡ ᲐᲛ ᲡᲘᲡᲐᲡᲢᲘᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲝᲪᲠᲐᲓ ᲓᲐᲘᲡᲐᲯᲐ.

ᲡᲔᲚᲕᲐᲙᲣᲛᲐᲠᲘ ᲘᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲐᲪ ᲔᲡ ᲩᲐᲘᲓᲘᲜᲐ, ᲬᲧᲔᲕᲚᲐ ᲗᲐᲜ ᲓᲐᲡᲓᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ: „ᲗᲐᲕᲓᲐ�პᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ, ᲮᲔᲚ-ᲤᲔᲮᲘ ᲬᲐᲛᲔᲠᲗᲕᲐ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ ᲪᲐᲚᲘ ᲧᲣᲠᲘᲗ ᲓᲐᲕᲧᲠᲣᲕᲓᲘ“, — ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲘᲜᲓᲝᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝ�გᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ.

ᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝ�გᲛᲐ ᲡᲔᲚᲕᲐᲙᲣᲛᲐᲠᲘᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲚᲐᲒᲔᲑᲐ ᲒᲣᲚᲓᲐᲡᲛᲘᲗ ᲨᲔᲘᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲪᲝᲓᲕᲘᲚᲡ ᲒᲐᲜᲣᲛᲐᲠᲢᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲡ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲑᲔᲭᲓᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲐᲡᲛᲣᲚᲘ. ᲗᲐᲜ, ᲓᲐᲡᲫᲘᲜᲐ: ᲒᲐᲜᲙᲣᲠᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲫᲐᲦᲚᲖᲔ ᲓᲐᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐᲐᲝ...

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲖᲝ�გᲘᲔᲠᲗ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ, ᲪᲠᲣᲠᲬᲛᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲞᲧᲠᲝᲑᲘᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲖᲔ ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ, ᲯᲐᲓᲝᲡᲒᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲦᲬᲔᲕᲐᲡ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲔᲜ.

ᲡᲔᲚᲕᲐᲙᲣᲛᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲛᲐᲜᲐᲜᲬᲚᲐ ᲫᲐᲦᲚᲘᲡ, ᲡᲐᲮᲔᲚᲐᲓ ᲡᲔᲚᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲝᲠᲬᲘᲜᲝ ᲪᲔᲠᲔᲛᲝᲜᲘᲐ ᲢᲐᲛᲘᲚ ᲜᲐᲓᲣᲡ ᲨᲢᲐᲢᲨᲘ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲘᲜᲓᲣᲠ ᲢᲐᲫᲐᲠᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ. „ᲞᲐᲢᲐᲠᲫᲐᲚᲘ“ „ᲡᲐᲡᲘᲫᲝᲡ“ ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲔᲑᲛᲐ ᲨᲔᲐᲠᲩᲘᲔᲡ. ᲛᲐᲗ ᲫᲐᲦᲚᲘ ᲡᲐᲥᲝᲠᲬᲘᲜᲝ ᲪᲔᲠᲔᲛᲝᲜᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲡ — ᲓᲐᲑᲐᲜᲔᲡ, ᲤᲝᲠᲗᲝᲗᲚᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲡᲐᲠᲘ ᲩᲐᲐᲪᲕᲔᲡ ᲓᲐ ᲧᲔᲚᲖᲔ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲬᲜᲣᲚᲘ ᲩᲐᲛᲝᲰᲙᲘᲓᲔᲡ. ᲪᲔᲠᲔᲛᲝᲜᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲜᲔᲤᲔ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲐᲧᲠᲘᲝᲜᲘ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲡᲣᲤᲠᲐᲡ ᲨᲔᲛᲝᲣᲡᲮᲑᲓᲜᲔᲜ. „ᲞᲐᲢᲐᲠᲫᲐᲚᲡ“ ᲢᲙᲑᲘᲚᲘ ᲤᲣᲜᲗᲣᲨᲐ ᲔᲠᲒᲝ... ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ, ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲔᲚᲕᲐᲙᲣᲛᲐᲠᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲓᲐ �თᲣ ᲐᲠᲐ...

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲒᲖᲘᲡ“ №46-ᲨᲘ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚ ᲡᲢᲐᲢᲘᲐᲨᲘ, ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲗ — „ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲜᲐᲐᲯᲠᲘᲡᲕᲘᲐ ᲐᲡᲔᲗ ᲪᲝᲓᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲘᲐᲠᲔᲑᲐ...“ ᲒᲐᲘᲞᲐᲠᲐ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐ. ᲡᲢᲐᲢᲘᲐᲨᲘ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ — ᲗᲐᲛᲐᲠ ᲑᲣᲙᲘᲐ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲘᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲔᲠᲗ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢ „ᲛᲔᲢᲔᲮᲘᲡ“ ᲓᲔᲙᲐᲜᲘ, ᲠᲐᲪ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲡᲐᲑᲐᲛᲔᲑᲐ.

ᲢᲣᲡ ᲥᲐᲚᲡ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲨᲘ - 5 ᲪᲥᲣᲞᲘ ᲨᲔᲣᲭᲘᲜᲐ

ᲠᲣᲡᲛᲐ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲛᲐ ᲥᲐᲚᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲕᲘᲜᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲮᲔᲚᲐ ᲐᲠ ᲘᲡᲣᲠᲕᲐ, ᲝᲥᲡᲤᲝᲠᲓᲨᲘ ᲘᲛᲨᲝᲑᲘᲐᲠᲐ ᲓᲐ 5 ᲪᲥᲣᲞᲘ ᲒᲐᲐᲩᲘᲜᲐ. ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ, ᲑᲝᲚᲝ 10 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲓᲐᲤᲘᲥᲡᲘᲠᲓᲐ. ᲠᲣᲡᲛᲐ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲛᲐ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲡ ᲛᲝᲨᲚᲐ ᲨᲔᲡᲗᲐᲕᲐᲖᲔᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡ ᲨᲐᲜᲡᲘ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘᲧᲝ. ᲝᲠᲡᲣᲚᲛᲐ ᲥᲐᲚᲛᲐ, ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲢᲘᲕᲘᲗ, ᲐᲛᲐᲖᲔ ᲣᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ. ᲝᲯᲐᲮᲛᲐ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲝᲥᲡᲤᲝᲠᲓᲔᲚ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ. ᲡᲐᲙᲔᲘᲡᲠᲝ ᲙᲕᲔᲗᲐ ᲝᲠᲡᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲕᲐᲓᲘᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲛᲓᲔ 14 ᲙᲕᲘᲠᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ. ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲐᲮᲐᲚᲨᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲬᲝᲜᲐ 500-ᲓᲐᲜ 900 �გᲠᲐᲛᲐᲛᲓᲔᲐ, ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲜᲔᲜ. ᲩᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲘᲜᲢᲔᲜᲡᲘᲣᲠᲘ ᲗᲔᲠᲐ�პᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲐᲗᲐᲕᲡᲔ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲬᲐᲛᲝᲘᲩᲘᲢᲔᲑᲘᲐᲜ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ. „ᲛᲝᲮᲐᲠᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲕᲫᲚᲔᲚᲘ. ᲓᲔᲓᲐ ᲛᲐᲚᲔ ᲒᲐᲛᲝᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲓᲔᲑᲐ, ᲞᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲪ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲕᲠᲐᲓ ᲐᲠᲘᲐᲜ“, — ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲯᲝᲜ ᲠᲔᲓᲙᲚᲘᲤᲘᲡ ᲰᲝᲡᲞᲘᲢᲚᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲔᲐᲜᲘ, ᲚᲝᲣᲠᲔᲜᲡ ᲘᲛᲞᲘ.

ᲥᲕᲘᲠᲦᲐᲡᲝ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲝ!

ᲗᲣ ᲒᲡᲣᲠᲗ, ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲩᲐᲔᲠᲗᲝᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐᲨᲘ — ᲨᲔᲛᲝᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲗ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲘᲓᲔᲐ, ᲛᲝᲒᲕᲬᲝᲓᲝᲗ ᲭᲝᲠ-ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔ, ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲒᲕᲘᲖᲘᲐᲠᲝᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲐ „ᲒᲖᲘᲡ“ ᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲪᲘᲔᲑᲖᲔ ᲐᲜ ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ, ᲓᲐᲐᲤᲘᲥᲡᲘᲠᲝᲗ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲐᲛᲐ ᲗᲣ ᲘᲛ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ, ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲒᲘᲖᲐᲕᲜᲝᲗ ᲛᲔᲡᲘᲯᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲖᲔ: 8.99.17.35.27 ᲐᲜ ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲝᲗ ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐᲖᲔ: gza.fantazia@gmail.com

ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲒᲘᲡᲯᲘᲗ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ.

ფოტოკუთხეები





სურათები

941037	942091	924426	943796
929400	939878	944188	943778
942316	933499	918449	942319
940134	944443	911894	940379
945100	945095	945086	940386
940717	940726	933631	940451
942338	936077	942376	940720

1888 გაგზავნე 6 ნიშნა SMS-ით ზემოთ ჩამოთვლილი ნომერზე

კლიპები

გაგზავნე 6 ნიშნა კოდი SMS-ით ნომერზე 8887

შენი ბრალია (თამთა გოგუაძე)	მომაბეზრე (ანრი ჯოხაძე)	ბინდისფერია სოფელი (ალბა ოსტროვსკაია)	სიყვარულს ისჯრება (ჯაბა ბერეკაშვილი)
911405 2.25Mb	912191 3.5Mb	912077 3.29Mb	913070 2.84Mb

გაითვალისწინეთ!!! ზოგიერთ ტელეფონს არ შეუძლია 1 მეგაბაიტზე მეტი ზომის ფაილის ინტერნეტიდან გადმოწერა!

სანამ გადმოწერთ კოდის დარეგისტრირებას, რომ თქვენ ტელეფონს აქვს ფაილის ჩამოტვირთვის (3GP) ფაილის ჩვენებაზე მხარდაჭერა და საკმარისი თავისუფალი კიბერი მეხსიერებაა!

თემები

გაგზავნე 6 ნიშნა კოდი SMS-ით ნომერზე 8882

945320

944568

945262

945175

944524

Nokia: 2855, 3110, 3152, 3155(i), 3220, 3230, 5070, 5200, 5300, 6020, 6030, 6060, 6070, 6080, 6085, 6101, 6102, 6111, 6125, 6131, 6136, 6151, 6152, 6155, 6165, 6170, 6233, 6234, 6260, 6265, 6270, 6275, 6280, 6282, 6288, 6300, 6600, 6620, 6630, 6670, 6680, 6681, 6682, 6822, 7270, 7360, 7370, 7373, 7390, 7610, 8800, 8801, E50, E65, N70, N71, N72, N73, N75, N76, N92, N93(i), N95
Siemens: C75, C81, CX65, CX70, CX75, M75, ME75, S65, S75, SK65, SL75, BenQ - Siemens M81
Sony Ericsson: F500(i), J210i, J220i, J230i, K500(i), K510, K550i, K600i, K610(i), K618i, K700(i), K750i, K790(i), K800(i), K810i, S700(i), S710, T615, T618, T628, T630, T637, W300(i), W600i, W610i, W700i, W710i, W800i, W810i, W850i, W880i, W900i, Z1010, Z300, Z310i, Z500, Z520i, Z525, Z530i, Z550i, Z610i, Z710i
Motorola: A835, C380, C650, E398, E550, V180, V220, V300, V500, V600, V635, V80, V975, V980

თავსებადი ტელეფონების სრული სია იხილეთ ჩვენს ვებ საიტზე: WAP.888X.GE

ქართველი მომღერლები

გაგზავნე 6 ნიშნა კოდი SMS-ით ნომერზე 8887

ნინო ჩხეიძის სიმღერები

	რეალური	სრული
ოსური	912742	912744
ჩემი გმირი	910040	910036
დედაკაცო ჩემო	910045	910041
ლოლუბელო	912824	912826
მარილა მიყვარხარ	910099	910100
შენამდე მორია	910133	910129
პიროიმზე	910127	910128
იეთიმ გურჯი	910062	910046
თუმცარი სატრფიალო	910138	910134
ისევ დავბრუნდებით	910093	910088

სიმღერების სრული სია იხილეთ ვებ საიტზე: WAP.888X.GE

გულანადილი ესვამეს საუბრები
ნებისმიერ თემაზე
რეალურ მოგონებათან
გაგზავნეთ SMS-ით სიტყვა:
MEA
ნომერზე:
8880
SMS GIRLS
18+
ქართველი ქალები ძალიან მიყვარს,
მაგრამ მხოლოდ რუსულად ესაუბრონ!

ვიდეო კამასუტრა

სიმღერები

გაგზავნე 6 ნიშნა კოდი SMS-ით შესაბამის ნომერზე

ყურადღება! სანამ გადმოწერთ სიმღერას დარეგისტრირდით, რომ თქვენ ტელეფონს აქვს ფაილის ჩამოტვირთვის შესაძლებლობა!

		8887 MP3 AMR MMF	8887 MP3	8881 MP3
ჯაბა ბოჯგუა	სიყვარულის ისტორია	913154	913150	-
ჯეოჯგუა ეკატერინა	ასე ჩონგური	913094	913090	-
აგნესა და ლეშა-სენი	სიჩქარე	912461	912457	912457
ანრი ჯოხაძე Hit	მოსატყუე	911972	911976	911976
ანრი ჯოხაძე	მე მაინც მოვალ	911997	911965	911965
ბედნიერ	ამალია ფიდან გაქ	912488	912484	912484
ბედნიერ	მიდი მალე გაიხადე	912512	912509	912509
ემი	მთვარე დამელოდება	912543	912540	912540
ნინო ბოჭოლიძე	შინამარაკენი	911396	911411	911411
თამთა გოგუაძე Hit	შენი ბრალია	911626	911634	911634
ზაზვილა	გარეთობა	912603	912601	912601
თამთა გოგუაძე	ვის ვეფარები ვის	910035	910003	-
ონლაინ და West	ემიგრანტები	912561	912559	912559
თამუნა ამონაშვილი Hit	მერე რა	911715	911746	911746
ნინო ჩხეიძე	ოსური	912742	912744	-
ვერიკო ტურაშვილი	შენზე	911723	911943	911943
Akon Hit	I wanna love you	911896	911892	911892
MakSim	Научусь летать	913166	913173	946584
DJ Slon	А ты меня любишь?	912915	912914	945559
Бьянка	Про лето	912380	912377	912377
MakSim	Знаешь ли ты	911824	911823	911823
Сердиана	Сердце магнит	911229	911249	911249
ანაკა თედიაშვილი Hit	ბინდისფერია სოფელი	912073	912076	912076
ქართული ფოლკლორი	აჭარული	911178	-	941096
ქართული ფოლკლორი	დაიხი	911182	-	941101
Shakira	Las De la Intuicion	912847	-	945459
ნინო ჩხეიძე	ისევ დავბრუნდებით	910093	910088	-
მუსიკა ფილმიდან(რეგიონი)	რამდენრონ	911408	-	944065
მუსიკა ფილმიდან	ნათლიმამა	911348	-	924603
მუსიკა ფილმიდან	ტიტანიკი	911340	911343	926882
ზეზვინთა ლიგა Hit	ბიბი	911327	-	924716
Дима Билан	Number One Fan	912816	-	945632
MakSim	Лучшая ночь	913163	913172	946590
Jennifer Lopez	Me Haces Falta	913008	-	945606
ენრიკო ჯანელიძე	ზეზვი მეარნე	913188	913185	-
ერიხიონი	სალამური	911195	-	941116
Rihanna	Shut Up and Drive	912839	-	945453
Rihanna feat. Jay-Z	Umbrella	912820	-	945626
ენრიკო ჯანელიძე	Let's Twist Again	913206	913204	-

ეფექტები ასევე ქართული, რუსული და ფილიპინური სიმღერების გადმოსაგზავნად ეფექტიანია ინტერნეტში - wap.888x.ge

მობილურის თემებიდან

გაგზავნე SMS-ით 6 ნიშნა კოდი ნომერზე 8881

945009	945033	945039	945428
944202	944229	944205	945433
სიყვარულის თილისმა	სიმდიდრის თილისმა	ბედნიერ ადამიანთა ბანაკის ეროვნული	ალმასი

საპრიკოლო ზარები

საპრიკოლო MP3 ზარები შენი მობილურისთვის
გაგზავნე 6 ნიშნა კოდი ნომერზე 8887

სიყვარულო! აღდგენ სამსახურში გაგეკეთებინდეს...	911918
ეს! შენზე მეფანარ არაფის ქონია...	911917
სინარულო! ამოგიღე ჯიბიდან...	911922
ბოგარ! ინ ფიფოგაკან შეუკარგენელი ამანია...	911924
ფოდი ახლოს! ფოგიანხლოდი! ...	911926
ეს შეკარგენენ ეინეე???	912338
კანაკა თბილისში ალი არ ფიფან	912310
ფოსანალიფონი ეარ ნარილი ფოეფიგანეა...	912314
გაფაკეთენ ამოგიღენ... (ეაბარელი)	912286
Hello Fashion TV...	912318
ის ეარფოკა გეფოსოფოდა...	911924
ეგ შენ გეფაკანარკანენ...	912235
ლა ლა ფეფინი...	912322
ეარეს.ამ...	912326
სანანს ეაკანენ ბიძეო...	912239
ჩაფიკენ ჯიბეენ ხელი, ამოიღე...	912334
ანლიან ფენანარენ... (ანაფის ხმა)	911920
ანლიან ფენანარენ... (ანლის ხმა)	911928
ანლა ეგ უნდა ეაკანენ (ფალეფიანარ)	913300
ჩამოფარეფდა ამსი ჩენანით...	913288
ეეორა ლიანდაგზე ეეეფოლის სმს-ი	913304
ეარე ხარ? ფეარენენ?	913292
ეგ გაგანგია ორი - YES და NO	913307
ეეეეე... ეკანარკანენ ბოსს...	913296

საათები ნოკიასათვის
გაგზავნეთ SMS-ით 6 ნიშნა კოდი ნომერზე 8882

939443	939459	939439
949579	949578	949575
949615	949583	949561

ეეეეენი ეეეფოლენიანისთვის:
Nokia: 3230, 3600, 3620, 3660, 6260, 6600, 6620, 6630, 6670, 6680, 6681, 7610, N-Gage, N-Gage QD

საათების სრული ეეეფოლეფი იხილეთ ვებ საიტზე: WAP.888X.GE

ბალანსის ამოწურვა ეეე ეეეფოლენ ეეეფოლენ ეეეფოლენ ეეეფოლენ ეეეფოლენ WAP/GPRS ფაილ ეეეფოლენ ეეეფოლენ ეეეფოლენ ეეეფოლენ